კონსტანტინე იანკოვსკი

# ტაიგური გული

თბილისი 2017 წ.

კონსტანტინე დიმიტრის ძე იანკოვსკი. ტაიგური გული. 142 გვ. თბილისი. 2017 წ.

თარგმნა მარინე ამბარდნიშვილმა

თარგმანს ვუძღვნი მონადირეებს და ბუნების მოყვარულ ადამიანებს

კონსტანტინე დიმიტრის ძე იანკოვსკი (1904–1983 წწ.) ცხოვრობდა ირკუტსკის ოლქის ტაიშეტის რაიონის სოფელ შიტკინოში. იკვლევდა ტაიგის ბუნებას. მისი ნარკვევები და მოთხრობები იბეჭდებოდა გაზეთებში: “Советская молодёжь”, “Восточно-Сибирская правда”, “Уральский следопыт” და სხვ. გამოიცა მისი სამი წიგნი: На речке Бобровой, Таежное сердце და Дикие камни.

კონსტანტინე იანკოვსკი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ის, იმ დროს სტუდენტი მონაწილეობდა ტუნგუსკის მეტეორიტის II საძიებო ექსპედიციაში და როცა მონაწილეებს შორის განხეთქილება ჩამოვარდა, ის ერთადერთი დარჩა ექსპედიციის ხელმძღვანელ ლეონიდ კულიკთან გადამწვარ ტაიგაში სურსათის გარეშე. ერთხელ, ნადირის ძიებისას უჩვეულო ლოდს წააწყდა. იქნებ, კოსმოსური სტუმრის ნაშთი იყო. სურათი გადაუღო და მისკენ მიმავალი ბილიკი დაიმახსოვრა, მაგრამ დიდი სამამულო ომის მერე ამ ადგილას ტყე აღმოცენდა და ლოდს ვეღარ მიაგნო. ამ ლოდს ჩურგიმის ლოდი ეწოდა ნაკადულ ჩურგიმის სიახლოვის გამო. ქ. ტომსკის ახალგაზრდა მეცნიერთა ექსპედიცია ცდილობდა ამ ლოდის პოვნას, მაგრამ ამაოდ. 1965 წელს კ. იანკოვსკიმ მეტეორიტის დაცემის ადგილას მოაწყო ბავშვთა ექსპედიცია, მაგრამ ლოდისკენ მიმავალ ბილიკს ვერ მიაგნეს.

ტუნგუსკის მეტეორიტის II ექსპედიციის მონაწილეებს უმძიმეს პირობებში უხდებოდათ მუშაობა, სურსათი არ ჰყოფნიდათ, ამიტომ ახალგაზრდა გამყოლი კ. იანკოვსკი ნადირობდა კიდეც.

ექსპედიციის მონაწილეებს შორის განხეთქილება ჩამოვარდა მეტეორიტის დაცემის ადგილის განსაზღვრის გამო. მხოლოდ კ. იანკოვსკიმ უერთგულა ცნობილ მეცნიერს ლეონიდ კულიკს. ისინი ვანავარაში დაემშვიდობნენ ერთმანეთს. კონსტანტინ დმიტრიევიჩს ხელფასი არ მოუთხოვია, იცოდა რა, რომ ექსპედიციას ამისი სახსრები არ ჰქონდა. კულიკს კი უკან დასაბრუნებელი სამგზავრო ფული ცოლმა გამოუგზავნა. კ. იანკოვსკის ყოველგვარი საარსებო სახსრების გარეშე დარჩა. ის მდინარე კამენნაია ტუნგუსკის ნაპირას ქარაფის ქვეშ დასახლდა ჩალის ქოხში ძალღთან ჩუმ–ჩოკთან ერთად. ამ მდგომარეობიდან იხსნა ტუნგუსკის მეტეორიტის I ექსპედიციის მონაწილემ, მონადირე ვასილი კიტიანმა.

როცა კონსტანტინ იანკოვსკი, მშიერი და უფულოდ ტაიშეტიდან მეტეორიტის ექსპედიციის ბანაკში მარტოდ დარჩენილ კულიკთან ბრუნდებოდა, ერთ ტაიგურ სოფელში

შეხვდა ქალიშვილს, ელენა რაზუმოვსკაიას. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ, დაქორწინდნენ და სიცოცხლის ბოლომდე ერთგული მეგობრები იყვნენ.

კონსტანტინე იანკოვსკი დიდი სამამულო ომის მონაწილეა. იგი იბრძოდა ორიოლ–კურსკის რკალზე. მეთაურობდა ბატარეას. ომიდან თითქმის ხეიბარი დაბრუნდა. ხელები უკანკალებდა. ექიმებმა წოლა ურჩიეს. როცა ჰოსპიტლიდან დაბრუნდა, ცოლმა ტაიგაში წაიყვანა. ტაიგამ კონსტანტინ დმიტრიევიჩს სულიერი წონასწორობა აღუდგინა. ის ომის შესახებ არასოდეს ჰყვებოდა.

კ. იანკოვსკიმ დიდი ღვაწლი დასდო სიასამურის ბინადრობის ადგილების შესწავლასა და დაცვას, ასევე რუსეთის ფედერაციის დასავლეთ რაიონებიდან აღმოსავლეთ ციმბირში თახვების გადმოსახლებას. ამისთვის შეისწავლა მათი ახალი ბინადრობის ადგილები.

კონსტანტინ დმიტრიევიჩთან პრაქტიკას გადიოდნენ სტუდენტი მეტყევეები, სწავლული მონადირეები. ის მათ თავის ტაიგელ ქალ–ვაჟებს ეძახდა და ფინანსურადაც ეხმარებოდა. სტუდენტი პრაქტიკანტები იანკოვსკებისგან სწავლობნენ ადამიანურ ურთიერთობებს, სიკეთეს, სათნოებას და წლების განმავლობაში არ ივიწყებდნენ ტაიგელ მამას.

კ. იანკოვსკი სიცოცხლის ბოლომდე, გარდა დიდი სამამულო ომის პერიოდისა, აწარმოებდა მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს. სახლთან, ეზოში მოწყობილი ჰქონდა მეტეოროლოგიური მოედანი. წინასწარმეტყველებდა ამინდს.

სიცოცხლის მეტი ნაწილი კონსტანტინ იანკოვსკიმ ტაიგაში გაატარა. საკვები მიჰქონდა ნადირ–ფრინველისთვის, ქოხებთან რგავდა ყვავილებს, სასტიკი იყო ბრაკონიერების მიმართ.

ამბობენ, რომ დათვს ელაპარაკებოდა, რომელიც მისი მონადირული ქოხის სიახლოვეს ბინადრობდა. “ბერიკაცო! ისევ მოხვედი? მელოდები?” და დათვიც პასუხად ჩაიბურტყუნებდა. ისინი წყლისთვის ერთსა და იმავე ნაკადულთან დადიოდნენ. როცა ჩურგიმის ლოდის მოსაძებნად ბავშვთა ექსპედიცია მოაწყო, დათვმა იქაც მიაკითხა და მთელი ღამის განმავლობაში მათ ბანაკს გარს უვლიდა, მერე კი ტორებით კოცონი ჩააქრო. ექსპედიციის ხელმძღვანელი ა. მელნიკოვას თქმით კონსტანტინ დმიტრიევიჩმა დათვს, როგორც ძველ ნაცნობს, ისე მიმართა: – აქ შენი ადგილი არ არის, ბავშვებს ნუ აშინებ!–ო და ისიც მიბრუნდა და დაგვშორდა.

კონსტანტინ იანკოვსკისთვის მთელს აღმოსავლეთ ციმბირში ყველაზე ძვირფასი და ახლობელი იყო შიტკინოს 40 კვ. კმ. ფართობის სამონადირეო უბანი. აქ პრაქტიკას გადიოდნენ სტუდენტი სწავლული მონადირეები. აქ მდებარე ქოხში ხშირად სტუმრობდნენ მეცნიერები, სწავლული მონადირეები, ტურისტები, ამ ქოხს კ. იანკოვსკი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. როცა ხე–ტყის დამამზადებლებისგან გაიგო, რომ ამ სამონადირეო უბნის ნაწილი უნდა გაკაფულიყო, მან ხელმძღვანელ ორგანოებს შესთავაზა, რომ შიტკინოს ტაიგის ეს უბანი აღკვეთილად გამოეცხადებინათ, რათა სამეცნიერო დაკვირვება არ შეწყვეტილიყო, მაგრამ კ. იანკოვსკი ამას ვერ მოესწრო.

დარჩა სახლი, რომლის კარები ყველასთვის ღია იყო. ყველას იფარებდა, ადამიანებსაც და ნადირ–ფრინველსაც. ფრთოსნებისთვის იდგა საკვები მაგიდა, მასთან ბინადრობდა ნებიერი კატა პაწაწო, მიგდებული კატებიც. მისი ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ ახალგაზრდები.

შიტკინოში იანკოვსკებმა ასე ოცდაათი წლის წინ დარგეს ვაშლის ხეები. არავის სჯეროდა, რომ ციმბირის მკაცრ პირობებში გაიხარებდნენ, მაგრამ შეეგუვნენ და ნაყოფიც მოისხეს. სოფლის ბავშვები პირს იტკბარუნებდნენ ამ ხეთა ნაყოფით, კენწეროებზე კი ჩიტებს უტოვებდნენ. შემდგომ ვაშლის ნერგები მთელს სოფელში გაახარეს.

ხალხი არ ივიწყებს "ცოცხალ ლეგენდას" კონსტანტინ დმიტრიევიჩ იანკოვსკის და მის წიგნებს.

წინამდებარე წიგნში მოთხრობილია ავტორის თავსგადამხდარი ამბები.

მარინე ამბარდნიშვილი

## ფოთოლცვენისას

ტაიგა მიხმობდა. მიხმობდა აფერადებული ფოთლების, ანკარა ნაკადულებისა და ნათელი შორეთის ზეიმზე. მეც მის ძახილს მივყევი. რაც უფრო შევდიოდი ტაიგის უღრანში,

უფრო მძაფრად ვგრძნობდი ჩრდილოეთური ამინდის ამ გამოსათხოვარ ზეიმს. ტაიგა თითქმის რვათვიანი ძილისთვის ემზადებოდა სპეტაკი, თეთრი საფარის ქვეშ.

მზემ გაანათა ტანკენარი ნაძვებისა და სოჭების კენწეროები, მისი სხივები კედრებისა და ფიჭვების განიერ ვარჯებს ანათებდა, ოქროსფერი ათინათები კი ნორჩი ფიჭვების ქერქზე კრთებოდა. ტაიგის გოლიათებს შორის მოკრძალებულად მდგარმა და საღამოს მზით განათებულმა არყის ხეებმა თითქოს წამოიწიეს და ფოთლებაშრიალებულნი აჩურჩულდნენ: “დატკბით ჩვენი ცქერით. შემოგვხედეთ, როგორი ლამაზები და მორთულ–მოკაზმულები ვართ, მოვა დრო და თქვენს ბილიკს ოქროსფერ ფოთლებს დავაფენთ და საკუთარ სილამაზეს მშობლიურ მიწას მივაბარებთ”. აფერადებულ ტყეში იდგნენ ჩამავალი მზის ალერსით აწითლებული და დაბრაზული ნორჩი ვერხვები.

ნელ–ნელა ბინდდებოდა. ტაიგის ხეობები სოსანისფერ ბინდ–ბუნდში ჩაიძირა, დღის ჟრიამული შეწყდა და ღამის იდუმალი შრიალით გამეფდა.

ამ დროს ტაიგის ბინადართა უმეტესობა დაძაბულ ცხოვრებას ეწეოდა, დღისითაც და ღამითაც.

პატარა, წითური, ზურგზე ხუთი მუქზოლიანი ცხოველი აჩქარებული მიიკვლევს გზას კუნძებსა და ტოტებს შორის. ლოყები სასაცილოდ დაჰბერვია, შავი თვალები მძივის მარცვლებივით უბრწყინავს. ეს ბურუნდუკია, ლოყების პარკებითთავის საზამთრო საკუჭნაოში კედრის გემრიელი კაკლები მოაქვს, თუმცა მარაგს ყოველთვის ვერ ინარჩუნებს. ბაჯბაჯა დათვი შეიგრძნობს რა კაკლის სუნს, თითქმის შეუმჩნეველ სოროს მიაგნებს და დაანგრევს, გულმოდგინედ თხრის, ძლიერი ტორებით მიწის ბელტებს აქეთ–იქით ისვრის, ლოდებს ამოაბრუნებს, სანამ შიშისგან აკანკალებულ პატარა ნადირს არ მოაღწევს და ერთ ჯერზე გადასანსლავს გულმოდგინე ბურუნდუკის მოგროვილ კედრის კაკლების მთელ მარაგს და თუ მის ტორებს ვერ დაუსხლტა, მასაც არ დაინდობს. კმაყოფილი მურა დათვი ბურდღუნით შეეღეტება უღრანში, სადაც უხვად იზრდება წვნიანი, ტკბილი ლა მუქი, მომჟავო წითელი და შავი მოცვი.

შემოდგომობით ტაიგის ეს უზარმაზარი ნადირი ვეგეტარიანელი ხდება. კედრის კაკლის მოყვარული ხშირად აძვრება ხეზე, რათა კენწერო მოამტვრიოს, იქიდან კი ხშირად მშვიდობით “ფრინდება” მიწაზე. ბებერი დათვები კი კედრის კაკალს მიწაზე აგროვებენ.

მკვირცხლი ციყვი ჯერ ისევ საზაფხულო სამოსშია, თუმცაღა კუდი უკვე ფაფუკი აქვს, ყურებზე ბეწვი გაზრდია, რაც ზამთარში ლამაზ დალალებად დაეფინება. ციყვი სოკოს

მარდად მოსწყვეტს, კბილებით მაგრად დაიჭერს, ფიჭვზე ან ბუჩქზე გადახტება და წვრილ ტოტზე ისე ოსტატურად მიამაგრებს, რომ შემოდგომის ავი ქარიც კი ვერ ჩამოაგდებს. კედარზე აძვრება, გირჩას მოსწყვეტს, კბილებით მაგრად დაიჭერს, ხეს ბრჭყალებით ჩაეჭიდება და სკუპ–სკუპით მიწაზე დაეშვება, კაკლებს სწრაფად გაკროცავს, პირში მოაგროვებს და არჩეულ ადგილას წაიღებს, ხავსებში მომცრო ორმოს ამოთხრის, კაკლებს შეინახავს და თავის საკუჭნაოს გულმოდგინედ შენიღბავს. და აი, ასე, მთელი დღე იღწვის პატარა წითური ცხოველი და ხანგრძლივი და ცივი ზამთრისთვის საკვებს იმარაგებს.

ჩხართვი. ეს მომცრო ჩიტიც იმარაგებს კედრის კაკალს საზამთროდ. ხესთან მიფრინდება, ძლიერი ნისკარტის დარტყმით გირჩას მოაგლეჯს და ჰაერშივე დაიჭერს. მერე მიწაზე გირჩიდან საუკეთესო კაკლებს ამოარჩევს, გადასანსლავს, ჩიჩახვს გაივსებს და საკმაოდ შორს გაფრინდება. მიწაზე დაეშვება, ფოთლის საფარს ფეხებით გაჩიჩქნის და კაკლებს წინასწარ გამზადებულ ორმოში ჩაალაგებს და როგორც ციყვი, ისიც შენიღბავს, ხეზე აფრინდება და ჩხავილ–ჩხავილით შემდეგ ჯერზე გაფრინდება.

დადგება ზამთარი და კაკლის ეს საკუჭნაოები ფაფუკი საბნით დაიფარება, თუმცა ჩხართვი და ციყვი თოვლქვეშაც მიაგნებენ და გემრიელი, ნოყიერი კაკლებით პირს ჩაიტკბარუნებენ. თავიანთ საკუჭნაოებს აგნებენ თუ თვისტომთა, მნიშვნელობა არც აქვს, რადგან სრულიად გაუცნობიერებლად ერთმანეთზე ზრუნავენ.

ხშირად გაიგონებთ: “ჩხართვი მავნე ფრინველია, როგორც კი გირჩების მოსაგროვებლად წახვალ, უმალ იქ გაჩნდება, გირჩებს წყვეტს და ეზიდება”. დერსუ უზალას აზრით: “თვალი აქვს, შეგნება არა”. ის ჩხართვში მხოლოდ მეტოქეს ხედავდა და ვერ ამჩნევდა, რომ ეს ფრინველი კედრის ტყეებს აღადგენდა. ის ვერ ამჩნევდა, რომ ტაიგაში კედრის ნორჩი აღმონაცენი იქ გვხვდება, სადაც კედარი ახლოსაც კი არ დგას. უამრავ მცენარეთა თესლებს ქარი ავრცელებს, კედრის კაკალი კი არ გადააქვს. უმეტეს საკუჭნაოებთან ჩხართვები არ მოფრინდებიან. მათ ისინი ხოცავენ, ვინც ჩხართვს პირად მტრად მიიჩნევს, ნაწილი კი მტაცებელი ნადირ–ფრინველისგან იღუპება. ცხადია, ყველა არ განადგურდება, ბევრი მათგანი გადარჩება და მკაცრ ზამთარსაც გადაიტანს, ჩხართვების საკუჭნაოების ადგილას კი კედრები აღმოცენდება.

მაჩვი დათვივით სულ იმის ცდაშია, რომ რაც შეიძლება მეტი ცხიმი დაიგროვოს, რათა ხანგრძლივი ზამთრის განმავლობაში ეყოს. მას კიდევ ერთი საზრუნავი აქვს. სორო საზამთროდ მოაწყოს. მაჩვი აგროვებს ხმელ ბალახს, ხავსს, ფოთლებს. სოროს ხვრელებს

ბალახითა და ხავსით გულმოდგინედ გმანავს, ტოვებს მხოლოდ ერთს, რითაც თოვლის მოსვლამდე შეძვრება და მერე ამასაც გულმოდგინედ დაგმანავს, მყუდრო საძინებელში რბილ საგებზე მოიკუნტება და გაზაფხულამდე ძილქუშს მიეცემა. ახლა კი თავის სოროს ძველი საგებისგან ასუფთავებს.

აი, სიასამური. ამ ძვირფასბეწვიან ნადირს ციმბირის ტაიგის "მარგალიტს" უწოდებენ. ის საკვებს არ იმარაგებს, რადგან ყოველდღიურად წარმატებით ნადირობს. წითელი და შავი მოცვის კენკრით გაძღება და თავისი დროებითი თავშესაფრისკენ გასწევს, გზად პატარა მემინდვრიას გადაეყრება, დაიჭერს და შეჭამს, არც ტყის თაგვს დაიწუნებს და არც ბურუნდუკს. მხოლოდ პაწაწინა ბიგას არ შეჭამს. ხშირად კენკროვან ბუჩქებზე მჯდარ როჭოებზე, ყრუანჩელებსა და გნოლქათმებზე ნადირობს, ბაჭიასაც არ ინდობს, კედრის კაკლისთვის კი ხეზე არ აძვრება, რადგან მის ძირას პოულობს ციყვის ან ჩხართვის დატოვებულ გირჩებს. ვაი, მათ, ვინც კაკლის მოგროვებით გართულნი მარჯვე ნადირს ვერ შეამჩნევს. ზამთრობით, თუ სიასამურს ნადირობაში ხელი მოეცარა, მაშინ ის საკუჭნაოების საძებნელად გასწევს და კაკლით ყელს ჩაიტკბარუნებს.

ეს, ტაიგის ბინადართა ცხოვრების ერთი პატარა ნაწილია ფოთოლცვენის დროს.

სოჭის წიწვების რბილ, სურნელოვან საგებზე ვიწექი. კოცონი გიზგიზებდა. ნაპერწკლები ჰაერში ცვიოდა და ქრებოდა. ვარსკვლავები ცივად ციმციმებდნენ. ტაიგის ცივი მდინარიდან განსაკუთრებული ღამეული სიგრილე იგრძნობოდა.

მდინარეში კვლავ რაღაც ადგაფუნდა. ეს თევზი არაა. დახელოვნებული მეთევზე წავი საშოვარზე გამოვიდა.

ტაიგა ღამეული იდუმალებით ცხოვრობდა.

შორს, მთის იქით, სადაც კიდევ ერთი დღე დამიღამდა, ყრუ და ხანმოკლე ღრიალი გაისმა. ხრინწიანად შეეხმიანნენ. ორი ნადირი გადაეყარა ერთმანეთს, სამკვდრო–სასიცოცხლოდ ილტვოდნენ, თავი მაღლა აეწიათ, ნესტოები დაებერათ და მძიმედ სუნთქავდნენ.

ტაიგაში შემოდგომის დასაწყდისი ცხენ–ირმების მყვირალობის დროა.

მდინარის გაღმა ნაპირზე ბუ ახითხითდა. "სასაცილო არაფერია" – ხმამაღლა შევეხმიანე, სურნელოვანი სასთუმალი გავისწორე, თვალები დავხუჭე და მშვიდად დავიძინე.

## გაუჩინარების კანონი

სულ პაწაწინა, თითქმის ასანთის კოლოფისოდენა გნოლქათამა კუნძზე იჯდა და ჩვენ რომ დაგვინახა ნაბიჯისთვის აწეული ფეხი დასწია და გაირინდა. მივუახლოვდით. მურა–ყავისფერი გუნდა არ განძრეულა. მძივის მარცვლებივით მბრწყინავი თვალებით უშიშრად გვიყურებდა და მოგვეჩვენა, რომ მათში ცნობისმოყვარეობა შეიმჩნეოდა.

ჩემს თანამგზავრს, სამონადირეო ფაკულტეტის სტუდენტს ტანია გოლოვკინას უნდოდა გნოლქათამასთვის სურათი გადაეღო და როგორც ხშირად ემართებათ ხოლმე ასეთ შემთხვევაში ახალგაზრდა ფოტოგრაფებს, ფირი გაუთავდა.

– როგორ არ დავტენე აპარატი! ასეთი კადრი! – დანანებით ჩაიჩურჩულა ტანიამ. მინდოდა ჩემი აპარატი გადამეცა, რომ უცებ ჩვენს თვალწინ საიდანღაც ხმაურით მიწაზე დაეშვა ამ უსუსური ბარტყის დედა. ფრთებს აფართხუნებდა, ხრიწინებდა და სჩანს არა მარტო გადასაფრენად, გასაქცევადაც მზად იყო.

გაგვეღიმა, რადგან ვიცოდით გნოლქათამას თავდაუზოგავი ხრიკი, მაგრამ არ გვინდოდა, როგორც ტანიამ თქვა, დედა ჩიტისთვის "გული გვეტკინა", თითქოს დავიჯერეთ მისი ეშმაკური ხრიკი და მისკენ გავწიეთ.

გახარებული დედა ჩიტი მჭახედ უსტვენდა, გადაგვაფრინდა და ჩვენგან რამდენიმე მეტრში დაეშვა, მხიარულად დაუსტვინა, ისევ გადაგვაჭრინდა, ახლა უფრო მოშორებით.

ტანიას უნდოდა მიჰყოლოდა, მაგრამ შევაჩერე. დედა ჩიტმა, მას მერე, რაც ჩვენი ნაბიჯების ხმა აღარ ესმოდა, გამორჩეულად დაუსტვინა, თითქოს რაღაც გაუკვირდა. გაუნძრევლად ვიდექით.

უცებ ბალახის შრიალი მოგვესმა. ტანიასკენ შევბრუნდი და გადავეჩურჩულე: – უყურე, გაფაციცდი!

ბალახმა ისევ გაიშრიალა და თითქმის ჩვენს ფეხებთან გნოლქათამა დავინახე. ახლა ის გვათვალიერებდა, ფრთები ისევ დააფართხუნა დაკოჭლობით განზე გახტა.

მას მერე რაც მისკენ გავწიეთ კმაყოფილი დედა ჩიტი დიდ მანძილზე გადაფრინდა. ვიცოდი, რომ გველოდებოდა, მერე ისევ გადახტებოდა და დამალულ ბარტყებთან

მიფრინდებოდა, გამორჩეული ნაზი სტვენით მოაგროვებდა და შორს, იდუმალ ტაიგაში წაიყვანდა და ტაიგის ფრინველთა ცხოვრების სიბრძნეს აზიარებდა.

მის ბარტყებს კი პირველი და უმთავრესი გაკვეთილი უკვე აეთვისებინათ. ეს გაუჩინარების კანონია.

ეს კანონი სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე აუცილებელია ტაიგის ყველა ბინადარი ნადირ–ფრინველისთვის და ამიტომ თავისი ცხოვრების დასაწყისშივე კარგად ითვისებს და სიცოცხლის დასასრულამდე იყენებს თვითგადარჩენისთვის, ზოგი მსხვერპლის ჩასაფრებისთვის, ზოგს საკუთარი მარდი ფეხებისა და ფრთების ეიმედებათ, მაგრამ მიუხედავად ამისა საშიშროების შემთხვევაში თავდაპირველად ირინდებიან.

ამ პაწაწინა გნოლქათამამ ტაიგის ეს უმთავრესი კანონი გვიჩვენა.

შეიძლება ტაიგაში დღეები იარო და მის არცერთ ბინადარს არ შეხვდე, რომ არა კოლადებს, რომლებიც ხიდან ხეზე ფრინდებიან და დოლივით აკაკუნებენ და კიდევ ცნობისმოყვარე წითელკუდა ჯაფარებს, სტვენა–სტვენით რომ ფრინდებიან ტოტიდან ტოტზე, თავს სასაცილოდ დახრიან და დაჟინებით მოგაშტერდებიან, ჩხართვები კი თავისებური ხმიანობით ამაოდ რომ ამოწმებენ კედრის გირჩების მოსავალს, ასევე პატარა ჩიტებს, აქეთ–იქით მოუსვენრად რომ ფრინდებიან, ეს რომ არა ტაიგა უსიცოცხლოდ მოგეჩვენებოდათ.

მაგრამ ირგვლივ ყველგან გვხვდება ნადირ–ფრინველის ნაკვალევი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ცხოვრება დუღს და მხოლოდ ადამიანის მიახლოებისას ცხრება. გაუჩინარების კანონი ყოველთვის მოქმედებს.

დანგრეული ჭიანჭველების ბუდე, გადაადგილებული მორები, გათელილი ბალახი და თავშესაყრები, ხეების შეჭმული ყლორტები ორი–სამი მეტრის სიმაღლეზე, ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ბაჯბაჯა დათვმა ყელი ჩაიტკბარუნა ჭიანჭველების კვერცხებით. მიწაში ეძებდა ჭიაყელებს, ბურუნდუკებსა და მათ საკვებს, ეძებდა ველურ ფუტკარს და აგნებდა, დაეხეტებოდა და ვეგეტარიანული საუზმის ანდა სადილის მერე ისვენებდა მწვანე, სურნელოვან საგებზე, რადგან ხორცით პირის ჩაკოკლოზინება ვერ მოახერხა. ამაზე მიანიშნებდა მდინარეზე ცხენ–ირმების საუკუნოვან გადასავლელთან მდებარე უჩინარი თავშესაფარი. ჩასაფრებული ნადირი მსხვერპლს ელოდებოდა, მაგრამ პირში ჩალაგამოვლებული გაბრუნდა. ცხენ–ირმები სულ ახლოს იყვნენ, მაგრამ დროზე შეჩერდნენ,

უკან გამობრუნდნენ და გაჰქუსლეს. ალბათ ტაიგურმა ქინქლამ გააცოფათ ანდა დათვმა სწორედ მაშინ დაიღრიალა, როცა ცხენ–ირმები არც ისე შორს იყვნენ.

თუ დათვმა ნაკაწრები დატოვა, ეს იმას ნიშნავს, რომ ბრჭყალებს მიწისგან ისუფთავებს, ამისთვის კი ყოველთვის "რბილ" ხეს ირჩევს, ვერხვს, სოჭს ანდა ნორჩ კედარს. ხის ქერქზე დათვის ბრჭყალების ნაკაწრების სიმაღლისა და დაშორების მიხედვით შეგვიძლია დათვის დათვის ზომაც კი დავადგინოთ...

სილაში ამოთხრილი მომრგვალო ორმოები კი იმაზე მიუთითებს, რომ "აბაზანაა". აქ ჩიტები "ბანაობდნენ". "აბაზანის" ზომების მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ თუ ვინ "იბანავა" სილაში. არსებობს რამდენიმე უჩვეულო ფორმის "აბაზანა". უნდა დავიხაროთ, ბუმბული ავიღოთ და გავიგებთ თუ რომელი ფრთოსანი იყო აქ.

ხშირ ბალახში ასევე გვხვდება სხვადასხვა მიმართულებით გაკვალული ბილიკები, პატარა ორმოები, მათ შორიახლოს კი ღრმა სოროები და სილის ნაყარები. თუ უნებურად შეჩერდები და ყურადღებით დააკვირდები, სჩანს რომ მაჩვის ოჯახმა (ეს მათი ნამოქმედარია) მიწის წიაღს მიაგნო: მაღალხარისხოვანი სიყალიბე კვარცის სილას.

ამ სოკოს ქუდზე კი ვიღაცის ნაკბილარები ატყვია. სოკოს წვნიანი რბილობით ციყვი პირს იტკბარუნებდა და ჩვენი მიახლოებისას დაიმალა და ახლა მოუთმენლად ელის როდის გავცდებით, რათა შეწყვეტილი საუზმეგააგრძელოს.

დიდ მორზე რომ გადავიარეთ, ჩვენი ტაიგის ძვირფასბეწვიანი ნადირის, სიასამურის ნაკვალევი შევამჩნიეთ. უმალ მიხვდებით თუ საიდან მოდიოდა. რა თქმა უნდა შავი მოცვის ბუჩქნარიდან. ის ამ დროს თითქმის მხოლოდ ამ გემრიელი და სასარგებლო კენკრით იკვებება.

ტაიგა სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს. ასეულობით თვალი გვაკვირდება. ჩვენ ნადირ–ფრინველის თითქმის გვერდით დავდივართ და ვერც კი ვამჩნევთ, იქვე მათი არსებობაც კი არ ვიცით. ისინი გაფაციცებულნი ჩვენს ყოველ მოძრაობას აკვირდებიან. მათი კუნთები ზამბარასავით დაჭიმულია.

ჩვენ კი გვერდს ისე ავუვლით, რომ მეტწილად მათ არსებობასაც არ ვეჭვობთ და როცა თვალს მივეფარებით და მათ მახვილ სმენად ჩვენი ნაბიჯების ხმაც აღარ მისწვდება, მაშინ განახლდება ჩვენს გამო შეწყვეტილი ტაიგური ცხოვრება.

და თვითეული, ვისაც მოთმინება ეყოფა, ბევრ საყურადღებოსა და დაუვიწყარს შეაჩნევს ტაიგის ბინადართა იდუმალი ცხოვრების შესახებ, რაც ჩვენ ცოტა რამ ვიცით.

ჩვენი გზის ბოლოს, მოსაღამოვებულზე ბროლის წყაროებთან მდებარე მონადირულ ქოხთან გამოვედით. ამინდი ფუჭდებოდა, მაგრამ ახლა ჭერქვეშ ვიყავით. ტაიგურ სოფლამდე, საიდანაც გამოვედით, ერთი დღის სავალი გვრჩებოდა.

ტაიგას ლეგა ღრუბლები ეფინა, ხეთა კენწეროებზე ქარი ზუზუნებდა, ქოხში კი მდუყროება დავანებულიყო.

სინათლის ალი ტანიას ბლოკნოტს ანათებდა. მისი ბავშვური ხელნაწერი დიდხანს შეინახავს რაც ამ დღეებში და ღამეებში ტაიგამ მოუთხრო.

## ნაძვის ცრემლები

თითზე უმნიშვნელო ჭრილობა მქონდა, თუმცა სისხლი ბევრი არ დამიკარგავს, მაგრამ მესამე დღეს გამისივდა და იდაყვამდე გამიწითლდა, გამაცხელა კიდეც. პაპამ შემნიშნა, რომ უქეიფოდ ვიყავი, თუმცა არ ვიმჩნევდი.

– რატომ მაშინვე არ მითხარი? რა შეგემთხვა? – მოღუშული ათვალიერებდა ჩემს ხელს და თავისი დაძარღვული, ძლიერი ხელით გადააბრუნა.

– ხედავ? დოლივით დაგჭიმვია, მადაც დაგეკარგა, გაცხელებს.

იოლი სათქმელია: “რატომ არ მითხარი?” როგორ ვეტყოდი, როცა პაპის დავალება მეამაყებოდა, რა არ შეემთხვევა ადამიანს. ვეტყოდი და მარტოს აღარ გამიშვებდა და ისევ მის უკან ვივლიდი. ვერც ვიცრუებდი. სჯობდა მეთქვა. მეც ასე მოვიქცევი, იმ იმედით, რომ ჭრილობა მალე შემიხორცდებოდა, მერე კი ყველაფერს მოვუყვებოდი.

აი, რა შემემთხვა. პაპამ მე, ჯერ ისევ ბიჭს, ნადირისთვის დაგებული მახეების შემოწმება მანდო. მახეში გაბმული ციყვები მხარზე გადაკიდებულ ტომარაში კოხტად უნდა ჩამეწყო და თან, სადაც საჭირო იყო სატყუარებიც უნდა დამელაგებინა. სატყუარად სურნელოვანი ზეთა სოკოები ბერესტისგან[1] გაკეთებულ ხოკერში მეწყო. რა თქმა უნდა მახეები უნდა გამესწორებინა. საქმეს თავი კარგად გავართვი. მახეების შემოწმებას თითქმის

[1] ბერესტა – არყის ხის ქერქი.

მოვრჩი და მიხაროდა, რომ ციყვებით სავსე ტომარა დამძიმდა. ბოლოს დარჩენილ უკანასკნელ მახეს მივუახლოვდი და თავდაყირა დაკიდებული ციყვი დავინახე. ციყვი უკანა ფეხებით გაბმულიყო. მკვდარი მეგონა, მაგრამ როცა მივუახლოვდი, გატოკდა და რადგან ჯერ ისევ ცოცხალი იყო, უნდა მომეკლა. პაპა როგორ ხოცავდა, არ მენახა, მაგრამ მონადირეებისგან მსმენოდა, რომ ძნელი არ იყო. მე კი ვიდექი და ციყვს ვუყურებდი. ნამდვილი, მონადირული, სქელყუიანი დანა ქამარზე მეკიდა, მაგრამ ხელი დანისკენ არ გამიწევია. მახეს მივუახლოვდი და ავწიე. ციყვი თოვლზე დაეცა. დავიხარე. არ გატოკებულა. მინდოდა ამეყვანა, გამეთბო, რადგან თათები გაყინული ექნებოდა. ხელი შევახე თუ არა, კბილები თითში ჩამასო. ხელი გამოვტაცე. ციყვი თითზე დამეკიდა. პირი ფრთხილად გავაღებინე და როგორც კი თითი გავინთავისუფლე, ხელიდან გამისხლტა, ცოტა ხნით შეყოვნდა, მერე ისკუპა და შორს გადახტა. ჯერ ნელ–ნელა გადახტოდა. მერე გამხნევდა და თვალის დახამხამებაში ტაიგის უღრანში გაუჩინარდა. ნაკბენიდან სისხლი გამოვწოვე, გადავაფურთხე და გზა გავაგრძელე. ჭრილობა მტკიოდა, თუმცა სისხლი აღარ მდიოდა.

აი, ყველაფერი, რაც იმ დღეს შემემთხვა. პაპას მოვუყევი მახეები სად გავასწორე, სად სატყუარები გავასწორე, როგორი კვალი შევნიშნე, ტაიგური ახალი ამბები და მხოლოდ ციყვის ამბავი დავუმალე. რატომ? არ ვიცი. ხომ ვიცოდი პაპას არ ეწყინებოდა ციყვი ცოცხალი რომ გავუშვი, თვითონაც გულჩვილი იყო ნადირის მიმართ და ხშირად იტყოდა ხოლმე: “თუ ხოცავ, ისე დახოცე, რომ ნადირი არ დაიტანჯოს”. ალბათ მისგან გაკიცხვას მოვერიდე, ხელი რომ წავატანე და ალბათ ამის მერე მარტოს აღარ გამიშვებდა დაგებული მახეების შესამოწმებლად. არ გავფრთხილდი და ჭრილობაში ინფექცია შემეჭრა, ალბათ მაშინ, როცა ტკივილის მიუხედავად ნადირის გატყავევბაში მივეხმარე. ჭრილობა გამეხსნა. ხელი მიხურდა.

– რატომ მაშინვე არ მითხარი, ციყვმა რომ გიკბინა, – თავი გადააქნია პაპამ. – ღრმად უკბენია. კარგია, ხელი რომ სულ არ გაგისივდა.

პაპა ქოხიდან გამოვიდა, მე ძელსკამზე მივწექი, თავიც მტკიოდა, თითქოს სიზმარში ჩამესმა ამბარის კიბის საფეხურებმა რომ გაიჭრაჭუნა, მერე კი პაპის ხმაზე გამოვერკვიე.

– ბალღო, ხედავ როგორ გაგამწარა. არაფერია, მალე გამოკეთდები. აბა, სარკმელთან ახლოს დაჯექი და ხელი გამომიწოდე!

მე ძელსკამზე გადავინაცვლე, პაპას ხელი გავუწოდე, თან სარკმელში ვიყურებოდი.

მდინარის გაღმა ნაპირზე ფიჭვნარს ჩამავალი მზის სხივები დაჰნათოდა, თითქოს ეთხოვებოდა. ფიჭვებსაც თითქოს უხაროდათ, მოვარდნილი ქარისგან კენწეროებს აქანავებდნენ, შრიალებდნენ და თითქოს ჩურჩულებდნენ.

– პაპა, რაზე ჩურჩულებენ?

– რაზე მეკითხები? – შეშფოთდა პაპა, მაგრამ მიხვდა რაზეც ვეკითხებოდი.

– რაზე? რაზე და როდის დაიძინებ. მზეც მშვიდობიან ღამეს გისურვებს. ხეებიც ხომ კეთილნი არიან.

თითში მკვეთრი ტკივილი ვიგრძენი.

– არაფერია, ბალღო! ცოტაც მოითმინე, გამოკეთდები. აი, ახლა ჭრილობაზე ტაიგურ უებარ წამალს წაგისვამ. – მაწყნარებდა პაპა და თავისი მონადირული დანა გვერდზე გადადო. – მერე მდელოს ბალახის ჩაის დაგალევინებ, ტაიგის ნადირ–ფრინველის ამბებს გიამბობ, შენც ჩაგეძინება, დილით თავს უკეთ იგრძნობ და იმ ციყვის ამბავი მიამბე. ახლა კი დაწექი, მე კი ამბარში წავალ და "უკვდავების წყალს" მოვამზადებ.

თითი კი უფრო მტკიოდა, თავიც. მივწექი. თავზე ცივის შეხებამ გამომაღვიძა. პაპა შუბლზე ცივ ტილოს მადებდა.

– როგორ იტანჯები! აბა, დალიე!

ძლივს წამოვიწიე. პაპამ, როგორც პატარა ბავშვს, ისე დამალევინა.

– ბალღო, ახლა კი ეცადე, იქნებ დაიძინო!

– პაპა! შენ ხომ ტყისა და ნადირ–ფრინველის ამბები უნდა გეამბნა. უკეთესად ვარ. – და ლოგინიდან წამოვდექი.

– უკეთესად! ხედავ? როგორი სულსწრაფი ხარ. უკეთესობა ჯერ ადრეა, გიამბობ, შენ კი ჩაგეძინება.

და პაპამ როგორც კი ნაძვის შესახებ დაიწყო ლაპარაკი, ჩამეძინა.

დილით თავი შედარებით უკეთესად ვიგრძენი, თავი ოდნავ მტკიოდა, სიცხემაც დამიკლო, თითში ტკივილს თითქმის აღარც ვგრძნობდი, ჭრილობაც დაცხრა. პაპა მახეების შესამოწმებლად აღარ წასულა. ჩემი და თავისი ტანსაცმელი დაკემსა, ჩაის ადუღებდა, სადილს ამზადებდა, შეშას ჭრიდა, ლოგინთან ჩამომიჯდებოდა და თავის დიდ, კეთილ ხელს შუბლზე მადებდა.

– აი, რა არის ნაძვის "ცრემლები".

– განა ხეები ტირიან?

– შენ როგორ გეგონა? წუხელ ნაძვის “ცრემლებზე” გიამბობდი, მაგრამ უცებ ჩაგეძინა. აბა, მისმინე და კარგად დაიმახსოვრე, როცა გაიზრდები სხვებსაც მოუყევი და დაეხმარე.

და მიამბო, თუ რატომ “ტირიან” ხეები.

– “ცრემლი” თითქმის ყველას ერთნაირი აქვს, ნაძვის კი სამკურნალოა. ღრმა ჭრილობაც რომ გქონდეს, წაისვამ და სიცხე გაგივლის, გადამდებ სენსაც გააუვნებლებს. ოღონდ, სახვევი მალე არ მოიხსნა, თვითონვე მოგძვრება, მაშინ, როცა სამკურნალო ძალას სულ გასცემს, მერე კი შენვე გადაწყვიტე მკურნალობა გააგრძელო თუ არა. ჭრილობა რომც დაგიჩირქდეს, ეს “ცრემლები” მაინც მოარჩენს. აი, როცა “ნამტირალევ” ნაძვს შევნიშნავ, გვერდს ვერ ავუვლი და “ცრემლებს” ფრთხილად მოვაგროვებ. ოღონდ ყველაზე გამჭვირვალე, ყვითელი “ცრემლები” უნდა მოაგროვო. ზოგჯერ “ცრემლები” ჩამოეღვენთება, ასეთიც მოაგროვე. თეთრი და მყიფე სამკურნალო არაა. ნაძვის “ცრემლები” ამბარში ყოველთვის შენახული მაქვს, შინაც გავატანე, ხალხს დავურიგე.

მალე სულ გამოვჯანმრთელდი და მახეების შესამოწმებლად კვლავ მარტო მივდიოდი. ციყვთან დრაც შემემთხვა პაპას დაწვრილებით მოვუყევი. არა მისაყვედურა ცოცხალი რომ გავუშვი. ჩაფიქრდა, მერე კი მითხრა:

– არაფერია, სიკეთე გაგიკეთებია, რომ არ მოკალი. ესე იგი ჯერ დრო არ იყო. ნადირ–ფრინველის დახოცვა არც მე მეხალისება. მათდა საბედნიეროდ ზოგჯერ თოფი გიმტყუნებს კიდეც. ამის მერე ჩახმახს ვერც გამოვწევ, დიდ ნადირს კი არ უნდა ააცილო.

გავიდა წლები. ნაძვის “ცრემლებმა” საპატიო ადგილი დაიკავა საოჯახო აფთიაქში. სულ თან დამქონდა, მოგზაურობისას, ექსპედიციებშიც, ბევრჯერ ჩემს ამხანაგებსაც უშველა. არაერთხელ გამომიყენებია, ომშიც ბლომად წავიღე, ჩემს ფრონტელ ამხანაგებსაც უშველა, განსაკუთრებით ზაფხულობით, როცა ბატალიონის მედპუნქტში სწრაფად ვერ მიხვიდოდი. ნაძვის “ცრემლებით” გაჟღენთილი სახვევი მჭიდროდ ეხვია და ჭრილობას დაბინძურებისგან იცავდა.

ერთხელ, ომის შემდეგ ტაიგაში დათვმა დამტორა და სისხლძარღვები დამიზიანა. უკვე სისხლისგან ვიცლებოდი და ლენამ, როცა ჩვენს საველე აფთიაქში “ცრემლები” სულ გამოილია, ნაძვებისკენ გაიქცა, ხავსითა და ფესვებით პეშვისოდენა მოაგროვა და ჭრილობაზე დამადო.

რამდენიმე დღის მერე დამოუკიდებლად სიარული შევძელი და ჩვენც ტაიგიდან გამოვედით. ჩვენი სოფლის საავადმყოფოში გაოცდნენ თუ ასე სწრაფად როგორ მოშუშდა ასეთი ღრმა ჭრილობა.

უნდა აღვნიშნო, რომ "ცრემლები" დიდი ხნით შენახვისას ფორმას და ქარვისფერს არ კარგავს, თუმცა მყიჭდება და ხმარებისას იბნევა. მოვიფიქრე, რომ "დამეკონსერვებინა". სპირტი იმდენი დავასხი, რომ თაფლის სისქის გამხდარიყო და მშრალი "ცრემლები", რომლითაც სამკურნალო ძალა არ დაეკარგათ, კვლავ გამომეყენებინა.

სოჭის "ცრემლები" უფრო თხევადია და სახვევიც ცუდად ეკვრის და ეხსნება.

როცა ტაიგაში შევდივარ, ნაძვის "ცრემლებს" ყოველთვის ვაგროვებ და ყოველთვის მახსენდება პაპის ნაამბობი ნაძვისა და ტაიგის უებარი "წამლის" შესახებ.

## ტაიგის ტბის გედები

თუ ისურვებთ გაიგოთ ეს ამბავი სად მოხდა, რუკაზე მოძებნეთ ჩ. გ. 60° და 55` და ა.გ. 101° და 50`. აქაა ტბა და მდინარე კიმჩუ. მრავალი წლის წინათ ამ ადგილას ამაყი მზეთუნახავები, ჩემი ფრთოსანი მეგობრები გედები ბინადრობდნენ.

ტაიგის ტყიანი გორაკების გარემოცვაში ეს ტბა ზღაპრულად თვალწარმტაცია. სოპკებიც და ხეებიც ტბაში ისე ირეკლება, როგორც უზარმაზარ სარკეში. ტბის ირგვლივ ასეულობით კილომეტრის მანძილზე გადაჭიმულ ტაიგაში ალაგ–ალაგ პაწაწინა სოფლები გაფანტულიყო. მათგან უახლოესი ფაქტორია ვანავარა იყო, პოდკამენნაია ტუნგუსკის ნაპირას მდგარი სამი სახლი.

ამ ფაქტორიას 900 კმ სიგრძის ძნელად სავალი ბილიკი მაკავშირებდა, მაშინ სტოიკოვიჩის მთის ძირას ქოხში ვცხოვრობდი, სწორედ იმ ადგილას, სადაც კოსმოსურ "სტუმარს" ეძებდნენ.

საგაზაფხულო გადაფრენისას სამხრეთის მხარეს მდებარე ვრცელ ჭაობში თავს იყრიდნენ ბატები, იხვები, ღალღები. აქ ისვენებდნენ, იკვებებოდნენ ძალებს იკრებდნენ, რათა ჩრდილოეთის ყინულოვანი ზღვის ნაპირისკენ, ტუნდრისკენ, თავიანთი მშობლიური ბუდეებისკენ შორეულ გზას დასდგომოდნენ, ნაწილი ფრთოსნებისა აქ რჩებოდა, ისინი, ვინც

აქ გამოიჩეკა და გაიზარდა. შემოდგომობით აქედან სამხრეთით, თბილი ქვეყნებისკენ მიფრინავდნენ გამოსაზამთრებლად. მიფრინავდნენ, რათა გაზაფხულზე უკან დაბრუნებულიყვნენ. დაუფრთხობელი ფრთოსნები თავს მშვიდად გრძნობდნენ და ხშირად ჩემს ქოხს გადაუფრენდნენ ხოლმე.

ერთხელ დილით რამდენიმე გედი შევნიშნე. ისინი მთის იქითა მხრიდან გამოჩნდნენ და დაბლა გადამიფრინეს. კისრები წინ წაეწიათ და თითქოს ერთმანეთს საქმიანად ებაასებოდნენ, თან მათვალიერებდნენ. წრიულად შემომიფრინეს, ჩრდილოეთისკენ გაფრინდნენ და უახლოესი სოპკების უკან გაუჩინარდნენ. ხმაზე ვიცანი მყივანი გედები იყვნენ. თავიანთი მელოდიური ხმის გამო სხვებისგან გამოირჩევიან და ასეც უწოდებენ.

საღამოს მხოლოდ ორი გედი დაბრუნდა. ქოხს კვლავ შემოუფრინეს. ალბათ მათი ყურადღება ამ ადგილებში უჩვეულო ნაგებობამ მიიპყრო. იქნებ მათი ცნობისმოყვარეობის მიზეზი მე ვიყავი, რადგან იმ დროს ამ ადგილებში ადამიანი იშვიათი იყო.

გედებმა თვალწარმტაც ტბაზე დაიბუდეს და აღარ მაკითხავდნენ. ისინი, ორნი უფრო მხიარულად იყვნენ, ვიდრე მე, ერთი. ამ ტბის მიდამოებში ვმუშაობდი და გედებს ყოველდღიურად ვხედავდი. ჩვევად მექცა ტბის პირას პატარა ქარაფზე დამესვენა, გედებს შევხმიანებოდი, წყალში ორცხობილის ნამცეცებს ვუყრიდი და ასე ვუხმობდი: “ჩემო კარგებო”.

გედები მალე მომეჩვივნენ და ჩემთან სულ ახლოს მოცურდებოდნენ ხოლმე.

ძველებურად არ სისინებდნენ, არ გაჰყიოდნენ, ფრთებს არ აფართხუნებდნენ, შემეგებებოდნენკიდეც. ტბის პირას გავიდოდი და ჯერ არც კი შემემჩნია, რომ ხმამაღლა მოვუხმობდი: “ჩემო კარგებო” და უმალ მდინარის მკვეთრი მოსახვევიდან გამოჩნდებოდნენ,სწრაფად მოცურავდნენ, ჩემთან ახლოს მოცურდებოდნენ, ქათქათა თეთრ კისრებს გრაციოზულად დახრიდნენ და წყნარად დაუსტვენდნენ.

მერე მხოლოდ ერთი, მამალი გედი მოცურდებოდა ხოლმე. ჩემთვის გასაგები იყო, რომ დედალი ბუდეში იჯდა. ბოლოს სამი შევნიშნე. წინ დედალი გედი მოცურავდა, უკან მამალი, მათ შუა კი მათი ჭუჭული. ისინი ჩემთან მოცურდნენ და თავიანთი ერთადერთი ჭუჭული მაჩვენეს.

ამის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში გედები საერთოდ არ შემინიშნავს. ტბიდან მოშორებით ვსაქმიანობდი და აი, ერთხელ, საღამოს, მზის ჩასვლისას მათი საყვირივით ხმა მომესმა. ხმა უფრო და უფრო მიახლოვდებოდა. ქოხიდან გამოვვარდი და ჩემი გედები

დავინახე. ისინი ჩემს ქოხს დასტრიალებდნენ და მიხმობდნენ. მივხვდი, რომ რაღაც უბედურება შეემთხვათ.

კი არ მივდიოდი, გავრბოდი ახლა უკვე სახიფათო ტბისკენ. ქარაფზე მივირბინე. გედები იქ იყვნენ. ცურავდნენ, კისრები წამოეწიათ. ჩემთან ახლოს მოცურდნენ და შესაბრალისად გაჰყიოდნენ. მათი ჭუჭული არსად ჩანდა.

ამ ტბის პირას რამდენიმე დღე დავყავი და მტკნარი წყლების ეს "ზვიგენი" დავიჭირე. უზარმაზარი ქარიყლაპია იყო... იმ საღამოს ქოხის კიბეზე ვიჯექი. მზე ჩადიოდა და სწორედ ამ დროს გედების ხმა მომესმა. მათ ხმაში დარდი და ნაღველი იგრძნობოდა და ჩემთვის მძიმედ მოსასმენი იყო. გედები ფრთებს ნელა აფართხუნებდნენ, თავს დამტრიალებდნენ და ტიროდნენ.

მე მათი მესმოდა. მემშვიდობებობდნენ, ემშვიდობებოდნენ იმ ადგილს, სადაც შვილი დაკარგეს. ჩამავალი მზის სხივებში ავარდისფერებულმა გედებმა უკანასკნელად სულ დაბლა გადამიჭრინეს. მე ხელი დავუქნიე და გამოვეთხოვე. ისინი ამ ადგილებს ტოვებდნენ, იქნებ სამუდამოდაც. თავში გამიელვა: "იქნებ ეს ტრაგედია არც მომხდარიყო და ჩემი სპეტაკი, თოვლივით ქათქათა გედები მრავალი წლის განმავლობაში, გაზაფხულიდან შემოდგომამდე დაამშვენებდნენ ამ ტბას".

ახლა კი დამშვიდობების ნიშნად ხელს ვუქნევდი და თავს უფრო მარტოსულად ვგრძნობდი.

კ, იანკოვსკი. ტაიგური გული. 2017 წ.

## მსუბუქი წყალი

ჩემთვის ტაიგაში ყოველი შესვლა სასიხარულოა ჩემს ძველ მეგობართან, შემოქმედთან და მასწავლებელთან შეხვედრის გამო. ჯერ არ დავღლილვარ ბუნების ბრძენი წიგნის კითხვით, შეცნობის სწავლითა და მხნეობის მატებით. ეს ბილიკები რამდენს მახსენებენ!

სექტემბერში ტაიგაში შესვლისას პატარა მისადგომთან ანკარა ცივ წყაროს გადავაწყდი. შორეული წლები გამახსენდა, გრძელი და ხანგრძლივი გზა და მომცრო, მომრგვალებული ორმო, ასეთივე ცივი, მაგრამ "მსუბუქი" წყლით სავსე, რასაც ვეძებდი და რომლის პოვნაც იოლი არ იყო.

…ონდატრის გავრცელების ექსპედიცია რუკაზე მონიშნულ წერტილს უახლოვდებოდა. კიდევ რამდენიმე საათი უნდა გვეცურა. ჩემი ეგერი იაკობი ქანცგაწყვეტილი, გაძვალტყავებული იყო, სამარიდან ამოღებულს ჰგავდა. წლობით გაუსაძლისმა სნეულებამ სულ დააჩაჩანაკა. წამალიც გაუთავდა.

ცხოველებით სავსე ტრანსპორტი ღამის გასათევად მდინარე ხანდას შენაკად პატარა მდინარესთან მდებარე ევენკების სადგომთან შეჩერდა.

მე ყოველთვის წინ მივუძღოდი ხოლმე ქარავანს, რათა წინასწარ შემერჩია მოსახერხებელი ადგილი მორიგი ბანაკის მოსაწყობად. ისეც ყოფილა, რომ ადრე დილით ანდა საღამოსვე დავდგომივარ გზას. ამჯერად, როგორც კი დავბანაკდით, იაკობი ამხააგებსა და სტუმართმოყვარე ევენკებთან დავტოვე, მე კი მდინარეს ნავით გავუყევი ჩვენი გზის ბოლო პუნქტამდე, თან გალიით ავადმყოფი ონდატრა წავიყვანე, რომელსაც გვერდიდან არ ვიშორებდი. გაშვების რაიონი უნდა დამეზუსტებინა, რაც შემდგომ მუშაობას გაგვიადვილებდა. ამხანაგის ჯანმრთელობის მდგომარეობაც მაფიქრებდა. ვფიქრობდი, როგორც კი ონდატრას გაშვების ადგილზე მივიყვანდი, ბრიგადირს საუკეთესო მენიჩბეებს ვთხოვდი, რათა ყველაზე სწრაფმავალი ნავით იაკობი ნეტოპირში მიმეყვანა. ეს აუცილებელი იყო. სხვა გამოსავალი არ გვქონდა, მე კი აქ ონდატრების გაშვების მერე ცოტა ხნით უნდა დავრჩენილიყავი.

მოკლე გაზაფხულის შეუმჩნევლად გაიარა. ნავების ქარავანი მოცურდა. იაკობი ცდილობდა თავი მხნედ ეჩვენებინა, მაგრამ არ გამოსდიოდა.

გალიები ნაპირზე დავდგით. მუშები უკან დასაბრუნებლად ემზადებოდნენ, ბრიგადირს ჩემი გეგმა გავაცანი.

– სწორად გიფიქრია, აქ მარტო რას უშველი, თანაც არასაიმედოა... მარჯვე ბიჭები არიან, იაკობს ნეტოპირში სწრაფად წაიყვანენ, თუ საჭირო იქნება შორსაც. – და ბრიგადისკენ გასწია.

იაკობი მოშორებით იდგა, ხეს მიყრდნობოდა. ნელა მივუახლოვდი, დახმარებისთვის მადლობა გადავუხადე და ჩემი გადაწყვეტილება გავაცანი. თვალებდახრილი მდუმარედ მისმენდა. მერე თავი ასწია.

– როგორ იფიქრე, რომ ადგილზე მოსულები, ჯერ საქმეს არ მოვრჩენილვართ და უკან დავბრუნდე? ცოტას კიდევ მოვითმენ, გაშვებასა და დაკვირვებებში დაგეხმარები, ვიმუშავებ, უარს ვერ მეტყვი, თანაგრძნობისთვის მადლობას გიხდი, მაგრამ სანამ საქმეს არ მოვრჩებით არსად არ წავალ, მხოლოდ შენთან ერთად დავბრუნდები.

და დავრჩით ორნი.

გაშვება დაუვიწყარი სანახავია. დამქანცველი მგზავრობის მერე ცხოველები თავდაპირველად არც კი იჯერებდნენ თავისუფლებას, მერე კი წყლის დგაფუნით დაგვაჯილდოვეს წარმატებით დასრულებული სამუშაოს გამო.

ჩემი ამხანაგი დაძაბული დღეების მერე სულ დაჩიავდა. დასახული სამუშაო შევასრულეთ, ნავში საწოლი მოვაწყეთ და უკან გამოვბრუნდით. სადგომამდე მოვცურდით. ჩრდილოური, დაუწერელი კანონებით გვერდის ავლა არ შეიძლებოდა. ნაპირს მივადექით. იაკობი ჩუმთან[2] ძლივს მილასლასდა. აქ ერთი დღით უნდა შევყოვნებულიყავით. საღამოს კოცონთან მე და მოხუცი ევენკი კირანჩა დავრჩით. მან "მსუბუქი წყლის" შესახებ მომიყვა. მე კი მის თხრობას, როგორც საოცარ ზღაპარს, ისე ვუსმენდი.

– იპოვე ეს წყალი. შენ არ გჭირდება, ჯანმრთელი ხარ, მაგრამ შენს ამხანაგს სჭირდება. აი, როგორ მიაგნებ. დღისით ნავით გაცურე. ერთი დღე იცურე. მეორე დღეს კი როგორც კი მზე ხეებს ამოსცდება, მარცხენა ნაპირს უნდა უყურო. ძველი სადგომი იყო. წინათ ერთი ჩუმი სულ ნაპირას იდგა. სულ არ დანგრეულა. ეს დაიმახსოვრე. ჩუმი იდგა. ფრიად კარგ ადგილას იყო ძველი სადგომი. ფიჭვნარი, იაგელი – ხავსიც. კოღო თითქმის არ არის, ქარიანი ადგილია. ირემს უყვარს ასეთი ადგილები. როგორც კი ჩუმის ჭოკებს დაინახავ, ნავით ცურვა დიდხანს აღარ მოგიწევს. პატარა ნაკადულს მიაგნებ. შენი ორი ნავის სიგრძე თუ იქნება. მოხუცი ევენკი ჩაფიქრდა. მეც ვდუმდი. სიჩუმეს კოცონის ტკაცატკუცი და თევზის დგაფუნი არღვევდა. კირანჩა დიდხანს დუმდა. მერე ჩიბუხი დატენა, გააბოლა, ფერმკრთალი თვალებით ცეცხლს უცქერდა და თხრობა გააგრძელა: – დიდი ხანია იქ აღარ ვყოფილვარ. მსმენია, რომ ძველი სადგომის ნაშთი დარჩა. ტაიგაში იმ ადგილას ხანძარი არ ყოფილა. ბევრმა წელმა გაიარა, რაც

[2] ჩუმი – ევენკების საცხოვრებელი კარავი, კონუსის ფორმის, ირმის ტყავებით დახურული.

ლიუჩა (რუსი) იქ აღარ მოსულა. სჩანს გაჯანსაღდნენ. იქ სნეული ლიუჩები მოდიოდნენ. ჭაობიანი ადგილია. ერთი შეცდომა და ხიფათს გადაეყრები, ჩაეფლობი. იქამდე გზა არ არის. ევენკები თავიანთ სადგომამდე მდინარეს ნაპირ–ნაპირ მიუყვებოდნენ, ლიუჩები კი დიდი მდინარე ლენადან ჭაობების გავლით პირდაპირ ტაიგით მოდიოდნენ. ფეხზე ძლივს იდგნენ. საშინელი შესახედავი იყვნენ, გაძვალტყავებულები. სახე გაჰყვითლებოდათ, სილისფერი ედოთ, როგორც შენი ამხანაგი. პურს ვერ სჭამდნენ, ცოტა თევზს. "მსუბუქ წყალს" ძლიერ ეტანებოდა. ერთი დღე სვამდა, ორი დღე, დღეების განმავლობაში. ალბათ მთელი თვეც სვამდა. ცოტა ჭამა დაიწყო. ხორცი, პური. საკმარისად ჭამდა. ბევრსაც სვამდა. ცოტა მოსუქდა კიდეც. სულ გაჯანსაღდა. უკან სწრაფად დაბრუნდა. სხვა მოვიდა. მერე კიდევ სხვა. ბევრნი მოდიოდნენ. გაძვალტყავებულები მოდიოდნენ და მოსუქებულნი მიდიოდნენ.

მოხუცი ევენკი კვლავ დადუმდა. ძველი ჩიბუხი ხრიწინებდა. მოთმინებით ველოდი როდის გააგრძელებდა თხრობას.

– გამახსენდა "მსუბუქი წყალი" როგორია. მისმინე, როცა წყალში თითს ჩაჰყოფ, სულ გათეთრდება. თუ ხელს ჩაჰყოფ, ხელიც გაგითეთრდება. სითეთრეშია მისი ძალა. – თქვა ჩაფიქრებულმა ევენკმა.

კირანჩა ადგა და ნელ–ნელა ჩუმისკენ გაემართა, მე კი კარგა ხანს ვიჯექი კოცონთან.

დილით გულითად ევენკებს გამოვეთხოვეთ და უკან გამოვცურეთ. მშვიდობიანი გზა გვისურვეს.

მოხუცმა კირანჩამ ასე გვითხრა: "ერთი დღე იცურებ, არაფერი, მეორე დღეს, როცა მზე ხეებს ამოსცდება, კარგად დააკვირდი". აბა სინჯე და ამის მიხედვით მანძილი ივარაუდე. კილომეტრებსაც მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. თვალსაჩინო ორიენტირიც არაფერი იყო ძველი ჩუმის ჩონჩხის გარდა.

მეც არ ავჩქარებულვარ. ისე მივცურავდით, როგორც ხანგრძლივი მოგზაურობისას, თანაბრად. პირველი დღე ისე ვიცურეთ, არ დავკვირვებივარ.

ღამის გასათევად მშრალი კონცხი შევარჩიე. კოცონი გავაჩაღე და ბადის გასაჭიმად გავწიე. სულ ახლოს იყო, მალევე დავბრუნდი. იაკობი კოცონთან იწვა, დუმდა, არ წუწუნებდა. ცოტა ახალშებოლილი თევზი შეჭამა. ერთი ტოლჩა წითელი მოცვის ფოთლის ჩაი მიაყოლა. მე კი ჭამა სულ არ მინდოდა. მინდოდა ამხანაგისთვის მეამბნა, თუ რა მითხრა მოხუცმა ევენკმა, მაგრამ გადავიფიქრე: "შეშფოთდება და ვეღარ დაიძინებს, დილით მოვუყვები".

თბილი ღამე იყო, კოცონთან გავათენეთ. დილით, საუზმის მერე (იაკობმა ამჯერადაც თითქმის არაფერი ჭამა) საოცარი, მაკურნებელი წყაროს შესახებ მოვუყევი. ამხანაგი გამხიარულდა და ჩვენც "მსუბუქი წყლის" ძიების გეგმა დავსახეთ. გადავწყვიტეთ, რომ როგორც კი ძველი ჩუმის ჩონჩხის ნაშთებს შევამჩნევდით (აუცილებლად, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა უნდა შეგვემჩნია), მე ნაპირ–ნაპირ გავუყვებოდი, იაკობი კი ნავით ნელ–ნელა მომყვებოდა. სიგნალზეც შევთანხმდით.

"ოღონდ ვიპოვოთ, ოღონდ მივაგნოთ" – იმეორებდა ჩემი თანამგზავრი.

– ვიპოვით, აუცილებლად ვიპოვით. – ვეუბნებოდი დარწმუნებული და მჯეროდა ჩემი ნათქვამისა.

მალე ავლაგდით. "მარცხენა მხარეს დააკვირდით" და ჩვენც ვუყურებდით, მარჯვენა ნაპირის არსებობა დაგვავიწყდა კიდეც. გვეშინოდა ძველი სადგომის სულ მცირე ნაშთიც არ გამოგვპარვოდა. სულს გვიფორიაქებდა ის აზრი, რომ იქნებ მისი კვალი სულ წაშლილიყო. კარგა ხანია მოხუცი კირანჩა იქ აღარ ყოფილა. ვიმედოვნებდით, რომ ჩუმის ჭოკები ლარიქსის იქნებოდა და მალე არ დალპებოდა.

მდინარის მიხვეულ–მოხვეულებში ჩვენი ნავის მიახლოებისას იხვების გუნდები აფრინდებოდნენ ხოლმე, ბატებმაც სულ ახლოს ჩაგვიფრინეს. არ მისროლია, მხოლოდ თვალი გავაყოლე, მზერით გავაცილე. სავახშმოდ მოვინადირებდი, იაკობს ხომ კარგა ხანია ხორცი არ ეჭამა. დღეს არ დაწოლილა, ზურგით ავზზე იყო მიყრდნობილი (მასში თევზი იყო დამარილებული მისი ოჯახისთვის) და ნაპირს თვალს არ აცილებდა.

ნაშუადღევს ცოტა ხნით შესვენება გადავწყვიტეთ. არ გვშიოდა. ნავში მოხერხებულად მწოლიარე იაკობს თვალები დაეხუჭა. არ ეძინა ან რა დროს ძილი იყო! ნაპირზე გადმოვედი. "სხვანაირი ნაპირია". დიახ, გუშინ დაბალი ნაპირი იყო, ჭაობიანი. აქ კი, სადაც შევჩერდით, წყლის კიდედან მაღალ, ციცაბო ნაპირამდე ტირიფის ხშირი ბუჩქნარი იწყებოდა და თვალმისაწვდომზე ვიწრო ზოლად მიუყვებოდა.

ჩრდილოეთის ნაკადულები გამახსენდა. მათი კალაპოტები თითქმის შეუმჩნეველი იყო, რადგან მცენარეულობით იყო დაფარული. ნავში დავბრუნდი და იაკობს ვუთხარი, რომ ტაიგის კიდეს გავყვებოდი, თან თოფი წავიღე და ნაპირზე ავცოცდი.

ვერ ვიტყვი, რომ იოლი ასასვლელი იყო. ვისაც მდინარისპირა ტაიგაში უვლია, იცის ეს რა "სიამოვნებაა". გრაკლის, შოთხვის, მოცხარის, ასკილის ხშირი ბუჩქნარი, ოღროჩოღრო და ეს ყველაფერი შარშანდელ ბალახთან გადახლართული. ზედ მდინარის პირას სულ

გაუვალი იყო. მის გასწვრივ ხომ იაკობი გასცურავს და პატარა ნაკადული რომ არ გამომეპაროს, პირდაპირ ფლატის კიდეზე უნდა ვიარო და თან დავაკვირდე.

რამდენიმე კილომეტრი გავიარე, ძნელი სათქმელია. ნელა მივდიოდი. გზად ბევრი წინაღობა შემხვდა. ამაოდ ვეძებდი. ძალაგამოცლილმა ძიება შევწყვიტე, ღამის გასათევად ადგილი უნდა შეგვერჩია. ტაიგის უღრანის თვალწარმტაც ადგილს მივაღწიე, უკეთესს ვერც ვინატრებდით. უცებ თვალში მომხვდა ძველი ჩუმის ნახევრადდანგრეული ჩონჩხი. შეჩერდი! ეს ხომ ისაა, რასაც ასე დიდი ხანია ეძებ. მივუახლოვდი. რაც მე დავინახე ძველი ჩუმის ნაშთი იყო. ეს ადგილი მოხუცი ევენკის აღწერილ ადგილს მიესადაგებოდა. ფიჭვნარია, აიაგელი–ხავისც. სასწაულმოქმედი წყაროც სულ ახლოს იქნება. ირგვლივ გაფაციცებული ვიყურებოდი. ნაპირის კიდეზე დავბრუნდი. ტირიფის ხშირი ბუჩქნარი, ფლატის ქვეშ რიყის ვიწრო ზოლი. გზა ნელ–ნელა გავაგრძელე, დარწმუნებული ვიყავი, რომ სადაცაა ნაკადული გაიბრწყინებდა, მაგრამ ვერაფერი შევამჩნიე. ნუთუ ამოშრა? იქნებ მის სათავესთან ნაპირი ჩამოინგრა? სად გაქრა? შეფიქრიანებული ნაპირის კიდეს ნელ–ნელა მივუყვებოდი. იქვე ქვემოთ წყლიან რიყეზე თასისმაგვარი ჩაღრმავება შევნიშნე. გავიქეცი და ფლატიდან გადავხტი. მუჭით წყალი ამოვიღე და დავლიე. ცივი იყო, არაჩვეულებრივი გემოსი. ხელებზე დავიხედე. როცა შემაშრა, თეთრი ნალექით დამეფარა. ევრიკა!

ჩემმა სიგნალმა ირგვლივ სიჩუმე დაარღვია. იაკობი შორიდან შემეხმიანა. მის შესახვედრად ავჩქარდი.

ამხანაგის ხმის გაგონებაზე მდინარის ნაპირამდე ტირიფის ხშირ ბუჩქნარი გადავლახე. ნავი ცოტათი ნაპირზე ამოვათრიეთ, ბუჩქებს მივაბით და ნაპოვნი წყაროსკენ გავწიეთ.

– შენ რომ არა, ნაკადულს ვერც მივაგნებდით. მე სულ გაფაციცებული ვიყურებოდი, იქნებ ეს ადგილი არცაა? – თქვა შეფიქრიანებულმა იაკობმა.

– ეს ნაკადული კი არა, ბინულია. სწორედ ისეთი წყალია, როგორც კირანჩამ თქვა. – დავამშვიდე იაკობი.

– აი, ესეც, ის ბინული.

იაკობი წყალთა ნდაწვა. ერთი ყლუპი დალია, მეორე. თავი ასწია, შემომხედა და სმა გააგრძელა.

– უცებ ბევრი არ დალიო.

იაკობი ადგა, მომიახლოვდა და გადამეხვია.

ნავთან დავბრუნდით, იაკობი ნავში დავტოვე და უფრო მოსახერხებელი ადგილის მოსაძებნად წავედი. მალევე ვიპოვე დამრეცი ფერდობი. ტირიფის ბუჩქნარში ბილიკი გავჭერი. იაკობმა ნავი გადმოათრია.

დავდგით კარავი, აქ რამდენიმე დღე უნდა გაგვეტარებინა.

– რამდენი? – იკითხა შეშფოთებულმა იაკობმა.

– წყალზეა დამოკიდებული. თუ თავს უკეთესად იგრძნობ, დავრჩებით. იმკურნალებ, მე კი აქ საქმე თავზე საყრელად მექნება. ირგვლივ ჭაობს გამოვიკვლევ.

გვიან საღამოს დაბანაკებას მოვრჩით და ვივახშმეთ. იაკობმა ცოტა შებოლილი თევზი შეჭამა, ხმელი პურის ნაჭერიც მიაყოლა. ჩემი გაკეთებული წითელი მოცვის დამტკბარი სასმელი კი არ დალია. "მეშინია" – თქვა და პატარა ქვაბით "მსუბუქი წყალი" მოიტანა.

დილით როცა გავიღვიძე კარავში იაკობი არ იყო. ბინულისკენ გავეშურე. იქ დამხვდა. სვამდა, პირსაც იბანდა, თვალებს, ყურებს. ვერ შემამჩნია.

იაკობი მალე დაბრუნდა. გახარებული იღიმებოდა.

– აი, ნახე რა ვიპოვე! – და ხის ციცხვის ნახევარი მიჩვენა. – ორმო ამოვარღმავე და ხელში მომხვდა.

მთელი დღე ბინულს მივუძღვენით. ასე ვუწოდეთ ყოფილ ნაკადულს. ორმოდან წყალი კალაპოტით კი არ გამოდიოდა, ქვიშაში იჟონებოდა. ეს დღე აღმოჩენების დღე იყო. ხისგან ნიჩბები გავაკეთეთ, ციცხვის მეორე ნახევარიც ვიპოვეთ, გაბზარული ხის თასები და დიდი, გატეხილი გობიც. მეტის ძიება აღარ გვიცდია. ბერესტისგან ყუთები გავაკეთეთ. იაკობს უნდოდა ავზი წყლისთვის დაეცალა და ამიტომ თევზი ბერესტის ყუთებში გადაიტანა.

– ამ წყალს შინ წავიღებ.

საღამოს ციცაბო ნაპირზე ჭრაქი დავდგით. შებოლილი თევზისა და ნანადირევის მარაგი უნდა შეგვევსო.

ასე გაიარა ხუთმა დღემ. იაკობი თავს უკეთესად გრძნობდა.

– თითქმის გულმარვა არც კი მქონია. ტკივილიც მიამდება. კარგა ხანია ამდენი თევზი არ მიჭამია!

ორი დღის მერე კი მითხრა: "იქნებ შეჭამანდი და ცოტა ხორციც მეჭამა?" ამის მერე რასაც მე ვჭამდი, იმას ჭამდა. ორივეს გვიხაროდა. ჩემს მომზადებულ წითელი მოცვისა და შტოშის ჩაის დიდი სიამოვნებით სვამდა. ჩაისაც "მსუბუქ წყალზე" ვამზადებდით.

უფრო შორს და შორს მივდიოდი და ვიკვლევდი პატარა ტბებს და ჭაობებს. ბანაკში დაბრუნებული მომღიმარ ამხანაგს ვხვდებოდი. დღითი დღე ემჩნეოდა, რომ ჯანსაღდებოდა. კარგი მადა ჰქონდა. მოფერიანდა. ძალ–ღონე დაუბრუნდა. ყოველდღიურად მადლიერებით ვიხსენებდით მოხუც ევენკს.

დადგა ამ საოცარ ბინულთან გაშორების დღე. საღამოს საგულდაგულოდ გარეცხილი ავზი "მსუბუქი წყლით" გავავსეთ. დამარილებული თევზი ნავში დავაწყეთ. ქვაბებიც მაკურნებელი წყლით გავავსეთ. "მსუბუქი წყალი" უკანავკნელად შევსვით. იაკობმა ბინულს თაყვანი სცა.

ბინულს განშორებისას ტაიგური ადათით, თოფის გასროლით დავემშვიდობეთ.

აი, ესეც ნეტოპირი. ნავიდან გადმოვევდი თუ არა დავინახე, რომ ჩემს შესახვედრად ქალი მორბოდა. მისკენ გავემართე. იაკობს ნავიდან ტვირთი გადმოჰქონდა. თვალებაცრემლებული ანია მომეხვია.

– იაშენკა... ყველაფერი ვიცი... მუშებმა მითხრეს.

ნელა მომიახლოვდა იაკობის დედა. ხელში ბავშვი ეჭირა.

– თქვენ რა ცოცხლად მარხავთ? – გავბრაზდი. – თქვენი იაკობი საღ–სალამათია. ვერც კი იცანით? იაკობ! – დავუძახე.

იაკობი მოგვიახლოვდა.

– არა, ეს ის არ არის. – ჩაიჩურჩულა ფერდაკარგულმ ანიამ. მერე კი ყვირილით შეეგება.

– იაშენკა, ძვირფასო!

კიდევ რა გითხრათ? ძმებივით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. იაკობმა აქ დიდხანს დარჩენა გადაწყვიტა. "მაპატიე, რომ შენთან ერთად არ ვბრუნდები. აქაც ხალხი ცხოვრობს. აქ ეს წყალი მიშველის. შენი თვალით ნახე როგორი ვიყავი და როგორი გავხდი. შინაურებმა ვერც კი მიცნეს".

რას ვეტყოდი? ჯანმრთელობა და ბედნიერება ვუსურვე. წინ მძიმე და გრძელი გზა მედო.

ისინი დიდხანს იდგნენ მაღალ ნაპირზე და როგორც სიცოცხლის ნიშანი აწეული ხელებით თავისი პირმშო ეჭირა.

ირკუტსკში, გეოლოგიის სამმართველოში ორი ბოთლი "მსუბუქი წყალი" მივიტანე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია, მერე კი დიდი სამამულო ომი დაიწყო.

ფრონტზე წასვლამდე იაკობისგან წერილი მივიღე. ის ისევ იქ ცხოვრობდა. მწერდა: “სნეულება აღარც მახსოვს, გავჯანსაღდი. “მსუბუქ წყალს” ძველებურად ვსვამ. როცა მარაგი მითავდება, ჩვენი ბინულისკენ გავწევ, იმ ბინულისკენ, რომელსაც “ცოცხალი წყლის ბინული” დაარქვი...

როგორც მისი წერილებით შევიტყვე ამ წყლის სინჯები მასაც გაუგზავნია, თუმცა რომე ლორგანიზაციაში, არ ვიცი. ორი წერილი ფრონტზეც მომწერა. ჩემს ბოლო წერილზე არ უპასუხია. როგორ წარიმართა მისი შემდგომი ცხოვრება?

იმ ადგილებში აღარ ვყოფილვარ.

მრავალმა წელმა გაიარა, მაგრამ ჩვენი ოცნება “ცოცხალი წყლის” კურორტზე, არ აგვისრულდა. მის შესახებ არსად წამიკითხავს.

დროთა განმავლობაში ადამიანს ბევრი რამ ავიწყდება, მაგრამ როცა ამ ცივი წყაროს წყალი დავლიე, შორეული წარსულის ამბები გამახსენდა.

ვიმედოვნებ, რომ იაკობი ცოცხალია, ანიაც და როცა ჩემს მოგონებებს წაიკითხავენ, გამომეხმაურებიან.

– იაკობ! გესმის ჩემი?! ჩემზე უკეთესად გემახსოვრება “მსუბუქი წყლის” ბინული.

## ელენეს წყალმარჩხი[3]

გასროლის მერე ყრუანჩელა არ ჩამოვარდნილა, როგორც მონადირეები იტყვიან ხოლმე, ტოტების ლაწალუწით, არამედ მაღალი ჩრდილოური “მუხა” – ლარიქსიდან ნელ–ნელა გადმოფრინდა. შორს იყო, არ უნდა მესროლა. თვალი გავაყოლე. მოულოდნელად ყრუანჩელა ჰაერში შეყოვნდა, თითქოს უხილავ წინაღობას გადააწყდა და ვარდნა დაიწყო.

[3] ელენეს წყალმარჩხი – კეთილშობილი კალციტის – მთის ბროლის საბადო. აღმოაჩინა კ. იანკოვსკიმ 1930 წელს მდინარე ჩამბას ნაპირას ბროლის წყალმარჩხზე. როცა კ. იანკოვსკიმ ციცაბო ნაპირზე, ფესვებს შორის დაეცა. აქ შემთხვევით წააწყდა კეთილშობილი კალციტის – მთის ბროლის ბუდობებს. კრისტალები რიყეზეც ბევრი ეყარა. (მთარგმნელი).

გავიქეცი და ფლატის კიდესთან შევჩერდი. შორს ქვემოთ წყალმარჩხზე ტაიგური პატარა მდინარე ჩამბა აქაფებულიყო. ქვემოთ კი რიყეზე ყრუანჩელა არსად ჩანდა.

რა საოცრებაა? სად გაქრა? იქნებ მდინარეში ჩავარდა?

გული დამწყდა. მოსაღამოვებულზე ჩხირებზე შემწვარი ყრუანჩელას მწვადი კარგი იქნებოდა და აი, მოუსავლეთში დაკარგული "მდიდრული" ვახშმის მაგივრად მომჟავო წითელი მოცვის ჩაი უნდა დამელია, ორ–სამ ორცხობილას თუ მივაყოლებდი, ისიც მითავდებოდა. თევზაობა მომიწევდა. მარილი ჯერ კიდევ მქონდა. ესე იგი საქმე არც ისე ცუდად იყო. მარტო ჩაი დამასუსტებდა, წინ კი გრძელი გზა მედო. ასე ვფიქრობდი ფლატის კიდეზე მჯდარი და თან ნაპირს ვაკვირდებოდი, იქნებ სადმე ნანადირევი შემემჩნია.

პირდაპირ ფლატის ქვეშ ჩავიხედე და ვიწრო ტერასაზე, ასე ოთხი მეტრით განზე დიდი ფრინველი დავინახე. ჩემი ყრუანჩელა!

მინდოდა ტერასაზე გადავმხტარიყავი, მაგრამ კეთილგონიერებამ მიხსნა. გადახტომით კი გადავხტებოდი, მაგრამ უკან როგორ ამოვსულიყავი? არც ისეთი განიერი მოედანი იყო, თავს ვერ დავიმაგრებდი. ასე ორმოცი–ორმოცდასამი მეტრი სიმაღლის იქნებოდა. სულ დავიმტვრეოდი.

რამდენიმე წუთი დამჭირდა, რომ ფიჭვის კენწეროსგან ტაიგური კიბე გამეკეთებინა. პონიაგა[4], ცული და თოფი ზემოთ დავტოვე და კიბით ტერასაზე დავეშვი. ყრუანჩელა ფლატის კიდეზე ამოვაგდე. კიბეზე ფეხი დავდგი, ზემოთ რომ ამოვსულიყავი და უცებ ჩემი ყურადღება ფლატის კედელში გამოჩრილმა ქვებმა მიიქცია. ბევრი იყო. ერთი მათგანი გამოვაძრე. მემძიმა.

ამდაგვარი ჯერ არ მენახა. მონაცრისფრო, გაუმჭვირვალე ქერქს დაეფარა. ბასრი დანა დავუსვი, ძლივს დაემჩნა. ქვა ქვაზე დავარტყი, არ დაიმტვრა. ქვემოთ თუ გადავაგდებდი, დაიმტვრეოდა, მაინც მდინარეზე უნდა ჩავსულიყავი, ვიპოვიდი და დავათვალიერებდი.

გადაგდებული ქვა კლდოვან ნაპირზე დაეცა, დაიმტვრა და ჩამავალი მზის სხივებზე გაიბრწყინა.

ფლატეზე სწრაფად ამოვედი, ნანადირევი ყრუანჩელა პონიაგაზე მივიმაგრე და მდინარეზე დამრეცი ჩასასვლელის მოსაძებნად გავწიე. ასე, ოცი წუთის მერე ტერასის ქვეშ

[4] პონიაგა – ციმბირელი მონადირეების აღჭურვილობა, რომელზედაც ნანადირევს და საგზალს იკიდებენ.

ვიდექი. ნამტვრევები უმალ ვიპოვე, გულდასმით დავათვალიერე. ჯიბიდან ასანთის კოლოფი ამოვიღე და ერთი ნატეხი შევინახე.

იქნებ როგორი ღირებულია! – ვთქვი ჩემთვის.

პონიაგა მოვიხსენი, ყრუანჩელას მადლიერებით გადავხედე, ფლატის ძირს მოვცილდი და მქუხარე წყალმარჩხთან და მის გასათევად მოვემზადე. ასე იქნება მდინარე ჩამბაზე პირველად აღმოჩენილი ელენეს წყალმარჩხად წოდებული მდიდარი საბადო.

## ბინდ–ბუნდი

ერთმანეთის პირისპირ ვიდექით, თუმცა მათ ვერ ვხედავდი. ალბათ მათვალიერებდნენ კიდეც. სიოც კი არ იგრძნობოდა, მაგრამ გეში კი აიღეს. ერთმანეთს რამდენიმე მეტრი სიგანის ნაკადულისპირა ტაიგა გვყოფდა. დღეს გადავწყვიტე ახლოს გავცნობოდი დათვების ამ პატარა ოჯახს, რომლის არსებობბასაც უკვე რამდენიმე საღამოა უფრო ვგრძნობდი, ვიდრე მესმოდა.

ფრთხილი ნაბიჯების ხმა მომესმა, ვიცოდი, რომ მიახლოვდებოდნენ. ნაკადულისპირა ტაიგის კიდესთან შეჩერდნენ და გაირინდნენ. დრო გადიოდა. მე ვიჯექი, ისინი კი იდგნენ. ჩაი ავიდუღე, ქვაბი ცეცხლიდან გადმოვდგი, პატარა ძელსკამზე დავჯექი, ქოხში არ შევდიოდი, ვიცდიდი, რათა ეს უწყინარი, მშვიდი, უკარება ოჯახი დამენახა, მაგრამ ისინი საფარიდან არ გამოდიოდნენ. გუშინ, თითქმის დაღამებულზე, როცა კოცონის ადგილას გაღვივებული ნაკვერჩხლებიღა დარჩა, ხმადაბლა შევეხმიანე: “აი, კოცონი მინავლდა, თქვენ კი ისევ დგახართ, მე კი გელოდებით”. პასუხად ჩქამი არ გამიგია. ცოტა ხანს კიდევ ვიცადე, წამოვდექი, ზედადგარიდან ქვაბი გადმოვდგი და სწორედ ამ დროს ხმამაღალი შრიალი მომესმა, მერე ტყაპუნი და ხანმოკლე ბავშვური წკმუტუნი გაისმა და ძუ დათვის ხავერდოვანი ხმა. წამიერი სიჩუმის მერე დამშორდნენ.

და აი, დღეს (ხვალ ტაიგიდან გავალ) მათი ამოჩემებული ადგილისკენ გავწიე. მინდოდა მეგრძნობინებინა, რომ სულაც არ ვუფრთხოდი მათ ამოჩემებულ ადგილას ფეხი

დამედგა, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან საქმე დედა დათვთან მქონდა და წინდაწინ ვერ გამოვიცნობდი, თუ როგორ მოიქცეოდა ჩემს დანახვაზე.

მათზე ადრე მივედი. როცა ტაიგაში ჩამობნელდა, ისინიც გამოჩნდნენ. ახლა უკვე აშკარად მესმოდა მათი ფრთხილი ნაბიჯის ხმა და ბელის ქშენა. ისინი ჩვეულ ადგილას შეჩერდნენ. ასე პირისპირ ვიდექით და ადგილიდან არ ვიძროდით. ვდუმდი. ხშირ სოჭნარში, თითქმის უკუნში ჩქამიც კი არ ისმოდა.

უცებ მუსიკა მომესმა, მელოდიაც კი გავარჩიე, ჩაიკოვსკის ერთ–ერთი სიმფონია იყო. ასეთ უჩვეულო მდგომარეობაში ეს საოცარი ბგერები განსაკუთრებულად ღრმად აღვიქვი და სრულიად მოულოდნელად თავში გამიელვა: “იქნებ საღამოობით, როცა ტაიგიდან დაბრუნებული რადიომიმღებს ვრთავდი, სწორედ მუსიკამ მიიზიდა დედა დათვი?” გამახსენდა “მუსიკოსი” დათვები, რომლებიც ცნობისმოყვარეობით ყურს უგდებდნენ გაპობილი ხის ჭახჭახს. ერთ ასეთ “მუსიკოსს” ელენასთან ერთად ვაკვირდებოდი მდინარე ქვემო ტუნგუსკის ნაპირზე. დათვს ერთი ტორი გადამტვრეული ხის ღეროზე შემოეჭდო, მეორე ტორით კი მოგლეჯილ ტოტს ეწეოდა და უშვებდა, რომელიც მჟღერ ხმას გამოსცემდა. დათვი ყურს უგდებდა და თავს სასაცილოდ აქეთ–იქით აქნევდა. ამ დედა დათვს კი სჩანს უფრო ნატიფი სმენა ჰქონდა. თვითონ ვერ უკრავდა და ამიტომ კლასიკური მუსიკის მოსასმენად მოდიოდა. ასე ვიდექით და ვუსმენდით ჩაიკოვსკის.

სულ დაბნელდა. შემოვბრუნდი და ნელ–ნელა ქოხისკენ გავემართე. ჩემდა საბედნიეროდ არც დედა დათვი და არც ბელი ადგილიდან არ დაძრულან.

ქოხში შევედი, კარი არ მომიხურავს, რადიომიმღებს მივუახლოვდი და ხმას ბოლომდე ავუწიე. კონცერტი გრძელდებოდა და ეს იყო ჩემი უკანასკნელი მისალმება დათვების მუისკალურ ოჯახთან.

## თეთრი ლენტი

ეს უკვე აუტანელი იყო. ღამითაც ვერ ვისვენებდი. ეს კი როგორი აუცილებელი იყო ტაიგაში მთელი დღის დაძაბული შრომის მერე. ღრმა ძილის გარდა ყველაზე უკეთესად რა

აღმიდგენდა ძალ–ღონეს? მე კი არ მეძინებოდა. სიცივე მაღვიძებდა და ღუმელში შეშა უნდა შემეკეთებინა. ყოფილა, რომ შეშას შევუკეთებდი, ჩვეულებრივ ტაიგურ ლოგინში დავწვებოდი და უმალ ჩამეძინებოდა.

ახლა კი დაძინებას ვერც კი მოასწრებ, რომ უმალ გაგეღვიძება, წამოხტები, ტახტზე წამოჯდები, მაგრამ ძილს ვერ უძალიანდები, რბილ, სურნელოვან სოჭის საგებზე ჩაგვთვლემს, მაგრამ რამდენიმე წუთის კი არა, რამდენიმე წამის მერე კვლავ გაგეღვიძება, თვალების დახუჭვას ვერ მოასწრებ, რომ ხელ–ფეხზე, მკერდზე, სახეზე დარბიან ტყის თაგვები, წითური მემინდვრიები, ბიგები და სხვები, როგორც მკვლევარები იტყვიან "დაუდგენლები".

ჩემს ტაიგურ ქოხში რამ მიიზიდა, ვერ დავადგინე. იქნებ შიმშილმა ან იქნებ მათი მასიური მიგრაცია იყო.

თავდაპირველად, როცა არც ისე ბევრნი იყვნენ, ყურადღებას არც ვაქცევდი. ამაში უჩვეულო არაფერი იყო. საჭმელის ნარჩენებს, პურის ნამცეცებს ყოველთვის პატარა კოლოფში ვყრიდი და გარეთ, ფანჯარასთან მიმაგრებულ საკვებ მაგიდაზე გამომქონდა. გამომქონდა ტაიგის ბინადარი პატარა ფრთოსნებისთვის.

მალე შევნიშნე, რომ საკვებ მაგიდაზე თაგვების ნაკვალევი ჩიტებისას ჭარბობდა. საღამოობით, როცა პატარა სანათს ვანთებდი, მისი შუქი ფანჯრიდან მაგიდას ანათებდა. ვხედავდი როგორ ფაციფუცობდნენ თაგვები, მემინდვრიები. თოვლში გვირაბები გაჭყავდათ და ნამცეცებისთვის როგორ კინკლაობდნენ. დღითი დღე სხვებიც ემატებოდნენ და ჩემი მოკრძალებული საუზმისა თუ ვახშმის ნარჩენები რა თქმა უნდა აღარ ჰყოფნიდათ.

ქოხში დღისით რა ხდებოდა, არ ვიცი, მაგრამ თუ რაიმე საჭმელი დამრჩებოდა, ისე გააქრობდნენ, კვალსაც არ ტოვებდნენ. ეს უკვე თავხედობა იყო.

საკუჭნაო არ მქონდა და სურსათს დიდი ძალისხმევით ვინარჩუნებდი. ტომრები, ქვაბები და ყუთები ჭერზე მქონდა ჩამოკიდებული, მაგრამ თაგვევბი, მემინდვრიები და ბიგები აქაც აღწევდნენ.

ქოხში გეროს თაგვის დასაჭერი ხაფანგი ვიპოვე. ეს იმდროინდელი იყო, როცა თაგვისნაირებს აღვრიცხავდი. თვითონ ვალაგებდი. ხაფანგები გამართულად მუშაობდა, მაგრამ მათში ათეულობით გაბმულს როგორ შევადარებდი ქოხის დამპყრობლებს!

სანათის შუქზე ჩანდა, რომ მომხვდურნი სხვადასხვანაირად იქცეოდნენ. თაგვები და მემინდვრიები იატაკის განათებულ ადგილებში დასუნსულებდნენ და მერე ტახტებქვეშ

უჩინარდებოდნენ. ბიგებს კი არც სინათლის და არც ჩემი არ ეშინოდათ. ისინი ნელა, მშვიდად, ალაგ–ალაგ გულმოდგინედ იკვლევდნენ იატაკს და როგორც კი რაიმე სასუსნავს წააწყდებოდნენ, თაგვებივით კი არ დაიტაცებდნენ ნაქურდალს, არამედ აშკარად იქვე შეექცეოდნენ.

როცა მათ ხელს გადავუსვამდი, თავს უკმაყოფილოდ ატრიალებდნენ, ხელიდან გამისხლტებოდნენ, უკანა თათებზე წამოიწეოდნენ და ხორთუმისმაგვარ შავ ცხვირს აქიცინებდნენ. როცა ხელისგულზე დავისვამდი, გაირინდებოდნენ. მეცოდებოდნენ, ბრაზი გამივლიდა ხოლმე. ისინი შიმშილისთვის მიმეტებდნენ.

უკვე იმაზე ვფიქრობდი, რომ ტაიგიდან გამოვსულიყავი და უახლოესი სახლებიდან, რომელიც ჩემი ქოხიდან 40 კმ–ის დაშორებით იყო, კატა წამომეყვანა. "ბიოლოგიური მტრით უნდა დავიცვა თავი, თორემ კარგი არაფერი მომივა" – გადავწყვიტე, როცა თითქმის მეოცეჯერ მაინც გამეღვიძა და თმიდან ბიგა გამოვაძვრინე.

ისეთი კარგი დილა გათენდა საქმისთვის, რომ სოფელში წასვლა გადავიფიქრე და ტაიგისკენ გავწიე.

ქოხში დაბრუნებულმა აღმოვაჩინე, რომ თაგვებს ბურღული თითქმის სულ შეეჭამათ, დარჩენილს კი ვეღარ გამოვიყენებდი. ქვაბში შენახულ შაქარსაც იგივე ბედი ეწია, მარილსაც!

მოკლედ რომ ვთქვათ ჩემი ისედაც მოკრძალებული მენიუ სულ გაღარიბდა, ორცხობილას ვხარშავდი და ჭამისას ჩაის ვაყოლებდი. ფაფას ვერაფერს მივუმატებდი, რადგან ცხიმი მომხვდურებმა პირველსავე დღეებში გაანადგურებს.

ჩაი საველე ჩანთით დამქონდა. გამიგია, რომ თაგვისებრნი ჩაის არ ჭამდნენ, თუმცა ვინ იცის? მეცადა, რას ჭამდნენ და რას არა, მომბეზრდა. ახლაც არ ვიცი ჩაის ჭამენ თუ არა.

რამდენიმე დღეში საქმე უნდა დამესრულებინა და ამიტომ გადავწყვიტე ბოლომდე მომეთმინა და რომ თაგვებს ორცხობილას გარეშე არ დავეტოვებინე, ქოხიდან მოშორებით ხეზე ვკიდებდი. აღსანიშნავია, რომ საოცრად მალე აღმოაჩინეს ეს დროებითი საწყობი. ამის შემდეგ ორცხობილას თან ვატარებდი, კარგია, რომ ბევრი არ იყო. ერთ ჟინჟღლიან დღეს მტკიცე პატარა საკუჭნაო მოვაწყე და ტაიგაში ყოფნის ბოლო დღეებში ორცხობილას იქ ვინახავდი. მხოლოდ ძილს ვერ გავუფრთხილდი, სიარულისას ვთვლემდი, ეს კი კარგს არაფერს მიქადდა.

და ერთ ღამესაც თაგვები, მემინდვრიები, ბიგები და "დაუდგენელნი" თითქოს სულ გაშმაგდნენ, ხმამაღლა წრიპინებდნენ და მძინარეს თავზე გადამდიოდნენ. არ ვიცი რამდენი,

მაგრამ ბევრნი. ლოგინიდან წამოვხტი, სანათი ავანთე. ამის მერე სიჩუმემ დაისადგურა. ამჯერად უჩვეულოდ ხანგრძლივად. თაგვები ვერსად შევნიშნე, მერე ჩუმი წრიპინი მომესმა და ტახტის ქვეშ რაღაცამ გაიშრიალა.

“ჰოო, ისევ იწყება მათი ბოგინი” – გავიფიქრე დარდიანმა. თაგვების ხანმოკლე, გადამეტებული ფაციფუცის მიზეზი მოგვიანებით სრულიად მოულოდნელად გავიგე.

უცებ ტახტის ქვეშ თეთრი ლენტივით გაკრთა პატარა ცხოველი. კვლავ გაისმა წრიპინი, მერე ისევ სიჩუმემ დაისადგურა.

გაუნძრევლად ვიჯექი. უცებ თეთრი ლენტი, ასე დავარქვი ამ ცხოველს, იატაკის განათებულ ადგილზე გამოხტა და გაირინდა, მერე წამოიწია, თითქოს უნდოდა უკეთ დავეთვალიერებინე, მაგრამ მისი ყურადღება ბნელი კუთხიდან გამომავალმა სუსტმა შრიალმა მიიპყრო. ერთი გრაციოზული ნახტომი და თეთრი ლენტი უკვე იქ იყო.

მრავალი დღის ტანჯვა–წვალების მერე მშვიდად და ღრმად მეძინა. თეთრი ლენტი ჩემს ძილს დარაჯობდა. ღუმელს შეშას აღარც კი ვუკეთებდი, რომ არ შეშინებოდა და არ დამფრთხალიყო. საველე ქურთუკი გადავიფარე, მოვიკუნტე და დილამდე ასე გავათენე.

ქოხიდან გასვლის წინ საველე ჩანთიდან ჩაის ტომსიკა ამოვიღე და მაგიდაზე დავდე. თეთრ ლენტს ჩემი ერთადერთი სარჩო–საბადებელი ვანდე. არაფერი აღარ მქონდა, რომ მისთვის სასუსნავი დამეტოვებინა.

უკან მობრუნებისას მისთვის წითელკუდა ჯაფარა მოვინადირე. ვჩქარობდი, მინდოდა მალე გავმასპინძლებოდი, თან შეშფოთებული ვფიქრობდი: “იქნებ წავიდა?”

მაგრამ თეთრი ლენტი არ წასულა. როცა კარი შევაღე, მაგიდიდან გადმოხტა და ტახტის ქვეშ შეძვრა. წითელკუდა ჯაფარა კარებთან იატაკზე დავდე და წყნარად წამოვთქვი: “თეთრო ლენტო, მე ვარ, ნუ გეშინია”. მაგრამ ის საფარიდან არ გამოსულა.

ღუმელი გავახურე. ორცხობილას ფაფით სული მოვითქვი. ჩაიც დავლიე, მერე სანათი ავანთე. უჩვეულო სიჩუმე გამეფებულიყო, ქოხში ჩქამი არ ისმოდა.

საველე მასალების დამუშავებით გავერთე. უცებ შრიალი გაისმა. გაფაციცებულმა კარისკენ გავიხედე. თეთრი ლენტი ზღურბლზე იჯდა და ჩემს ძღვენს ბდღვნიდა. შეუმჩნევლად ვაკვირდებოდი, ის კი მშვიდად საქმიანობდა, ხანდახან თუ წამოიწეოდა და გამომხედავდა.

მისთვის ყოველთვის რაღაც გემრიელი მომქონდა. მეჩვენებოდა, რომ ჩემს დაბრუნებას ელოდებოდა. კარებს შევაღებდი თუ არა, მაგიდიდან გადმოხტებოდა.

ასე გაიარა რამდენიმე დღემ. დავმეგობრდით. საღამოობით, როცა საშინაო საქმეებს: შეშის დაჭრას, თოვლის დადნობას, ვახშმის მომზადებას მოვრჩებოდი და მაგიდას მივუჯდებოდი, ის თავის ამოჩემებულ ადგილას, კარის წინ დასკუპდებოდა. ჩუმად ველაპარაკებოდი. თეთრი ლენტი მისმენდა, ხანდახან წამოიწეოდა. ამ დროს მეჩვენებოდა, რომ თავს მიკანტურებდა. მძივის მარცვლებივით ბრწყინავი თვალები ჰქონდა.

როცა კართან მივდიოდი თეთრი ლენტი კუნძს ეფარებოდა. კუნძზე თოვლის ნადნობით სავსე სათლი იდგა. იქიდან მაკვირდებოდა. ჩემი აღარ ეშინოდა. უკვე ვფიქრობდი როგორ დამეჭირა და შინ წამეყვანა. დაე, დარჩენილი ზამთარი უზრუნველად გაეტარებინა, გაზაფხულზე კი ტაიგაში, მშობლიურ ადგილებში გავუშვებდი. ამით მისადმი მადლიერებას გამოვხატავდი.

ტაიგაში ორი დღეღა უნდა დავრჩენილიყავი. კარგად გამოძინებული თავს მხნედ ვგრძნობდი, სამუშაოც უნდა დამემთავრებინა. ქოხში თეთრი ლენტისთვის ძღვენი–ჩხართვი მომქონდა, თან ვფიქრობდი: “მივალ და ჩიტს კუნძზე დავდებ და ვეტყვი: თეთრო ლენტო აი, მეც მოვედი. ის კი ამ დროს მაგიდაზე იჯდება და სანამ არ მივუახლოვდები, არ გადმოხტება. მერე კი ძღვენს აიღებს, ზღურბლთან მიათრევს და შეექცევა, პაწია, შავი თვალებით შემომხედავს და რასაც ვერ შეჭამს (ის საოცრად ცოტას ჭამდა) თავის კუთხეში წაიღებს, სადაც საკუჭნაო მოაწყო და ნარჩენს მისთვის მოტანილ თივაში შეინახავს”.

მაგრამ თეთრი ლენტი მაგიდაზე არ იჯდა. გვიან საღამოსაც არ გამოჩენილა. არც ღამით მოსულა. მე კი დიდი ხანი ველოდებოდი.

კუნძთან ჩხართვი ხელუხლებლად იდო.

კარგა ხანია ასე მარტოსულად არ მეგრძნო თავი, როგორც იმ საღამოს, იმ ღამეს, ტაიგაში ყოფნის უკანასკნელ ორ დღეს. ვდარდობდი.

ქოხში სიჩუმე და სიმშვიდე გამეფებულიყო. თეთრი ლენტი მენატრებოდა. მენატრებოდა ეს გრაციოზული, თეთრბეწვა, მოკლე თეთრკუდა, შავთვალა, პატარა ცხოველი. ძალიან მაკლდა ჩემი ნებიერი პატარა თრითინა.

## “კოჭლი”

ეს პაწაწინა, ფუმფულა, მონაცრისფრო–მურა არსება სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა. დიდი, მომრგვალო ყურები და თითქმის შეუმჩნეველი კუდი ჰქონდა. ეს არსება ფრიად მამაცი იყო, რადგან მოზრდილი ლაიკის დანახვაზე კი არ გაიქცა, არამედ უკანა თათებზე წამოჯდა და გაირინდა.

ძაღლს მოკუმული პირი უკანკალებდა, თვალები მოეჭუტა, მალე ყველაფერი დასრულდებოდა, მაგრამ წყნარად ნათქვამმა ბრძანებამ ტაიგელ პატარა სტუმარს სიცოცხლე შეუნარჩუნა. “სტოტმა”, ასე ერქვა ლაიკას, ყურები მალე ჩამოყარა, რაც იმას მიანიშნებდა, რომ გვემორჩილებოდა, თუმცა მომხვდურს თვალს არ აცილებდა.

ეს ცხოველი კი ჩვეულებრივი მებულულე იყო. ის სრულიად მშვიდად მოგვიახლოვდა და პურის ნამცეცებს სულმოუთქმელად შეექცა. ცხოველი სულ გაძვალტყავებულიყო, ნეკნები და ხერხემალი აშკარად ემჩნეოდა საზამთრო ბეწვის ქვეშ, სულ კანკალებდა, თუმცა გარეთ 50° ყინვა იყო, ჩვენს კარავში კი არ თბილოდა, ცხელოდა კიდეც.

– მომაკვდავნი ადამიანებთან მიდიან, ეს კი კოჭლიცაა. – წყნარად თქვა ელენამ, ხელი გაიწვდინა, აკანკალებული ცხოველი აიყვანა და ხელისგულზე ფრთხილად დამისვა. ცხოველი დამშვიდდა, აღარ კანკალებდა და წყნარად იწვა. სტოტი, რომელიც თვალს არ გვაცილებდა, მომიახლოვდა, თავი გამოიწვდინა და მებულულე დაყნოსა. მე კვლავ ვუბრძანე და მან, როგორც მაშინ ყურები ჩამოყარა.

აი, ასე შემოიჭრა ჩვენს ტაიგურ ცხოვრებაში ეს პატარა ცხოველი. “კოჭლი” მალე შეგვეჩვია, კარვის ყველა კუთხე–კუნჭული დაათვალიერა, ერთი ადგილი ამოირჩია და იქ ჩალისგან ბუდისმაგვარი მოიწყო. ასე დასახლდა ჩვენთან. “კოჭლს” წინა თათი ძლიერ დაზიანებული ჰქონდა, სჩანს დიდხანს ეავადმყოფა, რის გამოისობითაც საზამთროდ საკვებს ვერ მოიმარაგებდა. შიმშილისა და სიცივისაგან დასუსტებული სიკვდილის პირას იყო.

“კოჭლი” საოცრად მშვიდი და მორიდებული გახლდათ. თავისი თავშესაფრიდან დღე–ღამეში ორჯერ გამოდიოდა: დილით, როცა ტაიგაში შესვლის წინ ვსაუზმობდით და საღამოს, როცა ვბრუნდებოდით.

სტოტი ცხოველს არ ეკარებოდა, ყურადღებასაც არ აქცევდა, თითქოს არც ამჩნევდა. საზრუნავი მოგვემატა. ყოველ საღამოს, როცა ტაიგიდან ვბრუნდებოდით ცოტაოდენი ჩალა მოგვქონდა, რასაც დიდი წვალებით ვაგროვებდით თოვლის ქვეშ.

“კოჭლი” თავდაპირველად პურს ცოტას ჭამდა, მაგრამ დიდი სიამოვნებით ღრღნიდა ტაიგიდან მოტანილ ძღვენს. თათზე ჭრილობა შეუხორცდა, არ გასიებია, ნელ–ნელა გამოკეთდა და ლამაზი, ფაფუკი ბეწვით შეიმოსა, თუმცა კვლავ კოჭლობდა, სჩანს ძვალი დაზიანებოდა.

ასე, რვა დღით ეს ადგილი უნდა დაგვეტოვებინა. “კოჭლს” მე წავიყვან, უბეში დავმალავ. – მითხრა ლენამ. შევეწინააღმდეგე, რადგან საზრუნავად სტოტიც გვეყოფოდა. წინა მძიმე და სახიფათო გზა გვედო, საკმაოდ მაღალი ქედი უნდა გადაგველახა გადმოკიდებული ქარაფებით, სადაც ერთი მცირეოდენი შეცდომა, გაუფრთხილებელი მოძრაობა სიკვდილს გვიქადდა და ყურადღების გადატანა ცხოველზე, რომ რაიმე არ გვეტკინა ან არ გაგვეჭყლიტა, ხიფათის, უბედურების მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო.

ჩვენს ხიზანს კარავში გემრიელი ბალახი ბლომად მოუგროვეთ, საძილე ტომრიდან ირმის ბეწვი გამოვწეწეთ და მყუდრო, თბილი საბუდარი მოვუწყეთ და “კოჭლი” შიგ ჩავსვით.

და აი, დადგა ჩვენი წამოსვლის ჟამი. თერმომეტრი – 54° ყინვას აჩვენებდა. დავიცადეთ, სანამ თუნუქის ღუმელი არ გახურდა და “კოჭლს” გამოვეთხოვეთ. “აბა, შენ იცი, ჭკვიანად იყავი”. – როგორც ბავშვს ისე დაარიგა ლენამ. ცხოველი კი თავის საბუდარში იჯდა და ყურები აეცქვიტა.

დაბრუნებისას დაღლილ–დაქანცულები ვჩქარობდით, რათა დაღამებამდე კარვამდე მიგვეღწია. ნათხილამურევი გამაგრებულიყო და რბენას გვიადვილებდა. აი, კარავიც გამოჩნდა, მაგრამ ეს რა არის? დაბალ ფიცარნაგზე დაწყობილი ნანადირევი ციყვები აქეთ–იქით ეყარა. პატარა ფიჭვზე დაკიდებული ყრუანჩელა თოვლზე მოშორებით ეგდო. სტოტი წინ გაიჭრა, გეშს იღებდა, თითქოს კვალს ეძებდა. ნაკვალევის მიხედვით მივხვდით, თუ რა მოხდა იმ ღამით, როცა კარავი დავტოვეთ. მოზრდილი ციმბირული კვერნა, ეს წითური ავაზაკი, შემდგომშიც “გვესტუმრებოდა” ხოლმე.

ელენამ თხილამურები სწრაფად მოიხსნა და კარავში შევარდა. მივხვდი, თუ რატომ შეშფოთდა და შემეცოდა ჩვენი პატარა “კოჭლი”. მივყევი და კარავში დავინახე გახარებული, მომღიმარი ლენა. მან ხელი უბრად გამომიწოდა. ხელისგულზე მყუდროდ მოკალათებულიყო ჩვენი “კოჭლი”.

წითურ ავაზაკს კარავში შეძრომა ვერ გაებედა.

## “ვაჟიკო”

სიჩუმე თოფის გასროლამ დაარღვია. იაგელის მოვერცხლისფრო ხალიჩაზე დათვი მსხვერპლთან ერთად დაენარცხა და ჯუჯა ხეები გადაქელა. იქით გავიქეცით. ფურირემი კვდებოდა. მისი დიდი, ნაღვლიანი თვალებიდან ცრემლი მოჟონავდა ხავსზე. ირემი ცდილობდა თავი წამოეწია. ლენამ ხელი მოხვია და ხავსის რბილ ხალიჩაზე დაუშვა.

– უყურე! უყურე!

ფუჭვებს შორის ირმის ნუკრი იდგა, წვრილი ფეხები განზე გაეწია, თავი დაეხარა და გაფართოებული თვალებით ჩვენკენ იყურებოდა.

ლენა ნუკრს მიუახლოვდა და კისერზე ხელი მოხვია. ნუკრმა ფეხები მოკეცა და მოხერხებულად წამოწვა.

– აი, უკვე სამნი ვართ. – ვუთხარი ლენას.

– მოდი “ვაჟიკო” დავარქვათ.

– “ვაჟიკო”. – დავეთანხმე.

უკვე მერამდენედ ჩვენს ცხოვრებაში იჭრებოდნენ ტაიგის მოულოდნელი “საჩუქრები”. ნუკრზე მეტწილად ლენა ზრუნავდა. ნუკრი ახლა იწყებდა დამოუკიდებლად ჭამას, რძე სჭირდებოდა, რაც ჩვენს ფაქტორიაში არ იყო. ყოველ დილაუთენია ლენა ჩვენს ლაიკებთან ერთად, რომლებიც “ვაჟიკოს” მალე დაუმეგობრდნენ, ტაიგაში მიდიოდა. ნუკრს ძალიან უყვარდა ხავსი “ოჩოპინტრეს წვერი”, რომელიც ნაძვებზე იზრდებოდა და ნუკრი ჯერ ვერ მისწვდებოდა, ამიტომ ლენა აგროვებდა ხოლმე. ნუკრი კი იაგელს ძოვდა. მერე ერთად ბრუნდებოდნენ, ხანდახან ლენას ასწრებდნენ, თუმცა უცდიდნენ კიდეც.

ნუკრი კარაქის, შაქრის და პურის ჭამასაც მიეჩვია. დღითი დღე კი არა, საათობით იზრდებოდა. ჯერ თვე არ გასულიყო, რომ უკვე დამოუკიდებლად მიდიოდა ტაიგაში საბალახოდ. ლაიკები ყოველთვის თან ახლდნენ, რათა ხიფათისგან დაეცვათ. ნუკრს თუ ვინმე მოინადირებდა, ამაზე არც კი ვფიქრობდით. ჩვენს ქოხში რამდენიმე მონადირე ცხოვრობდა, ვიცოდით რომ ნუკრს ხელს არ ახლებდნენ. ყოველი შემთხვევისთვის ნუკრს ყელზე ფოჩებიანი ლენტი შემოვახვიეთ.

მალე ჩვენი ნუკრი დიდ და ლამაზ ირმად იქცა. ახლა მის გვერდით ჩვენი ძაღლები პატარებად გვეჩვენებოდა. ისინი ნუკრთან ისევ მეგობრობდნენ და ტაიგაში ძველებურად

ერთად მიდიოდნენ, ხანდახან წაკინკლავდებოდნენ, თუმცა მათ მეგობრობას ეს ხელს არ უშლიდა. ვთქვათ, ძაღლებს ძვლებს გადავუყრიდით, ნუკრი იქვე გაჩნდებოდა, დროს იხელთებდა და ძვალს გაიტაცებდა, გაბრაზებული ძაღლები კი გამოეკიდებოდნენ, მათ სხვა ძაღლებიც შეუერთდებოდნენ, ნუკრს დაეწეოდნენ და ძვალს წაართმევდნენ. მობრუნებული ლაიკები თავიანთ საქმეს აგრძელებდნენ, ნუკრი კი იქვე შორიახლოს წამოწვებოდა და მათ შორის ისევ მშვიდობა მყარდებოდა. როცა ლენა ღუმელიდან პურებს გამოიღებდა და წინკარში გამოიტანდა, "ვაჟიკოც" უმალ იქ გაჩნდებოდა, წინკარში შემოიხედავდა, თუ ვერ შეგვამჩნევდა, უკანა ფეხებზე დადგებოდა, პურს პირს სტაცებდა და გაიქცეოდა. ძაღლები გამოეკიდებოდნენ, ასეთ შემთხვევაში უპუროდ ბრუნდებოდნენ. ლაიკებსა და ნუკრს ერთად ეძინათ. შუაში ნუკრი იწვა. ლაიკები ზამთარ–ზაფხულ ცის ქვეშ იწვნენ, მხოლოდ ავდარში შეძვრებოდნენ ხოლმე საფარქვეშ, რაც მათ ქარის, წვიმისა და თოვლისგან იცავუდა. როგორც სჩანს ნუკრი ძაღლებთან მეგობრობის გამო წვებოდა. ასე გაიარა ორმა წელმა. გამოსაზამთრებლად მოსული ევენკები აღფრთოვანებულნი უცქერდნენ ჩვენს ირმის ნუკრს.

დიახ, მართლაც მშვენიერი ირემი იყო.

"ვაჟიკო" განსაკუთრებით ლენას მიეჩვია. მასთან მიირბენდა, უკანა ფეხებზე დადგებოდა და წინა ფეხებს თავს ზემოთ აქნევდა. რამდენიმე წამი ასე ცელქობდა, მერე იქვე შორიახლოს გაიქცეოდა, მობრუნებისას ლენას მიუახლოვდებოდა და ალერსის მოლოდინში თავს დაუხრიდა. "რისი გეშინია, განა ნუკრი დამარტყამს?" – მეტყოდა ხოლმე ლენა, როცა ჩემს შეშფოთებულ მზერას შენიშნავდა. მე კი მახსენდებოდა ძუ დათვი "ანჩხლი", რომელსაც უკანასკნელ წამს ვესროლე, ლენა რომ არ დაეგლიჯა. მაშინაც ასე მეუბნებოდა, რისი გეშინიაო. სჯეროდა, რომ "ანჩხლი" არ დააზიანებდა.

ჩვენ შორს, ჩრდილოეთისკენ უნდა წავსულიყავით. ნუკრმა იცოდა რა იყო ნარტა[5], გვინდოდა შეგვება, მაგრამ გადავიფიქრეთ, გაგვახსენდა ევენკები არაერთხელ რომ გვეუბნებოდნენ, რომ ასეთი ირემი საჯიშედ გამოდგებოდა.

"ვაჟიკოს" გამოვეთხოვეთ. მოხუც მწყემსს ანირჩას ვთხოვეთ, რომ ნუკრისთვის ხშირად ეჭმია შაქარი და კარაქი. ლენამ ანირჩას ფული დაუტოვა ნუგბარისთვის. ჩვენს ირემთან განშორება ძალიან გვიმძიმდა, მაგრამ რადგან გადავწყვიტეთ, პირობას ვერ გავტეხდით. ლენა ტიროდა, არც იყო გასაკვირი.

[5] ნარტა – მარხილი.

პირველად ჩვენს თანმხლებ ევენკებთან დავბანაკდით. ღამით უჩვეულო არაფერი მომხდარა. დილით ჩუმში ლენას ხმა მომესმა. გამოვედი. ლენა იდგა და ირმისთვის კისერზე ხელი მოეხვია. ეს, რა თქმა უნდა ჩვენი "ვაჟიკო" იყო. თურმე გამოქცეულიყო. კისერზე თასმის ნაგლეჯი ეკიდა. მეორედ განშორება უფრო ძნელი აღმოჩნდა. ანირჩას ნარტას მსუბუქი ჯაჭვით გამოვაბით. ირემი აფორიაქებული გვიყურებდა.

გავიდა სამი წელი. როცა ჩრდილოეთიდან ვბრუნდებოდით, "ვაჟიკოს" ნახვა მოვინდომეთ. ორი–სამი დღე მივქროდით და ღამით მოხუცი ანირჩას ჩუმს მივაღწიეთ.

– "ვაჟიკო" როგორაა?

– კარგადაა. ახლა ღამეა, დილით ნახეთ.

ძლივს დაველოდეთ გათენებას. დილით, ჩაის მერე ანირჩამ ჩიბუხი გააბოლა და ადგა.

– წავიდეთ, კარგი დროა, საძოვარზე ვნახავთ.

პატარა გორაკზე ვიდექით. ჩვენს თვალწინ ასეულობით კილომეტრზე ტუნდრა გადაჭიმულიყო. ირმები ბალახობდნენ. ბევრნი იყვნენ.

– ვაჟიკო სად არის?

– "ვაჟიკო"! "ვაჟიკო"! – დაიძახა ლენამ.

– ხმამაღლა დაუძახე.

– "ვაჟიკო!" "ვაჟიკო!" სად არის? რატომ არ მოდის?

– როგორ არ მოდის, ხედავ რამდენია!

ლენას დაძახილზე ათეულობით ირემმა თავი ასწია.

– სად არის "ვაჟიკო"? რატომ არ მოდის?

ჩვენკენ ირმები მორბოდნენ. წინ მაღალი, ძლიერი, დატოტვილრქებიანი ირემი მოუძღოდათ. ისე სწრაფად მორბოდნენ, გვეგონა გადაგვქელავდნენ. წინამძღოლი ირემი ლენასგან ხუთი მეტრის დაშორებით შედგა. სხვებიც გაჩერდნენ და ალყაში მოგვაქციეს. "ვაჟიკო" ლენას წინ იდგა და თვალს არ აცილებდა, მერე უკანა ფეხებზე დადგა, წინა ფეხები გააქნია და მიუახლოვდა. ლენა უშიშრად შესცქეროდა. ირემმა თავი დაუხარა, ლენამ თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა და გულში ჩაიკრა.

მერე ლენა მოხუც ევენკს მიუახლოვდა, მოეხვია და ეამბორა. მის გვერდით "ვაჟიკო" და მისი ნუკრები იდგნენ.

## ჩვენი ნაცარა ფრინველი

სემიონმა ტომარა ასწია. ტომრიდან ბატი გადმოვარდა, გარეული. დავარდნის ხმაზე მე და ჩემმა ცოლმა მივიხედ–მოვიხედეთ და ტაიგელ ამხანაგს მივაცქერდით. ის კი სკამზე წყნარად ჩამოჯდა, ქისა ამოიღო, თავისი შეუცვლელი ჩიბუხი წეკოთი დატენა და გააბოლა.

ვდუმდით, სემიონი ეწეოდა, ფრთებგაშლილი ბატი იატაკზე იწვა, თავი უხერხულად გადაეგდო, ფეხები მოეხარა, აწეწილ ბუმბულებზე სისხლის ჩამუქებული ლაქები ემჩნეოდა. ბატი არ ინძრეოდა. რომ არა მისი ცოცხალი, გაბრწყინებული თვალები, მკვდარი გეგონებოდათ. მომეჩვენა, რომ მხოლოდ მე მიყურებდა. სემიონმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო და ბოლოსდაბოლოს დუმილი დაარღვია:

– მონადირის დაჭრილია. დამტანჯა. ჭაობში ვნახე, ვერ მივუდგებოდი, როგორღაც მივაღწიე, მინდოდა მესროლა, რომ არ დატანჯულიყო. თოფი დავუმიზნე თუ არა, თავი ასწია და თვალებში შემომხედა. თავი დამნაშავედ ვიგრძენი, ის კი მიყურებდა. გადავწყვიტე შენთან მომეყვანა, იქნებ გამოკეთდეს, თუ დაიძინებს, გადააგდებ. სხვა რა გზა გვაქვს.

მწოლიარე ფრინველს მივუახლოვდი, ფრთხილად ავწიე და უსიტყვოდ ლენას გადავეცი. ბატი მსუბუქი იყო, გამოფიტული, სული ძლივს ედგა.

– უკვე ღამდება, დღეს ვერაფერს გავაკეთებ, ფარდულში წავიყვან და თუ დილით ცოცხალი იქნება, მაშინ მივხედავ.

ბატი ახალმოგლეჯილ ბალახზე დავაწვინეთ, თავთან სარწყულებელი დავუდგით, საკენკიც დავუყარეთ. დაჭრილი ფრინველი ერთხელაც არ განძრეულა, ხმაც არ ამოუღია, მხოლოდ გვიცქერდა.

საღამო ჩაგვიმწარდა. ვსაქმიანობდით თუ ვსაუბრობდით, დაჭრილ, მომაკვდავ ფრინველზე ვფიქრობდით, ბატზე, რომელსაც ტუნდრის მშობლიური ტბისკენ გაფრენა არ ეწერა.

ადრე დილით თვალებგაბრწყინებული ლენა სემიონს მიეახლა:

– ტაიგელო, ყველაფერი რიგზეა! ღამით დაულევია და ცოტა უჭამია კიდეც. დავათვალიერე, ჭრილობა მოვბანე, ფრთები გავუსწორე და ისიც ჩუმად შემეხმიანა: “გა–გა”, ფრენითი კი ვეღარასოდეს იფრენს.

ახალმოგლეჯილი ბალახი, წყალი და საკენკი ავიღეთ და მისკენ გავწიეთ. ბატი ოდნავ გატოკდა და თავი წამოსწია.

– აბა, როგორ ხარ ჩვენო ნაცარა ფრინველო, რადგან ვეღარ იფრენ, ერთად ვიცხოვრებთ.

და ფრინველმაც, თითქოს გაიგო რა ვუთხარი, შემეხმიანა: "გა–გა".

–კარგია, იცოცხლე! – და გამოვედით.

– უკეთესი საცხოვრებელი უნდა მოვუწყოთ. – თქვა ლენამ.

ძველი ვოლიერი გადავაკეთეთ. ადრე ამ ვოლიერში სიასამური ცხოვრობდა. ბატს ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული გარემო შევუქმენით.

გაზაფხულმა კარგა ხანია გაიარა, ჩრდილოურმა მოკლე ზაფხულმაც შეუმჩნევლად გაირბინა, დადგა შემოდგომა.

ბატს ვეღარ იცნობდით. ოდნავ კოჭლობდა, მოსუქდა, ბუმბულს იწყობდა და თავისებურად, "გა–გა"–თი გვეგებებოდა. ეს უკვე მხიარული ყივილი იყო. მიწაში ჩადგმული დიდი აბაზანა ყოველთვის წყლის იყო სავსე, ჭყუმპალაობა უყვარდა. საკენკიც მოვუმატეთ. ყველაფერი კარგად ად მშვიდად იყო, მაგრამ ერთხელაც ღამით ჩვენი ფრინველის სევდიანმა ხმამაღალმა ყივილმა გაგვაღვიძა და უმალ მივხვდით, რომ ბატების გადაფრენა დაიწყო.

– ეს როგორ ვერ გავითვალისწინეთ, გესმის? როგორ ყივის? თანამოძმეებს ეძახის, – დანანებით თქვა ლენამ.

ვერაფერი ვუთხარი. სახლიდან გამოვედი. ჩვენი ნაცარა ფრინველი განუწყვეტლად ყიოდა. შემოდგომის ლეგა ცაზე გადამფრენი ბატების ხმა ისმოდა. მომეჩვენა, რომ ბატების გუნდი ჩვენს სახლს დასტრიალებდა. ვოლიერში შევედი, წელში მოვიხარე, ხელი გავიწვდინე და ჩვენს ნაცარას ფრთხილად მივუახლოვდი. სიბნელეში არაფერი ჩანდა, სიჩუმე გამეფებულიყო. მოულოდნელად ხელისგულზე სხეულის შეხება ვიგრძენი. ბატი გულზე მივიკარი და ჩვენთან წამოვიყვანე. გადამფრენი თანამოძმეებისგან აღელვებული ბატი დიდხანს არ დაწყნარებულა.

ბატს გალია გავუკეთეთ. გვიან საღამომდე იქ იჯდა, მერე გალიის კარს ვუღებდით, დილით კი ყოველთვის თავის ადგილას გვხვდებოდა. დიდად არ შევუწუხებივართ. ზოგჯერ, შუაღამისას, როცა ჯერ ისევ ვსაქმიანობდით ან ვკითხულობდით, ბატი ოთახში დახანხალებდა, იშვიათად გამოგვხედავდა, ცალ ფეხზე იდგა, ალბათ ასე იძინებდა. ხშირად "ველაპარაკებოდით". მე და ლენა ჯერ ერთმანეთს ვებაასებოდით, მერე ბატს რას არ

ვეკითხებოდით და ისიც ყოველ კითხვაზე გვეხმიანებოდა: “გა–გა”. თავდაპირველად იშვიათად, მერე კი ხმამაღლა, თითქოს გვეუბნებოდა: “რატომ დუმხართ?”

ჩვენი ნაცარა მალე მოგვეჩვია და მოგვიშინაურდა. გაზაფხულზე ისევ ვოლიერში მოვათავსეთ.

წლები გადიოდა. ყოველ გაზაფხულზე გვინდოდა გაგვეშვა, რათა მშობლიურ გარემოს დაბრუნებოდა, მაგრამ მას მხოლოდ ფრთების ოდნავ აწევა შეეძლო.

– უშენოდ დარდობს, ძალიან დარდობს. – მეუბნებოდა ლენა, როცა ხანგრძლივი განშორების მერე შინ ვბრუნდებოდი.

და მეც შინ დაბრუნებისას პირველად მის ვოლიერთან მივდიოდი, მორის პატარა ნაჭერზე ჩამოვჯდებოდი. ბატი უმალ შემეგებებოდა, დაიყიყინებდა, ფეხებზე მომეკვრებოდა და გაიყურსებოდა. როცა გამოვდიოდი, შეშფოთებული აყივლდებოდა და მეც ისევ ჩამოვჯდებოდი და დიდხანს ვრჩებოდი მასთან.

შორეული უბნიდან ვბრუნდებოდი, მეჩქარებოდა. დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ პურგა[6] მძვინვარებდა. ფიფქები ნემსებივით მეცემოდა სახეზე. ქარი ძვალ–რბილში მატანდა. სიარულშიც კი ვერ გავთბი. ჩემს სახლს ვუახლოვდებოდი, სადაც სითბო და მყუდროება დამხვდებოდა. ეს კი ძალას მმატებდა.

გათოშილი ხელებით ჭიშკარი ძლივს შევაღე. წინკარში თოფი მოვიხსენი, ჩანთა დავდე და თოვლი ჩამოვიბერტყე. შინ შევედი. ლენა ტანსაცმლის გახდაში მომეხმარა და მითხრა:

– ბატი ძალიან დარდობს, კვირაზე მეტია არ უჭამია. მხოლოდ ცოტას თუ დალევს, სულ არ დადის და არც მეხმიანება. ვეტექიმმა ნახა, მაგრამ ვერაფერი უშველა. თქვა, რომ დრო მოვიდა, თქვენ ხომ თქვით, რომ ბებერი იყოო.

– სად არის ჩვენი ნაცარა ფრინველი, ჩემი გა–გა? – ხმამაღლა ვიკითხე და უცებ საგები შეირხა. გალიიდან ნელ–ნელა ბატი გამოვიდა, ფეხებს ძლივს ადგამდა, თავაწეული ჩემკენ მოდიოდა. ჩამოვჯექი და ხელი გავუწვდინე. მომიახლოვდა, მომიახლოვდა, ხელებზე დამიწვა, თავი მხარზე მომადო და ხმამაღლა დაიყიყინა: “გა–გა” და უცებ თავი ჩამოუვარდა. ხელებზე უსიცოცხლო სხეულის სიმძიმე ვიგრძენი.

– ასეც ვიცოდი. ის შენ გელოდებოდა, რომ გამოგთხოვებოდა.

[6] პურგა – ქარბუქი, ძლიერი ქარი ციმბირში.

ლენასკენ გავიხედე. ტიროდა.

წარწერა სურათზე: კონსტანტინე დმიტრიევიჩ იანკოვსკი მეუღლესთან ელენა რაზუმოვსკაიასთან ერთად.

## ჩემი ეგერი

შევჩერდი. ჩემს წინ ტაიგის ნახევრადბალახებულ ბილიკზე ქარისგან გადამტვრეული ვერხვის უკან დათვი იდგა. ჩვენს შეხვედრას ველოდი, თუმცა როგორც მომეჩვენა, მოულოდნელად. ასე, არაუმეტეს თორმეტი მეტრი გვაშორებდა. ორივენი ერთმანეთს ვაკვირდებოდით. დათვი ჩემდამი მტრულად არ იყო განწყობილი.

ვიცოდი, რომ ყოველთვის შეუმჩნევლად თან მსდევდა.

და აი, ერთმანეთს შევხვდით. პირისპირ ვიდექით. ჩვენს შორის ბილიკის ზემოთ ჩამოკიდებული დაფა ქანაობდა. “გიყვარდეს და დაიცავი ბუნება.” – ასე ეწერა დაფაზე.

– აი, ბელო, ხომ შევხვდით ერთმანეთს. – ხმამაღლა შევეხმიანე. უზარმაზარი თავი გვერდზე გადახარა და ყრუდ ჩაიბურდღუნა.

**

რამდენიმე წელია, რაც ბელის ნაკვალევი ამ უბანში შევამჩნიე. ამ დათვს ბელი დავარქვი. თავდაპირველად ეს იყო ჭიანჭველების დანგრეული ბუდეები, გადატრიალებული ამოღარული ხექცეულები, ნათხარები და რა თქმა უნდა მისი ნაკვალევი. იმ დროს ის ჯერ მოზარდი იყო და მიუხედავად ახალგაზრდობისა, ფრთხილი და უნდობი. მერიდებოდა.

დრო გადიოდა. ჩემი ბელი იზრდებოდა. მისი ნაკვალევი პატარა, ტაიგური ქოხისკენ მიმავალ ბილიკზე ხშირად მხვდებოდა. ქოხთან ჩემი არყოფნისას მიდიოდა და იქვე ახლოს ბინადარ ბურუნდუკებს სოროებს უნგრევდა, კუნძებს ატრიალებდა და ამტვრევდა, შეშას მიმზადებდა, ხეებს ფხაჭნიდა.

– “ხედავ? როგორ გავიზარდე!” – თითქოს მეუბნებოდა და მეც მისი ბრჭყალების ნაკვალევით ვხვდებოდი როგორ გაიზარდა ბელი. ის უკვე ჩემზე მაღალი იყო, მის ჭდეებს ვერც მივწვდებოდი.

ჩემი ქოხიდან ნაკადულამდე, საიდანაც წყალი მომქონდა, ასორმოცდაათი მეტრი იქნებოდა. ნაკადულთან ყოველთვის დილა–საღამოს მივდიოდი, არასოდეს დაღამებულზე. ისიც ამ ნაკადულთან მოდიოდა, ოღონდ სხვა დროს. არც კი ვფიქრობდი, რომ ნადირი თავს დამესხმებოდა. რომ სდომოდა, ნებისმიერ დროს შეეძლო, როცა ტაიგაში შევიდოდი. ხშირად ჩემი ყურებაცქვეტილი მეგობრების გარეშე მივდიოდი, რადგან დაკვირვებაში ხელს მიშლიდნენ.

დრო გადიოდა. ბელის ახლო მეზობლობას მივეჩვიე, ისიც მიეჩვია თავის სამფლობელოში ჩემს ყოფნას. დროდადრო მისი ნაბიჯების ხმა მესმოდა, თუმცა არასდროს დამნახვებია.

ისე მოხდა, რომ ჩემს უბანზე რამდენიმე თვის განმავლობაში არ ვყოფილვარ და როცა დავბრუნდი ჩემი ქოხი “კაპიტალურად შეკეთებული” დამხვდა. სახურავი მორყეული, ჭერი ჩანგრეული, ტახტები, ღუმელი და საკვამური დალეწილ–დამტვრეული.

– ეხ, ბელო, ბელო! ეს რა გიქნია! – ამოვიოხრე და ჩემი საცხოვრებლის აღადგენას შევუდექი. ვფიქრობდი, ეს რატომ ჩაიდინა. თავში რაღაც აზრმა გამიელვა, ჩემი ვარაუდი მალევე გამართლდა. ქოხის ირგვლივ პატარა მდელო დაკვირვებით დავათვალიერე და მიუხედავად ხშირი ბალახისა დიდი კოცონის კვალი აღმოვაჩინე, იმ ადგილას, სადაც პატარა კოცონს ვანთებდი ხოლმე. კოცონი დიდხანს არც აუნთიათ, რადგან აბალახდა კიდეც. ჩემი კოცონის ადგილზე კი ბალახი არც იყო ამოსული. აი, ადამიანის ხელით გადატეხილი ცირცელი, ფანჯარასთან რომ იდგა. ქოხის სიახლოვეს ნორჩი ხეები იყო მოჭრილი. ჩემი საკუთარი საყოფაცხოვრებო ნივთებიც გამქრალიყო, სურსათის ნაწილიც, თანაც ჩანდა, რომ ადამიანის აღებული იყო და არა ნადირის. აი, რატომ გაანადგურა ქოხი ბელმა. მომხვდური ადამიანების “უცხო” სუნმა. იქნებ ესროლეს კიდეც... ბელი რისთვის უნდა მოეკლათ? მხოლოდ იმიტომ, რომ ნადირი იყო?!

გამახსენდა, ჩემმა ლაიკებმა ჩემი ქოხის სიახლოვეს მის ბუნაგს რომ მიაგნეს. მაშინ ბელი სამი წლის იქნებოდა. მე მას სიცოცხლე შევუნარჩუნე.

მომდევნო წელს ძველი ქოხი მივატოვე, ბელისგან ფრიად “შეკეთებული” იყო და თანაც მეპატარავებოდა. გადავწყვიტე ახალი ამეგო. მზიანი ადგილი შევარჩიე, ძველისგან ასე

რვაასი მეტრის დაშორებით, ის ნაკადული სულ ახლოს იყო. ახალი ქოხი ავაგე და ძველს გამოვეთხოვე. ბელიც იმ ნაკადულთან მიდიოდა. ერთ ადგილას მიდიოდნენ ადამიანი და ნადირი. ოღონდ ნადირი სულ ერთი მხრიდან მოდიოდა და მისი ნატორალი სილაზე მკაფიოდ ჩანდა. ჩემს ახალ ქოხთან შეშას არ "მიმზადებდა", მაგრამ ხექცეულებს ატრიალებდა და "სარდაფებსაც" თხრიდა.

იმავე შემოდგომაზე ჩემი ყურაცქვეტილი ლაიკები ბელს ქოხის შორიახლოს გადაეყარნენ. მათ გამძვინვარებულ ყეფას ბელის ქუხილივით ღრიალი ერეოდა. ვიცოდი, თუ ძაღლებს მივუახლოვდებოდი, გათამამდებოდნენ და უკან ვეღარ მოვუხმობდი. ჩემს დაძახილზე მორჩილად ბრუნდებოდნენ ხოლმე. ამჯერად ლაიკები არ დამემორჩილნენ, მაშინ თოფი გავისროლე, ეს უკვე ბრძანება იყო. მალე აქოშინებული ძაღლები ქოხში დავამწყვდიე და საიმედოობისთვის დავაბი კიდეც. იმ და მომდევნო დღეებში ბელი ნაკადულთან არ მოსულა. ალბათ ეწყინა. მას მერე ლაიკები ტაიგაში აღარ მიმყავდა, თუ მიმყავდა ერთი, არა მონადირე.

ასე სამი წლის წინათ შემოდგომაზე ქოხის მოსანახულებლად გავწიე. სანამ ჩემს უბნამდე მივაღწევდი, დავინახე, რომ ქალები და ორი მამაკაცი მორბოდნენ, აქოშინებულები ერთმანეთს ასწრებდნენ. მომიყვნენ, რომ უზარმაზარი დათვი გამოეკიდათ. როგორც კი ბილიკზე გამოსულა, უკანა ტორებზე დამდგარა და დაუღრიალია.

– შიშისგან გავქვავდით. – თქვა ერთმა ქალმა. შეშინებული აქეთ–იქით იყურებოდა.

– გაგიმართლათ, რომ არ გამოგეკიდათ. ნადირს ზურგი არ უნდა აქციოთ. სად გაექცევი? თუ უნდა, დაგეწევა. სჯობს გაჩერდე. თუ არაფერს დაუშავებ, ნადირი თვითონ დაგშორდება. შეგეძლოთ ისეთი "ჯაზ–ორკესტრი" მოგეწყოთ, რომ დათვი გაიქცეოდა. და მათ ქვაბებზე და სათლებზე მივუთითე. – ამ უბანზე რისთვის შეხვედით?

– გვეგონა ბევრი კენკრა იქნებოდა.

– ეს ადგილი უღრანია. – და კენკრიანი ადგილები მივასწავლე.

– თქვენ იქით, დათვისკენ მიდიხართ?

– დიახ.

– ნუ წახვალთ, დაგგლეჯთ.

– არ დამგლეჯს, ეს ხომ ჩემი ბელია, ჩემი ეგერი.

– ვინ?

დავემშვიდობე. იქამდე ვიდექი, სანამ თვალს არ მიეფარნენ. ყოველი შემთხვევისთვის თოფი დავტენე. უცხო ხალხით ელდანაცემი ბელი შეიძლება დასდევნებოდათ. ყველაფრისთვის მზად უნდა ვყოფილიყავი.

როცა დავრწმუნდი, რომ ბელი მათ დადევნებას არც კი ფიქრობდა, ტაიგის უღრანში შევედი. მივდიოდი და თან ბელზე ვფიქრობდი. ჩემი ეგერი პირველად ვუწოდე ჩემს უზარმაზარ, ბანჯგვლიან, ტაიგელ მეგობარს, რომელიც ჯერ თვალითაც არ მენახა...

და აი, ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ.

– ბელო, ეგერო, აი, ერთმანეთს შევხვდით!

ნახევარი წუთი უბრად, გაუნძრევლად ვიდექით. რაღაც უნდა მეღონა. გადავწყვიტე მივახლოებოდი.

– ბელო, გზა დამითმე! – და ბილიკს ნელ–ნელა გავუყევი. "გადაუხვევს თუ არა" – ვფიქრობდი იმ გადამწყვეტ და დაძაბულ წამებში. დათვი დაეშვა, დაიღრიალა. ხმადაბლა, უბოროტოდ. ასე ექვსი მეტრი გვაშორებდა ერთმანეთს.

– ბელო, გზა დამითმე! – გავუმეორე და მზად ვიყავი ნებისმიერ წამს თოფი მხრიდან მომეხსნა. ბელმა ბილიკიდან გადაუხვია, უზარმაზარ თავს აკანტურებდა, თან პატარა თვალები მიყურებდა. ასე, ხუთი მეტრით დამშორდა, მერე შეჩერდა, ჩემსკენ სანახევროდ შემოტრიალდა და თვალს არ მაცილებდა.

თანაბარი ნაბიჯით გვერდით ჩავუარე და როცა გავცდი, მინდოდა მისკენ გამეხედა, მაგრამ თავს ამის უფლება არ მივეცი. მივდიოდი და ვგრძნობდი, რომ მიყურებდა.

ეს ჩვენი პირველი შეხვედრა იყო.

## მშვიდობით ბელო

ზამთრულად არ ჭიკჭიკებენ სუფთა, თითქოს დაბანილი წივწივები. სინეგოგების, წითელკუდა ჯაფარებისა და ჩხიკვების ხმები და განსაკუთრებით ჩხართვების უფრო ნაზად მეჩვენება. კოდალების მჟღერი კაკუნი ტაიგის ბინადრებს ნანატრი გაზაფხულის მოახლოებას

აუწყებს. მაღლა ცაში ნარნარად მფრენი ყორნებიც კი ერთმანეთს ნაზად “ესაუბრებიან”. მათი ყრანტალი სულ არ ჰგავს ზამთარში გაგონილს.

…ღამით ცოტა მოთოვა და პაწაწინა ბიგას ნაკვალევი აშკარად ამჩნევია. მათ დაწერეს “ტაიგის თეთრი წიგნის” პირველი გვერდი, ჩემს ქოხთან ახლოს. დროა გზას გავუდგე, უნდა მოვასწრო, სანამ მზის სხივები ნაკვალევს გააქრობს.

ქარისგან წაქცეულ ხეებს გვერდი ავუქციე, ღრანტე გადავლახე. ამ ადგილს კარგად ვიცნობდი. აქ რამდენიმე წლის წინათ, შემოდგომაზე ჩემმა ტაიგელმა მეგობარმა ეგერმა ბელმა ბუნაგი გაიკეთა, ამოთხარა და მიწვა. მე კი საზრუნავი მომემატა, რომ შემთხვევით ამ უბანში ვინმე მონადირე არ შემოსულიყო და მისთვის მყუდროება არ დაერღვია.

ბინდდებოდა, როცა კლდოვან ფლატეზე გამოვედი. ფლატის სიახლოვეს მდგარი დაბალი ჭიფვის ფესვებმა კლდის ნაპრალებთან თავისებური სავარძელი შექმნეს.მოხერხებულად მოვიკალათე, ვიჯექი. მრავალკილომეტრიანი სიარულის ლაჟვარდისფერ შორეთს. როცა უკანასკნელი ანარეკლიც გაქრა და სულ ჩამობნელდა, ნაკადულისპირა ტაიგისკენ დავეშვი. ახლა თვალების მაგივრობას ჩემივე ფეხები მიწევდა. ისინი სამონადირეო უბნის ქოხისკენ მიმავალ ბილიკს მიჰყვებოდნენ. დილით, ტაიგაში შესვლისას ფანრის წაღება დამავიწყდა. დაბნელებამდე გზაში შეფერხებაზე სულ არ ვფიქრობდი, რადგან ტაიგას კარგად ვიცნობდი.

აი, ქოხიც. სანათი ავანთე. სათლი და ფანარი ავიღე და ნაკადულისკენ გავწიე. მერე კოცონი დავანთე და ჩაიც დავლიე. საველე ჩანაწერები დავამუშავე და წიგნი გადავშალე.

ასე, შუაღამისას ნაკადულის მხრიდან შრიალი მომესმა. ხმა თანდათანობით ძლიერდებოდა. ვიღაც ჩამოცვენილი ფოთლებით დაფარულ ბილიკზე ამოდიოდა. ფოთლების შრიალი სულ ახლოს ისმოდა. ცხენ–ირემია? არა, მის ნაბიჯების ხმას არ ჰგავს. ადამიანი? არც ის. დათვი? დიახ, ვინ თუ არა ჩემი ბელი. სხვა ინ დაარღვევდა “ჩემი ეგერის” უბნის საზღვრებს ამ დროს? დამრღვევი მხოლოდ მოხეტიალე დათვი[7] თუ იქნებოდა. მშიერი, დაქანცული და სნეული ნადირი ბუნების კანონს არ ემორჩილება.

ბელი ვიცანი. უზარმაზარი, მურა ნადირი საკვებ მაგიდას მიადგა და ფანჯარა სანახევროდ გადაფარა. არც შეჩერებულა, თავი ფანჯრისკენ მოატრიალა და მისმა პატარა, მოყვითალო–მომწვანო თვალებმა ნაპერწკლებივით შემომანათა.

[7] მოხეტიალე დათვი – როცა დათვი საზამთროდ საკმარის ცხმის ვერ იმარაგებს, ზამთრის ძილქუშს ვერ ეძლევა და საკვების საძებრად ტყეში დაეხეტება. ასეთი დათვი საშიშია.

ფანჯრის რაფაზე დავიხარე და ხმამაღლა ვთქვი: “გამარჯობა ბელო!” ამჯერად არ შემხმიანებია, მეგობრულად არ დაუღრიალია, როგორც ადრე, მაგრამ ფანჯრისთვის ზურგი არ უქცევია, არც აჩქარებულა და არც ნაბიჯი შეუნელებია. ალბათ ქოხის კუთხეს მოუარა და როგორც ვივარაუდე წინკართან შეჩერდა. ჩემდა უნებურად თვალი შაშხანისკენ გავაპარე. ის, როგორც ყოველთვის ჩემს ტახტზე კედელთან იდო. თუმცა რას მიშველიდა უზარმაზარ ნადირთან, თანაც ასეთ დროს! მართალია, ოდესღაც კაციჭამია დათვი დავამარცხე, მაგრამ მაშინ, როგორც იტყვიან, გამიმართლა. მიზანს არ ავაცილე. არ მინდოდა ჩემი ბელისთვის მესროლა. რამდენი წელი ერთმანეთის ახლოს ვიცხოვრეთ, რამდენჯერ შემეძლო ბუნაგში მომეკლა, უფრო მას შეეძლო ბილიკზე ჩამსაფრებოდა და დავეგლიჯე, მაგრამ არც მას და არც მე არ გვინდოდა ერთმანეთი დაგვეხოცა. ის ჩემს სტუმრებსაც არ მტრობდა. ეს უბანი ჩემი და მისი იყო. მე აქ მარტო ცოლთან კი არა, ჩვენი მეგობრები ოჯახებით მოდიოდნენ, პიონერები, კომკავშირლები, სტუდენტი–პრაქტიკანტები. მხოლოდ ერთხელ მოიქცა მტრულად. ეს მაშინ მოხდა, როცა ტაიგაში ირკუტსკიდან ჩამოსულ მოყვარულ კინოოპერატორთან შევედი. ბელმა ის არ აღიარა. გამძვინვარებულ ბელს შეეძლო იოლად დაგვწეოდა. “აბა, ბორის კინოკამერა სწრაფად მომართე გადასაღებად. ბელი ალბათ საშუალებას მოგცემს გადაიღო ტაიგის ბინადართა ცხოვრების შესახებ შენი უკანასკნელი მოკლემეტრიაჟიანი ფილმის კადრები. თუ კინოკამერა გადარჩება, ფირს ვინ გაამჟღავნებს, ამაზე ნუღარ ვიფიქრებთ.” – ვუთხარი სტუმარს და დავიძახე: – ბელო, მიცანი? და მის შესახვედრად გავემართე, უთოფოდ, რადგან მეგონა, რომ ტაიგურ ტრაგედიას ამაშორებდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბელი არც მე და არც ბორისს ხელს არ გვახლებდა. მივდიოდი და ვიმეორებდი: “ბელო”…

ახლა კი მაგიდასთან ვიდექი და კარისკენ ვიყურებოდი. ვდუმდი, ვფიქრობდი, რომ ბელი წინკარის შემოსასვლელში იდგა ან უკვე წინკარში კართან. მერე რა, რომ ჩემი ბელია, მაინც ნადირია და ვინ იცის რას მოიმოქმედებს.

რა მექნა? მელოდა, ქოხში როდის შემოვარდებოდა? ესღა მაკლდა. გადავწყვიტე გავსულიყავი. კარი გამოვაღე და ფანარი ავანთე. ჩემი ბელი არსად ჩანდა. წინკარიდან გამოვედი და ფანრით ბილიკი გავანათე. ბელი არც იქ იყო. ქოხს შემოვუარე, ირგვლივ მიწაზე დაყრილი ფოთლები ყურადღებით დავათვალიერე და თითქმის უმნიშვნელო ნიშნებით დავადგინე, რომ წინკართან მოსულმა ბელმა ცოტა ხანს შესასვლელთან იყურყუტა, მერე ზედადგარიან კოცონთან შეტრიალდა და მთავარი ბილიკისკენ გაემართა.

მაშინ ვიფიქრე, რომ ბელი უკვე ხნოვანი იყო, იქნებ აღსასრულის მოახლოება იგრძნო და ჩემთან დასამშვიდობებლად მოვიდა?

მას მერე ჩემს სამონადირეო უბანში ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ბელის ნაკვალევი არსად მინახავს, არც ნაკადულის პირას მისი უზარმაზარი ნატორალები. ჩვენ ხომ გადახრილ ნაძვთან მდებარე ბინულთან მივდიოდით, ოღონდ სხვადასხვა დროს. არც გამიგია, რომ ვინმე მონადირე ტაიგაში შემთხვევით გადაჰყროდა უზარმაზარ დათვს ან მოეკლა.

ასე გამოვეთხოვე ჩემს ტაიგელ მეგობარს, რომელიც სულ პატარა, ობოლი ბელი იყო, როცა გავიცანი.

## უგრიუმ–მდინარეზე

აი, კოჩეჩუმოს კლდეები უკან მოვიტოვეთ. ევენკების სადგომ ტურას დამშვიდობების ნიშნად სამმაგი ზალპით გამოვეთხოვეთ. ზალპის ექო უკვე კარგა ხანია მიწყდა.

უზარმაზარ კლდეებს შორის მოქცეული ქვემო ტუნგუსკის სწრაფი დინება ნავს წინ მიაქანებდა. უკან "მიჰქროდნენ" მთები, რომელთა მწვერვალები ძველებურ ციხე–კოშკებსმიაგავდა. ლენა ნავის კიჩოზე იჯდა საჭის ნიჩაბთან, მე კი გვერდით ნიჩბებს ვუსვამდი. ჩვენს შორის, ნავის შუაში, დათვის დიდ ტყავზე ჩვენი ევენკური ლაიკები იწვნენ, დოჩა და სტოტი. ზემოდან სამგზავრო კარავი ეფარათ, კიჩოზე მობმული ბერესტის ნავი მსუბუქად მისრიალებდა ჩვენს ნაკვალევზე.

ამ ათასზე მეტი კილომეტრის გზაზე შეგვეძლო მოზამთრეთა დიდი ჯგუფით წავსულიყავით, მაგრამ ამისთვის კარჭაპისთვის უნდა დაგვეცადა, ცვლისა და სურსათისთვის და ესეც ამ სადგომში წელიწადში ერთხელ მოჰქონდათ. კარჭაპი ტურუხანსკიდან ტურამდე კატერს უნდა მოეყვანა.

უნდა მოეყვანა, მაგრამ მოიყვანს? წინა წლებში ამ საქმეს პატარა კატერი ვერ მოერია გაზაფხულის წყალდიდობის გამო და მაშინ მოზამთრეთა ცვლა დიდხანს "ირუჯებოდა" დაუსახლებელ ნაპირზე დროებით ბანაკში და ელოდნენ ტურადან ან სხვა მათთან

ახლომდებარე ფაქტორიიდან როდის მოვიდოდნენ ევენკები სასაპალნე და საჯდომი ირმებით. ეს ვარიანტი ხელს არ გვაძლევდა და ჩვენც მოვნახეთ ძველი ნავი, დაგვმანეთ, გავფისეთ, გამძლე, მაგარი ნიჩბები გავაკეთეთ, ნავის ძირზე საგები, მოკლედ რომ ვთქვათ შორეული მოგზაურობისთვის გავამზადეთ. გვირჩევდნენ კატერისთვის მოგვეცადა და ტურუხანსკამდე მშვიდად გვეცურა.

– რუკები არა გაქვთ, – გვეუბნებოდნენ. – მდინარის კალაპოტი შესწავლილი არ არის. უგრიუმ–მდინარე მზაკვარია. წყალმარჩხები, ჭორომები, მორევები, სადმე ჩაგითრევთ.

ამხანაგებს მზრუნველობისთვის მადლობა გადავუხადეთ, გავეხუმრეთ და დავამშვიდეთ, ჩვენი ჩანაფიქრი გავაცანით, რომ გვინდოდა ჩაგვეტარებინა სანაპირო უბნების კომპლექსური ტაქსაცია. ამისთვის კი საჭირო იყო ჩრდილოეთის ამ პატარა უბნის ჩვენთვის სრულიად უცნობი ბუნებრივი სიმდიდრეების თუნდაც პირველადი, მცირე დაზვერვა. გზაში იმდენხანს ვიქნებოდით, რამდენიც დასახული სამუშაოსთვის დაგვჭირდებოდა.

სანამ ნაპირს მოვცილდებოდით მოხუცი ევენკი ოლანი მოგვიახლოვდა და გვითხრა: – ბერესტის ნავი რატომ არ მიგაქვთ?

ერთმანეთს გადავხედეთ და უმალ ჩვენი ბერესტიანკა ნაპირიდან ფრთხილად გადავიტანეთ წყალზე. ამ ნავს ზედმიწევნით ვუფრთხილდებოდით, რადგან საკმაოდ ძველი იყო.

მოხუცმა ევენკმა თვალები მოჭუტა, მერე ბერესტიანკა გულდასმით დაათვალიერა და თავი გადააქნია.

– ჩემი წაიღე. ჩემი ახალია. მე მოხუცი ვარ. შენი ბერესტიანკა ძველია. მე ამითაც იოლას გავალ.

– არა, რუსული ანდაზაა, რომ ერთი ძველი მეგობარი ორ ახალს სჯობს. კეთილი რჩევისთვის კი გმადლობთ.

ჩვენი ავლადიდების ნაწილი ბერესტიანკაში გადავიტანეთ. სანამ ნავში ჩავსხდებოდით ნაპირზე დარჩენილებს თავი მდაბლად დავუკარით.

ასე დაიწყო ჩვენი მოგზაურობა. გვინდოდა ტუნკუსკის დიდ შენაკად ნიდიმთან შორიახლოს თვალწარმტაც ნაპირზე გადავსულიყავით, რათა სადილი მოგვემზადებინა. ლენამ ნავი ნაპირისკენ მიმართა, მე კი მთელი ძალით ნიჩბებს ვუსვამდი, მაგრამ ვერაფერს გავხდით. სწრაფი დინების გამო ნაპირს ვერ მივუდექით. დავრწმუნდით, რომ ჩვენი ნავით

მდინარის დინებას თუ მივყვებოდით და თუ ნაპირზე გადასვლა გვინდოდა ნაპირ–ნაპირ უნდა გვეცურა.

ნაპირს ბევრად ქვემოთ, პირველსავე ყურეში მივადექით. ჩვენი თვალის მისაწვდომზე ქვიშრობი იყო. კარვის დასადგმელად და კოცონის დასანთებად არ გამოდგებოდა, შეშაც არსად ჩანდა. მერე როგორი ნაპირი იყო! რიყე, დამრეცი, მოხერხებული, პლაჟი, ტაიგის კიდეზე ამწვანებული მდელო. ნავიდან არც გადმოვსულვართ, არც ძაღლებს მონდომებიათ გასეირნება.

არასტუმართმოყვარე ნაპირთან სტოტთან ერთად ბერესტიანკაში გადავედი და ნავში მჯდარი ლენა და დოჩა უკან მოვიტოვე.

მდინარის პირველსავე მოსახვევის მერე შორიდანვე შევნიშნე დიდი აქაფებული წყალმარჩხი, მის პირდაპირ კი ყურეში კი რიყე. მივუახლოვდი, ნაპირზე გადმოვედი. სტოტი თვალს არ მაცილებდა. ჩემი თანხმობით ისიც ნაპირზე გადმოხტა. რიყეზე დასუნსულებდა.

ბერესტიანკა მალე გადმოვტვირთე. სტოტს ვუბრძანე დამლოდებოდა და შორს, ძლივს რომ ჩანდა, ჩვენი ნავის შესახვედრად გავცურე. მივუახლოვდი, გადავჯექი, ნიჩბებს მოვუსვი და ამჯერად სასურველ ნაპირს მივადექით, სადაც მოთმინებით გველოდა სტოტი. ნაპირზე გადავედით. დოჩამ სტოტთან მიირბინა. ორივენი ნაპირის გასწვრივ დარბოდნენ, ჩვენ კი დროებითი ბანაკის მოწყობას შევუდექით. თავდაპირველად მსუბუქი, დოლბანდის კარავი დავდგით კოღოებისგან თავის რომ დაგვეცვა, მშვიდად დაგვესვენა და გვესადილა. ჰაერი გუგუნებდა, უამრავი კოღო, ქინქლა და ბუზი დაგვესია, თავზე ჩამოცმულ პირფარდებშიც კი ძვრებოდნენ. ყველაზე დაუცველი ხელები იყო. მერე როგორ "იყნოსეს ნადავლი". ერთმანეთს როგორ გააგებინეს? როცა ამ ნაპირზე პირველად გადმოვედი მწერი ბევრი არ იყო, ახლა კი თავი როგორ დაგვეცვა? – კარავში შეძვერი და დაისვენე, მე კი კოცონს დავანთებ და სადილისთვის რამეს მოვიტან, – ვუთხარი ცოლს და როცა ლენა წიგნით ხელში კარავში გაუჩინარდა, ძაღლებთან ერთად შეშისთვის წავედი. გზაში ანკესისთვის ორი ჯოხი მოვჭერი, ერთი გრძელი და წვრილი, მეორე უფრო დიდი.

კოცონი მალე გავაჩაღე. მისი ბოლი მწერებისგან დაგვიცავდა. საველე ჩანთიდან ჭიაყელები ამოვიღე. ადრევე მქონდა მომარაგებული, სანამ ტურიდან წამოვიდოდით, შემეძლო ბუზებიც მიმემატებინა. მათი გუნდები მე და ძაღლებს თავს დაგვტრიალებდა. დიდი დრო არ გასულა და ათზე მეტი მსხვილი კაპოეტი დავიჭირე, ფსკერის ანკესით ერთი დიდი სიგიც გამოვათრიე. ყველაზე მეტად ანკესზე ჭიაყელის და ბუზის დამაგრება

გამიჭირდა. ამ დროს ხელებზე კოღოები მესეოდა და როცა სატყუარას ანკესზე წამოვაცვამდი, ხელებზე მერე ვზრუნავდი.

სიგისგან საუცხოო უხა მოვამზადეთ, ევენკურად. ქვაბი თევზის ნაჭრებით ავავსეთ, წყალი იმდენი, რომ დაეფარა. მართალია, ცოტა გამოვიდა, მაგრამ როგორი გემრიელი! კაპოეტები კი არყის ხის ჩხირებზე წამოვაცვი. კოცონიდან ისეთი სურნელი იგრძნობოდა, რომ ჩვენმა ძაღლებმა თვალები მოჭუტეს და თავები ასწიეს, იყნოსავდნენ.

სადილის მერე წყალმარჩხის სანახავად გავწიეთ. მალე მოვბრუნდით.ქვიშრობში მოძრაობა გაგვიძნელდა. ძაღლებთან ერთად ბერესტიანკაში ჩავსხედით და ორი ნიჩბის მოსმით გავცურეთ. წყალმარჩხთან მდინარის სიჩქარე რამდენადმე კლებულობდა, წყალი აქაფებული იყო. ნაპირს მივადექით და უახლოეს კლდოვან მწვერვალზე ავედით. ქვემოთ წყალმარჩხი "დუღდა", უმტვერო თოვლისფრად აქაფებული ჭორომი მდინარის შუა ნაწილიდან შორს გრძელდებოდა და მხოლოდ მეორე ნაპირზე მოჩანდა ნავისთვის ხელსაყრელი "ჭიშკარი". ბინოკლიდან მორიგეობით და ყურადღებით ვაკვირდებოდით.

– ბრძნული რამ გვირჩია ოლანმა. – მითხრა ლენამ, როცა მდინარისკენ დავეშვით. – როგორ გაგვიჭირდებოდა ბერესტიანსკის გარეშე, შორს ვერც კი გავცურავდით.

– მეც ეს ვიფიქრე. ამდენის მნახველ ადამიანებს ეს როგორ დაგვავიწყდა?

ბანაკში დაბრუნებულებმა გადავწყვიტეთ ჩვენი ნელმავალით მდინარის მეორე ნაპირზე გადავსულიყავით. მორევი არ ჩაგვითრევდა? მდინარეს აღმა ავუყევით, მაგრამ როცა ყურედან გამოვედით მიუხედავად არც ისე სწრაფი დინებისა ნავი "გაჯიუტდა". ასე ორასი მეტრი გავცურეთ. წინ ჭორომი გადაგვეღობა. ნიჩბებთან დავჯექი და მდინარე ნელ–ნელა გადავცურეთ. ლენა მარჯვედ მართავდა ნავს და თან მოახლოებულ წყალმარჩხს თვალს არ აცილებდა. წყალმარჩხამდე მდინარე მდორედ მიედინებოდა, მაგრამ არც ისე, როგორც კლდიდან მოგვეჩვენა. მოპირდაპირე ნაპირს სწრაფად მივუახლოვდით. მთელი ძალით ვუსვამდი ნიჩბებს. ქვიანი ნაპირისთვის გვერდი უნდა აგვექცია. – ოდნავ მარჯვნივ! – მომესმა ლენას ხმა. განაპირა შვერილს ორი მეტრის დაშორებით ჩავუარეთ და უცებ ჩქერში აღვმოჩნდით, პირქუში შესახედაობის, მაგრამ უწყინარ ჩქერში. ჩვენს თვალწინ ჩრდილოეთის ბობოქარი მდინარის განიერი ხეობა გადაიშალა.

საღამოვდებოდა. საათის მიხედვით. ამ დროს მზე დღე–ღამურად ანათებს. აუჩქარებლად, ნაპირ–ნაპირ მივცურავდით. ბანაკისთვის ადგილს ვარჩევდით. გადავწყვიტეთ დიდი ნაკადულის შესართავთან, წყნარ ლაგუნაში, რიყეზე

დავბანაკებულიყავით. მსუბუქი, სამგზავრო კარავი დავდგით. ეს კარავი ლენამ ტიკისგან[8] შეკერა. უკვე რამდენი წელია ერთგულად გვემსახურებოდა. მე შეშის დამზადებას შევუდექი.

- ნაკადულს გავუყვები, დოჩას წავიყვან. – მითხრა ლენამ.

შეშა მოვიმარაგე. კოცონი არ ავანთე და მეცე ნაკადულისკენ გავწიე. ჯერ ნაკადულამდე არ მიმეღწია, რომ მდინარის სილიან ნაპირზე უზარმაზარი ხვადი დათვის ნატორალი შევნიშნე. რამდენიმე საათის წინ აქ ყოფილა, წყალი დაულევია, მერე კი ნაკადულს ზემოთ აჰყოლია. სტოტს გადავხედე. ნაკადულისთვის ყურადღება არ მიუქცევია და პირუტყვი რომ არ ყოფილიყო, იტყოდა ძველიაო. სტოტი ნაკადულისპირა ბუჩქნარში შეიმალა, თუმცა მალე კუდის ქიცინით შემეგება. ძაღლთან ერთად კიდევ ერთ პლაჟს მივაღწიე. აქ აშკარად ემჩნეოდა დათვის, ლენას, დოჩას და სტოტის ნაკვალევი.

– სტოტ, იმისთვის დაბრუნდი, რომ დიასახლისის ახალი ნაკვალევი ნახე? ყოჩაღ, გაიქეცი და დიასახლისი ბანაკში მოიწვიე.

და სტოტმა დაიყეფა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩემი ბრძანება გაიგო. ვიცოდი, ლენა სტოტის დანახვაზე ყველაფერს მიხვდებოდა და დაბრუნდებოდა ან სტოტს ბარათს გამოატანდა.

გზა აღარ გავაგრძელე და ბერესტისგან სხვადასხვა ზომის კოლოფების გაკეთებას შევუდექი. მათში შეიძლებოდა ცომის მოზელა, თევზის დამარილება შებოლვამდე, თევზისა და ხმიადების შენახვა და საერთოდ ბერესტისგან გაკეთებული კოლოფები უნივერსალური ტაიგური ჭურჭელია. ჩაის დალევაც კი შეიძლება, ხელი არც დაგეწვება. ძაღლებსაც ხომ სჭირდებათ ჭურჭელი, ყველაზე დიდს კი სარეცხისთვის გამოვიყენებთ, გობის მაგივრად. ვიცოდი, რომ დღეს სრული სერვიზის გაკეთებას ვერ მოვასწრებდი, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის ბერესტა და სარგა (ნაძვისა და კედრის წვრილი ფესვაკები) უნდა მომემარაგებინა. ფესვაკებს შუაზე გავჭრიდი და ქვაბში მოვხარშავდი. კოლოფებს ამით შევკერავდი.

აი, დოჩას და სტოტის ყეფა გაისმა. ლენას ხმაც მომესმა და ყეფაც შეწყდა. როცა დამინახა რას ვსაქმიანობდი, ლენას გაუხარდა.

– მე თვითონ მინდოდა გამეკეთებინა, მაგრამ სინჯების რეცხვამ გამიტაცა. აი, ნახე რა ვიპოვე.

[8] ტიკი – ბამბის ან სელის მტკიცე ქსოვილი, ძირითადად ზოლიანი.

ლენამ გყალგაუმტარი ქურთუკის ჯიბიდან პატარა პარკი ამოიღო. ხელისგულზე ფრთხილად გადმოყრილმა პირიტის კრისტალებმა გაიბრწყინა. ამ დროს სტოტმაც მოირბინა.

– ხვალ ერთად წავიდეთ, უფრო შორს. შენ კი რა აღმოაჩინე?

– მე არაფერი. შენ უფრო იღბლიანი ხარ. პატარა კრისტალებია.

– გახსოვს ის ულამაზესი ხეობა? იქაც პაწაწინა კრისტალები იყო, მერე კი...

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, იმ ზღაპრული ხეობის დავიწყება როგორ შეიძლებოდა.

ბერესტა, ფესვაკები, შესაკერად გამზადებული კოლოფები ავიღეთ და ბანაკისკენ გავწიეთ. კარავი, ნავები, შეშა ამ ნაპირს დასახლებულის იერს სძენდა და თავი როგორც შინ ისე ვიგრძენით.

ვახშმისთვისაც უნდა გვეზრუნა. სადილიდან მორჩენილი თევზი გვეცოტავა და ახალი უნდა დაგვეჭირა. თავგამოდებული მეთევზეები არასდროს ვყოფილვართ, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში თევზს სათევზაო ჯოხით, დიდი ანკესებით, სატყუარათი ვიჭერდით. ბადით თევზაობა არ გვიყვარდა და არც გვქონდა.

სურსათი შეგნებულად ბევრი არ მოვიმარაგეთ. საგზლად ცოტა ფქვილი, შაქარი და კარაქი წავიღეთ. (მერე თევზის ქონს ვიხმარდით. ეს ქონი გემრიელია, სააფთიაქოს კი არ ჰგავს). ხმიადებს ევენკურად (უცხიმოდ) გამოვაცხობდით ცხელ ღადარში. თუ ოლადებით პირის ჩატკბარუნება გვენდომებოდა, ამისთვის კარაქი გვქონდა. დავლევდით სხვადასხვანაირ ტაიგურ ჩაის: წითელი მოცვის (ფოთლების), შავი მოცხარის (ფოთლებისა და ყლორტების), ასკილის (ფესვების) და ჩაგუს (არყის ხის შავი სოკო აბედისებრთა ოჯახისა). კენკრის მწიფობისას კი მრავალფეროვანი და გემრიელი იქნება. ძირითადად თევზი უნდა გვეჭამა, კოტლეტებსაც გავაკეთებდით, ამისთვის ხორცსაკუწიც წავიღეთ. დიდი ტაფაც არ დაგვიწყებია.

წყლიდან თევზების დგაფუნი ისმოდა. ხშირად წყლის სიღრმიდან დიდი, უზარმაზარი ტაიმენები ამოხტებოდნენ, წყალს აშხეფებდნენ და ნავებთან ახლოს წყალზე ეცემოდნენ. შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ჩვენი არც ეშინოდათ.

ვიჭერდით სატყუარებითა და ჭიაყელებით. პატარა თევზებს ისევ მდინარეში ვუშვებდით, დიდებს კი ჩვენთვის ვიტოვებდით. ასე, ნახევარი საათის მერე თევზაობას თავი დავანებეთ. იმაზე მეტი დავიჭირეთ, რამდენიც საღამოს ვახშმად და დილით დაგვჭირდებოდა. თევზაობით ისე გავხალისდით, რომ თავი ძლივს დავანებეთ.

– ხვალ დავისვენოთ, ტაიგაში შევიდეთ, შენს ნაკადულთან კოლოფები გავაკეთოთ, თევზიც მოვიმარაგოთ, შევბოლოთ, რომ თევზაობისთვის დრო აღარ დავკარგოთ. ყოველთვის იოლად ხომ არ დავიჭერთ. – ვუთხარი ლენას და კოღოების დასაფრთხობად დიდი მხრჩოლავი კოცონი გავაჩაღე.

კოცონი ბოლავდა, ბოლი მიწაზე არ ეფინებოდა. "ხვალ კარგი დარი იქნება" – გავიფიქრე და "პაპისეული ჰიგრომეტრი" გამახსენდა, ნაძვის როკი წვიმას არ გვაუწყებდა.

– ვახშამი მოამზადე, მე კი ვეცდები ვითევზაო.

ძაღლებმა ნავში ჩახტომა მოინდომეს, მაგრამ ვუბრძანე, რომ ლენასთან დარჩენილიყვნენ და ისინიც, ცოტა შემცბარნი კოცონისკენ წაცუნცულდნენ.

საღამო იყო, დარი. მდინარის მეორე ნაპირზე ბოლში მოჩანდა კოშკისებური მთები და კარავი, იქვე შავი თითქოს ნაპირზე ამომხტარი უზარმაზარი თევზის მსგავსი ნავი, ლენა, იქვე შორიახლოს მჯდარი ძაღლები. ძაღლები ჩემკენ იყურებოდნენ, მათ ხომ ჩემთან წამოსვლა ძალიან უნდოდათ, მაგრამ თევზაობაში ხელს შემიშლიდნენ. რასაც ეხლა ვუყურებდი, ჩემთვის ნაცნობი, ძვირფასი და ახლობელი იყო...

ბიძგი ისეთი ძლიერი იყო, რომ ჯოხი კინაღამ ხელიდან გამეშვა. ასე მხოლოდ ტაიმენს შეეძლო. რამდენიმე მეტრი ლარი მოვუშვი. წყლიდან დიდი თევზი ამოხტა და ისევ ჩაყვინთა. ბერესტიანკის ახლოს კიდევ ერთი ტაიმენი შევნიშნე.

თევზები ბერესტიანკის გადაყირავებას როგორ ცდილობდნენ, აღარ აღგიწერთ. გეტყვით, რომ თავდაუზოგავად ვიბრძოდით. ნებისმიერ წამს ნავიდან გადავვარდებოდი, ნავის მართვაში დახელოვნებული რომ არ ვყოფილიყავი, ცივი აბაზანა არ ამცდებოდა. როცა ტაიმენი დაიქანცა, ნაპირისკენ გავათრიე. იქვე, ნაპირთან აფორიაქებული ლენა და ძაღლები მელოდებოდნენ, გახარებული ძაღლები ყეფით შემეგებნენ. ტაიმენი თითქმის ერთნახევარი მეტრი სიგრძისა იყო.

ვახშმის მერე ცოტა ხანს კოცონთან ვიჯექით, საველე დღიურში ჩანაწერები გავაკეთეთ და მერე ტიკის კარავში დასაძინებლად დავწექით, თბილ, საძილე ტომრებში დავიძინეთ.

დილა საუკეთესო დროა ბიოლოგიური დაკვირვებისათვის. საუზმედ ცივი უხა გვქონდა, წინა საღამოს ჩხირებზე შემწვარი მორჩენილი თევზით კი ძაღლები გავაძღეთ.

პირველი მარშრუტი მდინარის ქვემოთ დავსახეთ. ძაღლები არ წავიყვანეთ, ხელი რომ არ შეეშალათ და ისინიც მორჩილად წამოწვნენ კარავთან ახლოს.

ნაკადულის მეორე მხარეს დათვის გუშინდელ ნაკვალევზე გავიარეთ.

– სჩანს, დათვი ხშირად ჩერდებოდა, ნაკადულს გადაივლიდა, უკან ბრუნდებოდა, აღმა აუყვებოდა. ალბათ მისი ყურადღება რაღაცამ მიიქცია, მაგრამ რამ, ვერ ვხვდები. – თქვა ლენამ.

– მალე ვერც გეიგებ. თუ ნაკვალევი მის ბუნაგთან ახლოსაა, იქნებ რაიმე მოინადირა, ცხენ–ირმის ხორცი მიირთვა ან სამკურნალო ფესვებს ეძებდა. ჩვენ ხომ ცოტა რამ ვიცით მათი მწვანე აფთიაქის შესახებ.

ამის მერე უბრად მივდიოდით. აქეთ–იქით ყურადღებით ვაკვირდებოდით და ვაყურადებდით. მივდიოდით რიყეზე და გვიხაროდა კლდეები რომ არ გვეღობებოდა. მდინარეს ნისლი ეფინა, ისმოდა დიდი თევზების დგაფუნი, ღალღების სტვენა, ტაიგის ჩიტების ხმები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ჩრდილოეთის ბულბულის, შაშვების გალობა.

მდინარის პირველსავე მოსახვევის მერე ქვიშიანი ნაპირი დაიწყო. რიყეზე მკაფიოდ ჩანდა დიდი ხვადი დათვის ახალი ნაკვალევი. ეს გუშინდელი ნაცნობი იყო. გვხვდებოდა ცხენ–ირმების ნაკვალევიც. უცებ ლენა შეჩერდა:

– უყურე! ნისლში მდინარეში ხარი ცხენ–ირემი ჩანდა. ასე, ოცი მეტრი გვაშორებდა. გაუნძრევლად ვიდექით. ცხენ–ირემი ნაპირს მოუახლოვდა, წყალს აშხეფებდა, ფრუტუნ–ფრუტუნით ნაპირზე გამოვიდა. თავი მაღლა ასწია, რამდენიმე წამი გარინდებული იდგა, მდინარიდან ასე სამი მეტრის დაშორებით, წყალი ჩამოიბერტყა და სულ მალე იქვე ბუჩქნარში გაუჩინარდა.

– რა ლამაზია. მისი ყურება ყოველთვის სასიამოვნოა. ხშირად მდინარეს გადაცურავს ხოლმე. რამდენი ნაკვალევია. ძველიც და ახალიც. დამამახსოვრდა... – უცებ ლენამ თავი მოატრიალა და მიაყურადა. – არაფერი გესმის?

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

– აი, კიდევ!

შორიდან ოდნავ ისმოდა უცნაური ჟღრიალი.

– მახვილი სმენა გაქვს, როგორც ახალგაზრდა ცხენ–ირემს.

– კოდალის კაკუნს არ ჰგავს...

– არა. ეს კოდალა არაა.

უცებ თავში რაღაც აზრმა გამიელვა.

– წავიდეთ!

ხმა უფრო გარკვევით ისმოდა, ნაწყვეტ–ნაწყვეტად. ეს ხმა ნაპირთან ახლომდებარე ნახანძრალიდან ისმოდა.

ნახანძრალზე ვერხვი და არყი ამოსულიყო. უხმაუროდ ვეღარ მივდიოდით, ამიტომ ნაბიჯს მაშინ ვდგამდით, როცა ეს უცნაური ხმა ისმოდა, თუმცა ეს ხმა უფრო მოკლე იყო. ნელ–ნელა, ნაბიჯ–ნაბიჯ ვუახლოვდებოდით. და აი, თითქმის მივუახლოვდით. ახლა ყოველი გაჟღრიალების მერე სუსტი ბურდღუნიც ისმოდა. ცოტა კიდევ წავიწიეთ და ნორჩ ხეებს შორის დავინახეთ მეხდაცემული ლარიქსი, უფრო ზუსტად მისი ნაშთი. გადამტვრეული ლარიქსი ასე ორნახევარი მეტრი სიმაღლის იქნებოდა. იქვე უკანა ტორებზე დათვი იდგა. ერთი წინა ტორი ხისთვის შემოეხვია, მეორეთი კი ანახლეჩს ექაჩებოდა, მერე უშვებდა და სწორედ ეს გამოსცემდა მოკლე და მჟღერ ბგერას. დათვი სიამოვნებით უსმენდა, თავს სასაცილოდ აქეთ–იქით აქნევდა, თან ბურტყუნებდა.

– მიუმღერებს კიდეც. – ჩამჩურჩულა ლენამ. “მუსიკოსს” არ გაუგია, ჩვენკენ არ გამოუხედავს. ბოლოს, როცა დათვმა თამაშით გული იჯერა, ოთხზე დაეშვა, ხეს გვერდი გაუხახუნა და ნახანძრალ ტყეში გაუჩინარდა. ჩვენ კიდევ რამდენიმე წუთი გაუნძრევლად ვიდექით, მერე ნახანძრალ ლარიქსს მივუახლოვდით. ანახეთქს, რომელზეც დათვი უკრავდა, ვერ მივწვდი.

– ხომ არ გინდა დაუკრა. – მკითხა ლენამ.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

– მერე დათვს არ ეწყინება?

– ვინ იცის. – მხრები ავიჩეჩე.

შორიახლოს მეხდაცემული ლარიქსის ღერო ეგდო, იქვე მსხვილი ტოტებიც. საიმედო კიბე გავაკეთე და ავძვერი. მჟღერ ანახეთქს ხელით მივწვდი, მაგრამ ძალა არ მეყო, რომ გამომეწვია. კიბეს მყარად დავეყრდენი და ორივე ხელით გამოვწიე. თითები გავუშვი და ანახეთქმაც გაიჟღრიალა, ცოტახანს და უმალ ჩაჩუმდა. კიდევ გამოვწიე. ისევ ისე. ლენა ხის ქვეშ იდგა თოფის ხელში და აქეთ–იქით გაფაციცებული იყურებოდა. დათვი არ მობრუნებულა იმის სანახავად, თუ ვინ გაბედა მის “ინსტრუმენტზე” დაკვრა. უეჭველია, რომ ესმოდა. ალბათ ფიქრობდა: “ვიღაც ბელი ცდილობს დაუკრას, დაე გაერთოს. თავს არ გავუყადრი. მერე რა, რომ ჩემს უბანში შემოვიდა. აი, დიდი რომ ყოფილიყო, ვიცი რასაც ვუზამდი.”

კიბე დავშალე, ტოტები ლარიქსისკენ მივათრიე. დაე ისე იყოს, როგორც ჩვენს მოსვლამდე.

ნაპირზე გამოვედით. უბრად მივდიოდით. ლენა იღიმებოდა.

– გაგახსენდება?

– რა თქმა უნდა.

სიარულისას არ ვლაპარაკობდით ხოლმე, მხოლოდ მოკლე წინადადებებს. ამჯერადაც ასე იყო. შინ, ბანაკში ვისაუბრებთ.

ბანაკს კილომეტრზე მეტი გვაშორებდა. გადავწყვიტეთჩვენი ოთხფეხა მეგობრები გამოგვეცადა, ხომ არ დაავიწყდათ ჩვენი მოხმობა. თოფი დავცალე. – მოდი, დვიმალოთ. – მითხრა ლენამ და ჩვენც უახლოესი ბუჩქებისკენ გავიქეცით. ძაღლები მოჰქროდნენ. ჩვენს ახალ ნაფეხურებზე გეში აიღეს და ბუჩქებში თავს დაგვადგნენ, სიხარულით კუდებს აქიცინებდნენ, ზედ გვახტებოდნენ, უნდოდათ ჩვენთვის თუნდაც ერთხელ ცხვი–პირი აელოკათ.

ლენამ ძაღლებს მიუალერსა.

– თქვენ ხომ არ იცით რა ვნახეთ და მოვისმინეთ. თქვენ რომ ჩვენთან ყოფილიყავით ამ იშვიათ სანახაობას ვერ ვიხილავდით.

დოჩა და სტოტი უმალ დადინჯდნენ და ლენას ყურებაცქვეტილი უსმენდნენ.

– პირველად ვნახე მუსიკოსი დათვი, ოდესმე ვნახავთ კიდევ?.. მითხრა ლენამ.

## ლიპ–ყინული

იმ გაზაფხულს საუცხოო ლიპი იყო. დღისით მზე ათბობდა, ღამით ყინვა ჭედავდა თოვლს. თოვლს ყინულის სქელი ქერქი გადაჰკვროდა, ადამიანსაც კი უძლებდა. იქნებ ასეთი არც ყოფილიყო, გამოდარების წინ წვიმა რომ არ მოსულიყო. მთელი დღე და ღამე წვიმდა, მერე მზემ გამოანათა, დღისით თბილოდა. როგორც არ უნდა ყოფილიყო ლიპი მაგარი იყო.

მე, თექვსმეტი წლის ჭაბუკს, თავგამოდებულ მონადირეს, ერთი სული მქონდა ყრუანჩელების თავშესაყარ სატიხტიხეზე წავსულიყავი. მარტოც წავიდოდი, მაგრამ ჩემს

მეწყვილე მონადირეს, ჩემზე ათი წლით უფროსს ვასილი ვახნევს (მე მას “ძია ვასიას” ვეძახდი) არ შეეძლო, როგორც ამბობდა ორი დღე ვერ გამონახა საამისოდ. სხვა რა გზა მქონდა, უნდა მელოდა. ყოველ საღამოს ვეკითხებოდი:

– ძია ვასია, ხვალ წავალთ?

– აჩქარებით საქმე არ გამოვა. ცოტა კიდევ მოვიცადოთ.

– რაღას უნდა ველოდოთ. მერე ყინული რომ ჩაიმტვრეს, სადღა წავალთ.

– ყველა ნიშნით არ უნდა ჩაიმტვრეს. ცოტა კიდევ მოიცადე. მეტიც მიცდია.

მეც ვიცდიდი. ყოველ საღამოს ცოტა–ცოტა ვაეჭვებდი, იქნებ ყინული მართლაც ჩამტვრეულიყო. როცა უღრუბლო ცა მოიქუფრა, შევფიქრიანდი და ავფორიაქდი. ძია ვასიაც. გადავწყვიტეთ შორეულ სემჩუჟსკის ტბაზე წავსულიყავით. ტბასთან ახლოს, დიდი ჭაობის განაპირას წითელწარბა ყრუანჩელების სატიხტიხე იყო. ამის შესახებ მომიყვა მარტოხელა მოხუცმა, ოდესღაც კარგმა მეტყევემ, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე. ახლა კი ვხვდები, რომ მშობლიური ბუნება ძალიან უყვარდა. მასთან ვმეგობრობდი. ძალიან გულთბილად მექცეოდა.

ამ სატიხტიხეზე რომ ვიყავი, შემდეგ გაზაფხულზე ძია ვასია წავიყვანე. ამ ადგილის შესახებ მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცოდით, საიდუმლოდ ვინახავდით და თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდით. ძლიერი სატიხტიხე იყო. შარშან გაზაფხულზე იქ არანაკლები ორმოცი ყრუანჩელა ტიხტიხებდა. გაზაფხულის განმავლობაში თვითეულმა ასე ოთხი–ხუთი ცული წამოვიყვანეთ. სანაშენედაც უნდა დავტოვოთ” – ძია ვასიას დარიგებას ვეთანხმებოდი.

გადავწყვიტეთ თხილამურები არ წაგვეღო. – ასეთ თბილ ამინდში თუ ყინულის ქერქი ჩაიმტვრევა, თხილამურები რას გვიშველის, ან კი როგორ ვივლით. – თქვა ძია ვასიამ.

სოფლიდან ღამით გამოვედით. ყინავდა. ათი კილომეტრის მანძილზე გზას მივუყვებოდით. ამ გზით შორეული მდელოებიდან თივას ეზიდებოდნენ. გარიჟრაჟზე ტბამდე უნდა მიგვეღწია. ტბის პირას პატარა, ძველი ქოხმახი იდგა. ეს ქოხი იმ პაპისა იყო, ვისთანაც ვმეგობრობდი. ოდესღაც იმ ქოხამდე ბილიკი მიდიოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში აბალახებდა. ეს ბილიკი ზაფხულშიც ძნელად შესამჩნევი იყო, მითუმეტეს ზამთარში და ჩვენც პირდაპირ მოკლეზე მივდიოდით. ღამით ტყეში სიარული არც ისე სახალისოა და მიუხედავად იმისა, რომ გზა კარგად ვიცოდით, არ ავჩქარებულვართ, გზას რომ არ ავცდენოდით.

როცა ვარდისფერმა ცისკარმა ღამის წყვდიადი გაარღვია, ჩვენ უკვე ტბასთან ახლოს ვიყავით.

– ხელი მოგვემართოს. – თავი დააქნია ძია ვასიამ. – სწორედ რომ დროზე მოვედით.

შევედით ქოხში, სულ დაძველებულიყო. ჭერი ჩაინგრეოდა შარშან ზაფხულში ბურჯები რომ არ შეგვეყენებინა. სულ გვინდოდა, რომ ზაფხულში მოვსულიყავით და საფუძვლიანად შეგვეკეთებინა, მაგრამ თავი ვერ მოვაბით.

– ოდესღაც თავზე დაგვემხობა. – მეუბნებოდა ძია ვასია, როცა აქ ღამეს ვათევდით. მეც ამას ვფიქრობდი და ამის გამო ყოველ გაზაფხულს ჩვენს თავს ვამუნათებდით დანაპირების შეუსრულებლობის გამო, რაც ამ ქოხს დავპირდით.

სანამ ძია ვასია ეწეოდა, ცული ავიღე და შეშისთვის გარეთ გავედი. გვინდოდა აბანოს ღუმელი გაგვეხურებინა, მაგრამ შეგვეშინდა ეს "მხცოვანი ღუმელი არ ახრჩოლებულიყო სანამ სატიხტიხეზე ვიქნებოდით. მხოლოდ თოფები წავიღეთ. უნდა გვეჩქარა, რათა მოგვესწრო და ქოხში დავბრუნებულიყავით.

სატიხტიხეზე არც ერთი ყრუანჩელას ნაფეხური არ შეგვიმჩნევია, ან კი ასეთ ლიპ–ყინულზე როგორ შეემჩნეოდა. გამოუცდელი მონადირე სატიხტიხეზე ასჯერ გაივლის და ვერ მივხვდება, გამოცდილი კი ყრუანჩელების საბუდარ ხეებსაც იოლად გამოიცნობს.

– ბევრი სიარული არცაა საჭირო. რაც ვნახეთ, ისიც საკმარისია. – თქვა ძია ვასიამ, ქუდი მოიხადა და ხელის მტევნით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. – შარშან უფრო ნაკლები ყრუანჩელა იყო, სჩანს სატიხტიხე ფართოვდება. თუ ჭკუას მოვუხმობთ ჩვენ და ჩვენს შთამომავლობას საუკუნოდ ეყოფა.

ძია ვასიამ თამბაქო ქაღალდში გაახვია, ზურგით უზარმაზარ ფიჭვს მიყრდნობოდა, რის ქვეშაც უამრავი ნაკვალევი ემჩნეოდა. მდუმარედ ვუცქერდი და ვაყურადებდი როგორ "საუბრობდა" გაღვიძებული ტყე. ყოველი მხრიდან ისმოდა წივწივების მხიარული ჭიკჭიკი. შორიახლოს ორი როჭო ეძახდა ერთმანეთს. "ტი–ტიუიტიუი ტი–ტი", ეუბნებოდა ერთი, "ტი–ტიუი" – ეპასუხებოდა მეორე.

– ხედავ? ერთმანეთს ეძახიან. რა დროს მოწევაა, სადაცაა დათბება. გავიქცეთ.

ჩვენც გავიქეცით. შეუმჩნევლად, მშვიდობით მივაღწიეთ ქოხამდე.

– სწორედ რომ დროზე დავბრუნდით. დატვირთულს სიარული გამიჭირდა. – თქვა ძია ვასიამ და მოსამარაგებლად მოტანილი კუნძები დაყარა.

ქოხიდან ოთხზე გამოვედი. დაბალი კარის ღიობიდან ბოლი გამოვარდა, რადგან საკვამური ვერ ეწეოდა.

– ხედავ? ღუმელი რა კარგად გაგიხურებია, – კარისკენ გადააქნია თავი ძია ვასიამ. – სანამ ბოლი არ გაიფანტება, გარეთ ვისაქმებ.

და ისიც მოტანილი კუნძების დაჭრას შეუდგა, მე კი ვაწყობდი. პატარაკოცონზე თოვლი დავადნე და ავადუღე. თოვლიდან ამოთხრილი წითელი მოცვის ყლორტების ჩაი დავლიეთ. იქვე დავლიეთ, ქოხთან, შეშაზე მიყრდნობილებმა. დიდი სიამოვნებით ვსვამდით, რადგან კარგა ხანია გვწყუროდა. თოვლით წყურვილის მოკვლა კი ტყის კაცს არ შეეფერება.

როცა ბოლოსდაბოლოს ღუმელი გახურდა, ქოხში შევძვერით, გავიხადეთ, ტახტებზე ტანსაცმელი დავიფინეთ და მივწექით. მე, როგორც ყოველთვის, პატარა სარკმელთან, ძია ვასია კი ყრუ კედელთან, ფეხებით ღუმელისკენ. მალე ხვრინვა ამოუშვა, მე კი წიგნი ავიღე.

შეიძლება ითქვას, რომ მთელი დღე უსაქმოდ ვიყავით. ქოხიდან ნაბიჯსაც ვერ ვდგამდით. თოვლი დარბილდა, ძია ვასიას თქმით, მიწამდე, წელამდე თოვლში სიარული კი არ გვინდოდა, აუცილებლობაც არ იყო. აფორიაქებული ვფიქრობდი: “იქნებ არც გაყინოს?” სჩანს, ძია ვასიაც ამას ფიქრობდა. ისიც, როგორც მე, ქოხიდან გამოდიოდა და ცას შესცქეროდა. საღამოს ყინვა ცოტა გაძლიერდა.

– აი, რას გეტყვი ამხანაგო, – თქვა ძია ვასიამ, როცა საღამოს ჩაის ვსვამდით. – საქმეს კარგი პირი არ უჩანს. თუ აქედან წავალთ, უთენია უნდა წავიდეთ, სატიხტიხეზე ადრე უნდა გავიდეთ. ყრუანჩელასთან რაც შეიძლება ახლოს უნდა მიხვიდე. როგორც კი დაუმიზნებ, უმალ ესროლე. დრო არ დაკარგო. თუ არა და ძნელი მოსანადირებელი იქნება. სატიხტიხეზე ბევრნი არიან. სანამ ერთს მიუახლოვდები, მეორე გაიგებს. შენ თვითონ გაიაზრე. ასე შევთანხმდეთ: თვითეულმა წყვილი დავხოცოთ და მორჩა ნადირობა, უმალ გამოდი. თუ ხელი მოგეცარა, ჩემს გასროლას დაელოდე. ორი გასროლის ხმაზე, მოინადირე თუ არა, ქოხისკენ გამობრუნდი. მოვრჩეთ ნადირობას. თუ ქოხში შევბრუნდები, დამეწიე. ქოხში ვინც პირველი დაბრუნდება, ჩაის აადუღებს. თუ დავლევთ, კარგია, თუ არა, მაინც კარგია. თივის საზიდ გზამდე როგორღაც უნდა მივაღწიოთ. ჩაის დალევას მერეც მოვასწრებთ.

ასეთი გრძელი საუბარი ძია ვასიასგან კარგა ხანია არ მსმენოდა. სჩანს უსაფუძვლოდ არ იყო შეფიქრიანებული. ალბათ გაახსენდა მაშინ როგორ ვეფლობოდით თოვლში.

– მე არც კი დავხოცავდი, ოღონდ მათი ტიხტიხისთვის მესმინა, მაგრამ ბიჭები ხომ დამცინებენ, ასეთ ცარიელ–ტარიელი რომ დავბრუნდებით.

– წყვილი დახოცე. უნდა ვიჩქაროთ, შენც კარგად იცი, რომ უკან დასაბრუნებელი გზა სახუმარო არ არის.

საღამოს ჩამთვლიმა, მერე აღარ დამძინებია. გარეთ გამოვდიოდი და ცას ვაკვირდებოდი, თოვლს ხელით ვსინჯავდი. შუაღამემდე ყინვამ მოუჭირა, მერე კი ნაშუაღამევს დიდი დათვის თანავარსკვლავედის ციცხვიდან "წყალი გადმოიღვარა", ესე იგი შემოტრიალდა. ამხანაგი გავაღვიძე.

როცა ჭაობს ვუახლოვდებოდით, ჩრდილო–აღმოსავლეთის მხარეს ცა ოდნავ აალისფერდა. სწორედ რომ დროზე მოვედით. შევყოვნდით, ვაყურადებდით. სიჩუმეა. სანამ ერთმანეთს დავშორდებოდით, დავთქვით, რომ ფრინველი არ დაგვეჭრა, უმალ დაგვეხოცა. ძია ვასია, როგორც ყოველთვის, მარჯვნივ წავიდა, მე – მარცხნივ. ცოტა გავიარე. შევჩერდი. მივაყურადე. სიჩუმეში ძია ვასიას ნაბიჯების ხმაც კი არ ისმოდა. ასი მეტრი კიდევ გავიარე და შევჩერდი. სიჩუმეა. ცოტა კიდევ გავიარე და გავირინდე. შაშვის ხმა მომესმა. სადღაც შორს მამალმა თეთრმა კაკაბმა ხორხისმიერი "კობაი, კობაი!ძ დაიყვირა, ესე იგი ყრუანჩელაც გაიღვიძებდა. ნაბიჯს ვერ ვდგამდი, რომ არ დამეფრთხო. იქნებ სულ ახლოს მსხვილ ტოტზე ზის გაუნძრევლად და ცისკრისკენ იყურება, აყურადებს. დარბილებულ თოვლზე ხომ უხმოდ ვერ ვივლიდით. გავფაციცდი. და აი, მომესმა ხმა, რომლის გაგონებაზე გული შემეკუმშა და პირი გამიშრა. ის ხმა, რომლის გაგონებასაც გაზაფხულიდან გაზაფხულამდე მოუთმენლად ველოდები. ეს, პირველი ყრუანჩელას სიმღერის დასაწყისი იყო. "ტეკ–ტეკ". ისევ სიჩუმე გამეფდა. ყრუანჩელა სულ ახლოსაა, სადღაც გვერდით, აი, იმ დიდ ფიჭვზე. ისეთი გაფაციცებული ვიყურები, რომ თვალები მეტკინა. "ტეკ–ტეკ–ტეკ". ეს ნაწყვეტ–ნაწყვეტი ხმები გახშირდა და ერთმანეთს შეერწყა. და აი, ჩუმი, მისი სიმღერის მეორე ნაწილი. ყრუანჩელა ისე ახლოს იყო, რომ მესმოდა მისთვის დამახასიათებელი ფრთების ფრთხიალი. ერთი სიმღერა მოვისმინე, მეორე, მესამე. ყრუანჩელამ სიმღერა დაამთავრა. ჩემს ყურს სხვა ყრუანჩელების ტიხტიხიც მისწვდა. "ბევრნი არიან". – გავიფიქრე. სიმღერის დროს ადგილი მოვინაცვლე და როცა აელვარებული ცისკრის ფონზე ვუცქერდი, შორიდან გასროლის ხმა მომესმა. ყრუანჩელას ტიხტიხი არ შეუწყვეტია. თოფი მოვიხსენი, მაგრამ არ მისროლია. ვიცდიდი, ჩემს შორიახლოს მყოფი მეორე ყრუანჩელა როდის დაამთავრებდა სიმღერას. მისი ტიხტიხი კარგად მესმოდა. მაშინ გავისროლე, როცა მღეროდა. ახლა სწრაფად უნდა მოვახლოებოდი. უნდა მეჩქარა. მალე მეორეჯერაც გავისროლე. კარგად ისმოდა სხვა ყრუანჩელების ტიხტიხი,

მაგრამ მეტი არ დამიხოცავს, ასეც ვიყავით შეთანხმებული. სულ არ მინდოდა სატიხტიხედან წასვლა. ვიდექი, ვუსმენდი, ვუცქერდი, მაგრამ ხომ უნდა დავბრუნებულიყავი.

ვცდილობდი არ მეხმაურა, მოტიხტიხე ფრინველები რომ არ დამეფრთხო. ჩუმად, უხმაუროდ დავტოვე სატიხტიხე და როცა საკმაოდ დავშორდი, ძია ვასიას მეორე გასროლის ხმა მომესმა. ახლა კი ქოხისკენ უნდა ავჩქარებულიყავი.

კოცონი დავანთე. ზედადგარზე ქვაბი დავდგი გაციებული ჩაის ასადუღებლად. აი, სადაცაა ძია ვასია მოვიდოდა. თითო ტოლჩა ცხელი ჩაის დალევა მაინც მოგვესწრო. მაგრამ ეს რა არის?! ისევ გასროლის ხმა გაისმა. მეცნაურა. გული დამწყდა. როგორ? წყვილზე შევთანხმდით, თვითონ კი მესამეც მოკლა. თოფი სწრაფად დავტენე და გავისროლე. დაე, გაიგოს, რომ უკვე ქოხში ვარ.

ძია ვასიამ მალე მოირბინა. დიახ, სამი დაეხოცა.

– უკვე სატიხტიხედან მოვდიოდი, რომ ჩემს წინ ფიჭვზე ყრუანჩელა დაჯდა. რა, ცხვირ–პირში უნდა მეყურა? – ჩაიბურტყუნა უკმაყოფილოდ, როცა ჩვენი შეთანხმება შევახსენე.

თითო ტოლჩა თაი დავლიეთ. ხის კაუჭებით ყრუანჩელები გამოვწალით და ნანადირევი პონიაგას გამოვაბით და უკან ძუნძულით გამოვბრუნდით.

– ხომ არაფერი გადავიწყდა? – მკითხა გზაში ძია ვასიამ.

– რა უნდა დამვიწყნოდა. – და ჩვენც ავჩქარდით, რათა ყინვაში მოგვესწრო და სამშვიდობო გზამდე მიგვეღწია.

ჩვენს თვალწინ მდელო გადაიშალა. მივაღწიეთ თუ არა, შევისვენეთ. მდელოს განაპირას, ჩვენგან ასე ორმოცდაათი მეტრის დაშორებით ცხენ–ირემი იდგა, თავი მოეტრიალებინა და ჩვენკენ იყურებოდა. ძია ვასიამ თვალის დახამხამებაში პონიაგა მოიხსნა და აკანკალებული ხელებით ბერდანკის საკეტი გახსნა, საფანტის ვაზნა გადმოაგდო, ფალასკიდან მეორე ამოიღო. შევამჩნიე, რომ ამ ვაზნაში ტყვია იდო. თოფი დატენა და გაუნძრევლად მდგარი ნადირისკენ გაიქცა. მეც ჩემდა უნებურად პონიაგა გადავაგდე და ძია ვასიას დავედევნე. ძველი, პაპისეული ორლულიანი თოფი მქონდა. ძია ვასია ცხენ–ირემთან სულ ახლოს მივიდა, წელამდე თოვლში იყო ჩაფლული, შეჩერდა, თოფი დაუმიზნა, მე მის გვერდით ვიდექი და ვხედავდი, ხელები ძველებურად რომ აღარ უკანკალებდა.

ჩვენს წინ თოვლში ღრმად ჩაფლული ფური ცხენ–ირემი იდგა. ფეხები განზე გაედგა. “მიწამდე” – ძია ვასიას ნათქვამი გამახსენდა. ფეხებთან ახლოს ყინულის კიდეები სისხლიანი

იყო. ცხენ–ირემი ჩვენ გვიყურებდა, მის თვალებში ტკივილი და ნაღველი იგრძნობოდა. მომეჩვენა, თითქოს ცრემლები გადმოსცვივდა. ეს ყველაფერი უმალ შევნიშნე და ჩემი თავი დამავიწყდა და მთელი ძალით დავიყვირე: “არ ესროლო!” შეყენებულმა ჩახმახმა გაიტკაცუნა, თოფი ავწიე. გამომხედა. გამომხედა მან, რომელსაც ძია ვასიას ვეძახდი. თვალები გაუფართოვდა, როცა თითქმის მისკენ დამიზნებული თოფი დაინახა.

– გაგიჟდი? – ამოიხრიალა უცხო ხმით.

– ესვრი თუ არა, მოგკლავ! – დავუყვირე. – მოგკლავ. აბა, ესროლე!

სახე აუჟღაჟღადა, ჩემკენ ნაბიჯი გადმოდგა.

– არ მომიახლოვდე! მოგკლავ!

მკაცრად დამტუქსა. მითხრა: – გაგახსენებ, სიკვდილამდე არ დამავიწყდება. – და პონიაგებისკენ ნელა გაემართა.

უკან არ გავყევი. ფურთან დავრჩი. მინდოდა ახლოს მივსულიყავი, თავზე ხელი გადამესვა, მოვფერებოდი. მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე. მინდოდა მეშველა, მაგრამ არ ვიცოდი როგორ. ფური ცხენ–ირემი ახლა უკვე ნაკლებად კანკალებდა. პირდაპირ თვალებში მიყურებდა, ცრემლები აღარ ჩამოსდიოდა, თუმცა თვალის უპეებში სისველე ეტყობოდა.

ვასილი უკვე კარგა ხანია წავიდა, მე კი თოვლში ვიჯექი ფური ცხენ–ირემთან ახლოს. მციოდა, მაგრამ ვიჯექი. არც ის იძროდა ადგილიდან. ველოდი, რომ სადცაა ძაღლები მოირბენდნენ და ის, ვინც გამოედევნა. გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა მისთვის სიცოცხლე შემენარჩუნებინა, ვასილის ხომ არ ვასროლინე. დრო გადიოდა. არც ძაღლები ჩანდა და არც მონადირე. “აქამდე ალბათ ვეღარც მიაღწევენ” – ვფიქრობდი გახარებული და დიდი ტანჯვა–წვალებით მივდიოდი ფაფუკ თოვლში. ვერხვამდე მივაღწიე. წვრილი ტოტები მოვტეხე, არყის ხიდანაც ყლორტები მოვამტვრიე, კონად შევკარი და ჩემს ფურთან დავბრუნდი. ძღვენი თავისკენ გავუწვდინე. ის ძველებურად ჩემკენ იყურებოდა, მაგრამ თავი ძღვენისკენ არ გაუწევია. მაშინ ყლორტები ახლოს დავულაგე და ჩუმად ვუთხარი: “გვაპატიე”.

აონიაგასკენ გავბრუნდი, თითქმის ყოველ ნაბიჯზე უკან ვიყურებოდი. ის ისევ ისე იდგა და ჩემკენ იყურებოდა. ცხენ=ირემს საკმაოდ დავშორდი, მაგრამ არ დავტოვე და ვიცდიდი... და აი, თავი დახარა. “ალბათ ყლორტებს შეჭამს” – გავიფიქრე, მაგრამ იმდენად შორს ვიყავი, რომ ვერ დავინახე. მერე ნელა დაიძრა ადგილიდან და ასევე ნელა გაემართა ტყისკენ. სანამ ტყის უღრანში არ გაუჩინარდა, ადგილიდან არ დავძრულვარ.

ასეთ თოვლში დიდი წვალებით მივაღწიე გზამდე. ჩემდა საბედნიეროდ არც ისე შორს იყო. შარვალი და ხელთათმანები დამსველებოდა. მციოდა. გზაზე თოფი და პონიაგა დავტოვე. დიდხანს დავეხეტებოდი, სანამ კოცონისთვის ხმელი ფიჩხი არ მოვაგროვე. კოცონი გზაზე დავანთე. ტოლჩით თოვლი დავადნე, გავთბი, გავშრი, ორცხობილა გავღერღნე და უცებ თავში გამიელვა, რომ იქნებ ცხენ–ირემს მგლები დაედევნენ. ჩვენს მხარეში ხომ მგლები საკმაოდ იყვნენ. კმაყოფილი ვიყავი მაშინვე რომ არ დავტოვე. გამახსენდა, რომ ერთი ლულა მქონდა დატენილი. თოფი მსხვილი საფანტით დავტენე.

კოცონთან ვიჯექი, სანამ ცეცხლი არ მინავლდა. გულდაჯერებული დავბრუნდი სოფელში.

რა თქმა უნდა ვასილი ვახნევის ბინიდან წამოვედი.

## ნაკადულთან ახლოს

ცხოველები ყურადღებიანი მშობლები არიან, მათი ნაშიერნი კი დამჯერნი და მოსიყვარულენი.

დედა მურა დათვი თავის ორ ანც ბელთან ერთად ტაიგაში დაეხეტებოდა და ბელებს ტაიგური ცხოვრების თავისებურებებს ასწავლიდა. ბელები რა თქმა უნდა დედას უჯერებდნენ, მძიმე ტორი რომ არ მოხვედროდათ.

ყველაფერი თავისი რიგით მიდიოდა, სანამ დათვის ოჯახი ტაიგის დაბურულ ღარტაფში არ დაეშვა. სჩანს, იქ უნდოდათ მთელი დღე გაეტარებინათ, დაესვენათ, დაეძინათ, მზის მწველ სხივებს მოჰფარებოდნენ, მოსაღამოვებულზე კი ნახანძრალის განაპირას გამოვიდოდნენ. იქ ხომ გემრიელი ჟოლო მწიფდა.

ღარტაფის ძირში ცივი ნაკადული მოჩუხჩუხებდა, აქეთ–იქით ქვებზე ეშხეფებოდა. სწორედ ამ ნაკადულისკენ გაემართა დედა დათვის ტაიგის ბინადართა მიერ დატკეპნილი ბილიკით, მაგრამ ნაკადულამდე ვერ მიაღწია. თითქმის სულ ახლოს იყო, რომ რაღაცამ შეაჩერა. დედა დათვმა წინ გაიწია, მაგრამ თუთიის ჯაჭვი მაგრად იჭერდა.

აი, ტაიგური წიგნის ერთი ფურცელი. იოლად წავიკითხე. დანამულ ძირკვზე ჩამოვჯექი, თოფი და ზურგჩანთა მოვიხსენი, გავაბოლე და ჩავფიქრდი. სჩანს ვიღაცამ ხაფანგი დააგო არა ცხენ–ირემისთვის, არამედ სწორედ დათვისთვის, რაც დამნაშავის გამოცდილებაზე მიუთითებდა. ხაფანგი ასე არაუადრეს ათი–თორმეტი დღის წინ იყო დაგებული, რადგან ორი კვირის წინ ამ ღარტაფში გავიარე და მაშინ ხაფანგი არ შემინიშნავს.

დედა დათვი თავდაუზოგავად ცდილობდა განთავისუფლებას. სამი სოჭი და ნაძვი გაღრღნა ძლიერი კბილებით. აქეთ–იქით ნაფოტები ცვიოდა. გამწარებული მიწას თხრიდა, ბალახებში გორაობდა, მაგრამ ხაფანგში არ უშვებდა. ისე ღრიალებდა, როგორც ტაიგელები იტყოდნენ ხოლმე: “ხეებიდან გირჩები ცვიოდაო”.

როცა აქეთ–იქით მიმოფანტულ ნაფოტებს, ძირკვებს, ორმოებს, მოგლეჯილ ბალახსა და ხავსს ვუყურებდი, ვფიქრობდი, რომ ამ დროს როგორი შავი დღე დაადგებოდა იმას, ვინც ეს ხაფანგი დააგო. გამძვინვარებულ დედა დათვს ადამიანის დანახვაზე იქნებ ჯაჭვი გაეწყვიტა და მაშინ... ალბათ იტყოდნენ: “დათვი თავს დაესხა ადამიანს” და კვლავ ნადირს გაამტყუნებდნენ და არა ადამიანს. ის, ვინც ჯაფანგი დააგო, იყო ერთი იმათთაგანი, ვისზეც იტყოდნენ: “კატასავით მრუში და კურდღელივით მშიშარააო”. დიახ, გაამტვყუნებდნენ ორი ბელის დედა დათვს.

ხაფანგს მივუახლოვდი, უფრო სწორად მის ნაშთს... ბოლოსდაბოლოს ძუ დათვმა თავს უშველა. ჯაჭვში ბეწვი ჩარჩენილიყო. ყველაფერი ნათლად ჩანდა. ის ხომ უცბად ვერ განთავისუფლდებოდა, ალბათ რამდენიმე დღე იწვალა. ამაზე ხომ იქაურობა მეტყველებდა. ნადირისთვის შიმშილი იმდენად აუტანელი არ არის, შეუძლია რამდენიმე დღეც გაძლოს, როგორც ადამიანმა, უწყლოდ კი... უწყლოდ სამი დღე–ღამის მეტი ვერ გასძლებს. ხაფანგში გაბმული დედა დათვი კი წყურვილითაც იტანჯებოდა. მას ხომ ნაკადულის ჩუხჩუხი ესმოდა, უკანა ტორებზე დამდგარს ბუჩქებს შორის შეეძლო დაენახა. ვინ ასმევდა?

იმ დღეებში არ გაწვიმებულა. ნამი კი ამ გავერანებულ ადგილას თუ იქნებოდა, ისიც ძალიან ცოტა...

და უცებ თვალში მომხვდა ახალი, სულ ახალი, ნაკადულისკენ გაკვალული ბილიკი. ყურადღებით დავაკვირდი და დავრწმუნდი, რომ ეს ბილიკი ბელებმა გაკვალეს. ნაკადულის კალაპოტში დიდ ქვებს შორის წყალი იყო დაგუბებული და სწორედ ამ აბაზანისკენ მიდიოდნენ ბელები. სვამდნენ, ჭყუმპალაობდნენ, მერე კი დედისკენ გამორბოდნენ და ისიც ლოკავდა მათ და წყურვილს იკლავდა. სჩანს, შვილებს ხშირად მოუხმობდა, როცა ისინი

ნაკადულისკენ მირბოდნენ. როგორი დატკეპნილი ბილიკი იყო! და წყალში ჩასული ბელები უმალ ბრუნდებოდნენ დედასთან. ისინი ხომ დამჯერი ბელები იყვნენ.

როცა ღარტაფიდან ამოვდიოდი, ვფიქრობდი, ორი დღით ადრე რომ მოვსულიყავი, ჩემი საქმე შავად იქნებოდა. გამძვინვარებული, მშიერი ძუ დათვი ხაფანგს გაგლეჯდა და რა თქმა უნდა მეცემოდა.

ამჯერადაც "ტაიგურმა იღბალმა" მიხსნა. ყველაფერი კარგად დამთავრდა ჩემთვისაც და დათვების ოჯახისთვისაც.

## ქურდი

მოსაღამოვებულზე ტაიგიდან გამოსვლის მერე ქოხში, ფანჯარასთან ვიჯექი და სევდიანად ვუცქერდი საკვებ მაგიდას, იმ "სასადილო" მაგიდას, რომელზედაც წარსულში სივიწროვეც კი იყო. ახლა კი, სუსხიანი ზამთრის მერე უფურო ნაკლები ჩიტი და ნადირი ეწვევა ხოლმე. და აი, ჩემდა გასახარად ვიწრო ბილიკზე ბურუნდუკი შევნიშნე. მაკარონს პირი სტაცა და ლოყის პარკებში შეიტენა. მაკარონი თვალის დახამხამებაში გაქრა. ბურუნდუკმა ლოყები გაივსო, ფუმფულა კუდი გააქნია, მაგიდიდან გადახტა და გაუჩინარდა. სულ მალე ახალი ულუფის წასაღებად დაბრუნდა. ლოყები გახდომოდა. ასე ივსებდა მიწისქვეშა საკუჭნაოს.

ამან ერთი ამბავი გამახსენა...

ეს ოთხეული თავიდანვე არ მოგვეწონა. ბურუნდუკი უძრავად იწვა ჩვენს თვალწინ, არაბუნებრივ მდგომარეობაში. უკანა თათი პატარა ხაფანგში გაბმოდა. ეს ხაფანგი ტაიგური ქოხის "ბროლის წყაროების" შესასვლელთან პატარა პალოზე იყო მიბმული. მზის მცხუნვარე სხივებს რომ მოფარებოდა, ცხოველი წინკარისკენ გახოხებულა. თათები მოეხარა, ხაფანგში გაბმული თათი კი უსიცოცხლოდ გამოეწია. ბურუნდუკი მძიმედ სუნთქავდა. მის დიდ, ცრემლმომდგარ თვალებში სევდა გამოსჭვიოდა. სარწყულებელი არ ედგა, მიუხედავად იმისა, რომ მდელოზე უამრავი კონსერვის ქილა ეყარა და ქოხიდან სამი მეტრის მოშორებით წყარო

მოხუჩხუხებდა. იმ ბოძის ნაპობზე, რომელზეც ხაფანგი იყო მიბმული, ფანერა იყო დამაგრებული. ფანერაზე ეწერა “ქურდი”.

ეს ოთხეული კი ქოხის ჩრდილში იდგა და დაუფარავი ცნობისმოყვარეობით იყურებოდა ორი უცნობისკენ, რომელთა ყურადღება “ქურდისკენ” იყო მიპყრობილი. ხანგრძლივი მდუმარება ყველაზე ახალგაზრდამ დაარღვია, პატარა ულვაშებზე და ხუჭუჭა წვერზე ხელი გადაისვა და ქოხის კარისკენ მიგვითითა:

– ტაიგური კანონით და სტუმართმოყვარეობით გთხოვთ!

ჯიქურ შევხედე.

– ამაზე მერე, ჯერ ამაზე ვილაპარაკოთ. – და მწოლიარე ცხოველისკენ მივუთითე. პასუხად სიცილ–ხარხარი ატყდა. ჩემმა თანამგზავრმა, ახალგაზრდა სწავლულმა მონადირემ გამომწვევად იკითხა:

– რას ჭიხვინებთ? რა არის სასაცილო?

– როგორ თუ ვჭიხვინებთ, თავაზიანად არ შეიძლება? – მხრები აიჩეჩა ვასიაზე ერთი თავის მაღალმა ზორბამ.

– ქურდია. მაკარონი სულ მოიპარა. უკვე ერთმანეთზე ვეჭვიანობდით, ყველაზე მეტად ჩემზე. – ალაქლაქდა სქელი ქალი. სჩანს რაზმის მზარეული იყო. – გუშინ წასასვლელად გავემზადეთ და ქურდი დავიჭირეთ. დავსაჯეთ კიდეც. ამიერიდან ეცოდინება, რომ არ უნდა იქურდოს.

– ხედავ? რაში ყოფილა საქმე. ახლა უკვე ყველაფერი გასაგებია. – წინ წავიწიე, ხაფანგის რკალები გავხსენი და აკანკალებული ცხოველი ხელში ავიყვანე.

– ადგილზე დადე! – დაიღრიალა ახმახმა და ჩემკენ გამოიწია.

– უკან დაიწიე! იდექით! – გაისმა ვასიას მჭახე ხმა.

ვიცოდი, რომ ფიცხი ვასია ყველაფერზე წამსვლელი იყო. მათ შეძახილებს ყურადღება არ მიაქცია და საკუჭნაოსთან მივიდა. საკუჭნაოსთან, შავი მოცხარის ბუჩქნარში წყაროდან ნაკადული მორაკრაკებდა. ვასიამ ბურუნდუკი ფრთხილად დასვა მიწაზე. ცხოველი რამდენიმე წამი გაუნძრევლად იწვა, მერე კი ნელა გახოხდა კუნძის ქვეშ. ფეხს მიათრევდა.

ვასია იდგა. სჩანს, მისი ჩაიდნისოდენა მუშტების მოერიდათ, დიდთავა ახმახასაც კი, ქალი კი ქოხში გაუჩინარდა.

– ახლა, მოდი გავიცნოთ ერთმანეთი. – გავეცანი და ვუთხარი, რომ ქოხში რამდენიმე წლის განმავლობაში შენახული ჩანაწერები მე მეკუთვნოდა. – მჯერა, რომ გაეცნობოდით. ეს კი, – ვასიაზე მივუთითე, – ჩემი ამხანაგია, სწავლული მონადირე მოსკოვიდან.

ისინიც გაგვეცნენ. როგორც ვვარაუდობდით ესენი იყვნენ ტყეტაქსაციო ექსპედიციის ერთ–ერთი პარტიიდან. მათ საბოლოო შტაბად ეს ქოხი აირჩიეს. ვასიამ საკუჭნაოსკენ გასწია, სურსათი რომ შეემოწმებინა, მე კი ყველანი მდელოზე მივიწვიე. მდელო დანაგვიანებული იყო კონსერვის ქილებით, დამტვრეული ყუთებითა და ჩვრებით. ვუთხარი, რომ მდელო და ქოხი ორ საათში მოეწესრიგებინათ.

როგორც გაირკვა მათ შორის პარტიის უფროსი არ იყო. ის წუხელ მუშებთან ერთად სოფელში წასულა ცხენებისთვის და ამაღამ უნდა დაბრუნებულიყო.

ვასია სწრაფად მომიახლოვდა.

– ქურდები ბურუნდუკი კი არა, ესენი არიან. საკუჭნაოში აღარც ორცხობილაა, არც ჩაი, არც შაქარი, ბურღული და აღარაფერი სურსათი. ტაიგური კანონით კი იცით რა გეკუთვნით? თქვენ რომ გამოუვალი მდგომარეობა გქონოდათ, სხვა საქმეა. ცხენებისთვის წახვედით, სურსათისთვის კი არა. მუქთი გინდოდათ. – სჩანს, საკვებმა მაგიდამ ხელი შეუშალათ, დაუმტვრევიათ.

დაშა, ასე ერქვა მათ მზარეულს, ისევ ალაქლაქდა.

– მე ხომ ვამბობდი, რომ საკუჭნაოდან აღება არ შეიძლებოდა. ამბობდნენ, პატრონს მერე გადავუხდითო. ახლა გადაიხადონ. ჩემი ბრალი არაა. არც მაგიდა დამიმტვრევია. მათ ფიცარი უნდოდათ. ხელთუპყრები არიან, ვერ გამოთალეს.

ჩვენ კი ტაიგაში შესვლისას ამ სურსათზე ვამყარებდით იმედს და ამიტომ ცოტა სურსათი წამოვიღეთ.

ყველამ პარტიის უფროსს დააბრალა. ერთმანეთსს ამუნათებდნენ. ქოხი და მდელო მოაწესრიგეს.

– სწორედ ასეთი ხალხისგან ჩნდება ხანძრები. – არ ცხრებოდა ვასია და კოცონზე მიმითითა. – მიწაც კი არ მიუყრიათ, კუნძი უკვე ნახშირდებოდა, ცოტა კიდევ და ტაიგაში ხანძარი გაჩნდებოდა.

ვასიას ხელმძღვანელობით კოცონის ადგილი მოაწესრიგეს, კუნძი უსაფრთხო ადგილას გადაიტანეს, საკვები მაგიდაც ფანჯარასთან მიამაგრეს.

როცა “კეთილმოწყობის” სამუშაოებს მორჩნენ, ღამის გასათევი ადგილი მივუთითე, სადაც არაერთხელ დაბანაკდნენ მოსწავლეები და სტუდენტი–მონადირეები, რომლებცი აქ საწარმოო პრაქტიკას გადიოდნენ.

გვიან საღამოს დაბრუნდა პარტიის უფროსი ორ მუშასთან ერთად. ცხენები მოიყვანეს. ჩვენთან საუბრისას უფროსი თავს უხერხულად გრძნობდა. ბურუნდუკის ამბავი კი ხუმრობაში გაატარა.

– იცით როგორ იყო? გვინდოდა მაკარონი ბოლოსთვის შემოგვენახა, მაგრამ როცა დაგვჭირდა, აღარ იყო. მაკარონით სავსე ყუთი წინკარში იდგა ჯოჯგინაზე. ყუთი სანახევროდ იყო სავსე და უცებ გაქრა. არც ერთი ღერი. არც კი ვიცოდით ვისზე გვეფიქრა. გადავწყვიტეთ თქვენი საკუჭნაოდან გვესესხა. ცუდად გამოგვივიდა. ჩვენდა უნებურად მაკარონს წინკარში კაუჭზე ჩამოკიდებულ ორ საძილე ტომარაში მივაგენით. ტომარაში ბურუნდუკი იჯდა. გადავწყვიტეთ დაგვესაჯა. აი, ასე მოხდა ეს ამბავი.

– თქვენ ბურუნდუკს აბრალებთ, თქვენ თავს კი არა. – არ ცხრებოდა ვასია. – საქმეში შეგვაფერხეთ. თქვენი საქციელი საზოგადოებამ და თქვენმა სამმართველომ რომ შეიტყოს, კარგი იქნება?

მხოლოდ ერთი რამ გვთხოვეს ექსპედიციის მონაწილეებმა. “ბურუნდუკის მაკარონები” აგვეღო და რადგან სხვა გზა არ გვქონდა, დავტოვეთ.

საღამოს, კოცონთან ყველამ ერთად წითელი მოცვის ჩაი დავლიეთ. ვასიამ ზურგჩანთიდან ორი ცალი აგურა პური ამოიღო. დაშა ცხელი ხმიადებით გაგვიმასპინძლდა. ხმიადები საკუჭნაოში დარჩენილი ფქვილისგან გამოაცხო.

ღამის გასათევად მიუხედავად სივიწროვისა ქოხში მივიწვიეთ. უკვე ჟინჟლავდა.

დილით ერთმანეთს დავეშმვიდობეთ. ბურუნდუკებს კი (ჩვენთვის აშკარა იყო, რომ “მაკარონის ისტორიაში” მარტო ერთი ბურუნდუკი არ მონაწილეობდა) საკვებ მაგიდაზე ბლომად მაკარონი დავუყარეთ და ჩვენც სიამოვნებით ვუცქერდით შეკეთებულ “სასადილოზე” როგორ ივსებდნენ ლოყის პარკებს ბურუნდუკები და როგორ მიჰქონდათ თავიანთ სოროებში. დინჯად “იღვწოდნენ”, საქმიანად, ჩვენი სულ არ ერიდებოდათ.

## ტაიგური გული

მუქი ყავისფერი, თითქმის შავი ბეწვით შემოსილ პატარა ცხოველს, რომელსაც პატარა, ფუმფულა კუდი და მძივის მარცვლებივით მბრწყინავი თვალები ჰქონდა, ძალიან შიოდა. აი, უკვე რამდენიმე დღეა ვერაფერი მოინადირა და სულ გამოიფიტა.

მზე ჩაესვენა. ღამდებოდა. ყინვამ მოუჭირა, თითქოს დაღამებას ელოდა, მასთან ერთად მიწას  რომ შერწყმოდა.

ახალგაზრდა სიასამურმა ბებერი კედრის ფესვებქვეშ გაკეთებული სოროდან გამოიხედა, ნერვიულად დაიწკმუტუნა და თეთრი, მოიისფრო, პრიალა, მჭრელი კბილები გამოაჩინა. მას ძალიანაც არ უნდოდა ხავსითა და ბალახით მოფენილი თბილი საწოლი მიეტოვებინა, მაგრამ შიმშილს უკვე ვეღარ უძლებდა. სიასამურმა აქეთ–იქით მიმოიხედა. ირგვლივ დათოვლილი ნაძვებისა და სოჭების უცნაური ჩრდილები ეფინა. ფართევარჯიან კედრებს უზარმაზარი თეთრი ქუდები დაეხურათ და გიგანტურ სოკოებს მიაგავდნენ. ტაიგის თავზე გაციებულ ცაზე მთვარე გარინდებულიყო და ტყეც ღრმა ძილს მისცემოდა თეთრი, ფუმფულა საბანქვეშ და მხოლოდ ხეთა ჭახჭახი თუ არღვევდა ღამის მდუმარებას.

სიასამური თანაბარი ნახტომებით მოძრაობდა, იშვიათად ჩერდებოდა, გაირინდებოდა და აყურადებდა, გეშს იღებდა, მაგრამ ირგვლივ ძველებურად მხოლოდ მუქი ჩრდილები, ბადრი მთვარე და ხეთა ჭახჭახი. ჰაერს არ მოჰქონდა დიდი ხნის ნანატრი ნადირის სუნი. ამჟამად ტაიგაში სარჩო ძნელად მოიპოვებოდა. ციყვებმაც კი დიდი ყინვების დადგომამდე დატოვეს აქაურობა. სხვა ცხოველებმაც იქ გადაინაცვლეს, სადაც შედარებით მეტი საკვები იყო.

არც პატარა საკუჭნაოები იყო ტყის საგებში, სადაც მოსავლიან წლებში ციყვები და ჩხართვები გემრიელ, ყუათიან კედრის კაკლებს ინახავენ. სიასამური კმაყოფილი იქნებოდა, თუნდაც წითელი მოცვით მოეთქვა სული, მაგრამ აქ არც ეს კენკრა ხარობდა.

ხტუნვა–ხტუნვით გაიარა ერთი კილომეტრი, ორი, სამი და მხოლოდ ერთი მინდვრის თაგვი დაიჭირა. ეს მისთვის ძალიან ცოტა იყო, ირგვლივ ყველაფერი ამომწყდარიყო.

და აი, სიასამურის ყურს მისწვდა ბგერა, რამაც ის ადგილზე გაარინდა. მოკლე და მკვეთრი, რაც იმას მიანიშნებდა, რომ შორიახლოს ბაჭიები იყვნენ. სიასამური რამდენჯერმე ფრთხილად გადახტა და მიაყურადა. კიდევ რამდენიმე მოკლე ნახტომი და უკვე ნაბიჯზე გადავიდა, ეპარებოდა. ახლა უკვე სულ ახლოს იყო.

ფაფუკი, უმტვერო თოვლისფერი ბეწვით შემოსილი ორი ბაჭია აუჩქარებლად და უშფოთველად შეექცეოდა ქარისგან წაქცეული არყის ხის ყლორტებს.

სიასამურმა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შეჩერდა, მოიკუნტა, მერე ზამბარასავით დაიჭიმა და გადასახტომად მოემზადა, თუმცა აჩქარდა, ვერ გათვალა, შესძლებდა თუ არა. შიმშილმა თავისი დაღი დაასვა. ადრე უფრო შორსაც ხტებოდა ხოლმე.

ტაიგის ბინდ–ბუნდში გაუჩინარდნენ სიასამურისგან დამფრთხალი ბაჭიები.

მშიერმა ცხოველმა დაიღრინა. ის თავის სოროს უფრო და უფრო შორდებოდა. ამ ადგილებში კარგა ხანია არ ყოფილიყო. მოულოდნელად ღრმა, სწორი თხრილი გადაეღობა. გაუხარდა კიდეც, თათებქვეშ სიმკვრივე რომ იგრძნო. უფრო იოლად ხტებოდა, ვიდრე ფაფუკ თოვლში.

თხრილიდან კურდღლის სუნი იგრძნობოდა, თუმცა სუსტად, მაგრამ თავისკენ იზიდავდა და სიასამურმაც გზა გააგრძელა. სუნი გაძლიერდა. ისიც შეჩერდა. ლამაზი თავი ასწია და გაფაციცდა. კურდღელი არსად ჩანდა, არც მისი ხმა ისმოდა, სუნი კი თხრილთან მდგარი კედრის ძირიდან მოდიოდა. სიასამურმა რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯი გადადგა და ისევ შეჩერდა. კედართან დათოვლილი ქერქის ნაჭრები ეყარა. ხეს ირგვლივ ნელა შემოუარა. ერთ ადგილას ფესვებს შორის პატარა ხვრელი მოჩანდა. სუნი მეტწილად იქიდან იგრძნობოდა. სიასამურის მახვილმა თვალმა პატარა როკზე დადებული ხორცის ნაჭერი შეაჩნია. ხორცის სუნს სოჭისა და კიდევ რაღაცის სუნი ერწყმოდა, რაც ტაიგისთვის "უცხო" და მისთვის გაურკვეველი იყო. სიასამური შეჩერდა, მერე ხორცის ნაჭრისკენ გაიწია, მაგრამ ვერ მისწვდა. ძალიან რომ არ შიებოდა ასეთ ნაბიჯს არც გადადგამდა, მაგრამ გადააბიჯა და... რაღაცამ გაიტკაცუნა და თათზე მოუჭირა. ტკივილისაგან და შიშისგან გამწარებულმა სიასამურმა უკან დაიწია, მაგრამ რაღაც ცივი და მძიმე თათს არ უშვებდა. ცხოველმა კედრისკენ გაიწია და პალო გამოათრია. გამწარებული სიასამური ეცა, რაც მის თათს უჭერდა, ღრღნიდა, თათს ურტყამდა. ტუჩები ერთმანეთს მიეწება, სისხლი სდიოდა, კბილი ჩაემტვრა... დასუსტებული რამოდენიმე ხანს უძრავად იწვა, მერე გახოხდა, პალო ბუჩქს გამოედო. რას არ ეცადა ცხოველი, ადგილიდან მაინც ვერ იძროდა.

სიასამურმა თავი ასწია. მთვარე გულგრილად დასცქეროდა უკიდეგანო შორეთიდან. გამოფიტულ და დაქანცულ ცხოველს უკვე ვეღარ ათბობდა ფაფუკი, ნაზი და ლამაზი ქურქი. სიასამური უკვე იყინებოდა, ძალა ელეოდა. დიდი წვალებით თოვლში ჩაეფლო. თოვლში

უფრო თბილოდა. თათი გასწია, მოიკუნტა და გაიყურსა. თოვლმა დაფარა პატარა ცხოველი. ზემოდან მხოლოდ პალო მოჩანდა.

ნელა, ძალიან ნელა ღამე ადგილს უთმობდა ზამთრის მოკლე დღეს.

პატარა ქოხის კარმა გაიჭრიალა და ქოხიდან მონადირე გამოვიდა. თბილად არ ეცვა. ზურგზე პონიაგა, მხარზე კი თოფი ეკიდა, ხელში მაგარი არყის ხის ჯოხი ეჭირა, ფართე თხილამურებზე დადგა და გზას გაუდგა.

მონადირე კარგად დატკეპნილ ნათხილამურევზე მიდიოდა. დადგმულ მახეებს ამოწმებდა. უსიამოვნო ფიქრებს აჰყოლოდა. წლევანდელმა ნადირობამ არ გაუმართლა. დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა ბეწვეულის მოპოვების ნაკისრი ვალდებულება შეესრულებინა. ფაფუკბეწვიანი ნადირი სულ შემცირებულიყო.

მრავალი ავდრიანი ღამე გაუთენებია ტაიგურ კოცონთან. ტანსაცმელს იშრობდა, დროდადრო ეძინა, ფხიზლობდა. ტყეში დაეხეტებოდნენ შიმშილით შეწუხებული დათვები. იმედს ერთგულ ლაიკაზე ამყარებდა. ძაღლი დროულად ატყობინებდა "მურა სიკვდილის" მოახლოებას. მერე მოთოვა, ყინვამაც მოუჭირა. მაშინ ძაღლი შინ წაივყანა და ფაფუკბეწვიან ნადირს მახეებით იჭერდა. რა აღარ მოიფიქრა, რომ ბეწვეული მოეპოვებინა. ნადირის ნაკვალევი იშვიათად ხვდებოდა. ბაჭიებს თუ მოინადირებდა, თვითონ არ ჭამდა და სატყუარად ინახავდა.

"აი, მახეებს დავათვალიერებ და ტაიგიდან გავალ, ტყუილად დროს არ დავკარგავ" – ფიქრობდა მონადირე. სურსათიდან მხოლოდ ცოტაოდენი ორცხობილა დარჩა, ცხიმიც გაუთავდა, შაქარი და ჩაიც უთავდებოდა. გადაწყვიტა, დღეს მახეები დაეთვალიერებინა და ხვალ შინ დაბრუნებულიყო.

მონადირემ ბევრი მახე დაათვალიერა. არსად არაფერი გაბმულიყო, თუ არ ჩავთვლით ერთ ჩხართვს, რომელიც ბაჭიის ხორცს დახარბებოდა.

მონადირემ იცოდა ტაიგაში ერთი შორეული უბანი, სადაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა სიასამურის მოპოვება, თუმცა უკვე კარგა ხანია, რაც მახეები ჩაკეტა, რათა ნადირი გამრავლებულიყო, ამიტომ იქ აღარ დადიოდა, გული რომ არ ტკენოდა.

ნათხილამურევს ორი ბაჭიის ნაკვალევი კვეთდა. სჩანს დიდ ნახტომებს აკეთებდნენ. მონადირე კვალის მიხედვით მიხვდა, რომ კურდღლები სიასამურმა დააფრხო. მალე სიასამურის კვალიც შენიშნა და გული მოეცა. კვალს დააკვირდა. "დედალია, თანაც

ახალგაზრდა. ყურცქვიტები შეაშინა, როგორ მიხტოდნენ ნათხილამურევზე. სჩანს მოშივდა. თუ მახეში გაება, შინ ხელცარიელი არ დავბრუნდები" – ფიქრობდა მონადირე.

თხილამურები სწრაფად მისრიალებდნენ. აი, მახეც. ქერქის ნამტვრევები აქეთ–იქით ეყარა. გამხმარი სისხლის წვეთები. სჩანს, ნადირი ხაფანგს ებრძოდა. მერე კი ეტყობოდა როგორ მიათრევდა ფეხით პალოზე გამობმულ ხაფანგს. მაგრამ ეს რა არის?! კვალი გაქრა, არც თოვლზე მწოლიარე ნადირი ჩანდა. "იქნებ ტყის ავაზაკმა ჭოტმა წაიღო?" მაგრამ მონადირემ უცებ შენიშნა თოვლში ჩაფლული პალო. "ან მავთული გაღრღნა, ან თოვლში ჩაეფლო". მონადირე დაიხარა, პალო აიღო, მას საბელი მოჰყვა, მერე კი ხაფანგიც გამოჩნდა. ხაფანგზე ჯერ კიდევ ცოცხალი სიასამური ეკიდა. დიახ, ჯერ კიდევ ცოცხალი იწვა, გაწამებული, ქანცგაწყვეტილი პატარა ცხოველი. სიასამური თოვლზე იწვა, თავი მოებრუნებინა და თავის მტერ ადამიანს პატარა, ციმციმა, გაბრაზებული თვალებით უცქერდა. "თოვლში რომ არ ჩაფლულიყო, დიდი ხანია უკვე გაიყინებოდა." – გაიფიქრა მონადირემ. – ინადირე პატარავ? – შეეხმიანა მონადირე სიასამურს. მის ხმაში მტრობა არ იგრძნობოდა. იქვე ჩაიცუცქა, თავი გადააქნია, ჩაფიქრდა, ცხოველს დასცქეროდა.

ასე უცქერდნენ ერთმანეთს პატარა ნადირი და ადამიანი. მონადირეს თვალები მოეჭუტა, სახე შეუტოკდა და სიასამურს ხელი გაუწოდა. ცხოველი გატოკდა და თავი წამოსწია, მტრულად დაიღრინა. მონადირემ ყურადღება არ მიაქცია და შეეცადა სიასამური ხაფანგისგან გაენთავისუფლებინა, მაგრამ გასისხლიანებული რკალები არ იხსნებოდა. თბილი ხელთათმანების გახდა მოუწია. სხვანაირად რკალებს ვერ გახსნიდა. ისიც გაიფიქრა, რომ შეიძლება ცხოველი ხელში წვდომოდა. "რაც იქნება, იქნება" და ხაფანგის რკალები დანით გახსნა. სიასამური ისე დასუსტებულიყო, რომ კბენაც არ უცდია. "აი, ესეც. თათი არ გასტეხია და არც მოჰყინვია. მოუსწრია თოვლში ჩაფლობა. მისდა საბედნიეროდ სუსტი ზამბარიანი ხაფანგი შეხვდა. ირბენს კიდეც, მერე როგორი ყინვაა! ასე იწვები? გაიქეცი პატარავ!"

და სიასამურმაც თითქოს გაიგო, წამოიწია, ძლივს გადახტა, ქარისგან წაქცეულ კედრამდე მიაღწია და მის კენწეროს ქვეშ გაუჩინარდა.

მონადირე სიასამურის მიერ თოვლში გათხრილ ჩასაძრომს მიუახლოვდა და ჩხართვი შეაგდო, მერე მახესთან დაბრუნდა, სატყუარა–კურდღლის ხორცის ნაჭერი აიღო და ისიც კედრის კენწეროზე დადო, ჩხართვის გვერდით...

მონადიტრე კიდევ ორჯერ მივიდა სიასამურის მოსანახულებლად და ყოველთვის ძღვენი მიჰქონდა, კურდღლის ხორცი. ნადირობაში ხელი მოეცარა. უკვე ტაიგიდან უნდა გასულიყო, მაგრამ როგორ გავიდოდა, როცა ეს სიასამური ედარდებოდა. მესამედაც მივიდა მონადირე კედრის კენწეროსთან. პირველი ჩასაძრომის შორიახლოს მეორე, სულ ახალი ჩასაძრომი შენიშნა. იქიდან სიასამურის ნაკვალევი იწყებოდა. სჩანს ცოტა გამოკეთებულა. იქნებ დაბრუნდე? და ახალ ჩასაძრომში დიდი "გამოსათხოვარი" ხორცის ნაჭერი დადო. "ახლა კი შინ დავბრუნდები".

მონადირე წელში გასწორდა და ტაიგაში გატარებული მრავალი დღის მერე პირველად გაიღიმა.

## უგემური ხორცი

ჩვენს თვალწინ იდო არა ჩვენი სიგარისმაგვარი ლამაზმანი – ამოთლილი ნავი, არამედ  მისი ნაშთი, მხოლოდ ნამტვრევები. – თქვა პირქუშად მოღუშულმა კუზმამ, ძველმა ტაიგელმა.

კარგი კვალმაძიებლობა არაა საჭირო იმისთვის, რომ ტაიგის პატარა მდინარის ნაპირზე დატოვებული ნაკვალევისა და ნამტვრევების მიხედვით წარმოვიდგინოთ თუ რა მოხდა აქ.

ჩვენი ხანმოკლე არყოფნის დროს უზარმაზარმა დათვმა ნაპირზე დატოვებული ნავი ნახა, რომლის ქვემოდან გემრიელი სუნი მოდიოდა. ნავი გადააყირავა, დიდ კოლოფში თევზს მიაგნო და თვალის დახამხამებაში გადასანსლა. მერე ნავზე გადაიარა, ერთხელ, ორჯერ. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ამოთლილი ნავი ნამტვრევებად ქცეულიყო.კოლოფის გვერდით მდებარე სურსათით სავსე ტომარაც აღარ დაგვხვდა. დათვმა წყალში გადააგდო თუ თან წაიღო, ვერ დავადგინეთ. ყოველ შემთხვევაში სურსათის კვალი ადგილზე ვერ აღმოვაჩინეთ. სჩანს, დათვი აუჩქარებლად შევიდა ბუჩქნარში.

– ოხ, ეს ტყიურის[9] შვილი. – ასე მოიხსენია კუზმამ დათვი. – არ შეგარგოს ღმერთმა. აბა, მაიდან გამოდი. – კუზმა პირდაპირ სილაზე დაჯდა, ქისა ამოიღო და ჩიბუხი დატენა.

მე ჩერნიას, ჩემი თანამგზავრის ძაღლს მივდევდი. ძაღლს ზურგზე ბალანი აშლოდა, გეშს იღებდა, ნავის ნამტვრევებს ყნოსავდა.

– ჩერნია მხოლოდ ცხენ–ირემზეა გაწვრთნილი, მისგან შველას ნუ ელი. – თქვა კუზმამ.

მდუმარედ შემოვუარე ნავის ნაშთს და კუზმას გვერდით დავჯექი. ნავს აღვადგენდით, ჩვენი დაზვერვითი სამუშაო თახვების გასაშვებად ვარგისი ადგილების მოძიებისთვის უკვე დავამთავრეთ. თერთმეტი დღის განმავლობაში უამრავი წინაღობა შეგვხვდა. გადავლახეთ საუკუნოვანი ჩახერგილები, რომლებიც ნავისკენ გზას გვიღობავდნენ, ვიწრო კალაპოტები, ასეთი "დარდანელების" მერე მდინარე იშხეფებოდა და ალაგ–ალაგ შვიდი მეტრის სიღრმის მორევებს ქმნიდა. გზას მივიკვლევდით ბუჩქნარით დაფარულ, პატარა, თითქმის შეუმჩნეველ კუნძულებზე. ნავი და აღჭურვილობა გადაგვქონდა კონცხიდან კონცხამდე, სადაც მდინარე ფსკერამდე იყო ჩახერგილი წაქცეული ხეებით. ასე მივაღწიეთ თითქმის მდინარის ზემოწელს. ნავით უკვე ვეღარ ვიცურებდით და ამიტომ ნაპირზე გამოვათრიეთ, ერთი დღე–ღამის სამყოფი საგზალი ავიღეთ და მდინარეს ზემოთ აუყევით. ეს ადგილი თახვებისთვის სრულიად შესაფერისად მიგვაჩნდა. და აი, დამტვრეულ გობთან ვზივართ. ეს "ბაჯბაჯა ბერიკაცი" რომ არ გვსტუმრებოდა, ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდებოდა.

"იქნებ ცხენ–ირემი მოგვენადირებინა" – გავიფიქრე.

ცხენ–ირმების შესახებ შემოსული ცნობების შესამოწმებლად საჭირო იყო თუნდაც ერთი მოგვენადირებინა. ამ დროს ცხენ–ირმები მდინარის სიახლოვეს იყვნენ. მდინარეს ზემოთ მივუყვებოდით, რომ ჩერნიამ გეში აიღო, მაგრამ ესენი იყვნენ ახალგაზრდა ცხენ–ირმები, მე კი ბებერი ხარი მჭირდებოდა. გადავწყვიტე დაბრუნებისას მენადირა. საველე ჩანთაში სამეცნიერო მიზნით ნადირობის გამოუყენებელი მოწმობა მედო. საქმე გაგვირთულდა. "აბა, ეცადე და აქედან გააღწიე" – გამახსენდა კუზმას ნათქვამი.

ტივი გაგვეკეთებინა და მდინარეს გავყოლოდით, შეუძლებელი იყო. ვერ ვიცურებდით. პირველსავე ბუჩქნარში მეჩეჩზე დავჯდებოდით. მდინარის

[9] ტყიური – ტყის სული.

მიხვეულ–მოხვეულებში, კონცხებს შორის ტივს ხელით ვერ ვათრევდით, ნაპირსაც ვერ გავყვებოდით. უღრანი, ჩახერგილები, ჭაობი და მის ზედაპირზე მოდებული მურა ბრკე. სხვა გზა არ გვქონდა ქედზე უნდა ავსულიყავით, პირდაპირ ჭაობზე გავლით. ამის შესახებ ამხანაგს ვუთხარი.

– პირდაპირ წასვლას ფიქრობ? – ჩაიბურტყუნა კუზმამ და ჩიბუხი გააბოლა. – ასე, ოცდაათი წლის წინათ თვით ტყიურმა შემიტყუა, – კუზმამ ცოტა ხანს იყუჩა და მერე დაამატა: – აქაური ჭაობები საშიშია, სიკვდილია ჩასაფრებული.

– აბა, ასე ხომ არ ვისხდებით? აქედან ხომ უნდა გავაღწიოთ!

– რა თქმა უნდა, უნდა წავიდეთ. ახალგაზრდები ხომ არ ვართ ჭაობში კოლბოხებზე ვიხტუნაოთ. თუ კოლბოხიდან გადავარდები, ჭაობი ჩაგითრევს. ასეთ ადგილს ნადირიც კიერიდება. მათ თავიანთი გზა აქვთ, მაგრამ ვინ გვიჩვენებს. ჩვენ ერთ კონცხს უნდა მივაღწიოთ. ჭაობზე თუ გავალთ, იქნებ გავიხსენო სად მდებარეობს. იქამდე ასე, ათი–თორმეტი კილომეტრი იქნება. ახლოცაა და შორსაც.

თვითმფრინავიდან მინახავს ეს ვრცელი, ძნელად გადასალახი ჭაობები, მდინარეს ორივე მხრიდან აკრავდა. მაშინ როგორ ვიფიქრებდი, რომ ამ ადგილებში ყოფნა მომიწევდა.

მიუხედავად იმისა, რომ დათვმა სურსათით სავსე ტომარა აგვწაპნა, ცხვირი არ ჩამოგვიშვია. ზურგჩანთაში ცოტაოდენი ორცხობილა, რამდენიმე ნატეხი შაქარი და მარილის ტომსიკა გვქონდა, ჩაიც. ეს სურსათი მდინარის ზემოწელიდან შემოგვრჩა, მაგრამ ჩვენ გვქონდა თოფები, გვყავდა ცხენ–ირემზე გაწვრთნილი ძაღლი და გვჯეროდა, რომ ნადირობაში გაგვიმართლებდა.

– აი, ჭაობს გადავლახავთ თუ არა, ჩერნია უმალ მიაგნებს. ცხენ–ირმები ქედიდან მდინარეზე ჩამოდიან. ვინადირებთ. – დამაჯერებლად თქვა კუზმამ.

მე შევთავაზე გვეცადა და რამდენიმე კილომეტრი მდინარეს ქვემოთ დავყოლოდით სათევზაო ადგილებამდე და თევზი დაგვეჭირა, მერე კი ჭაობი გადაგველახა, მაგრამ კუზმა შემეწინააღმდეგა.

– დროს ტყუილად ნუ დავკარგავთ. თევზს ცხენ–ირმის ხორცი სჯობს. შენ ტყიურს ჯერ არ უთრევიხარ ამ ადგილებში, ხიფათს ნუ ეძებ.

ამ ადგილებს კუზმა ჩემთან შედარებით, უკეთესად იცნობდა.

უკანასკნელად გავხედეთ ნავის ნაშთს. ეს ნავი ერთგულად გვემსახურებოდა. მდინარის ნაპირზე ტაიგის ვიწრო ზოლი გავიარეთ და ჭაობის კიდეზე გავედით.

თვალმისაწვდომზე, როგორც მარჯვნივ ისე მარცხნივ ჭაობი ვრცელდებოდა, ჟანგისფერი დაჰკრავდა, კოლბოხები, გამხმარი არყის ხეები და ფიჭვები იდგა. ალაგ–ალაგ ჩაშავებული გუბეები. ჩვენს პირდაპირ მტრედისფერ ნისლში ქედი მოჩანდა.

კუზმა დიდხანს იდგა და თვალით ეძებდა კონცხს, რომელიც ჭაობში შორს იჭრებოდა და თუ მას მივაღწევდით, გზას შეგვიმსუბუქებდა! და აი, ამხანაგმა ხელი ასწია და ქედისკენ გაიშვირა:

– იქაა კონცხი. იქეთ უნდა წავიდეთ.

მე რა თქმა უნდა კონცხი ვერ შევამჩნიე, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, ძველ ტაიგელს უნდა მივყოლოდი. კუზმამ მტკიცედ შეაბიჯა ჭაობში.

ჩემს თანამგზავრს გზის სირთულე არ გაუზვიადებია, რომ არა წინასწარ მომარაგებული ხმელი ნაძვებისგან გაკეთებული გრძელი ჭოკები, აქედან ვერ გავაღწევდით.

თავიდან ფეხებამდე სველები, ტორფით და შლამით ამოსვრილები, ქანცგაწყვეტილები სქელ ბინდში ამოვედით მომცრო, მშრალ კოლბოხზე. როგორც კი მიწაზე ფეხი დავდგით, კუზმა გახალისდა, სველი ტანსაცმელი გაწურა და კმაყოფილებისგან იღიმებოდა.

– ნამდვილად გამოვედით. მაშინ სწორედ ამ კოლბოხზე მოვხვდი და ახლა ის კონცხი ხელის გაშვერაზეა.

ახლა კი ხელის გაშვერაზე თურმე სამი კილომეტრი ყოფილა. იმ მხარეს, საითაც კუზმამ მიმითითა, ტაიგა ოდნავ მოჩანდა. სწორედ ეს იყო ჩვენი გადამრჩენელი კონცხის დასაწყისი. უკვე ღამდებოდა და ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი შეიძლებოდა უკანასკნელიც კი ყოფილიყო. ღამე ამ კოლბოხზე უნდა გაგვეთია. პატარა ცული თან გვქონდა, თუმცა მოსაჭრელი არაფერი იყო. ხმელი წვრილი ფიჭვები მოვათრიეთ და პატარა კოცონი გავაჩაღეთ, ვერც კი გავშრებოდით. ჩაისთვის ჭაობის აშმორებული წყალი ავადუღეთ, ორ–ორი ორცხობილა და თითო ნატეხი შაქარი მივაყოლეთ. ერთი ორცხობილა კუზმას უარის მიუხედავად ჩერნიას მივეცი. კოღოების გუნდი თავს დაგვტრიალებდა. კოცონის ბოლი ვერ აფრთხობდა, მაგრამ დღესთან შედარებით, რომ ქინქლა გვესეოდა, უკეთესიც იყო.

პირფარდები ჩამოვიწიეთ, ხელთათმანები ჩავიცვით და ერთმანეთს მშვიდობიანი ღამე ვუსურვეთ.

უთენია ავდექით და გზას გავუდექით. ზედ კონცხთან ჭაობი თითქმის გაუვალი გახდა. რამდენჯერმე კოლბოხიდან აშმორებულ წუმპეში გადავვარდით. საფლობიდან

ამოსვლაში ერთმანეთს ვეხმარებოდით და ბოლოსდაბოლოს ამოვედით მშრალ კონცხზე ანუ “მიწაზე”, როგორც კუზმამ აღნიშნა.

სულ მალე დიდი კოცონი აბრიალდა. ტანსაცმელი გავიშრეთ, სოჭის სურნელოვანი ტოტები დავიფინეთ და მივწექით. ღრმად ჩაგვეძინა.

მოსაღამოვებულზე ჭაობიდან ასე ოცი კილომეტრის დაშორებით ვიყავით. ღამე პატარა ნაკადულთან გავათიეთ. ანკარა წყარო იყო, გვეგემრიელა კიდეც. მეორე დღისთვის ორი ორცხობილა და ორი ნატეხი შაქარი გადავინახეთ და მორჩენილი ნამცეცებიც ძმურად გავიყავით. მადა ჭამაში მოგვივიდა და უფრო მოგვშივდა.

დღისით გზაში ძველ ნახანძრალზე გადავიარეთ. ეს ნახანძრალი შორს გრძელდებოდა და ჩვენ პირდაპირ მოკლეზე გადავჭერით. მისი სიგანე ხუთი კილომეტრი იყო და დიდი დრო და ძალისხმევა დაგვჭირდა.

კოცონთან ვისხედით და გამშრალ წეკოს ვეწეოდით. ვდუმდით, ტანსაცმელს ვკემსავდით. კუზმას სასოწარკვეთილება ეტყობოდა, თვალს ვერ მისწორებდა და მერამდენჯერ იმეორებდა ერთსა და იმავეს.

– ხედავ? ხელი მოგვეცარა. მთელი დღე ჩერნიამ ცხერ–ირემს ვერ მიაგნო. სჩანს, ნადირი სადღაც გადაიკარგა.

– ნუ დარდობ კუზმა, ხვალ უკეთესი დღე გაგვითენდება. დავიძინოთ. გვშია, მაგრამ პირველი ხომ არაა. – ვამხნევებდი ამხანაგს.

იმ ღამეს ღრმად გვეძინა, დიდ, მცხუნვარე კოცონთან. მეორე დღესაც ჩერნიამ ცხენ–ირემს ვერ მიაგნო. მშიერი ლაიკა უკვე შემეცოდა, როცა ანკარა ნაკადულთან ზურგჩანთები მოვიხსენით, უმალ მკვდარივით დაეძინა. მეცოდებოდა კუზმაც, რომელიც თავისი ნაქები, ცხენ–ირემზე გაწვრთნილი ძაღლის წარუმატებელ ძიებას განიცდიდა.

ნახევარ ორცხობილას (მეორე ნახევარი ჩერნიას შევუნახე) შავი მოცხარის ყლორტების გემრიელი ჩაი მივაყოლე და კუზმას ვუთხარი:

– იცი რა, კუზმა, სანამ ძალა სულ არ გამოგვლევია, დილიდანვე იმ ტბაზე წავიდეთ, შენ რომ მითხარი. ვითევზავოთ. თევზი შევბოლოთ და შინ მშივრები არ დავბრუნდებით. ტბა შორს არ არის, ალბათ ასე თხუთმეტი კილომეტრი, სოფლამდე კი სამოცი კილომეტრია, იქნებ მეტიც. რატომ ვიტანჯოთ.

– როგორ ვიფიქრებდი, ხელი თუ მოგვეცარებოდა. მოდი, ასე მოვიქცეთ. დილით ტბაზე ნუ წავალთ. ერთ ადგილას უამრავი ცხენ–ირემია, იქეთ წავიდეთ. ჩვენს გზაზეა.

არ შევწინააღმდეგებივარ. სოჭის ნაზი, სურნელოვანი ტოტები დავიფინეთ და დასაძინებლად დავწექით, მაგრამ არ გვეძინებოდა, გვშიოდა. კოცონთან ვიწექი და ცას შევცქეროდი, ბავშვობიდან ნაცნობ თანავარსკვლავედებს ვაკვირდებოდი, კუზმა კი ხმამაღლა ოცნებობდა ნაკვერჩხალზე ჩხირებზე შემზვარ ცხენ–ირმის ცვრიან ღვიძლზე, ჩასაკნატუნებელ მწვადზე, ცხენ–ირმის დრუნჩზე, რისგანაც გემრიელი, სურნელოვანი ლაბა–სხმული კეთდებოდა.

აღარ მომისმენია კიდევ რაზე ოცნებობდა კუზმა. ჩამეძინა.

…წინ კუზმა მიდის.

ჩერნია წინ გაიჭრა, შედგა, გაირინდა, თავი ასწია. კუზმა შემობრუნდა და იქეთ მანიშნა, საითაც ლაიკა იწევდა. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. “მესმის, ნადირი ახლოსაა”.

საბელისგან განთავისუფლებული ჩერნია თვალის დახამხამებაში ტაიგაში გაუჩინარდა. ადგილიდან არ დავძრულვართ, მდუმარედ ვიდექით. ასე გაიარა სამმა–ოთხმა წუთმა. მერე ყეფა მოგვესმა. კიდევ. ჩერნიას ყეფა უფრო ხშირად ისმოდა, თითქოს მიგვანიშნებდა, რომ ნადირი ახლოსაა. მის ხმას მივყევით. ვცდილობდით არ გვეხმაურა, ნადირი რომ არ დაგვეფრთხო.

ხეებს იქეთ მზემ შემოანათა. ხეებს და ბუჩქებს ვეფარებოდით და ასე მივუახლოვდით პატარა ჭაობის კიდეს, ორივენი შევცბით და გავირინდეთ. ასე ოცი მეტრის დაშორებით ნორჩი არყის ხისა და ვერხვის ფონზე იდგნენ ფური ცხენ–ირემი და ნუკრი. ჩამოსხმულები გამოქანდაკებულებს ჰგავდნენ. იდგნენ, მოხდენილი, კუზიანი კისრები დაეხარათ. მათ წინ კი ყალყზე შემდგარი მყეფარი ჩერნია. ისეთი თვალწარმტაცი სურათი იყო, რომ მონუსხული ვუყურებდი. ყველაფერი ამქვეყნიური დამავიწყდა.

– ესროლე!

კუზმას შევხედე. სახე აჭარხლებოდა და გაოფლიანებოდა.

– ესროლე! თუ არა და... – და კუზმამ აკანკალებული ხელით თოფი ასწია.

ფურმა ცხენ–ირემმა წინ წაიწია და ყურები აცქვიტა. ჩერნია უყეფდა. ცხენ–ირემმა ძაღლს ყურადღება არ მიაქცია, ნუკრს მიუახლოვდა, თავი დახარა და დიდი, რბილი ზედა ტუჩით თავისი ერთადერთი ნაშიერი ალოკა. ფური ცხენ–ირემი ნუკრს გადაეფარა.

ძახლა კუზმა გაისვრის და ფური ცხენ–ირმის სიცოცხლე შეწყდება, იქნებ ორივესიც”. – გამიელვა თავში და კუზმას დავასწარი, გავისროლე, ვერვხის კენწეროს დავუმიზნე. ხე ცხენ–ირმიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით იდგა.

თვალის დახამხამებაში აღარც ცხენ–ირემი ჩანდა და აღარც ჩერნია. მხოლოდ ტოტების ლაწალუწი ისმოდა.

– ეს რა გააკეთე?! გეკითხები, საით ისროლე!

ხელში კარაბინი მეჭირა, ვდუმდი და ვიღიმებოდი. კუზმა გაშმაგებული მიყურებდა. უცებ თოფი მიწაზე დაანარცხა, ქუდი მოიხადა და ფეხებით გათელა, ძლივს სუნთქავდა, ლაპარაკიც კი უჭირდა.

დიდხანს მივდიოდით ტაიგაში, უბრად. კუზმა ერთ–ორ სიტყვას თუ გადმომიგდებდა, ჩემთვის არასახარბიელოს. მე კი მსუბუქად მივაბიჯებდი.

ჩვენი წარუმატებელი ნადირობის შესახებ ლენას მივუყევი. მონადირეებს ფური ცხენ–ირმის ხორცი ყველაზე გემრიელად მიაჩნიათ.

– და ჩემს გამო ეს ნუგბარი მარტო კუზმას კი არა, შენც დაგაკლდა.

ლენას თვალები გაუბრწყინდა და ალერსიანად მითხრა:

– ეს ხორცი ალბათ ძალიან უგემური იქნებოდა!

## ხელუხლებელი ტაიგა

გარიჟრაჟამდე ნისლი ჩამუქებულ წყალს დაეფინა და მდინარეზე არეკლილი ვარსკვლავები ჩაქრა. მდინარეში დიდი თევზი ადგაფუნდა.

ვიღაცის აჩქარებული ნაბიჯის ხმა გაისმა, შრიალს ერწყმოდა. ნაპირის გასწვრივ მცურავმა ონდატრამ პატარა ყურები აცქვიტა, მიაყურადა და მისკენ მიბრუნდა, მერე კოლბოხზე ძლივს აფორთხდა. ახლა უკვე აშკარად ესმოდა რიყეზე ვიღაცის ფეხის ხმა, მაგრამ ვერ ხვდებოდა ვინ უახლოვდებოდა მის სამფლობელოს.

ბებერმა ონდატრამ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ისწავლა მოკეთისა და მტრის ნაბიჯების გარჩევა, თუმცა ამ ხმას ვერც ერთს და ვერც მეორეს ვერ მიაკუთვნებდა. ეს

არც ყარყუმის ანდა ციმბირული კვერნის მსუბუქი ნახტომები იყო, არც ფოცხვერის ქურდული სიარული, არც დათვის მძიმე ბაჯბაჯი და არც ცხენ–ირემი დაიარებოდა ნაპირზე. ეს ხმა მისთვის სრულიად უცნობი და არგაგონილი იყო.

ნაბიჯი უახლოვდებოდა. ონდატრამ უკანა თათებზე წამოიწია და გარიჟრაჟისწინა ბინდ–ბუნდში დაინახა ის, რამაც აიძულა უმალ წყალში ჩასულიყო და უხმოდ ჩაეყვინთა. შუა წყალში თავი ამოყო, ნაპირს გახედა და გაირინდა. იმ კოლბოხიდან, სადაც ცოტა ხნის წინათ იჯდა, ორი, მასზე რამდენჯერმე დიდი არსება უახლოვდებოდა. ისინი ნაპირზე არ შეყოვნებულან, წყალში გაბედულად შევიდნენ და გასცურეს. სწორედ ამ დროს ვიღაცამ ხმამაღლა დაატყაპუნა. ონდატრამ უმალ ჩაყვინთა, თავის სოროსკენ გასცურა და გაუჩინარდა.

მომხვდურები კი, რომლებმაც ბებერი ონდატრა ასე შეაშინეს, ყვინთავდნენ, კუდებს ატყაპუნებდნენ და ერთმანეთს თავიანთვის გასაგებ ენაზე ებუტბუტებოდნენ.

აქაური წყლების ბინადარი წავი დამრეცი ნაპირიდან ნელ–ნელა ჩავიდა ჩამუქებულ წყალში. სულ ახლახანს კარგად დანაყრდა და უნდოდა წყალში დაესვენა, მაგრამ მისი ყურადღება მდინარის მოსახვევში წყლის დგაფუნმა მიიპყრო.

წავმა თავი წამოსწია, მიაყურადა და უმალ წყალში გაუჩინარდა, მხოლოდ თვალები და ცხვირი მოუჩანდა, მერე კი სულ ჩაიმალა. მას ჭამა აღარ უნდოდა, მაგრამ როგორც დახელოვნებულ მეთევზეს, წყლის დგაფუნის ხმა იზიდავდა. მდინარე მდორედ მირაკრაკებდა, ორ ტოტად იყოფოდა, მოსახვევში კი სიჩქარეს მკვეთრად ანელებდა. სულ ახლოს ორი მოზრდილი ცხოველი დაინახა, რომლებცი სწრაფად და მსუბუქად მიცურავდნენ ნისლში ოდნავ ხილული პატარა კუნძულისკენ, ხანდახან თუ ჩაყვინთავდნენ და წყალზე კუდებს ატყლაშუნებდნენ. ეს ხმები წავმა დიდი თევზის დგაფუნს მიამსგავსა. წავმა ციმციმა თვალები ბუჩქნარში შემალულ უცნობებს გააყოლა, მერე წყლის ზედაპირზე ამოცურდა, წყალზე მოხერხებულად გაწვა, მოკლე თათები გაშალა და ნელ, ოდნავ შესამჩნევ დინებას გაჰყვა. წავი წყალში ჩავარდნილ კუნძს მიაგავდა.

ბანაკს კი ეძინა. მორიგესაც ჩაეძინა. ის პატიოსნად და სინდისიერად ფხიზლობდა, ძილს უძალიანდებოდა, მერე მიწვა, ცეცხლს დიდხანს უცქერდა, თავი ხელებზე ჩამოეყრდნო, თუმცა... დაეძინა. კოცონის ალი მოწითალო–ოქროსფრად ირეკლებოდა მდინარის ზედაპირზე. ღამის მდუმარებას შეშის ტკაცატკუცი, ცის ქვეშ, კოცონთან მწოლიარე რამდენიმე ადამიანის ხვრინვა და იქვე ახლოს გადასახლებული თახვები  გალიებიდან მოღწეული მსუბუქი შრიალი არღვევდა.

ჭორომებთან, სწრაფ მდინარეზე დამქანცველი ცურვის მერე ადამიანებს ღრმად ეძინათ, ისე, რომ არ ესმოდათ როგორ ცდილობდა განთავისუფლებას დიდი მამალი თახვი.

გადასატანი გალიის დაჟანგულმა რკინამ ვერ გაუძლო, ხის შემოსაკრავში კი პატარა ხვრელს მჭრელი კბილებით აფართოებდა. ის ამ კბილებით მშობლიურ უსმანკაში[10] ტირიფის მსხვილ ტოტებს ახრამუნებდა. ხვრელის გაფართოებაში იქნებ შავ–მოყავისფრო ბეწვიანი დედალიც ეხმარებოდა.

კოცონი მინავლდა, მორიგეს გაეღვიძა. აგვისტოს გრილი დილა გათენდა.

მალე თახვების ექსპედიციის ყველა მონაწილე განგაშზე ადგა. – ორი თახვი გაიქცა. – ამბობდა მორიგე. კვალი მიუთითებდა, რომ გაქცეული თახვები პირდაპირ მდინარისკენ არ წასულან, ბანაკს შემოუარეს და მდინარე გადალახეს, რადგან მდინარის ნაპირზე დიდ კოლბოხთან მათი ნაკვალევი წყდებოდა.

ექსპედიციის უფროსმა საველე დღიურში ჩაწერა: “ღამით დედალ–მამალი, №5108 და №5115, გაიქცნენ მდინარე ჩუნას ნაკად პუდორმინში. სამორიგეოდ გამოიყოს ორი კაცი”.

**

გზა, თუმას ასე ვუწოდებთ, ტაიგაში ახლახანს გაჭრილ განაკაფს, ძნელად სავალი იყო. ცხენები ჩერდებოდნენ. თახვების აღალს გზად ხვდებოდა დიდი ხექცეულები, ძირკვები, ფესვები, ციცაბო აღმართები, დაღმართები, ნაკადულები და მდინარეები.

ექსპედიციის მონაწილეები განაწილებული იყვნენ. თვითეულს ორი საზიდარი ებარა. მათზე ექვსი გალია იყო მოთავსებული. აღალი ხშირად ჩერდებოდა და ყველა ერთმანეთს ეხმარებოდა.

გზა ფონზე გადიოდა. ადამიანები დაუფიქრებლად ჩადიოდნენ წყალში და საზიდარს ეშველებოდნენ. ციცაბო ფერდობებზე ნიჩბებით დამრეც ბილიკებს აკეთებდნენ და დაქანცულ ცხენებსაც ეშველებოდნენ.

ყველა საკმაოდ დაიღალა, მაგრამ ყველაზე მეტად თახვები იტანჯებოდნენ. გალიებში აქეთ–იქით ეხეთქებოდნენ. რკინიგზით მრავალდღიანი მგზავრობის მერე დასუსტებული და დაღლილი თახვები უკანასკნელი გზის უკანასკნელი მონაკვეთის წინაღობებს ძნელად იტანდნენ.

[10] უსმანკა – მდინარე ვორონეჟის ნაკრძალში.

აღალი ხშირად ჩერდებოდა, სული რომ მოეთქვათ არა მარტო ცხენებს, თახვებსაც. ექსპედიციის მონაწილეების აზრით ასეთ ხანგრძლივ და მძიმე მგზავრობას თახვები ვერ გადაიტანდნენ, მაგრამ სხვა გზა არ იყო, ასეთივე კიდევ ათი კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი.

ძნელი საყურებელი იყო გალიაში მჯდომი წყვილი თახვები ერთმანეთზე როგორ ზრუნავდნენ. თუ ერთი წაიქცეოდა, მეორე ეშველებოდა. ერთმანეთს თათებით გადაჭდობილები გადაკოტრიალდებოდნენ, წამოხტებოდნენ და გალიის მოაჯირს ებღაუჭებოდნენ. ერთმანეთს ეკვროდნენ და ბუტბუტებდნენ. ამის ყურებას ბევრი ჩვენთაგანი ვერ უძლებდა, დაიძახებდა "სდექ!" და აღალიც ჩერდებოდა. ცხოველები ნაღვლიანად უყურებდნენ ადამიანებს.

ხანმოკლე შესვენების მერე აღალი გზას აგრძელებდა. საზიდრები ინჯღრეოდა. ისევ გაისმოდა "სდექ!" ადამიანებს სასოწარკვეთილება იპყრობდათ.

ახლა აღარ მახსოვს პირველმა ვინ მოიფიქრა, რომ გალიებში ვერხვის ტოტები დაგვემაგრებინა.

გაგვიხარდა, როცა დავინახეთ თახვები უკანა თათებზე მდგარი, განიერ, დაკუნთულ კუდებზე დასხდნენ, წინა თათებით კი ვერხვის ტოტებს დაებღაუჭნენ. ამის მერე მათზე ნაკლებად ვდარდობდით.

მხოლოდ იშვიათად, ძლიერი ნჯღრევისას ზოგიერთ თახვს მაშველი ტოტი გაეშვებოდა და ეცემოდა. ამ დროს მეორე ეხმარებოდა და ასე განვლეს გზის ეს უკანასკნელი, ყველაზე ძნელი მონაკვეთი.

**

როცა დედამიწას შემოდგომის სქელი ბინდი გადაეკრა, ღამის გასათევად მდინარე ამუტთან შევჩერდით. თახვების პირველი გაშვების ადგილამდე ცოტა, ასე რვა კილომეტრი გვრჩებოდა.

ცხენები იქვე ნაპირზე ოღროჩოღრო მდელოზე გავუშვით. საზიდრებიდან გალიები გადმოვალაგეთ. თახვები დავარწყულეთ, ვაჭამეთ. კოცონი დავანთეთ. ჩაი დავლიეთ და სულ მალე ხვრინვა ამოვუშვით. დამქანცველი დღის მერე ადამიანებს ღრმად ეძინათ.

იმ ღამით ყველა მორიგეობდა. მორიგეები ყოველ ორ საათში იცვლებოდნენ. დიდხანს ვერ დაიძინებდნენ. თახვებმა თითქოს იგრძნეს მოახლოებული თავისუფლება და გალიაში აქეთ–იქით აწყდებოდნენ. მორიგეები ხან ერთ გალიასთან მიირბენდნენ და ხან მეორესთან. თახვები გასაქცევად მზად იყვნენ.

უცებ "განგაში!" ყოველი მხრიდან ისმოდა რკინის ღრჭიალი, ხის ჭახაჭუხი, ცხოველთა აღგზნებული ბუტბუტი. კიდევ რამდენიმე კოცონი დაანთეს, გალიებს თვალს არ აცილებდნენ. შეამჩნიეს, რომ ადამიანების ხმის გაგონება თახვებს ამშვიდებდა და ყურს უგდებდნენ. ზოგი თახვი ადამიანებს ეხმიანებოდა კიდეც.

დაღლილ–დაქანცული ადამიანები ფეხზე ძლივს იდგნენ, მაგრამ გარიჟრაჟს მაინც სიმღერით შეეგებნენ. რას მღეროდნენ, აღარ მახსოვს. როგორ იმღერეს, ვერ ვიტყვი, ყოველ შემთხვევაში თახვებს რომ მოესმათ, საბოლოოდ დამშვიდნენ და ასე ისხდნენ თავიანთ დიდ კუდებზე.

მარტო სიმღერამ არ დაამშვიდა თახვები. გათენდა და ისინი დღისით ნაკლებად აქტიურები არიან.

ერთ–ერთ ჩვენს ამხანაგს სჯეროდა, რომ თახვები ჩვენმა გუნდურმა სიმღერამ დაამშვიდა. არ შევწინააღმდეგებივართ, ამისთვის არ გვეცალა. წინ მდინარე გველოდა, ფონი უნდა მოგვეძებნა, მეორე ნაპირზე მალე უნდა გადავსულიყავით. მეორე ნაპირზე რაზმი ორად გაიყო. ამუტის (ძირითადი) და მოდიშევოს (საცდელი). მდინარე ამუტზე თახვებისთვის საუკეთესო პირობები იყო და უმეტესობა იქ უნდა გაგვეშვა. ჩვენს ჯგუფს კი გრძელი გზა ედო მდინარე მოდიშევომდე და მგზავრობით გაწამებულ თახვებსაც იქ გავუშვებდით.

**

გზის უკანასკნელი მონაკვეთი ამუტამდე შედარებით, გამყოლი ციმბირელების თქმით, გაუსაძლისი გახდა. ცხოველებს ბოლო მოუღო. თახვებს წყურვილი აწუხებდათ. მათდა სამწუხაროდ გზა უწყლო ტაიგაზე გადიოდა. თახვები მათ სანუკვარ ვერხვის ყლორტებსაც აღარ ჭამდნენ. ყოველ შეჩერებაზე ყლორტებს გალიაში ვუწყობდით, ხშირად კი ვჩერდებოდით.

განსაკუთრებით მოზრდილი მამალი თახვი იტანჯებოდა. მარტოხელა. მისი მეწყვილე დედალი რკინიგზით მგზავრობისას დაიღუპა. თახვი ძლივს სუნთქავდა, თვალებში სევდა ემჩნეოდა. გზაზე ერთი ნაკადულიც რომ შეგვხვედროდა, გავუშვებდით,

მაგრამ არსად შეგვხვდა და სხვა გზა არ გვქონდა მდინარემდე მალე უნდა მიგვეღწია. ხანდახან ვჩერდებოდით ხოლმე. გამყოლები დაწინაურდნენ, ხერხები და ცულები წაიღეს, რომ ჩვენთვის გზა გაეიოლებინათ.

ლაჟვარდისფერ ბინდ–ბუნდში უვალიდან დავეშვით და მდინარე მოდიშევოს ნაპირზე გამოვედით. ცხენები გამოვუშვით და მდელოზე საბალახოდ გავუშვით. ნაძვნარში კოცონი ავაგიზგიზეთ და ახლოს გალიები დავაწყეთ. თახვებს წყალი დავუსხით და ვერვხისა და ტირიფის ტოტები მოვუტანეთ, თუმცა თახვები არ გახალისებულან. უძილო ღამემ და დამქანცველმა მგზავრობამ მარტო ცხოველებზე არ იმოქმედა. ადამიანებს ჭამა–სმა აღარ უნდოდათ. მიწაზე ლაბადები გაშალეს, მიწვნენ და უმალ ჩაეძინათ.

მე და ნიკოლაი როფიმოვიჩ გრუდინინმა, ძველმა სწავლულმა მონადირემ და ერთგულმა ადამიანმა მამალი მარტოხელა თახვის გალია მდინარის ახლოს გადავიტანეთ და კარი გავუღეთ. დაე, წასულიყო. ჩვენი ექსპედიციის განაწესის მიხედვით შეიძლებოდა წინასწარ მომზადებულ სოროსთან გაგვეშვა, მაგრამ სიბნელეში როგორ მივაგნებდით, ცხოველი კი გვეღუპებოდა. განაწესს აღარ ვემორჩილებოდით.

მაგრამ თახვი არ გამოდიოდა. ხელში ავიყვანეთ და წყლის პირას დავსვით. როცა მიგვყავდა, სიფრთხილე დაგვავიწყდა, ხომ შეიძლებოდა თახვს ჩვენთვის ეკბინა.

თახვი ძლივს გატოკდა. ორი–სამი ყლუპი წყალი დალია და ტირიფის ბუჩქთან მიხოხდა. თავი ასწია და დიდი, ჩამქრალი თვალებით შემომხედა. ვერ გავუძელი.

– ნიკოლაი ტროფიმოვიჩ, წავიდეთ.

– შეამჩნიე, როგორ შემომხედა? – მიჩურჩულა ამხანაგმა.

– მეც გადმომხედა. ეხ, როგორ დაიტანჯა საწყალი.

დიდხანს ვდუმდით. ნიკოლაი ტროფიმოვიჩს ვეხვეწე, რომ ცოტა ხნით მაინც დაეძინა, ორივე ვმორიგეობდით, ერთმანეთს ვენაცვლებოდით ორ–ორი საათით.

წიგნი ავიღე, კოცონთან მოხერხებულად მოვეწყვე, მინდოდა წამეკითხა, მაგრამ გვერდზე გადავდე. თახვები საეჭვოდ გაყურსულიყვნენ. რამდენჯერმე დავხედე, ისედაც სუფთა წყალი შევუცვალე და სკვებიც დავუმატე. ცხოველებს არ ეძინათ, მაგრამ არც მოუსვენრობდნენ და ყურადღებით მაკვირდებოდნენ. მათ თვალებში ცეცხლის ალი ირეკლებოდა.

უცებ წყლის პირას მწოლიარე თახვის მხრიდან შრიალი მომესმა. მივუახლოვდი. ის ისევე იწვა. თავთან ტირიფის ყლორტები დავუწყე, ხელი გადავუსვი და კოცონთან დავბრუნდიყ

ერთმა საათმა გაიარა, ორმა. არ მინდოდა ამხანაგი გამეღვიძებინა. თვითონ გაეღვიძა, საათს დახედა, თავი გადააქნია და მდინარისკენ პირის დასაბანად გასწიაყ

– ცოცხალია, არ იდარდო, გახალისდა კიდეც. – მითხრა დაბრუნებულმა ნიკოლაი ტროფიმოვიჩმა. – წყალი კი რბილია, საპნის ქაფი ძლივს მოვიცილე. – ხაოიანი პირსახოცით იმშრალებდა. – ახლა კი დავიძინოთ. – თავი მძინარე ამხანაგებისკენ გადააქნია. – ხედავ, გზამ როგორ დაქანცა. ჩემს ადგილას დაიძინე, ტკბილად დაგეძინება.

– არ მეძინება, გუშინ კი ძილს ვუძალიანდებოდი!

– დაწექი, დაწექი!

– ორი საათის მერე გამაღვიძე. – ვთხოვე, დავწექი, ზურგი კოცონს მივუშვირე და... გამეღვიძა.

ირიჟრაჟა. ჩამუქებულ წყალზე ნისლი მიცურავდა. კოცონთან მდგარ ნიკოლაი როფიმოვიჩს შევხედე და უსიტყვოდ მივხვდი. მდინარეს მივუახლოვდი. დიახ, მოდიშევოს წყალი ფრიად რბილი იყო. დიდხანს ვისხამდით სახეზე, კისერზე, მკერდზე და ვფიქრობდი, რომ ჩვენდა უნებურად მის სიკვდილში გვედო წილი. ამ ტაიგური მდინარიდან თითქოს მომაკვდავი თახვი მიყურებდა.

**

საოცრად თვალწარმტაცი დილა გათენდა. მზეზე ნამი ისე ელვარებდა, რომ მეფის გვირგვინში ჩასმული არც ერთი ბრილიანტი არ იელვარებდა. ვერც კი წარმოიდგენდით თუ ასე იბრწყინებდა ნამის უპაწაწინესი წვეთი. აი, მეწამულისფერი სხივი მისწვდა ქარაფიდან მდინარეზე გადმოშვერილ ქვას.

შორეთს გავხედე... წყლის გრძელი სივრცე. წყალსა და ხმელეთს საზღვარი არც ემჩნეოდა. სად მთავრდებოდა მდინარე და სად იწყებოდა ნაპირი. ზღაპრულად მწვანე დერეფანი. ხეები, ბუჩქები, ცა და როცა წყალში დიდი თევზი ადგაფუნდა, სარკისებური ანარეკლიც გაქრა.

დილის სიგრილეში საქმეს უნდა შევდგომოდით, სანამ ციმბირული ქინქლა, კოღო არ დაგვსეოდა. უნდა მოგვესწრო და თახვები გაგვეშვა.

გალიები ფრთხილად ჩავალაგეთ ნავში. უკანასკნელად შევამოწმეთ რუკა, სადაც თახვებისთვის წინასწარ გაკეთებული სოროები იყო აღნიშნული. გზაში თახვებს ისე შევეჩვიეთ, რომ როცა ისინი გალიებიდან გამოგვყავდა და სოროებთან ვუშვებდით, მათი კბილების აღარ გვეშინოდა.

– ნუთუ გვიკბენენ. – იცინოდა ნიკოლაი როფიმოვიჩი. გაბედულად გამოიყვანა თვრამეტკილოგრამიანი მამალი შავი თახვი, ნავიდან გადაიხარა და წყლაში გაუშვა, მერე ბლოკნოტი ამოიღო და მისი "საყურის" ნომერი აღნიშნა: "მამალი, №5123".

საღამოს ნიკოლაი როფიმოვიჩი ფრთხილად მიუახლოვდა წინასწარ გაკეთებულ საფარს ანუ დასაკვირვებელ პუნქტს. ეს საფარი მაშინ მოვაწყვე, როცა ეს ადგილები პირველად ვიხილე და სოროები გავაკეთე. მდინარის ნაპირიდან ასე ექვსი მეტრის დაშორებით ოთხ დიდ ნაძვს შორის საფარი თითქმის შეუმჩნეველი იყო. მდინარის მეორე ნაპირზე, საფარის პირდაპირ სოროსთან დღისით გაშვებული თახვები არ ჩანდნენ, მოუთმენლად ველოდით დაბინდებას. უამრავი კოღო ირეოდა. ხელთათმანები გვეცვა, სახეზე კი პირფარდები. მაშინ დიმეთილფტალატისა და არც სხვა რაიმე საშუალების ხსენებაც კი არ იყო ციმბირული კოღოსგან დასაცავად.

ნახევარი საათი გავიდა, რაც საფარში ვისხედით. მდინარეს თვალს არ ვაცილებდით. აქა–იქ მდინარის შუაში წყლის დგაფუნი ისმოდა, მაგრამ არა თახვებისგან. თევზი ბლომად იყო.

მზე ის–ის იყო ჩაესვენა. მეორე ნაპირი წყვდიადში გაეხვა და აქამდე "თავაზიანი" ტაიგა პირქუშად მოგვეჩვენა.

უბრად ვისხედით. არ უნდა გველაპარაკა. მე მდინარის აღმა ვიყურებოდი, ნიკოლაი ტროფიმოვიჩი კი ქვემოთ. არ ვიცი ჩეთმი ამხანაგი ამ დროს რას ფიქრობდა, მე კი მახსენდებოდა ის, რომ საუკუნის წინათ ციმბირის მდინარეებზე თახვები ბინადრობდნენ, მაგრამ ძვირფასი წყალგაუმტარი ბეწვისა და ფასეული კასტორეუმის გამო თითქმის ყველგან ამოწყდნენ და მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის დასრულების მერე დაიწყეს ამ ძვირფასბეწვიანი ცხოველის მომრავლება. შეიქმნა ნაკრძალები და აღკვეთილები.

მოულოდნელად ამხანაგმა მიბიძგა. ფიქრებიდან გამოვერკვიე, მივტრიალდი და მდინარის ქვემოთ გავიხედე. თახვი სწრაფად მიცურავდა, მხოლოდ თავი უჩანდა. როცა საფარს გაუსწორდა, მოულოდნელად წყლის ზედაპირზე ამოცურდა და გაწვა, არ ინძრეოდა. უცებ წყალზე გადმოფენილი ბუჩქებიდან რაღაც გაურკვეველი ხმა მოგვესმა. პირველ

თახვთან მეორე თახვის თავი გამოჩნდა. ერთმანეთს ებუტბუტებოდნენ, მერე კი წყალში გაუჩინარდნენ.

დიდხანს გაუნძრევლად ვისხედით, ფეხები დაგვიბუჟდა. როცა თახვები წყალში გაუჩინარდნენ, შვებით ამოვისუნთქეთ, ფეხი მოვინაცვლეთ, პირფარდები გავისწორეთ და შემძღვრალი კოღოები გამოვრეკეთ, გავიღიმეთ და ერთმანეთს თვალით მივანიშნეთ. დალაპარაკება ვერ მოვასწარით, რომ წყალი შადრევანივით აშხეფდა და თახვი ამოხტა, ჰაერში მოიხარა და წყალზე კუდი დაატყლაშუნა. მეორე თახვიც ამოხტა. მათი ჯერ არნახული და არგაგონილი თამაში ასე ხუთ წუთს გაგრძელდა. ერთმანეთს დასდევდნენ, ყვინთავდნენ, წყლიდან ამოხტებოდნენ ხოლმე. რამდენიმე ნახტომის მერე მდინარის შუაში მიცურდნენ, კუდები წყალზე დაატყლაშუნეს, ჩაყვინთეს და უმალ ამოხტნენ.

ნაძვის ტოტები გადავწიე და საფარიდან გამოვძვერი. მინდოდა ეს იშვიათი სანახაობა გადამეღო, მაგრამ ხელი მომეცარა. თახვები თამაშით ისე გაერთნენ, რომ ნაპირს ყურადღებას სულ არ აქცევდნენ. უკეთესად რომ დაგვენახა პირფარდები მოვიხადეთ და კოღოებს ტოტებით ვიგერიებდით. მოთამაშე თახვებს არაფერი შეუნიშნავთ.

უცებ ერთმა თახვმა სადღაც გასცურა, თან ყვინთავდა. მეორე ნაპირას წყალი ალივლივებდა. იქვე სორო იყო, სადაც დილით ეს წყვილი გავუშვით. სჩანს ეს სორო არ მოეწონათ და ერთი მათგანი ახლის გაკეთებას შეუდგა.

როცა სოროსთან მეორეც მიცურდა, მდინარისპირა ტაიგაში შევხოხდით და ფეხზე მხოლოდ მაშინ დავდექით, როცა დავრწმუნდით, რომ თახვები ვეღარ შეგვნიშნავდნენ.

თახვების ბანაკში უკანასკნელი ღამე უნდა გაგვეთია. უკან დარჩა თახვების გაშვებასთან დაკავშირებული ფაციფუცი. ამხანაგები სიტყვაძუნწობდნენ, თავი იჩინა უკანასკნელი დღეების დაქანცულობამ. დასაძინებლად ადრე დავწექით და არა ლაბადებზე, როგოცრ წუხელ, არამედ სოჭის რბილი, სურნელოვანი ტოტების საგებზე.

ჩამთვლიმა, მესმოდა ნიავის ქროლა, ტყიური გოლიათების კენწეროების შრიალი და ამ ხმაურში მესმოდა დედა–ტაიგის ალერსიანი ხმა. მას ოდესღაც წართმეული შვილები დაუბრუნეს.

`

## ციმბირული თახვები

ტაიგაში დასამშვიდობებელი გასროლის ექო გაისმა. გამყოლ მონადირეს ორი ცხენი სადავეებით ეჭირა, უკან მოიხედა, ხელი დამიქნია და ხეებს შორის გაუჩინარდა.

შემოდგომაა. დილაუთენია თეთრი, რძისფერი სქელი ნისლი მდინარისპირა ბუჩქებს ეფინებოდა, თითქოს ნამქერიდან ზურმუხტისფრად შეფერილი ყლორტები ამოზრდილიყო. რძისფერი ნისლის ხვეულები ტაიგის მდინარეზე ცეცხლივით აფარფატდნენ.

მზე ამოვიდა. მდინარის გაღმა ფიჭვნარის კენწეროები ვარდისფრად აელვარდა. ფრთოსნებიც თითქოს ამას ელოდნენ. გაისმა გნოლქათამას სტვენა, გაბმულად დაიყვირა შავმა კოდალამ, ჭრელი კოდალა მოკლედ შეეხმიანა და გამხმარ ფიჭვზე გადაფრინდა. შორეული ჭაობიდან წეროების სევდიანმა კვნესამ მოაღწია, იხვების გუნდმა სტვენით გადაიფრინა, პატარა ღალღები მელოდიურად ყიოდნენ და მდინარეზე გულმოდგინედ ფაციფუცობდნენ.

მდინარეში დიდი თევზი ადგაფუნდა. ტაიგაში ჩემმა შეუცვლელმა თანამგზავრმა, დიდმა ლაიკა ლადამ ყურები აცქვიტა და ლამაზი თავი მოატრიალა არა იქითკენ, სადაც წყალი აშხეფდა, არამედ მისი ყურადღება რაღაც სხვამ მიიქცია და როცა მდინარისპირა ტაიგაში გაუჩინარდა, ჩემს საქმეს შევუდექი, ნაკლებად შესწავლილ მდინარეზე მრავალდღიანი ცურვისთვის ვემზადებოდი.

თავდაპირველად ნავი უნდა შემეკეთებინა. დასახლებასთან ახლოს რომ ვყოფილიყავი, არ გამიძნელდებოდა, მაგრამ ტაიგაში, თანაც მარტოს...

ევენკური წესით წყალგაუმტარი საგოზავის მოსამზადებლად ლარიქსის ფისი უნდა მომეგროვებინა. ცული და თოფი ავიღე და ფისის ნაღვენთებიანი ხეების მოსაძებნად ტაიგაში შევედი. არყის ხეს ბერესტის დიდი ნაჭერი ავახიე, კოლოფი გავაკეთე. მასში ფისის მაგარ ნაჭრებს ვაგროვებდი. სწორედ ამ დროს მომძებნა ლადამ.

საღამომდე ნავს ვაკეთებდი. ბერესტაც მოვაგროვე და “სარგაც” – კედრის ფესვაკები, რაც კოლოფების შესაკერად გამომადგებოდა. ამ კოლოფებში სურსათსა და აღჭურვილობას შევინახავდიყ

საღამოს უნდა მეთევზავა. ჭიაყელები მომარაგებული მქონდა, რადგან საკუთარი გამოცდილებით ვიცოდი, რომ ტაიგაში ზოგჯერ ასეთი უბრალო სატყუარა საჭირო დრო ძნელი მოსაძებნია. რამდენიმე პატარა ნაფოტა და ქაშაპი დავიჭირე. დიდი ანკესები

დავამაგრე. არ გაუვლია ნახევარ საათს, რომ ქარიყლაპიებმა და მსხვილმა ქორჭილებმა ჩემი სურსათის მარაგი გაამდიდრეს. მეც შვებით ამოვისუნთქე, პირველ ხანებში სრულიად საკმარისი იყო.

ვახშამის მომზადებას შევუდექი. დიდ ქვაბში უხა მოვამზადე, ევენკურად. თევზის ნაჭრებით სავსე ქვაბში იმდენი წყალი დავასხი, რომ ოდნავ დაეფარა. ასე უფრო გემრიელი გამოდის. მეორე – შემწვარი თევზი. მესამე – წითელი მოცვის ტაიგური ჩაი.

მორჩენილი თევზი ოდნავ დავამარილე. ჩემი გაკეთებული კოლოფი გამომადგა. ხვალ, ღამით თევზს შევბოლავ.

ბინდდებოდა. დღის ფრთოსანთა ხმები მიწყდა. ხანდახან ღალღა დაუსტვენდა, მერე კი სიჩუმეს მხოლოდ თევზების დგაფუნი არღვევდა. ტაიგა დაუცხრომელი ღამეული ცხოვრებით ცხოვრობდა. ეს ლადამაც იცოდა. ხანდახან თავს წამოსწევდა, მიაყურადღებდა და გამომხედავდა. ძაღლის თვალებში ცეცხლი ირეკლებოდა.

კოცონი ჩანავლდა. აგრილდა, მაგრამ კარავი ხომ მაქვს. სოჭის ნაზი, სურნელოვანი ტოტები დავიფინე. დილაუთენია უნდა ავდგე და გზას გავუდგე. ახლა კი უნდა დავისვენო. არ მეძინებოდა. გამახსენდა ამ მდინარეზე პირველად რომ ვიყავი:

…ტაიგის თავზე მივფრინავდით. თვალუწვდენელი მწვანე ოკეანე. ორი საათია, რაც ჰაერში ვართ. მფრინავი – დამკვირვებელი ლიდა რიმლინა ტყეს აკვირდება, ტყის ხანძრის ნიშანი, ერთი ციცქნა კვამლიც არ გამოეპარება. პილოტი ვიქტორ ლოხოვი თვითმფრინავს თავდაუჯერებულად მართავს. მალე ტაიგის სიღრმისკენ მდინარე ამუტ–ბერეიასკენ უნდა გავფრინდეთ. მე კი ფანქარი მიჭირავს და პლანშეტზე ტყის მასივების ტიპოლოგიას ვასწორებ.

მოტორი თანაბრად გუგუნებს. ფრენისას არ ვლაპარაკობთ, საქმეს რომ არ მოვწყდეთ. ხანდახან თუ გადავულაპარაკებთ ერთმანეთს.

ამუტ–ბერეია ევენკურად ტბა–მდინარეს ნიშნავს. მხოლოდ რუკაზე მინახავს. ჩემი ყურადღება მისმა სახელწოდებამ მიიპყრო. იქნებ ეს სწორედ ის მდინარეა, თახვების რეაკლიმატიზაციისთვის რომ გამოდგეს.

რამდენიმე საუკუნის წინათ თახვები ფართოდ იყვნენ გავარცელებული ირკუტსკის ოლქში, მაგრამ დაუნდობელი ნადირობისგან თითქმის ამოწყდნენ და აქა–იქ თუ შემორჩნენ.

მხარზე ლიდას ხელი ვიგრძენი. თავი დავუქნიე. ამუტ–ბერეიას ვუახლოვდებოდით. თვითმფრინავი მკვეთრად შემობრუნდა და მდინარის ხეობისკენ გაემართა, რათა მთელ სიგრძეზე დავკვირდებოდით.

თვალს ვერ ვაცილებდი დაკლაკნილ, მიხველუ–მოხვეულ ცისფერ ლენტს. ამ ტაიგელმა მზეთუნახავმა იმედი გამიცრუა. იმედი იმისა, რომ თახვებისთვის გამოდგებოდა. აი, ხეობა. ისევ შემოვბრუნდით და სათავისკენ გავფრინდით. პლანშეტზე ვამოწმებ, ნამდვილად ამუტია.

მდინარემ მკვეთრად მოუხვია მარჯვნივ და მრავალკილომეტრიანი მოსაბრუნი შექმნა. პილოტი მოგვიბრუნდა და დაგვიყვირა:

– მდინარეს ავუყვეთ თუ გადავჭრათ?

– მდინარეს მივყვევთ.

ჩვენს ქვემოთ ჩვეულებრივი ტაიგური მდინარეა და არა ტბა–მდინარე და რაც ძალიან გამოგვადგებოდა თახვების გასაშვებად. ლადა თავს აქიცინებდა.

წინ რას ვხედავთ? პატარა სარკესავით ტბამ გაიელვა. მერე კი სულ პატარა ტბები, ერთმანეთის მიყოლებით! მდინარის ვიწრო კალაპოტი ალაგ–ალაგ ფართოვდებოდა და მომცრო ტბებს ქმნიდა. ეს მდინარე ცისფრად მოელვარე მძივს ჰგავდა. პილოტს ეღიმებოდა.

– სახელწოდება სწორად გამოიცანით. შესანიშნავი მდინარეა. თქვენი თახვები გაიხარებენ. – თქვა ვიქტორმა.

თვალს ვერ ვაცილებდი ბუნების ამ მართლაც იშვიათ და თვალწარმტაც ხედს. ლიდამ ხელი მტაცა და მაგრად მომიჭირა. კარგი ამხანაგები მყავს. ჩემთან ერთად უხარიათ და განიცდიან წარმატებულ საჰაერო დაზვერვას.

პილოტს ვთხოვე თვითმფრინავი ზემოთ აეწია. მდინარის ეს ნაწილი რუკაზე უნდა დაგვეტანა, ტბებს შორის მანძილი უნდა განგვესაზღვრა და მდინარისპირა მცენარეულობა აღგვეწერა.

ისევ აგუგუნდა მოტორი. ლიდა პლანშეტზე დაიხარა, ფანქრით რაღაცას აღნიშნავს. ვიცი, რომ მეხმარება.

რამდენიმე დღის მერე ამ მდინარესთან ფეხით მოვალ. ამხანაგთან ერთად ნავს გავაკეთებ, ვერხვის მორიდან ამოვთვლით, ტბა–მდინარეზე გავცურავთ და საფუძვლიანად შევისწავლით. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საბოლოოდ ითქვას ეს ადგილები ხელსაყრელია თუ არა თახვების გასაშვებად და თახვების აღკვეთილის დასაარსებლად.

ეს ყველაფერი უკან დარჩა. მიწისზედა დაწვერვითი სამუშაოებიც დავასრულეთ, უამრავი სიძნელეც გადავლახეთ ჩემს ამხანაგებთან ერთად. მონადირე სემიონ პეტროვიჩ რუკოსუევი, ბრგე, არაჩვეულებრივი ძალის პატრონი, დინჯი და გამძლე. ვასილი ანდრეევიჩ კოსარევი, სწავლული მონადირე მოსკოვიდან, მიზანსწრაფული, შრომისმოყვარე და თავშეკავებული.

ამ ერთგულ ადამიანებთან ერთად გამოვავლინეთ თახვებისთვის საუკეთესო ადგილები, გავუკეთეთ სოროები, გავკვალეთ ბილიკები და ბოლოს, ვორონეჟის ნაკრძალიდან წამოყვანილი თახვების აღმოსავლეთ ციმბირში გაშვების ექსპედიცია.

უკან დარჩა ახალმოსახლე თახვების შეცდომა, რაც შეიძლებოდა მათთვის საბედისწეროც კი გამხდარიყო. ეს თახვები ჩვეული არ იყვნენ ხანგრძლივ ყინვებს და ამიტომ პირველ წელს შედარებით ნაკლები საკვები მოიმარაგეს. მათდა საბედნიეროდ ზამთარში დავხედეთ და საკვები მივუმარაგეთ.

ღრმა თოვლში მრავალკილომეტრიანი სათხილამოურო ბილიკი გავკვალე და ყოლდღიურად თახვების სოროებთან ვერხვის კუნძები და ყლორტები მიმქონდა. თახვების სამყოფელი მაშინ დავტოვე, როცა საკვები ბლომად მივუმარაგე.

ეს ყველაფერი უკან დარჩა. დადგა თახვების გადმოსახლების მეორე შემოდგომა და აი, კვლავ მათ დასახედად მივდივარ. ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი. როგორ გადაიტანეს ციმბირული გრძელი ზამთარი? როგორ შეეგუვნენ ახალ პირობებს? როგორ გადარჩნენ და გამრავლდნენ?

**

ცივი შემოდგომის ცივი დილა. დაფლეთილი ნისლი მიუწვდომელ ცაზე განეფინა. ლადამ ნავში თავისი ადგილი დაიკავა. ღალღების სტვენის თანხლებით გზას დავადექით. აქა–იქ ქარიყლაპიას დგაფუნი გვესმოდა. ბუჩქნარით დაფარულ ნაპირებს შორის მივცურავდით.

თვრამეტი დღის ცურვის მერე გამოჩნდა თახვების არსებობის პირველი ნიშნები. რაც უფრო შორს შევდიოდით, მით უფრო. თახვების გაკვალული ბილიკები, როცა ნაპირზე ამოფორთხდებოდნენ. ციცაბო ნაპირზე ბუჩქნარებში მათი საწოლარები შევნიშნეთ. საფრთხის შემთხვევაში წყალში უცებ რომ გადამხტარიყვნენ. დამრეცი ნაპირებიდან ტაიგის სიღრმეში გაკვალული ბილიკები, ასე, არაუმეტეს 30–35 მეტრისა. ამ ბილიკებით თახვები

ბალახის ჩასახრამუნებლად დადიან. ხშირად ბუჩქნარი ბილიკს ზემოდან ეფარება და თახვებს დიდი, მტაცებელი ფრინველებისგან იცავს. მდინარის შლამიან ნაპირზე ხშირად გვხვდება გაურკვეველი ნაკვალევი, რაც შეიძლება გარეული ბატების ნაფეხურში აგერიოთ (თახვების უკანა თათების კვალი ბატისას მიაგავს), რომ არა კვალს მიყოლილი განიერი ზოლი, რაც მისი მძიმე კუდით დაემჩნა.

თახვის კუდი მარტო კუდი არ არის, ის საჭის როლსაც ასრულებს წყლის სიღრმეში, წყალზე კუდის ტყლაშუნი კი საფრთხის მომასწავებელია. თახვი კუდს ნიჩაბივით იყენებს, როცა სოროს თხრის, გვირაბი გაჰყავს ანდა ჯებირს აგებს. თახვი როცა ჯდება, კუდს ეყრდნობა, რადგან წყალგაუმტარი საგებია. თახვს უყვარს კუდზე ჯდომა.

და კვლავ უამრავი ნაკლებად შესამჩნევი ნიშანი მიუთითებდა იმაზე, რომ თახვების ოჯახი საზამთროდ ემზადებოდა, სოროს თხრიდა და საკვებს იმარაგებდა.

ამჯერად სად ისურვეს გამოზამთრება? იქნებ მდინარისპირ ვერხვნარში დაფუძნდნენ? იქნებ მდინარის შენაკადი არჩიეს?

მდინარეს ნავით მივუყვებოდი, ხშირად ვრჩებოდი და თვითეულ ნაკადულს ვათვალიერებდი. ბევრი ვიარე, ამაოდ, სანამ ბოლოსდაბოლოს დიდი ხნის ნანატრ თახვების ხერგს მივაღწევდი.

**

ეს ჩვეულებრივი, ქარისგან წაქცეული ხეების ხერგი კი არ იყო, რაც ტაიგის მდინარეებზე ხშირად გვხვდება, არამედ სულ ახალი, თანაც ვერხვების.

თახვების გამოზამთრების ადგილს მივაკვლიე. თვალწინ მათი მეურნეობა წარმომიდგაყ

თახვებს ვერხვი მოეჭრათ. საზამთროდ საკვებს იმარაგებდნენ. ხეებიდან კენწეროსა და ყლორტებს აჭრიდნენ. მოწონებულ “ტკბილ” ხეს კუნძებად ანაწილებდნენ და სოროსკენ ათრევდნენ, სადაც წყალქვეშ შეინახავდნენ. როცა მდინარეს ყინულის ქერქი გადაეკვრება და დაათოვს, თახვები სოროდან გაყვანილი გვირაბით “საკუჭნაოსთან” მიცურდებიან, ხეს ნაჭერს მოაგლეჯენ და სოროში წაიღებენ. იქ საძინებლიდან გამოყოფილ “სასადილოში” მერქანს გაღრღნიან, ნარჩენს კი მდინარეში ჩაყრიან.

მდინარის პირას, აქა–იქ ვერხვის თეთრი ტოტები ყრია, თახვებმა მჭრელი კბილებით გაქერქეს. მათი ნაკბილარები მერქანს ატყვია. ნაკბილარის სიგანის მიხედვით ძნელი არაა

თახვის ასაკის დადგენა. ესენი აქ, ამ ციმბირული მდინარის პირას დაბადებული თახვები იყვნენ!

ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ თახვები ახალ ადგილებში დაფუძნდნენ, მაგრამ უფრო ფრთხილნი გახდნენ, ვიდრე თავიანთ სამშობლოში, მდინარე უსმანკაზე იყვნენ. იქ ისინი ნაკრძალის თანამშრომლებს მიჩვეული იყვნენ და ადამიანს არ უფრთხოდნენ, ამიტომ მათზე დაკვირვება გაიოლებული იყო. აქ კი ფრთხილები გახდნენ. მათ საქმიანობას ისე უნდა დავკვირვებოდი, რომ ჩემი იქ ყოფნით არ ამეფორიაქებინა, ამიტომ "თავაზიანად" ვიქცეოდი.

დიდი წვალებით გავიარე თახვების ხერგი, ხერგილებს შორის ვძვრებოდი, ციცაბო ნაპირს ვეკვროდი, საიდანაც თახვების მიერ მოჭრილი ვერხვები გადმოკიდებულიყო. ხერგის მერე ნაპირზე მაღალი ძირკვები შევნიშნე. სჩანს, თახვების ოჯახმა კარგად გამოიზამთრა. ადგილი არ შეიცვალეს და საზამთროდ თადარიგი დაიჭირეს. ამჯერად თახვებს შეცდომა აღარ მოსვლიათ. ამაზე მეტყველებდა მოჭრილი ვერხვების რაოდენობა, თახვების ხერგი.

**

უყურებ წაქცეულ ხეებს და თახვების შრომისმოყვარეობით იხიბლები. თახვები მძლავრი, მჭრელი კბილებით ღრღნიან ანუ "ჭრიან" ხეებს. 20–25 სმ დიამეტრის ვერხვს თახვი 15–20 წუთში გადაღრღნის, 3–5 სმ დიამეტრის ტოტებს კი ერთი მოკბეჩით.

ვორონეჟელი თახვების საყვარელი საკვები ვერხვი, ტირიფი და ზოგიერთი წყლის მცენარეთა ფესვებია და თახვებიც იქ დაფუძნდნენ, სადაც მათთვის ჩვეული საკვები იყო. უეჭველია, რომ უკვე ამუტელი თახვები არყის ხეზე გადავიდოდნენ, აქ ამოუწურავი მარაგი იყო.

თავიანთ სამშობლოში, ვორონეჟის ნაკრძალში თახვები ცხოვრობდნენ ფაცხებში, სოროებში, თხრიდნენ გვირაბებს და აგებდნენ ჯებინებს. აქ კი ფაცხები და ჯებირები არ სჭირდებოდათ. აქ მხოლოდ სოროებს თხრიდნენ და შესასვლელი გვირაბი მხოლოდ წყლიდან ჰქონდათ გათხრილი.

ერთ ადგილას თხრილი შევნიშნე. ასე ორი მეტრი სიგრძის გაეთხარათ, ისიც შარშან. სჩანს, ვერხვებამდე უნდა მოეყვანათ, ნაპირიდან ასე 80–100 მ–ის დაშორებით. ამ არხით კუნძებს დააცურებდნენ, მაგრამ თახვებმა არხის გაყვანა მიატოვეს, რადგან ვერხვები მე მოვჭერი, თა–ხვები შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ და კუნძები მდინარის ნაპირას

დავალაგე. ოთხფეხა მიწისმთხრელებს არხის ადგილი სწორად არ შეერჩიათ. მაღალი, ოღროჩოღრო ნაპირი, ლარიქსი ბილიკზე გარდიგარდმო ეგდო და სანახევროდ შლამსა და სილას დაეფარა. თახვებს დიდი შრომა–გარჯა მოუწევდათ, სანამ არხის გაყვანას დაასრულებდნენ.

მინდოდა თახვების გამოზამთრების ადგილას ნაპირს მივდგომოდი და მათი "ტყეკაფი" საგულდაგულოდ დამეთვალიერებინა, მაგრამ მდინარე ამუტის სათავიდან დაბრუნებამდე გადავდე.

მდინარის მეორე ნაპირზე საფარისთვის ადგილი შევიგულე, რათა თახვების ყოფა–ცხოვრებას, საქმიანობას დავკვირვებოდი. საღამოს, დაბინდებამდე თახვების ხერგიდან ასე 3 კმ–ის დაშორებით მოწყობილი ბანაკიდან საფარისთვის შერჩეული ადგილისკენ გავწიე, სათვალთვალო საფარი მალე მოვაწყვე, თუმცა ამაოდ. მესმოდა მხოლოდ მათი "ლაპარაკი", წყალში ტყაპუნი, ხეების გაღრღნა, ვერხვების დაცემა, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი. თახვები ბნელში იღვწოდნენ. ჩემს გვერდით მჯდარ ლადას ჩემზე უკეთესად ესმოდა ყველაფერი, რაც თახვების "ტყეკაფში" ხდებოდა ან იქნებ წყვდიადში ამჩნევდა კიდეც. ძაღლი დროდადრო გარეთ იწევდა, მე ხელს ვუსვამდი და ოთხფეხა მეგობარს ვამშვიდებდი.

**

დღე დღეს მისდევდა. ნავი წინ მიიწევდა. გზად ხერგები გვხვდებოდა. ხეები უნდა გადაგვეხერხა. ზოგან "საუკუნოვანი" ხერგები 100 მ–მდე გრძელდებოდა. მათ შორის გაღწევა შეუძლებელიც კი იყო, ამიტომ ნავი და აღჭურვილობა ნაპირზე გადამქონდა, ბუჩქნარში, ხმელ ფიჩხში და მდინარეს ასე ნაპირ–ნაპირ მივუყვებოდი. ზოგან მდინარე ვიწროვდებოდა, ქარაფი იყო გადმოკიდებული. ასეთ ადგილებში მდინარის სიღრმე 2 მ–ს აჭარბებდა. უკან ვბრუნდებოდი დამრეც ნაპირამდე და ნავს ისევ ნაპირის გასწვრივ მივათრევდი. ზოგან კალაპოტს ცულის და ნიჩბის საშუალებით ვაფართოებდი და ასეთი "დარდანელის" მერე მდინარის კალაპოტი ან ისევ განიერდებოდა ან დიდ ტბათა მძივს ქმნიდა ან ღრმავდებოდა.

ამდენი წინაღობის გადალახვის ჯილდოდ მხვდებოდა თახვების ხერგები და რიყეზე მათი ნაკვალევი.

დილიდან საღამომდე თავიდან ფეხებამდე სველი ვიყავი, სამაგიეროდ ყოველდღიურად რუკაზე აღვნიშნავდი თახვების მიერ ათვისებულ ახალ ადგილებს.

ღამღამობით უფრო ციოდა. ტაიგა საშემოდგომოდ აფერადებულიყო. აი, უკვე მეორე დღეა, რაც თახვების არსებობის კვალი აღარ შემხვედრია. უკან უნდა დავბრუნებულიყავი. მდინარე გაიყინებოდა და ვეღარ გამოვაღწევდი.

**

უკან გამოცურვა იოლი არ აღმოჩნდა. მართალია ხერგების გაჭრა აღარ მიწევდა, მაგრამ მდინარე უკვე იყინებოდა, ნაპირს მინაყინი გასდევდა და რაც გადაადგილებას მიძნელებდა. კვლავ გვერდით ჩავუარე თახვების ადგილსამყოფელს. საკვები უკვე მოემარაგებინათ. მათი "ტყეკაფების" დასათვალიერებლად და გამოსაზამთრებელი ადგილების საფუძვლიანად აღსაწერად შევყოვნდი.

ამუტის ნავმისადგომიდან, საიდანაც ჩვენი გზა დაიწყო, ორი დღის სავალზე არის თვალწარმტაცი კონცხი. იქ ზამთარშიც დავბანაკებულვარ და ახლაც აქ შევჩერდი.

ლადა სიხარულით გადმოხტა მშრალ ნაპირზე. კარავი სწრაფად დავდგი. უნდა მომესწრო, ღამდებოდა.

კოცონი გიზგიზებდა, ნაპერწკლები ჰაერში იფანტებოდა და ადგილს სხვა ნაპერწკლებს უთმობდა. ძლიერი ყინვები ახლოვდებოდა.

მსხვილი ქოჭილებისგან უხა გავაკეთე. ირგვლივ ისეთი გემრიელი სურნელი დატრიალდა, რომ მოშორებით მჯდარმა ლადამ თავი ასწია, იყნოსავდა. ჩემს ერთგულ თანამგზავრს გადავხედე და შევამჩნიე, რომ მისი ქურადღება რაღაც სხვამ მიიპყრო. უცებ თავი შემოაბრუნა, ყურები აცქვიტა, წამოიწია და კუდის ქიცინით მომიახლოვდა, მერე ისევ თავის ადგილას დაბრუნდა. სჩანს აფორიაქებული იყო. დროდადრო თავს სწევდა და წყვდიადს გასცქეროდაყ

სანამ დასაძინებლად დავწვებოდი, მდინარესთან მივედი. ნაპირზე ამოთრეულ და გადაბრუნებულ ნავთან აღჭურვილობა და დარჩენილი სურსათი ეწყო. შებოლილი თევზის სურნელი იგრძნობოდა. ამუტის თევზი რომ არა, სურსათი არ გვეყოფოდაყ

ლადა გვერდიდან არ მშორდებოდა. ახლაც მდინარის ნაპირას იდგა და აყურადებდა. მე მდინარეში მოცურავე ყინულის ხორგების მსუბუქი ჭახუნი მომესმა, მაგრამ ლადა რაღაც სხვას უსმენდაყ

ცეცხლის ალით განათებული კარავი დასასვენებლად მიწვევდა. მინაყინი დავამტვრიე და მდინარიდან წყალი ამოვიღე, მერე კი დასაძინებლად დავწექი. დიდხანს არ დამისვენია, რომ ლადას ყეფამ გამომაღვიძა. კარავში არ იყო. თვალგახელილი ვიწექი და ძაღლის ფეხის ხმას ვაყურადებდი. უცებ ჭოტის კივილი მომესმა: "შუ–ბუ". ჩანს ეს ღამეული ავაზაკი სანადიროდ გაფრინდა. ალბათ სადღაც აქვე, უზარმაზარ ფიჭვზე ზის და ეს "ყურებიანი" მტაცებელი ფრინველი ციმციმა თვალებით ქვემოთ იყურება.

მტაცებელ ნადირზე ტყვია არ მენანებოდა. ვცადე უხმაუროდ გამოვსულიყავი კარვიდან. იქვე, დიდ ფიჭვზე თოფი მქონდა ჩამოკიდებული. თოფამდე არ მიმეღწია, რომ კარვიდან ასე 30 მ–ის დაშორებით ლადამ დაიყეფა. მესმოდა ტოტების ლაწალუწი, ავი ბდღვინვა. უფრო გაავებული ყეფდა ჩემი ოთხფეხა მეგობარი. აი, თურმე ვინ დაურღვია მყუდროება. დათვმა, "ბაჯბაჯა ბერიკაცმა!" ჩანს შებოლილი თევზის სურნელმა მიიზიდა.

კარავში სწრაფად შევვარდი, თავთან ელექტროფანარი მედო, ხელი ვტაცე და უმალ ლადასკენ გავიქეცი. ნადირის საშინელი ღრიალი მომესმა. ლადამ ჩემი მიახლოება იგრძნო. ფანრის კაშკაშა შუქმა წყვდიადი გაარღვია და ახალგაზრდა, ხშგირი სოჭნარი გაანათა. ხეებს იქეთ ვერაფერს ვამჩნევდი. სულ ახლოს მესმოდა ღრიალი, ყეფა და ლაწალუწი.

უღრანში შევედი, ყოველ წამს მზად ვიყავი გამესროლა, მაგრამ დათვი არ შემებრძოლა და უკან დაიხია. ნადირი გაბრუნდა. ჩვენ, ტაიგელები ნადირის თოფით მოგერიებას მიჩვეულნი ვართ და ალალბედზე არასდროს ვისვრით. ლადა დათვს გაეკიდა. მისი ყეფა კიდევ დიდხანს ისმოდა. მერე სიჩუმე ჩამოვარდა.

ჭოტი გაფრინდა. მისი კივილი ახლა შორიდან ისმოდა, მდინარის მეორე ნაპირზე კი ბუ ხითხითებდა.

ღამით შემაცია. კოცონი დავანთე და ლადას დაველოდე. დიდად არ შევფიქრიანებულვარ, ჭკვიანი ძაღლი იყო. ასე, ორი საათის მერე უვნებელი, საღსალამათი დაბრუნდა, ძლივს სუნთქავდა, მიწაზე გაწვა, ხანდახან თავს წამოსწევდა, თვალები უციმციმებდა.

**

დილით უსიამოვნო ხედი გადამეშალა. მდინარეს ყინულის თხელი ქერქი გადაჰკვროდა. რაღაც უნდა მეღონა. შემეძლო ნავი შემენახა, კარავი და აღჭურვილობა ნაძვის

ხეზე მიმემაგრებინა. ყველაზე აუცილებელი ამეღო და ამუტის ნავმისადგომამდე ფეხით მივსულიყავი, მაგრამ მდინარისპირა უღრანში გავლა შეუძლებელი იყო.

მეორე გზაც არსებობდა. ვრცელი ჭაობის გავლით ქედზე გავსულიყავი. მიდამო დავზვერე და ეს გზაც უარვყავი, რადგან ჭაობზე გადაკრული დამდნარი ბრკეები მეღობებოდა. ბანაკში წელს ზემოთ სველი და შლამში ამოსვრილი დავბრუნდი.

ერთი გზა მრჩებოდა, ყინულზე ნავით. ამან დამაღონა. ასე, ათი კილომეტრის მერე ამუტში ურიცხვი წყაროები ჩაედინებოდა და მდინარის დინება სწრაფდებოდა. ზამთრობით ამ მონაკვეთზე მდინარე ალაგ–ალაგ არ იყინებოდა.

ნაშუადღევისთვის ტანსაცმელი უკვე გავიშრე, პატარა ბარჯი და ხის გრძელტარიანი ჩაქუჩი ავიღე, ჩემი ავლადიდება ნავში ჩავაწყვე  და გზას დავადექი. ლადა ახლა კიჩოზე იჯდა, მე კი ბარჯითა და ჩაქუჩით შეიარაღებული ნავის ცხვირზე მოვეწყვე.

წინ ნელა, ძალიან ნელა მივიწევდით. ბასრი ყინული ვერხვის “ყინულმჭრელს” ბორტებს ათლიდა. შეიძლებოდა ყინულიან წყალში ჩავვარდნილიყავით. ხელები დამექანცა, სამაგიეროდ თვითეული დარტყმის მერე ნავი 1–1,5 მ–ით მიიწევდა წინ.

მოსაღამოვებულზე ყინვა გაძლიერდა. წყაროები შორს აღარ იყო. სქელ ბინდ–ბუნდში წყალი აელვარდა. წყალში კაშკაშა ვარსკვლავები ირეკლებოდნენ.

დილით, როცა ნავს მდინარეში ვუშვებდი, გვერდებზე ღრმა “ჭრილობა” შევნიშნე, ყინულს გაეჭრა. ცოტა კიდევ და დაჭრილი “ყინულმჭრელი” ფსკერისკენ დაეშვებოდა.

**

ამუტ–ნავმისადგომი. ცურვის ბოლო პუნქტი. ტაიგა ახლა სხვანაირად გამოიყურება, ვიდრე 48 დღის წინათ. თეთრი არყები წვრილ, ფოთლებშემოძარცვულ ტოტებს არხევენ, ლეგა–მომწვანო ვერხვებს ხელები ცისკენ გაეწვდინათ, სულ ახლახანს ამწვანებულ ტირიფებს ფოთლები შემოსძარღვოდათ, ლარიქსებს ჯერ კიდევ ოქროსფერი ედოთ, მაგრამ რამდენიმე დღის მერე წიწვები მათაც დასცვივდებათ, მხოლოდ ნაძვები, ფიჭვები, სოჭები და კედრები ძველებურად თვალს გაახარებენ სიმწვანით.

იშვიათად ისმის კოდალის ძახილი. ხმელ ხეებზე მათი კაკუნის ხმა მკვეთრად გაისმის ყინვიან ჰაერში. წყნარად და მელოდიურად სტვენენ გნოლქათმები.

აღარ ჩანან პატარა ღალღები. ისინი ხომ ტაიგის მდინარეების ნაპირებს ამხიარულებდნენ. თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ ბატები, იხვები, წეროები, თეთრი, ქათქათა

გედები კი დღეს გამოეთხოვნენ ჩრდილოეთს. მაღლა გადაიფრინა ამ ამაყი ფრინველების გუნდმა. მათი საყვირივით ხმა სევდიანად ისმოდა არემარეზე.

მეც ვემშვიდობები ტაიგას. ის დიდებულად გამოიყურება. ოდნავ ირხევიან ხეები. დიდხანს ვიყურები იქეთ, სადაც ჩემი ამუტელი თახვები დარჩნენ. მათზე აღარ ვდარდობ. ისინი ახალ ადგილზე დაფუძნდნენ. ახლა ისინი ციმბირული თახვები არიან.

## თახვების მდინარეზე

წლიდან წლამდე ტაიგაში მხარზე თოფგადაკიდებული დავდიოდი. ცოტა არ მივლია ფეხით, ნავითაც. ერთი ოთხფეხა მეგობრით და ორნიც, ცოლთან, ელენასთანერთად, სტუდენტებთან, მომავალ მხარეთმცოდნე–რომანტიკოსებთან ერთადაც და სანამ ცოცხალი ვარ ვერავითარი ძალა ტაიგას ვერ დამაშორებს.

ამჯერადაც დიდი ხნით შევედი ტაიგაში, ახალმოსახლე თახვები უნდა შემემოწმებინა, როგორც შეეჩვივნენ, იქნებ გამრავლდნენ კიდეც. ვფიქრობდი იმაზე, თუ თახვები გაზაფხულის წყალდიდობას როგორ გადაიტანდნენ, როცა მდინარეები ადიდდებოდა და თახვები იძულებული იქნებოდნენ სოროები დროებით დაეტოვებინათ. განსაკუთრებით იმაზე ვშიშობდი, რომ მტაცებელი ნადირ–ფრინველი შეიძლებოდა თავს დასხმოდა ახალმოშენეებს, მტკნარიწყლის ზვიგენებს – უზარმაზარ ქარიყლაპიებს თავისუფლად შეეძლოთ პატარა ტახვების განადგურება. მახსოვს, როცა მონადირე სემიონ პეტროვიჩს რუკოსუევთან ერთად თახვების გასაშვებ ადგილებს პირველად ვარჩევდით, გაოგნებული ვიყავით თახვების აღკვეთილში ბინადარი ქარიყლაპიების ზომებით.

“ამას პატარა თახვის გადაყლაპვა არ გაუჭირდება” – მითხრა მაშინ სემიონუშკამ და შეფიქრიანებული უყურებდა 1,5 მეტრზე მეტი სიგრძის ქარიყლაპიას. დიდი ანკესით დავიჭირეთ. ანკესზე ამხანაგის სიტყვით “ბებია” წამოვაცვით ანუ ძალიან მსხვილი ნაფოტა. ამ გოლიათს როგორ ვებრძოდით, ერთი ამბავია.

– გახსოვს, კინაღამ რომ დაგახრჩო? კიდევ კარგი, რომ არ დაიბენი და ანკესი ხელიდან დროზე გაუშვი. ხელში რომ გწვდომოდა, ნავიდან გადაგათრევდა. იქ კი, ხომ იცი როგორი სიღრმეა. – სემიონს ძველი ამბავი გავახსენე, კინაღამ სიცოცხლის ფასად რომ დაუჯდა.

– ეს ურჩხულები უნდა გავანადგუროთ, თორემ ჩვენს ახალმოშენეებს ხეირს არ დააყრიან. – წარბები შეჰყარა სემიონმა.

ასეთი ქარიყლაპიების შუბლზე, როგორც ხნიერნი ამბობენ, "ხავსი" არ იზრდება. თვალებს შორის კანი გაუხეშებული, დანაოჭებული ჰქონდათ და კოპიც აჯდათ. მათ უგემურ ხორცს ჩემი ძაღლი ლადა პირს არ აკარებდა. მოსაკითხისთვის ტაიგის ნადირი ჩვენი მადლიერიც კი იქნებოდა. სახსოვრად მდინარის პირასჭოკს ვარჭობდით, რაზეც ურჩხულის თავს ვამაგრებდით.

ამჟამად მათთვის არ მეცალა. გზაში ვთევზაობდი. ანკესის გადაგდებას ვერ მოასწრებ, რომ ჯოხი ხელიდან გეშვება, დიდი თევზები დავიჭირე, ასე 70–90 სმ სიგრძისა. მე და ლადას გვეყოფოდა. მდინარეზე ცურვის უკანასკნელ დღემდე ჩვენს ისედაც ღარიბულ მენიუს ნედლი, დამარილებული და შებოლილი ქარიყლაპიაც ემატებოდა. იშვიათად, როცა დაღლილ–დაქანცული არ ვიყავი, თევზის კოტლეტებს ვაკეთებდი და რამდენიმე დღის განმავლობაში ამით ვიკვებებოდით. ასეთი გემრიელი კოტლეტები, რაც თახვების მდინარესთან მივირთვით, ცხოვრებაში არ მიჭამია. ლადასაც ვაჭმევდი.

იმ დღეებში "ურჩხული" მხოლოდ ერთხელ შემხვდა. აი, რა შემემთხვა: ბინდდებოდა. ბანაკისთვის ადგილი უნდა შემერჩია. ვიწრო სრუტიდან გამოვცურე, თევზის მარაგი მითავდებოდა და უნდა მეთევზავა. ანკესი ჩავუშვი თუ არა, კინაღამ ხელიდან გამეშვა. "ნამდვილად ჩაძირულ ხეს წამოედო" – გავიფიქრე თუ არა ძლიერი ბიძგისგან ნავი უმალ გაჩერდა. ნიჩბებს მოვუსვი, ისევ ბიძგი, ნავი შეინძრა, ლარი მოეშვა, უნემსკავოდ დავრჩი. "ეს ქალაქური ნემსკავები ჩვენი ციმბირული თევზისთვის არ გამოდგება, ვერ ამოსწევენ". – მითხრა სემიონუშკამ, როცა ექსპედიციის წინ ჩემი სათევზაო აღჭურვილობა დაათვალიერა. მართალიც იყო. ანკესები იმტვრეოდა.

ბანაკისთვის ადგილი შევარჩიე და გადაწყვიტე ამ "ზვიგენზე" მენადირა. პირველ რიგში ნემსკავი დავამზადე. დანა, ცული, ქლიბი გამოვიყენე. თოფის მასრიდან საიმედო ტაიგური ნემსკავი გავაკეთე, მავთულიც მქონდა და დიდი კაუჭებიდან ანკესები გავაკეთე. ნავიდან ჩემი ავლადიდება ამოვალაგე, ლადასთან ერთად ჩავჯექი და ციცაბო ნაპირს მოვცილდი. ნემსკავი წყალში ჩაიმალა, არაფერს წამოსდებია. მეორედ, მესამედ. ამაოდ.

პატარა ქარიყლაპიებიც არ ეკიდებოდნენ. “ნუთუ ამ ურჩხულმა ასე შეაშინათ?” – გავიფიქრე და გადავწყვიტე დრო არ დამეკარგა და ბანაკში დავბრუნებულიყავი. უცებ ბიძგი. წამიერი და ძლიერი. “გამძლე ანკესია, ვერსად წამივა”. – გამიხარდა, ლარი მოვზიდე, ურჩხული კი მდინარის აღმა იწეოდა, ნავიც გაიყოლა. ნავის შუაში ვიდექი, ქარიყლაპიამ განზე რომ გაიწია, ნავი მკვეთრად გადაიხარა, სწორედ ამ დროს წონასწორობა დავკარგე და ნავიდან გადავვარდი. ვერ შევნიშნე ლადა როგორ აღმოჩნდა წყალში, მაგრამ ნაპირზე ორივემ ერთად გამოვცურეთ. დიდი წვალებით ამოვფორთხდით, ძაღლი მომეხმარა. თოფს ხელი ვტაცე და თვალს მიფარებული ნავისკენ გავიქეცი. მოსაბრუნის იქეთ ვიპოვე, წყლით იყო სავსე, მცირე ხერგზე გაჩხერილიყო. ქარიყლაპია კი არსად ჩანდა.

როგორც სჩანს ქარიყლაპიამ ნემსკავი გადაყლაპა და ლარი გაკვნიტა. კმაყოფილი ვიყავი კიდევ ერთი ურჩხული რომ დავამარცხე. პატარა თახვების მტერი ერთით შემცირდა. ქარიყლაპია, რომელმაც ასეთი ანკესი გადაყლაპა, მალე დაიღუპებოდა.

ოღონდ ნადავლი არ ჩანდა – მდინარის ნაპირზე ჭოკზე მიმაგრებული ქარიყლაპიას თავი.

## ღამეული ხისმჭრელები

როცა ლილისფერი ბინდი ტაიგას სქლად დაეფინა, პატარა, ამოთლილი ნავით წყნარად მივუახლოვდი ნაპირს. ნავი წყლისპირა ბუჩქნარში ამოვათრიე, შევნიღბე და წლეულს გაკეთებული საფარისკენ გავწიე. საფარი სანაპირო ტაიგის პირდაპირ მქონდა მოწყოლბილი. იქ, სადაც თახვების შრომისმოყვარე ოჯახი ვერხვებს “ჭრიდა”, საზამთროდ საკვებს იმარაგებდა. ლადა წინ მიმიძღოდა. დაინახა, რომ საფარში მოხერხებულად მოვეწყვე და თვითონაც მოხერხებული ადგილი ამოირჩია, ბალახი გათელა და წამოწვა.

– აბა, ლადუშკა, მოთმინება ვიქონიოთ, წყნარად ვისხდეთ.

ლაიკამ თავი ასწია, მუქი ყავისფერი თვალებით შემომხედა, ღრმად ამოისუნთქა და გაირინდა. კარგი ამინდი იყო. სიოც არ უბერავდა და ვერხვებიც ერთმანეთს არ “ებაასებოდნენ”. გარინდებულნი უბრად ვისხედით. მალე ლადამ უხმოდ წამოიწია, მერე ისევ დაჯდა, თავი მოაბრუნა და ყურები აცქვიტა. მეც მივაყურადე, მაგრამ თევზის დგაფუნის

მეტი ვერაფერი გავიგე. მივხვდი, რომ ლაიკა ამ მისთვის ნაცნობ ხმას არ აყურადებდა. აქეთ–იქით ვიყურებოდი, იმ იმედით, რომ მოჭრილ ხესთან თახვს დავლანდავდი.

დაბინდდა. წყლის ზედაპირზე ხეთა ანარეკლებიც აღარ ჩანდა. დაბურულ ნაპირებს მდინარე ნათელი ბილიკივით მიუყვებოდა. მინდოდა თახვებისთვის სურათი გადამეღო, მაგრამ არ გამოჩენილან. როცა სულ ჩამობნელდა რამდენიმე თახვი შევნიშნე. მოჭრილ ხეს უახლოვდებოდნენ. სურათს ვეღარ გადავუღებდი.

ტყაპუნის ხმა მომესმა. თახვები ნაპირზე ამოვიდნენ. ბალახი შრიალებდა. ისმოდა მათი გაცხოველებული ბაასი, მერე მიჩუმდნენ. ლადა მომეკრა, დაძაბული იყო, კანკალებდა. მოვეფერე, ხელი გადავუსვი, ვაწყნარებდი.

აი, აშკარად მომესმა "ჭრის" ხმა, არგაგონილი და თავისებური, ენით ვერც აღვწერ. უძრავად ჯდომისგან ფეხები დამიბუჟდა და კისერიც გამიშეშდა. ახლა შეიძლებოდა ცოტა მაინც გავტოკებულიყავი და მოხერხებულად დავმჯდარიყავი. თახვები საქმიანობით ისე იყვნენ გართულნი, რომ არც კი გვაყურადებდნენ. ჩემი შემხედვარე ლადაც მოხერხებულად მოეწყო. ასე ვისხედით ორნი, ვერაფერს ვხედავდით, მხოლოდ გვესმოდა როგორ "ჭრიდნენ" თახვები ხეებს, კუნძებად ანაწილებდნენ, მიათრევდნენ და წყალში აგორებდნენ.

თახვები ასე, სამი საათის განმავლობაში იღწვოდნენ. როცა მიწყნარდნენ, ჩვენ საფარიდან გამოვედით და ნავისკენ გავეშურეთ. ლადა წინ მიმიძღოდა.

ჩამუქებულ წყალზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ, ჩვენ კი ბანაკისკენ მივცურავდით.

## შორეულ გზაზე

– კონსტანტინ დმიტრიევიჩ, ერთი დედალი უკვე ორი დღეა მოწყენილია, არც ჭამს, არც სვამს. – მითხრა ანიამ, ეგერის ცოლმა.

– რა მოუვიდა?

– არ ვიცი, აბუზული ზის, მძიმედ სუნთქავს, თვალებდახუჭულია.

– თვალები დახუჭა?!

– კი.

გადასატანი გალიები მდინარის ნაპირას ისეთივე თანმიმდევრობით იდგა, როგორც სამი დღის წინ, როცა მე შემდგომი გზის დასაზვერად წავედი. ერთი გალია განცალკევებით იდგა. იაკობმა სნეული ონდატრა ექვსადგილიანი გალიიდან გამოიყვანა. ცხოველის მდგომარეობა რომ ვიკითხე, მხრები აიჩეჩა, მერე კი: – ცუდადაა, იხრჩობა, ვერაფერს ვშველით. ანია და იაკობი გალიისკენ დაიხარნენ. ონდატრა მძიმედ სუნთქავდა, ხრიწინებდა და ხანდახან ჩუმად წამოიკვნესებდა. კისრის ქვემოთ გასიებული ჰქონდა. ანიას ვთხოვე მაკრატელი, დოლბანდი და "მარგანცოვკის" ხსნარი მოეტანა.

ონდატრები, როცა გალიიდან გამოჰყავთ, ეწინააღმდეგებიან, თათებით ებღაუჭებიან, ამიტომ კუდით უნდა გამოქაჩოთ, თანაც ფრთხილად, მჭრელი კბილები აქვთ და შეიძლება დაგჭრათ კიდეც. როცა სნეული ონდატრა გალიიდან გამოვათრიეთ, არ შეგვეწინააღმდეგა და არც დაგვებღაუჭა. გულდასმით დავათვალიერე და მცირე ჭრილობა შევნიშნე. უკვე დაჩირქებულიყო. ჭრილობის ირგვლივ ბეწვი მოვჭერით და როგორც ანიამ თქვა, სინდისი თავისუფალი რომ გვქონოდა, "მარგანცოვკის" ხსნარით დავამუშავეთ.

– სნეულს მე მივხედავ, თქვენ კი ცხოველებს აჭამეთ. – ვუთხარი ანიას.

შორეული მგზავრობისას ცხოველების დაღუპვა ჩვეულებრივი ამბავია, გადამწყვეტი მნიშვნელობა არც აქვს, მაგარმ მის ტანჯვას გულგრილად ვერ ვუყურებდით.

დედალ ონდატრას რბილი საგები მოვუწყვე, სუფთა წყალი დავუსხი, შვრია დავუყარე. ონდატრა აბუზული იჯდა, ყველაფრისადმი გულგრილი იყო. გალიასთან ახლოს დავჯექი. ერთმანეთს თვალებში შევხედეთ. ცხოველი სევდიანად მიყურებდა. თვალი მოვარიდე.

"ტაიგურ აფთიაქში" საჭირო წამალი არ აღმოჩნდა. დიდხანს დავეხეტებოდი ღრმა თოვლში და ასანთის კოლოფით "ნაძვის ცრემლები" მოვიტანე. ცხოველი ისევ ისე იჯდა, სასმელ–საჭმელს არ მიკარებოდა, ბეწვი აშლოდა. ცუდად მენიშნა. ონდატრა გალიიდან გამოვათრიე, მუხლებზე დავისვი, მონადირული დანით ჭრილობა ცოტა გავუჭერი. მუქმა სისხლმა ამოხეთქა. ცხოველი შეინძრა, გრძელი კუდი ააქიცინა. ის ისევ ძველებურად სევდიანად მიყურებდა.

"ნაძვის ცრემლები" სუნთქვით გავათბე, ჭრილობაზე დავადე, ზემოდან თხელი ბერესტა გადავაკარი და ონდატრა ფრთხილად გადავიყვანე გალიაში, კარი მივუხურე და

ჩემდა უნებურად ვთქვი: “ჩემო მზეთუნახავო! ახლა კარგად იქნები!” ვთქვი და გამოვბრუნდიყ

ის გალია, სადაც ადრე სნეული ონდატრა იჯდა, დავათვალიერე. ჩემი ვარაუდი გამართლდა. გალიის სიღრმეში, საგებში წვეტიანი მავთული იყო შერჭობილი. სწორედ მასზე დაიჭრა ცხოველი.

– ყველა გალია გულმოდგინედ უნდა დავათვალიეროთ. – ვუთხარი მოახლოებულ იაკობს და მოვუყევი რაც ვიპოვე.

სულ მალე გალიები ნავებში გადავიტანეთ და მდინარე ხანდას ზემოთ ავუყევით, დიდი ტბებისკენ. ონდატრები იქ უნდა გაგვეშვა. ჩემს ფეხებთან “ჩემი მზეთუნახავის” გალია იდგა.

ჩვენი რაზმი წინ მიიწევდა. სნეული ონდატრა ცოტა გამოკეთდა, თვალებში სევდა გაუქრა და მხიარულად უციმციმებდა. გასიებულიც დაცხრა. ტაიგური წამალი ამჯერადაც სასწაულმოქმედი აღმოჩნდა.

ერთ შეჩერებაზე ისლის ყლორტები მოვიძიე. ონდატრა ხალისით შეექცა. ამის მერე მის საკვებს ისლი და ტირიფის წვრილი წკნელები მივუმატეთ. როგორც კი ცოტაოდენ ისლს მოვნახავდით, უმალ სნეულს ვაჭმევდით.

მე და სნეული ონდატრა დავმეგობრდით. არც დღისით და არც ღამით გვერდიდან არ ვცილდებოდი. ნავშიც და ღამით ბანაკში მისი გალია გვერდით მედგა. გალიიდან ხელში აყვანილი გამომყავდა, ხელს ვუსვამდი, ის კი მხიარულად შემომხედავდა და “მებაასებოდა” კიდეც. პირს აწკლაპუნებდა, თავისებურად მეხმიანებოდა, მე კი მისი “ენა” ვისწავლე და როცა “ველაპარაკებოდი”, გაფაციცდებოდა და თავს ხრიდა.

და აი, გაშვების ადგილს მივაღწიეთ. საღამოს ონდატრები უნდა გაგვეშვა. ცოტა გული მწყდებოდა კიდეც. თან მიხაროდა. გული მწყდებოდა “ჩემს მზეთუნახავს” რომ უნდა დავშორებოდი, სამარადჟამოდ, მიხაროდ რომ უნდა გამეშვა. გალიები დიდი ტბის ნაპირას დავალაგეთ. შუაში “ჩემი მზეთუნახავის” გალია იდგა. გალიების კარები ერთი მეორის მიყოლებით გავაღეთ. ცხოველები გალიებიდან გადმოხტნენ და წყალში ჩახტნენ. აი, უკვე ნაპირის გასწვრივ ცურავენ, ყვინთავდნენ და ერთმანეთს დასდევდნენ.

გალიის კარი გავაღე. “მზეთუნახავი” ხელში ავიყვანე და წყალზე ფრთხილად დავუშვი. იმავ წამს ჩაყვინთა.

– გაიხარე ჩემო “მზეთუნახავო!” – ვთქვი და კოლბოხზე ჩამოვჯექი. რა თქმა უნდა გული დამწყდა. “აი, როგორია ცხოველს რომ მიეჩვევი”, – გავიფიქრე. ვეწეოდი და ონდატრების ცელქობას ვაკვირდებოდი. უცებ ჩემს ფეხებთან ონდატრა გაჩნდა. უეჭველია “ჩემი მზეთუნახავი” იყო. დიახ, ლამაზი იყო, იქნებ ჩამავალი მზის სხივებში ლამაზად მომეჩვენა მოელვარე ბრინჯაოსფერი ბეწვით.

ონდატრა ნაპირზე ამოხოხდა და მუხლზე დამისკუპდა. მე ხელს ვუსვამდი და ვეუბნებოდი “ჩემო მზეთუნახავო”. ცოტა ხანს ასე იჯდა, მერე აფორიაქდა, გადახტადა წყლისკენ გაიქცა. მე კი დიდხანს ვიჯექი ტბის ნაპირას და ვაყურადებდი ჯერ არგაგონილ ხმებს.

დილით გაშვების ადგილი შემოვიარე. ცხოველები საქმიანად ფაციფუცობდნენ ტბის ნაპირას, საცხოვრებელს იწყობდნენ, ჩემს შორიახლოს ცურავდნენ. როგორ მინდოდა ჩემი ონდატრა კიდევ მენახა, იქნებ ჩემს გვერდით გასცურა კიდეც, მე კი ვერ შევნიშნე. ისინი ხომ ერთმანეთს ძლიერ ჰგვანან.

მეორე დღეს, დილით უკან უნდა გამოვბრუნებულიყავით. საღამოს ჩემს კოლბოხზე ვიჯექი, იქვე იაკობი იყო. ფიქრებს ავყევი. “ნუთუ არ მომიახლოვდება? გუშინ, როცა გავუშვი, გასაგებია, ახლა კი, დღეები გავიდა. რატომ უნდა გავახსენდე? ჩვენი ხანმოკლე მეგობრობის გამო? მასზე რომ ვიზრუნე? რომ ვეფერებოდი? მაგრამ ეს ხომ ცხოველია”. მაინც ველოდი.

“ჩემი მზეთუნახავი” ისევე მოულოდნელად გამოჩნდა, როგორც იმ საღამოს. მუხლზე სწრაფად ამოხოხდა. ელვარე ბეწვზე ხელი გადავუსვი. ერთმანეთს თვალებში შევხედეთ. ონდატრას თვალები უციმციმებდა, მე კი სევდიანად ვიყურებოდი. ონდატრა შეირხა, პაწია თათებით ჩემი თითი დაიჭირა. ნაზად მოვუჭირე. ისევ შემომხედა, რაღაც აღმოხდა. უკანა თათებზე წამოიწია და ჩემი მუხლიდან პირდაპირ წყალში გადახტა. ონდატრის ნახტომით გამოწვეული ტალღები ჩაცხრა, წყლის სარკეს მხოლოდ ცხოველთა ცურვით გამოწვეული ჭავლები კვეთდნენ.

ჩამუქებულ წყალს ტაიგის მხრიდან წამოსული რძისფერი ნისლი დაეფინა.

## ნიშანდებული

– როგორაა საქმე? შესაფერისი ადგილია? – მკითხა სემიონმა, ყუთი ქარისგან წაქცეული კედრის ღეროზე დადო და სახიდან ოფლი მოიწმინდა. ივლისის ხვატმა ტაიგის უღრანშიც შემოაღწია.

ხავსზე დავეშვი და თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. ადგილი შესაფერისი იყო და მაგონებდა შიშკინის[11] ცნობილ სურათს – "დილა ფიჭვნარში", ოღონდ ფიჭვების მაგივრად კედრები და კიდევ არ ჩანდა დედა დათვი სამ ბელთან ერთად.

სემიონმა ქისა ამოიღო, ჩიბუხი დატენა, ასანთი აუჩქარებლად გაჰკრა, მერე ჩააქრო და წამოწვა.

– იმ კედარს ხედავ? მის ფესვებქვეშ ჩაძვრა სიასამური შემოდგომაზე. არ მოვჭერი, თავშესაფარი არ დავუნგრიე, სხვასაც გამოადგება. – სემიონი გაჩუმდა, ჩიბუხს აბოლებდა. – ის სიასამური ხაფანგით დავიჭირე. ახლა ბინად იცხოვრებს. თუ თვალში არ მოუვა, სხვას აირჩევს. ტაიგა დიდია.

წამოვდექი, ყუთთან მივედი და ჩვენი ტაიგის მომავალ "მობინადრეს" შევხედე. პირფარდში დავინახე ცხოველმა თავი რომ წამოსწია და მუქი თვალები გაუბრწყინდა, დაიღრინა და ამით კმაყოფილება გამოხატა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენზე მეტად იყო შეწუხებული ოცდაათკილომეტრიანი მგზავრობით, მით უმეტეს, რომ პატარა ყუთ–გალიაში იჯდა. გალია სემიონს მოჰქონდა, მე კი ზურგჩანთა, რომელშიც პატარ ქვაბი, პატარა ცული და საგზალი ელაგა. "ჩვენთვის და სიასამურისთვის, სახელდახელოდ". – თქვა სემიონმა.

მოსაღამოვებულზე ოდნავ დაბინდდა, თითქოს ტაიგის მწვანე კედელი მოგვიახლოვდა. ამ დროს ჩვენთან ღამით საღამოზე ოდნავ ბნელა. ღრმა ღარტაფიდან გრილმა სიომ დაუბერა.

– სემიონ, წავიდეთ! – გალია ავიღე და კედრისკენ გავწიე. ამ კედრის ქვეშ უნდა "დაგვებინავებინა" სიასამური.

კედრის ფესვებქვეშ უამრავი ხვრელი აღმოჩნდა და თვითეული ყოფილი ბინადრსი სოროს შესასვლელი შეიძლებოდა ყოფილიყო. ერთხელ კიდევ გავხედე ცხოველს. ის გალიაში წრიალებდა და ჩემკენ იყურებოდა.

[11] შიშკინი – რუსი მხატვარი, 1832–1898 წწ.

– მშვიდობით პაწაწო! გაიხარე, ჩვენი ნუ შეგეშინდება. – თქვა სემიონმა და გალიის კარი გააღო.

დავინახე როგორ სწრაფად გამოიხედა სიასამურმა და ასევე სწრაფად შეიმალა გალიაში. მერე კიდევ რამდენჯერმე გამოიხედა და ბოლოსდაბოლოს მსუბუქად გადმოხტა და ქარისგან წაქცეული კედრისკენ წაცუნცულდა. ჩვენ იქვე ჩავიმუხლეთ. სიასამური ხექცეულზე ახტა და კენწეროზე მოექცა. თავი ვეღარ შევიკავე და წყნარად წარმოვთქვი:

– პაწაწო! ისე უნდა წახვიდე, რომ ჩვენკენ არ გამოიხედო?

სიასამური შეჩერდა, წამოიწია, თავი გადახარა, მოგვაყურადა, შემოტრიალდა და უკან დაბრუნდა. ჩვენ უბრად ვიდექით და ვიღიმებოდით. პაწაწო ხექცეულის კიდეზე წამოიწია და გაირინდა.

– ხედავ, როგორ შეგვეჩვია. შენს ხმას ცნობს. ასე მგონია, რომ მოგეხმო, ალბათ მოვიდოდა. – მითხრა სემიონმა და ჩიბუხი დატენა.

გალიაში ხორცის ნაჭერი დავტოვეთ, ხორცის მეორე ნაჭერი და კედრის კაკლები ხის ფესქვებქვეშ დავალაგეთ. თუ პაწაწო დაბრუნდებოდა, ყელს ჩაიტკბარუნებდა.

რატომღაც გული მწყდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ცხოველი ტაიგაში უკეთესად იქნებოდა, ვიდრე ვოლიერში იყო და რაც მთავარია თავისუფალი. ალბათ იმიტომ ვდარდობდი, სამარდჟამოდ რომ ვეთხოვებოდი მხიარულ პაწაწოს.

კოცონი გიზგიზებდა. ღამე თვალწარმტაც ფიჭვნარში, პატარა ნაკადულის პირას გავათენეთ. კოცონის გარეშეც არ შეგვცივდებოდა, მაგრამ ცხელ ჩაის თუ არ დავლევდით და ბოლისგან თვალები არ დაგვეწვებოდა, რა ღამე იქნებოდა. შავი მოცვის ჩაი დავლიეთ. ქვაბი სანახევროდ გავავსეთ, ცოტა შაქარი დავუმატეთ და ისეთი სასმელი გამოვიდა, რომ როგორც სემიონმა თქვა, არცერთ საჩაიეში ვერ მოადუღებდნენ. მართალიც იყო. საჩაიეებში ტაიგურ ჩაის არ ამზადებენ.

კოცონი გიზგიზებდა. სემიონს ღრმად ეძინა, ხვრინავდა. მე კი არ მეძინებოდა. ვიწექი ფიქრებს აყოლილი და ვეწეოდი. რა თქმა უნდა პაწაწოზე ვფიქრობდი.

**

– ეხ, სულ გაქუცულია! ასეთი როგორ უნდა გავუშვათ, ბეწვადაც არ გამოდგება, – თქვა შეფიქრიანებულმა ნიკოლაი ტროფიმოვიჩმა, ძველმა სწავლულმა მონადირემ, რომელიც ბარგუზინის სიასამურების დიდ პარტიის ბირიუსინსკის ტაიგაში გაშვების ექსპედიციას

ხელმძღვანელობდა. – ამ რამდენიმე დღეში ეს რა მოსვლია?! ვერ ვხვდები. რა ვუყოთ. როცა ჩაიბარე, რატომ არ დაათვალიერე? – გვითხრა ნიკოლაი ტროფიმოვიჩმა.

ვეტექიმმა ვასილი ანდრეევიჩმა, რომელმაც გაშვების წინ ცხოველები დაათვალიერა, თავისი შეხედულება გაგვიზიარა,ის, რომ სიასამურს ავიტამინოზი სჭირდა. ამის გამო შვება არ გვიგვრძნია. ასეთი ცხოველის გაშვება არ შეიძლებოდა. გაქუცული სიასამურის გალიასთან ვიდექით და არ ვიცოდით როგორ მოვქცეულიყავით.

ჩემმა ცოლმა, ლენამ გვიხსნა:

– ასეთი სიასამურის ტაიგაში გაშვება არ შეიძლება. უმალ გაიყინება. ხომ ხედავთ როგორი ყინვებია (იანვარი იყო). თუ კომისია წინააღმდეგი არ იქნება, ცოტა ხნით ჩვენთან დარჩეს და თუ ეს ნამდვილად ავიტამინოზია, გამოკეთდება, კვების რაციონი შევურჩიოთ და ყველაფერი მოწესრიგდება. ზაფხულში, შავი მოცვის მწიფობისას, სწორედ სიასამურის დაწყვილების დროს გავუშვათ.

ასეც გადავწყვიტეთ.

ასე შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში პაწაწო, ასე დაარქვა ლენამ. პაწაწო ვოლიერში ცხოვრობდა. დენთის ყუთიდან ოროთახიანი “სახლი” გავუკეთეთ. სიასამურმა ერთში საწოლი მოიწყო, მეორეში კი საწყობი, რომლისკუთხეებშიც ინახავდა საგებს, ხავსს, თივას და რასაც არ ჭამდა.

მალე ვოლიერი მცირე ტაიგას დაემსგავსა. შიგ შევიტანეთ როკებიანი მორი. იატაკზე ხავსი დავაფინეთ. პატარა ნაძვები და სოჭები დავრგეთ. რცოა ხეები ხმებოდა, ახლებს ვრგავდით.

პაწაწო წამლებით არ გვიმკურნალია. არ მოისურვა პოლივიტამინების ღრღნა. მრავალფეროვან საკვებს ვაძლევდით. ვფიქრობდით, რომ თვითონ აირჩევდა რაც მას სჭირდებოდა. პაწაწოს ძალიან უყვარდა რძე, თხისა ერჩია, ყელს იტკბარუნებდა შესქელებული რძით,უარს არ ამბობდა უმ კვერცხზეც, ხანდახან მურაბასაც მიირთმევდა, მხოლოდ ნაღების “პეჩენიეს” ჭამდა. როცა თეფშით თაფლს მიუტანდნენ, შორიდანვე იყნოსავდა და აფორიაქდებოდა. უყვარდა საქონლის ხორცი, თუმცა ღვიძლს არ ჭამდა. ყოველდღიურად ვაჭმევდით კედრის კაკლებს. კაკლებს სწრაფად ღრღნიდა, ნაჭუჭს არ აცლიდა, ვაჭმევდით უმ ბოსტნეულს, კარტოფილს, თუმცა დიდი ხალისით არ მიირთმევდა, ხანდახან ჭამდა სტაფილოს და კარტოფილს.

ახლა უკვე ძნელი გასახსენებელია თუ კიდევ რას ვაჭმევდით პაწაწოს. ვცდილობდით მისი საკვები მრავალფეროვანი ყოფილიყო. დიდი წვალებით ვშოულობდით ხოლმე მისთვის საყვარელ სასუსნავს.

ერთხელ გველგესლა მოვუტანე, თავი მოვაჭერი და როკზე ჩამოვუკიდე. პაწაწომ უმალ წაიღო "სასადილოში" და დიდხანს არ გამოსულა. როგორც სჩანს ეს "კერძი" ფრიად მოეწონა. მეორე დღეს შევამოწმეთ და გველის ნარჩენი ვერაფერი ვნახეთ.

როცა ვოლიერში თოვლი დადნა, საწყულებელში ახალ წყალს ვუსხამდით, დღეში რამდენჯერმე, რადგან იმდენს არ სვამდა, რამდენსაც აქეთ–იქით აშხეფებდა. სჩანს სიამოვნებდაყ

კვირაში ერთი–ორჯერ ვოლიერს საფუძვლიანად ვალაგებდით. ისე შეგვეჩვია, რომ ხელსაც ვუსვამდით, თუმცა დალაგების დროს აფორიაქდებოდა და სისინებდა, გვიღრენდა, თითქოს გვაფრთხილებდა, მაგრამ არასდროს უკბენია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სიახლოვეს წრიალებდა. მის საძინებელს არ ვეხებოდით, რადგან ზედმიწევნით სუფთად ინახავდა. პაწაწო ფრიად სუფთა და მოწესრიგებული ცხოველი იყო. "საპირფარეშოდ" კი ვოლიერის ერთი შორეული კუთხე აირჩია. სიასამური თავის სახელს მალე მიეჩვია. როცა მის ვოლიერთან ახლოს გავივლიდით, დავუძახებდით თუ არა, უმალ როკზე ახტებოდა ანდა ბადეს დაეჭიდებოდა, ალერსიანად შემოგვიღრენდა და სანამ თვალს არ მივეფარებოდით, გვიყურებდა.

… აი, ზაფხულიც გვეწვია. ჩვენს "პაციენტს" ვეღარც კი იცნობდით. მის მუქ, ბზინვარე ბეწვს სიქაჩლის კვალიც აღარ ემჩნეოდა. ამ დროისათვის უკვე დაკარგული ჰქონდა "საყურე" ბაზაში მიცემული ნომრით. ამის გამო ყურის ბოლო გაეხა და ორად გაყოფილი დარჩა.

– ასე დარჩა ჩვენი პაწაწო ნიშანდებული, თუმცა "უსაყუროდ". – ნაღვლიანად თქვა ლენამ.

ახლოვდებოდა განშორების ჟამი.

დადგა შავი მოცვის მწიფობსი ხანა, სიასამურების დაწყვილების დრო. ვასილი ანდრეევიჩმა პაწაწო ისევ ნახა და თქვა: – ავადმყოფობის კვალი აღარც კი ეტყობა. რა ლამაზია!

ლენამ გადაწყვიტა ტაიგაში არ წამოგვყოლოდა და პაწაწოს ვოლიერში გამოეთხოვა. სიასამური ხელში აიყვანა და ჩაიხუტა. როცა ნელა დაუშვა პაწაწომ მჭრელი კბილები თითზე

სტაცა და ოდნავ მოუჭირა. ხანდახან ასე გამოხატავდა ჩვენდამი გრძნობას. ჩვენ კი ტაიგაში გამოვეთხოვეთ.

– ამ ღარტაფში, ამ ნაკადულთან აღარ ვინადირებ. ბასტა! – თქვა სემიონმა დილით, როცა ჩაის ვსვამდით. – არც მახეებს დავდგამ. პაწაწო გაშვების ადგილიდან შორს არ წავა, აქ ყველაფერი საკმარისად ექნება. დაე, გაიხაროს.

ამხანაგს მადლიერებით გადავხედე. ის პაწაწოს გულისთვის უარს ამბობდა ფაფუკბეწვიანი ნადირით მდიდარი ტაიგის დიდ უბანზე.

პაწაწოს შესახებ თხრობას დავასრულებდი, მაგრამ შემდეგ აი რა მოხდა.

ერთი წლის მერე სემიონი წავიდა. მისი სამონადირეო უბანი სხვას, ჩვენი რაიონის ერთ–ერთ საუკეთესო მონადირეს, ათანასეს გადასცეს. მან იცოდა პაწაწოს გაშვების ადგილი, მისი "აღკვეთილის" საზღვრებიც და ხალისით დაგვთანხმდა, რომ ნადირობის სეზონზე მის საზღვრებს არ მიუახლოვდებოდა.

– ტაიგაში ადგილის მეტი რა არის. დაე, გაიხაროს. – უთხრა ათანასემ სემიონს დამშვიდობებისას.

მე ხანგრძლივ მივლინებაში ვიყავი. როცა ნადირობის სეზონი დაიწყო, პაწაწო ხშირად მახსენდებოდა, გული ცუდს მიგრძნობდა, როგორ გადაიტანდა ამ სამონადირეო სეზონს, ნუთუ ათანასე არ ეცთუნებოდა მისი ძვირფასი შავი ბეწვით?

როცა შინ დავბრუნდი, მეოთხე კვარტალი მთავრდებოდა.

– წელს სიასამურზე ნადირობა როგორი იყო? ვინმეს ხელში ხომ არ ჩაუვარდა "ბარგუზინის[12] სიასამური? – შეშფოთებულმა ვკითხე ბეწველის მიმღებს.

– იყო ერთი, თითქოს საეჭვო, ამურულს მივაკუთვნე.

– ბეწვი ვინ ჩაგაბარა?

– აფონიამ.

გული შემიქანდა.

– სტეპან გავრილოვიჩ, ხომ არ გახსოვთ ამ სიასამურს ყური ორად გაყოფილი ხომ არ ჰქონდა? – ვკითხე და პასუხის მოლოდინში გავირინდე.

– არა. კარგად მახსოვს, რომ არც ერთ ბეწვს ყური ორად გაყოფილი არ ჰქონდა.

მიუხედავად ამისა ვერ მოვისვენე.

[12] ბარგუზინის ნაკრძალი – ტბა ბაიკალთან მდებარეობს.

ჩემი ეჭვის შესახებ ლენას არაფერი ვუთხარი. პაწაწოს ორად გაყოფილი ყურის შესახებ მხოლოდ მე, ლენამ და სემიონმა ვიცოდით.

როცა გავიგე, რომ აფონია ტაიგიდან დაბრუნდა, უმალ მისკენ გავწიე. ნადირობის ამბები გამოვკითხე, მერე კი პირდაპირ ვკითხე:

– აფონია, "ამურული" სად დაიჭირე?

და მიმითითა უბანი, რომელიც პაწაწოს გაშვებიდან ხუთი კილომეტრით იყო დაშორებული. უფრო შევშფოთდი. სიასამურისთვის ხუთი კილომეტრი ბევრი არ არის. ნუთუ აფონიამ სიტყვა გატეხა?

სიასამურზე მონადირეებს კარგად ახსოვთ თუ სად, როდის და რა ვითარებაში დაიჭირეს თვითეული ცხოველი. ათანასემ დაწვრილებით მომიყვა თუ როგორ მოესმა თავისი ძაღლების ყეფა, როგორ მიირბინა კედართან, რომელზედაც ძაღლებმა სიასამური ააგდეს და როგორ გაუკვირდა, რომ ნადირი არ დაიმალა, თითქოს ძაღლების არც ეშინოდა.

და მივხვდი, რომ პაწაწო დაიღუპა. ის ადამიანს მიეჩვია. ადამიანს, რომელცი არას ავნებდა, ძაღლების ყეფასაც მიჩვეული იყო, რადგან მის ვოლიერთან ახლოს იყო ძაღლების ვოლიერიც.

– ვერ შეამჩნიე, რომ "ამურელს" ყური ორად გაყოფილი ჰქონდა?

ათანასე გაოგნდა.

– შენ საიდან იცი? არავისთვის მითქვამს. კი, ყური ორად ჰქონდა გაყოფილი. რამდენი სიასამური დამიჭერია, მაგრამ ასეთი ყურით პირველად შემხვდა.

ბეწვის დამუშავებისას თურმე ყური შეუმჩნევლად გაკერა.

– წუნად რომ არ ჩაეთვალათ. – ამიხსნა ათანასემ.

– ეს იყო პაწაწო! – ვთქვი და წამოვდექი. სადღესასწაულო მაგიდასთან არც კი დავმჯდარვარ. წამოვედი. თვალწინ მედგა პაწაწო, ისეთი, როგორიც უკანასკნელად ვნახე. უკანა თათებზე წამომდგარი, ოდნავ თავგადახრილი და ყურებაცქვეტილი. ის თავს ყოველთვის ასე ხრიდა, როცა რაღაცას აყურადებდა ხოლმე...

## შარკო

ტყიდან ამჟამადაც ცარიელ–ტარიელი დავბრუნდი. ჩემს წინ შარკო მირბოდა, დიდი, ზორბა, ლამაზი ძაღლი. სოფლის ერთადერთ ქუჩაზე მივდიოდი, არ მიყვარდა მალულად დაბრუნება. როგორც ასეთ შემთხვევებში ბევრი მონადირე იქცევა. შემხვედრნი თავაზიანად მიღიმოდნენ, მეც მხიარულად ვესალმებოდი და გზას ვაგრძელებდი, თუმცა ზურგს უკან მათ მზერას ვგრძნობდი. ვიცოდი, რომ თვალს მაყოლებდნენ, როცა ზურგზე გადაკიდებულ დიდ ტომარას დაინახავდნენ (იმ დროს ზურგჩანთები იშვიათობა იყო და ჩვენც ნანადირევს ტომარაში ვდებდით. ტომარას ქამრები ჰქონდა მიკერებული), ალბათ გაიფიქრებდნენ: "ხედავ, რამდენი მოუნადირია. საუკეთესო ძაღლი ჰყავს, თანაც როგორ ჩაიგდო ხელში. ასეთი ძაღლით ყველა კარგად ინადირებს". მათ რომ სცოდნოდათ ტომარაში რა მედო, დამცინებდნენ. მხოლოდ ერთმა ადამიანმა იცოდა, თუ რა იდო ჩემს ტომარაში და გულწრფელად კმაყოფილიც იყო. ეს იყო ჩემი ბინის დიასახლისი პოლიქსენა.

– კოსტია, ასი მადლობა. ერთი წლის სამყოფი ხავსი მომიმარაგე, თანაც როგორი, საუკეთესო, არც კი ვაიცი მადლობა როგორ გადაგიხადო. – მეუბნებოდა პოლიქსენა, როცა დაღონებული იატაკზე ხავსს დავყრიდი. მანამდე კი წინკარს რაზით ვკეტავდი.

– ახლა წითელი მოცვის ყლორტები მოგიტანე, ფანჯრის ჩარჩოებს შორის დაფენილ იაგელის ხავსს წითელი მოცვის ყლორტები ნამდვილად გაალამაზებს.

– გმადლობ, გმადლო, – იღიმებოდა პოლიქსენა.

უკვე მეოთხე საღამო იყო, ასე ვსაუბრობდით. თავაზიანი ქალი კეთილსინდისიერიც აღმოჩნდა, ჭორიკანა არ იყო და ცნობისმოყვარე მეზობლებისგან საიდუმლოს მინახავდა.

შარკო, როცა ტომარა დავცალე, იქ იდგა. "ტყის ნობათი" დაყნოსა. თავი ასწია და დაჟინებით მომაცქერდა.

– შე უჯიშო, ძაღლი კი არა, უმაქნისი ხარ, უბედური!

– პოლიქსენა, ნუ ტუქსავ.

ჩემს ოთახში შევედი. შარკოც გამომყვა. დაღლილ–დაქანცული ბაბურეტზე ჩამოვჯექი. ძაღლი მომიახლოვდა და თავი მუხლებზე დამადო. არ მოვფერებივარ. გულწრფელი არ ვიქნებოდი და ის ამას იგრძნობდა.

ცოტა ხანმა გაიარა და შარკო კარებთან თავის ამოჩემებულ ადგილას მივიდა, ჩვრებისგან შეკერილ ფლასზე წამოწვა და ღრმად, ძაღლურად ამოიხვნეშა. ეს ფლასი პოლიქსენამ ლისკოს აჩუქა.

ცოტა სული მოვითქვი, პირი დავიბანე, ტანსაცმელი გამოვიცვალე და საკუჭნაოში შევედი. რძის ქილა და დიდი ხმიადი გამოვიტანე. ეს ჩვენი ყოველდღიური ვახშამი იყო. ხმიადის მეტი წილი, როგორც ყოველთვის, შარკოს ელდღიური ვახშამი იყო. ხმიადის მეტი წილი, როგორც ყოველთვის, შარკოს თასში ჩავუფშვენი, ორი ჭიქა რძე და ხმიადის ნარჩენი მე დავიტოვე. შარკო როგორც არ უნდა მშიერი ყოფილიყო, პირველი არასდროს იწყებდა ჭამას. როცა ვეტყოდი: "ჭამე შარკო, ჭამე", თასისკენ დაიხრებოდა. დღეს კი აუჩქარებლად, თითქოს უხალისოდ ჭამდა. როცა თასს არ მოსცილდებოდა, მეორე ულუფას მოვუტანდი. თუ თავის ადგილზე დაჯდებოდა, ესე იგი მაძღარი იყო. ამ საღამოს შარკოს საჭმელის დამატება არ უთხოვია, მე კი, როგორც ყოველთვის წიგნი გადავშალე, მაგრამ მალევე გადავდე. კითხვა არ მეხალისებოდა. სადმე წასვლაც არ მინდოდა. თოფი გასაწმენდი არ მქონდა. ამ ოთხი დღის განმავლობაში არც ერთხელ გამისროლია. გადავწყვიტე ცოტა ადრე დამეძინა, უკვე ტანსაცმელს ვიხდიდი, რომ შარკო კართან მივიდა.

– წადი, გაისეირნე. – ვუთხარი და წინკარში გავუშვი. მის მობრუნებას დაველოდე.

ნახევარმა საათმა გაიარა. შარკო არ ბრუნდებოდა. ჩავიცვი და სახლდან გამოვედი. ვეძახდი, არ მეხმიანებოდა. ასე არასდროს მომხდარა. ყოველთვის ცოტა ხანს სეირნობდა, ასე 10–15 წუთით, მერე კარებზე დააფხაჭუნებდა და დაიყმუვლებდა, შინ შემოსვლას მთხოვდა.

იმ ღამით ცუდად მეძინა, არაერთხელ გამოვედი სახლიდან და შარკოს მოვუხმე. არც დილით დაბრუნდა. სოფელში გავედი, გავიკითხე, მაგრამ ვერაფერი დავადგინე. შარკო არავის ენახა.

გავიდა ორი დღე.

– არ იდარდო! ეს რა ძაღლი იყო.ხავსს უმაგისოდაც მონახავ. აი, ლისკო  რომ გყავდა, ის იყო კარგი ძაღლი. ეს კი რას ჰგავს! სამარცხვინო! თანაც აქებ. გული ნუ გწყდება. სჯობს, ლეკვი გაზარდო. – მანუგეშებდა პოლიქსენა.

მე კი შარკო ძალიან მეცოდებოდა. დაობლებული ძაღლი იყო. ფრიად მეძვირფასებოდა, როგორც ჩემი მეგობარ ალიოშას სახსოვარი,

**

– რა სილამაზეა!

ალიოშას ამ შეძახილზე ვერაფერს ვპასუხობდი, სილამაზესაც შეჩვევა უნდა. ჩემს მეგობართან ერთად არაერთხელ ვმსხდარვარ ამ ზღაპრულად თვალწარმტაცი ტბის პირას. არაერთხელ დავმტკბარვართ ველური, პირველქმნილი ბუნების სილამაზით.

ალიოშა ჩემი მეგობარია. ის კომელია. ტყეში დაიბადა და გაიზარდა. აი, უკვე რამდენი წელია, რაც ტაიგამ დაგვამეგობრა. ტაიგის სილამაზეს ვგრძნობდით მის უკიდეგანო, უღრუბლო ცაზე თუ მის ლაჟვარდში მოფარფატე ღრუბლებში, მაშინ, როცა საავდროდ მოიქუფრებოდა, ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე და უკიდეგანო წყვდიადში და ამ ტბაზეც, სადაც სარკესავით ირეკლებოდა ცა, ბალახი და ხეები.

ჩვენ დიდხანს მდუმარედ ვუცქერდით და ვტკბებოდით ბუნების სილამაზით და ყველაფერი ამქვეყნიური გვავიწყდებოდა. შერეკილებს გვეძახდნენ. ამის შესახებ ვიცოდით, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდით და არც ვბრაზდებოდით.

– ოდესღაც ისინიც შეიგრძნობენ ირგვლივ ბუნების სილამაზეს, შეიყვარებენ და დაიცავენყ

და ჩვენ ახლა ტბასთან ვზივართ, მდუმარედ ვუცქერით იხვების გუნდების გადაფრენას. დაგვავიწყდა, რომ აქ იმისთვის მოვედით, ერთმანეთისთვის გული გადაგვეშალა, ნადირობის ამბები მოგვეყოლა. ალიოშას გვერდით დიდებული ლაიკა იჯდა. განიერბეჭიანი, თავთუხისფერი, ტბისფერი თვალები ჰქონდა. ეს მისი მეგობარი შარკოა. თავი თათებზე ჩამოედო და ტბაში არეკლილ ცას უცქერდა.

ჩემს გვერდით უფრო დიდი ლაიკა იჯდა, ჩემი ლისკო. ჩემი მეგობარი. ისიც შარკოსავით ტბას უცქერდა, ხანდახან გადამფრენი იხვების გუნდებს გახედავდა. შარკოც და ლისკოც იქამდე ისხდებოდნენ, სანამ არ ავდგებოდით და სანადიროდ არ გავგზავნიდით. კარგი ძაღლები გვყავდა, ერთგულნი და გაბედულნი. როგორც ხშირად ხდება, ძაღლებიც მეგობრობდნენ და არასდროს ჩხუბობდნენ. იმ დღეს ერთმანეთს გული გადავუშალეთ, კოცონთან ჩაის ვსვამდით. ნადირობაში ხელი მოგვეცარა. იხვის გუნდებმა თოფის გასროლის მანძილზე გადაგვიფრინეს, მაგრამ თოფისთვის ხელი არ გვიხლია.

იმ დღეს ალიოშა სიტყვაძუნწობდა. კოცონთან დიდხანს ვიწექით, არ გვეძინებოდა, უკიდეგანო ცას ვუცქერდით და როგორც ხშირად ვამბობდით ხოლმე, ბუნებას ვერწყმოდით. დუმილი ალიოშამ დაარღვია.

– კოსტია! ძმაო! მე კიდევ ორი მეგობარი მყავს. ერთი მეგობარზე მეტია. იცი, ვისზეც გეუბნები, შარკოც მეგობარია. იცი, როგორ მიყვარს... – ალიოშა შეყოვნდა. – დამპირდი, რომ თუ რამე მოხდა, ობლად არ დატოვებ. შეგეჩვია და ლისკოსთანაც მეგობრობს, ვიცი შეგიყვარებს. ჩემს სახსოვრად გყავდეს, ჩემს დას რაში გამოადგება, ტყეზე იდარდებს. არ მინდა სხვის ხელში ჩავარდეს.

– წამოვიწიე. სიცოცხლით სავსე, მხნე მეგობრისგან ასეთ ლაპარაკს არ ველოდი.

– ალიოშა, რას მეუბნები?!

– ისე, რომ იცოდე.

– რა ვიცოდე?!

– რაც გითხარი. ჩემი ანდერძი. – და უხალისოდ გაიღიმა. – ამ ბოლო დროს ავფორიაქდი. თითქოს ყველაფერი კარგადაა, მაგრამ რაღაც ვერ ვარ, სევდა შემეპარა.

– იქნებ ავად ხარ?

– არა, მაგრამ ჩემს თავს რა ხდება, არ ვიცი.

– იქნებ ალიონკასთან უსიამოვნება შეგემთხვა? – თუმცა ვიცოდი, რომ არასდროს წაკინკლავებულან.

– როგორ შეიძლება ჩემს ალიონას ვეჩხუბო. ერთი წლის მერე ქორწილს გადავიხდით. დაც კარგადაა. შარკოს შესახებ რაც გითხარი, დაიმახსოვრე. დღეს ანიასაც ვეტყვი.

– დას ნუ ააფორიაქებ. ისიც საკმარისია. რომ მე მითხარი. ნურც ალიონას ეტყვი. ვერ მოისვენებენ. ასეთი ფიქრები თავიდან ამოიგდე. თუ თავს შთააგონებ, მაშინ ნამდვილად ცუდი რამ დაგემართება. მერე კი იტყვიან, წინასწარ გრძნობდაო. ტყიური წინასწარ რას უნდა გრძნობდეს. მალე ტაიგაში სანადიროდ წავალთ, ასეთ ფიქრებს თავი დაანებე და ნურავის ეტყვი. ვაზნები დატენე. გახსოვს, შარშან სტეპანს რა მოუვიდა? მისდა ბედად ამხანაგმა გაისროლა, თორემ ორივეს დათვი დაგლეჯდა. ეს კი იმის გამო, ძველი ვაზნების ეიმედებოდა. ვაზნები თურმე ექვსი წლის წინ დატენილი ჰქონდა. ჩვენ კი მარტო ვნადირობთ, ვისი იმედი გვაქვს?

– გმადლობ. ეს ფიქრები თავიდან უნდა ამოვიგდო. რაც შენ ახლა გითხარი, არავისთვის მითქვამს. შარკო გახსოვდეს.

– აიჩემე ეს შარკო. ლისკო ნაკლები არ არის. ყოველგვარი წინათგრძნობის გარეშე გეუბნები, რომ ჩვენი ძაღლები რომ არ დაობლდნენ და უცხო ხელში არ მოხვდნენ, თუ რაიმე დამემართება, ლისკო შეიკედლე, თუ შენ, მაშინ შარკოს ვუპატრონებ. შევთანმხდით?!

ალიოშამ გაიღიმა და ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

– ეს საქმეც მოვრჩით. ალიოშა, მოდი ახლა დავიძინოთ.

ერთმანეთის გვერდთი მივწექით. ჩვენი ძაღლებიც იქვე მიწვნენ, თვითეული პატრონთან ახლოს.

იმ წელს, ზამთარში დათვზე ნადირობისას ჩემი ლისკო დაიღუპა...

მოვიდა ალიოშა. იმ ღამით დიდხანს ვისხედით, ვისაუბრეთ, ლისკოზე სიტყვაც არ გვითქვამს და მხოლოდ დილით, დამშვიდობებისას მითხრა ალიოშამ:

– ხედავ, როგორ მოხდა... გვეგონა? სიკვდილი შენ ჩაგსაფრებოდა და არა მე... ძმაო, ლისკოსნაირ ძაღლს ასე მალე ვერ გაზრდი ან გაზრდი? საეჭვოა. შემოდგომაზე შარკოთი ვინადიროთ. ორივეს გაგვწვდება, მეც გავხალისდები. ტყეში მარტო სიარული ძნელია. როცა ნადირობის სეზონი დამთავრდება, ქორწილს გადავიხდი. მე და ალიონკას ნადირობამდე გვინდოდა, მაგრამ გადავიფიქრეთ. ერთად ნადირობაზე თანახმა ხარ?

– გმადლობ ალიოშა. ერთდა ვინადიროთ, ლისკოს მერე გულში არც ერთი ლეკვი ჩამივარდა, ვერც გავზრდიდი.

…ნადირობის დრო ახლოვდებოდა. გულდასმით ვემზადებოდი. ალიოშამ და მე გადავწყვიტეთ შორეულ სამონადირეო უბნებში გავსულიყავით. მოკლე წერილი მივწერე. ვაცნობე, რომ ერთი კვირის მერე საშვებულებოს მივიღებდი და მისგან პასუხს ველოდებოდი, როგორც შევთანხმდით. ალიოშასგან პასუხი არ მიმიღია, მაგრამ საშინელი ამბავი გავიგე რამდენიმე საათით ადრე, ვიდრე ანიასგან გამოგზავნილ ბარათს მივიღებდი. ხუთი დღე სახლში არ ვყოფილვარ და ბარათი ოთხი დღის წინ იყო მოტანილი. ოთახში მაგიდაზე დამხვდა. პოლიქსენამ არაფერი მითხრა. მომესალმა, ხელი მაგრად ჩამომართვა, არ იღიმებოდა, თვალებში სევდა ემჩნეოდა. ანიას ბარათი გადავიკითხე. რამდენიმე სიტყვა ეწერა. გავბრუნდი.

…ეს ჩემი წასვლიდან მეორე დღეს მოხდა. მახსოვს, როგორი ქარიშხალი ამოვარდა. წარმოუდგენელი რამ ხდებოდა ტყეში, გზაზე. ხეები ასანთის ღერებივით ტყდებოდნენ. ტაიგა ჭახჭახებდა, გმინავდა, ფესვებიანად ამოგლეჯილი საუკუნოვანი ხეები იქცეოდნენ. ამ დროს სატყეოს საგუშაგოს შორიახლოს ვიყავი. სწორედ ამ დროს ალიონკას პატარა ამოთლილი ნავით მდინარე უნდა გადაეცურათ...

ალიოშა კუბოში არ მინახავს, არც ალიონკა. არ მჯეროდა, რომ ცოცხლები აღარ იყვნენ. ისეთები დამამახსოვრდნენ, როგორც უკანასკნელად ვნახე, მხიარულები და ერთმანეთზე

შეყვარებულნი. ალიოშა და ალიონკა მდინარის ფლატესთან დაასაფლავეს. ამ მდინარემ ერთდროულად ორი მეგობარი წამართვა. მათი საფლავებიდან მდინარის გაღმა ჭალის მდელოები მოჩანდა, მათ იქეთ კი ჩამუქებული კედელივით ტყე აღმართულიყო.

– ტყე და მდელო რომ დაინახონ. – წყნარად მითხრა ანიამ, როცა მათ საფლავებთან ვიდექით. ვდუმდი, თითქოს სადღაც შორეთიდან მესმოდა ანიას ხმა, – ალიოშა მარტო რომ ყოფილიყო, გამოსცურავდა, მაგრამ მარტოს სიცოცხლე არ უღირდა...

ბინდდებოდა, ჩვენ კი ისევ საფლავებთან ვიდექით.

– წავიდეთ. – ხელი ჩამკიდა ანიამ. გამოვბრუნდთი და სწორედ მაშინ შევამჩნიეთ შარკო. როდის მოვიდა, ვერ შევნიშნეთ. როცა გამოვბრუნდით, შარკო საფლავებთან დარჩა. არ მოვუხმეთ.

– აი, ჩვენ წამოვედით, ის კი ყმუის. გული მტკივა. – მიჩურჩულა ალიამ. სულ მალე შარკოს ხმა მოგვესმა. – ყოველ საღამოს ასეა, ღამითაც. ვეღარ ვუძლებ. მთელი ღამე მათთანაა. დილით ბრუნდება.

მეორე დღეს, დილით, როცა ცხენი შევკაზმე, შარკო მომიახლოვდა, ანიას საყელო გაეკეთებინა. ანიამ ჩაიმუხლა და შარკო გულში ჩაიხუტა, მერე წამოდგა, საყელოს სადავე მიამაგრა და გამომიწოდა. უკვე უნაგირზე ვიჯექი. უარის ნიშნად თავი გადავაქნიე:

– ანია, საყელო მოხსენი, ძალით არ წავიყვან. თვითონ გადაწყვიტოს. თუ წამოვა, ასე წამოვიდეს.

დავიხარე, ანიას ხელი ჩამოვართვი და სადავე მოვქაჩე. ლეგა ადგილიდან დაიძრა. მხოლოდ ერთხელ მოვიხედე უკან. ანია იდგა და დამშვიდობების ნიშნად ხელი აეწია. მეც ხელი ავწიე. შარკო ანიასთან იდგა, ყურები აეცქვიტა და თვალს არ მაცილებდა. ჭიშკართან ჩამოვქვეითდი, გავაღე და ცხენი გავატარე. ჭიშკარი თვითონ მიიხურა. როცა უნაგირზე დავჯექი, დავინახე როგორ მსუბუქად გადაევლო შარკო ჭიშკარს და წინ გაიჭრა. შარკომ თავისი პატრონის სურვილი შეასრულა...

– შენ რა, მარხულობ? არ გისადილია, სავახშმოდაც არ მოსულხარ. მე თვითონ მოგიტანე. – მითხრა ჩემს ოთახში შემოსულმა პოლიქსენამ.

– გმადლობ, პოლიქსენუშკა. მადა დამეკარგა.

– ძალიან დარდობ. თვითონ გამოგყვა. სჩანს გადაიფიქრა და უკან გაბრუნდა. გაიგე ახლა ძაღლის ამბავი, ან რა ხეირი გექნება მისგან. მხოლოდ საზრუნავი. გიჯობს დამიჯერო. პურ–მარილზე კი არაფერი იფიქრო.

არაფერი მითქვამს. პოლიქსენა ცოტა ხნით შეყოვნდა, სჩანს კიდევ რაღაც უნდა ეთქვა. ღრმად ამოიოხრა და წყნარად გავიდა. მე კი რა თქმა უნდა შარკოზე ვფიქობდი. თვითონ გამომყვა, მეგობრულად ვცხოვრობდით, არ მიწყენინებია, არც დამიტუქსავს, მაშინაც კი, როცა უაზროდ დაწანწალებდა ტყეში, ციყვებს არ ეძებდა, არც ყრუანჩთელებს უყეფდა. რცოა ტომარაში ხავსს ვტენიდი, ყურადღებით მაკვირდებოდა და აი, გაიქცა, ანიასთან დაბრუნდა. ისევ დაამწუხრებს ალიოშას საფლავზე ყმუილით.

იმ დღეებში ახლომდებარე სოფლები მოვიარე, მაგრამ უშედეგოდ. გვიან საღამოს, როცა მორიგი გასვლიდან დავბრუნდი, პოლიქსენამ ბარათი გამომიწოდაყ

– ისევ იქიდან მოგწერეს. რა მოხდა? იქნებ ძაღლზე გწერენ. მალე წაიკითხე!

წერილში რამდენიმე სიტყვა ეწერა: “მალე მოდი. შარკო ცუდადაა. ანია”.

– პოლიქსენუშკა! შარკო იქაა! ახლავე წავალ!

გარიჟრაჟზე უკვე უნაგირზე ვიჯექი. ლეგა მთელი ძალით მიჰქროდა. ხანდახან თავს ჩემკენ შემოაბრუნებდა, თვალებით მეკითხებოდა: “კმაყოფილი ხარ?” პასუხად ხელს კისერზე გადავუსვამდი.

ლეგა თვითონ შეჩერდა ალიოშას სახლის ჭიშკართან. ანია პარმაღის კიბეზე არ ჩამოსულა, როგორც ადრე. სახე გაფითრებოდა. შავი წარბები ქერა თმებთან შედარებით უფრო მკვეთრად მოუჩანდა. მოღუშული იყო. “აი, როგორ შემხვდა” – გავიფიქრე, როცა კიბეზე ავდიოდი. ანიამ ხელი არ ჩამომართვა და არც მომესალმა. თვალს არ მაცილებდა. ერთმანეთის გვერდით ვიდექით და ვდუმდით, როგორც სასაფლაოზე. დუმილი მე დავარღვიე.

– შარკო სადაა?

წინკარში შევედით და სწორედ ამ დროს სახლის კარები გაიღო და მყეფარი შარკო გულზე მომახტა. მოვეხვიე. გამხდარიყო, ბალანი აშლოდა, ხელი გადავუსვი, სახეს და ხელებს მილოკავდა, ლეკვივით წკმუტუნებდა.

– შარკო, ჩემო შარკო. – ვიმეორებდი და ვეფერებოდი და უცებ ვიგრძენი, რომ ვიღაც მომეხვია. ანიასცრემლები ჩემს ხელებსა და შარკოს თავზე ეცემოდა.

– შემინდე. ისე საშინლად ყმუოდა. რა აღარ ვიფიქრე ამ დღეებში. მაპატიე. – იმეორებდა აცრემლებული ანია.

– ანია, ცუდი არაფერი გაგიკეთებია. რა უნდა გაპატიო. შენ კი ამ დღეებში რამდენი გადაიტანე და მარტო იყავი. ამის შესახებ გვიან გავიგე.

ანიამ ხელი ჩამკიდა და ქოხში შემიყვანა. შარკო გვერდიდან არ გვცილდებოდა.

– მერამდენე დღეა არაფერს ჭამს. დღე და ღამე საფლავზეა. ყმუის. როგორც კი ქოხიდან გამოვალ, მესმის. სიცოცხლე აღარ მიხარია... ან კი როგორ ცოცხლობს?!

ქოხში რომ შევედი, უმალ შარკოს თასს დავხედე. ალიოშას გამოთლილ პატარა გობზე პურის დიდი ნაჭრები ეწყო. თასში რძე ესხა.

– შარკო ჭამე!

შარკომ გაიგო რა ნაცნობი სიტყვები, გობს მიუახლოვდა, თავი ასწია და შემომხედა. და სწორედ მაშინ გამახსენდა, რომ შარკო არასდროს იწყებდა ჭამას პირველი.

– ანია! პური და რძე მომიტანე!

– მაგიდას ვაწყობ. მარტო პურით და რძით ხომ არ გაგიმასპინძლდები.

– მერე, მერე, ანია, რძე და პურის ნაჭერი მომიტანე.

მაგიდას მივუჯექი და ჭამას შევუდექი. შარკომ რამდენიმე ყლუპი რძე დალია და პურის ნაჭრებისკენ დაიხარა.

– კარგია. – შვებით ამოვისუნთქე.

ანია იდგა, კარის ძელს მიყრდნობოდა და ტიროდა, შარკოს თვალს არ აშორებდა. შარკო ცარიელ გობს მოსცილდა და ჩემს ფეხებთან წამოწვა.

ანიამ მაგიდა გააწყო.

– ალბათ არც შენ გიჭამია. – ვუთხარი.

– როგორ ვჭამდი. – და ანიამ დაწვრილებით მომიყვა თუ როგორ იქცეოდა შარკო, როცა ჩემგან წამოვიდა. ანიას ეგონა, რომ ალიოშას ძაღლს ვაწყენინე და მისი სახსოვარი არ მეძვირფასებოდა.

– მეგონა არ მოხვიდოდი. ახლა კი გულზე მომეშვა.

მოსაღამოვებულზე ალიოშასა და ალიონკას საფლავებზე წავედით. სამნი წავედით და სამნი დავბრუნდით. იმ საღამოს შარკო არ ყმუოდა, არც ღამით, ალიოშას საწოლთან ეძინა. იმ ღამეს იმ საწოლზე მე ვიწექი.

– დაიცადე, – მითხრა ანიამ დილით, დამშვიდობებისას. პირმაღზე აირბინა, შინ შევიდა და თოფი და ფალასკა გამომიტანა.

– შენ ყოველთვის თოფით დადიხარ, ახლა კი, სჩანს ისე ჩქარობდი, რომ თოფის აღება დაგავიწყდა. ალიოშასი წაიღე. ტყეში ამ დროს უთოფოდ სახიფათოა. მშიერი დათვები დაეხეტებიან. – მითხრა ანიამ და თოფი გამომიწოდა.

– შარკო ალბათ ციყვებს მიაგნებს. ტყიდან ყოველთვის ხავსს ხომ არ მოიტან. – გაეღიმა ანიას.

– გმადლობ ანია. მართალია, დამავიწყდა. იქნებ დამჭირდეს კიდეც.

კარგად დასვენებული ლეგა ადგილზე ფეხს უნაცვლებდა, შარკო კი ჭიშკარს გარეთ გასულიყო.

– აბა, ლეგა დავიძრათ! – და ლეგამ ქუჩაზე გამაქროლა.

– მშვიდობით იარე კოსტია! გვეწვიე ხოლმე! – მომესმა ანიას ხმა. ანიას ხელი აეწია. მასთან აღარ იდგა შარკო. ის ლეგას წინ მიუძღოდა.

გზაში თვრამეტი ციყვი და ორი ყრუანჩელა მოვინადირე. შარკო ფრიად გაისარჯა. ტომარა თან არ მქონდა და ნანადირევი უნაგირს ქამრით მივამაგრე...

ამის მერე პოლიქსენასთვის ხავსი აღარ მომიმარაგებია. შარკომ პატრონად მაღიარა.

## იღბალი

ამბობენ, რომ თოვლი მოდის, თუმცა თოვლი კი არ მოდიოდა, ცვიოდა. უჩვეულოდ დიდი და ნაზი, ფუმფულა ფანტელები ბამბის ქულებივით ეფინებოდა. თეთრ წყვდიადში წინ არაფერი ჩანდა, მაგრამ ჩვენ უნდა გვევლო და ჩვენც მივდიოდით...

უკან დაგვრჩა შორეული ფაქტორია კომნე. 160 კმ ტაიგის ბილიკით იოლად უნდა გაგვევლო ხუთ–ექვს დღეში. "წინ უნდა იაროთ". გაგვახსენდა მოხუცი ევენკის, ანირჩას ნათქვამი დამშვიდობებისას რამდენიმე დღის მერე, როცა მდინარე კომნეს ფონს მივუახლოვდით. ფონი ვერ ვნახეთ. ქვემოთ მდინარე ვიწროვდებოდა, დაგუბებულიყო და აქაფებულიყო. მდინარის კალაპოტში გაფანტულ ყინულგადაკრულ ლოდებს შორის მოქუხდა შავი წყალი და ყინულის ხორგებს მიაქანებდა.

საფიქრებელი გაგვიჩნდა. ასეთ მქუხარე წყალს ტივით ვერ გადავცურავდით. აქეთ–იქით მშრალ ადგილს ვეძებდით თვალით. ჩვენდა საბედნიეროდ ახლომახლო არც აღმოჩნდა. აქ, მდინარის ნაპირას შევჩერებულიყავით და დავლოდებოდით, თუ როდის

გადაგვიშვებდა მეორე ნაპირზე ეს მქუხარე ტაიგელი მზეთუნახავი? ვერ დაველოდებოდით. მხოლოდ ერთი გზა გვრჩებოდა: მდინარეს ზემოთ ავყოლოდით. და ჩვენც მდინარის სანაპირო ტაიგის უღრანში მივიკვლევდით გზას იმ იმედით, რომ მდინარის შემდეგ მოსახვევში შევძლებდით მეორე ნაპირზე გადასვლას. მხოლოდ მდინარის ზემოწელში შევძელით და ქვიდან ქვაზე გადახტომით მეორე ნაპირზე გადავედით. მესამე დღეს, საღამოს ტუკოლონეს მივუახლოვდით. ეს მდინარე კომნეზე მზაკვარი აღმოჩნდა. შეგვიტყუა.

ყინულქვეშ ჩავყვინთე, ამოვყვინთე და ლენას გამოწვდილ ჯოხს ხელი ვტაცე. ლენაც ჩავითრიე. დიდი წვალებით და სასწაულით ამოვფორთხდით ყინულმოდებულ ნაპირზე. ასეთი "აბაზანის" მერე უფრო წინდახედულები გავხდით, ზედმეტადაც კი. ჩვენდა საბედნიერდ შეგვრჩა წყალგაუმტარ მასალაში შეფუთული ავარიული ასანთი.

ახლა წინ მრავალკილომეტრიანი გზა გვედო ტუვოლონეს ზემოწელში. ორი დღე დავკარგეთ, მაგრამ უკვე ჩვენს მხარეს ვიყავით. მდინარეები აღარ შეგვხვდებოდა. დაახლოებით სამოცი კილომეტრი უნდა გვევლო ტაიგაში. აღარც შაქარი გვქონდა და აღარც ორცხობლა. როცა კომნეს ზემოთ მივუყვებოდით, დღიური ულუფა შევამცირეთ. ტუკოლონეზე გადასვლის მერე რაც ვჭამეთ ამას ორცხობილა არ ერქვა, რაღაც ფაფისებური, მაგრამ მაინც საჭმელი იყო. ეს მზაკვარი მდინარე ჩვენმა შაქარმა დაატკბო და მარილმა დაამლაშა. მრავალდღიანი სიარულისას ბევრი სურსათი არ მიგვქონდა, რადგან ყოველთვის ვნადირობდით ხოლმე. ერთი თოფი მდინარის ფსკერზე დარჩა, მეორე კი ელენამ მოასწრო და მხარიდან ჩამოიღო, როცა მეშველებოდა. ვერაფერი მოვინადირეთ. ნადირი არც შეგვხვედრია, თითქოს ამომწყდარიყო.

– ქამრები კიდევ მოვიჭიროთ. ახლა უფრო დავმსუბუქდით და ორ დღე–ღამეში ალბათ მივაღწევთ. – მითხრა ლენამ.

ასეც მოვიქეცით. დილაუთენია თოვლი წამოვიდა. დაუსრულებლად თოვდა.

…იმ დღეს ასე ათი–თორმეტი კილომეტრი გავიარეთ. ბილიკი ძლივს ეტყობოდა. თოვლი სქლად იდო. დიდი დრო და ძალ–ღონე წაგვართვა უკანასკნელი ქარიშხლის დროს ფესვებიანად ამოგლეჯილი და დამტვრეული ხეების გვერდის ავლამ. იმ დღეს ხეები ასანთის ღერებივით იმტვრეოდა. ღამის გასათევი ადგილი ნაძვნარში წინასწარ გვქონდა შერჩეული.

თოვდა და თოვდა. კოცონთან ჯდომა მოგვწყინდა. ფიჩხი უნდა მიგვემატებინა. ასეთ ალზე ვერც ვშრებოდით და ვერც ვთბებოდით.

– კოცონთან ჯდომას სჯობს ნელ–ნელა ვიაროთ. როცა დავიღლებით, შევისვენოთ, კოცონი დავანთოთ, მერე გზა გავაგრძელოთ. ასე მივაღწევთ ქოხამდე. – შევთავაზე ლენას.

– წავიდეთ. – დამეთანხმა.

ტუკოლონეს პატარა შენაკადის მკვეთრი მოსახვევიდან, სადაც ღამე გავათიეთ, ბილიკი ნაპირს მიუყვებოდა და ასეთ ავდარში არ ავცდებოდით. ამ შენაკადის ზემოწელში, ერთ–ერთ ბორცვზე მონადირის ქოხი იდგა. იქამდე ათი–თორმეტი კილომეტრი იყო. რომ არ ეთოვა დაღამებამდე მივაღწევდით. იქნებ ჩვენდა საბედნიეროდ ქოხში მონადირეც დაგვხვედროდა.

…და ჩვენც გზას დავადექით. ასეთ ღრმა თოვლში სიარული ფრიად გაგვიძნელდა, დასასვენებლად ხექცეულებზე ვსხდებოდით, ერთმანეთს მივეკვრებოდით და ვათბობდით. გვაკანკალებდა. როცა გაყინვას ვიგრძნობდით, გზას ვაგრძელებდით. ამდენი შეჩერებით ვეღარ განვსაზღვრე რამდენი კილომეტრი გავიარეთ და კიდევ რამდენი დაგვრჩა ქოხამდე. და როცა პატარა ღარტაფს მივუახლოვდით, გამახსენდა ეს ადგილი. ქოხამდე არაუმეტეს ხუთი კილომეტრი გვრჩებოდა. ამან გაგვამხნევა, თუმცა ცოტა ხნით. ყოველი ნაბიჯის გადადგმა გვიძნელდებოდა. ისევ დავსხედით დასასვენებლად და როცა ავკანკალდი, ძაღლის ყეფა მომესმა. კანკალმა გამიარა. დიდხანს ვაყურადებდი. ჩქამი არ ისმოდა, მერე ისევ მომესმა.

– ლენა, არაფერი გესმის?

– რა?! – შეცბა.

არაფერი გაუგია, მერე ორივე ვაყურადებდით. მხოლოდ ხეებიდან ჩამოფერთხილი თოვლის ხმა ისმოდა.

– ვიყინები. წავიდეთ!

და ჩვენც გზას დავადექით. მივდიოდი და თან ვფიქრობდი: "საიდან აქვს ამდენი ძალა, როცა მე, მამაკაცი უკვე დავუძლურდი".

მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. როცა ჩემი გათვლით ქოხამდე სამი კილომეტრიღა გვრჩებოდა, ლენამ მითხრა:

– ძალიან დავიღალე. კოცონთან უფრო დიდხანს დავისვენოთ.

ამჯერად ნედლ ტყეში აღვმოჩნდით, ხმელი ფიჩხიც კი ვერ ვიპოვე. კოცონის დასანთებად ერთი მორიც არ ეგდო. შეშას ვეძებდი. ლენას კოცონისთვის ადგილი თოვლისგან გაეწმინდა. დამპალი არყის ხე მოვიტანე.

კარგა ხანს ვიწვალე, სანამ კოცონს დავანთებდი. ცუდადაც ენთო. მხოლოდ მური და მხუთრი. ისევ შეშის მოსაძებნად წავედი. ცოტა ნაძვის ხმელი ფიჩხი და დამპალი არყის ხე მოვიტანე, ზედ აბედა სოკოს "ჩლიქები" ჩაზრდილიყო. გზაში სოჭის ტოტები დავამტვრიე ძირს დასაგებად. კოცონთან დავაფინეთ და დავსხედით. თოვლის ფანტელები უკვე ნაკლებად ცვიოდა. ჩვენს კოცონს სული ძლივს ედგა. ძილი მოგვერია.

– შენ არ დაიძინო. ქოხამდე მივაღწევ, ორცხობილასაც მოგიტან და გზასაც გავკვალავ.

– კარგი, წადი, ვეცდები არ დავიძინო.

წავედი. მივდიოდი და ვცდილობდი გამეხსენებინა იმ ბორცვის ნიშნები, რომლის წვერვალზეც ქოხი იდგა. მხლოდ ერთხელ ვიყავი იტ, ასე სამი წლის წინათ.

"იქნებ ქოხი ვერც ვიპოვო. დიდხანს ვერც ვივლი. იქნებ ლენას ჩაეძინოს, ეს კი სიკვდილს უდრის". – მიტრიალებდა თავში.

და აი, ბორცვი. დავაკვირდი. არა, ეს ის არ არის. აქ ჩამუქებული ტაიგაა, იქ კი უფრო ნათელი იყო. კიდევ ერთი მუქი ბორცვი გადავიარე და ბოლოს ტაიგა გამეჩხერდა. უზარმაზარი ლარიქსები იდგა. სადღაც აქ ქოხი უნდა მდგარიყო.

ქოხის სარკმელი ჩაბნელებულიყო, არც ბოლი ჩანდა. ადამიანის არსებობის ნიშან–წყალიც არ ეტყობოდა.

წინკარში შევედი. კარებში ურდული იყო გაყრილი. ესე იგი არავინ იყო. ქოხში შევედი. ასანთი ავანთე, ერთი, მეორე. ერთი ორცხობილაც ვერ ვნახე, რკინის ღუმელზე გადაბრუნებული ქვაბის ქვეშაც კი. მხოლოდ ასანთის კოლოფი იდო.

გამახსენდა, რომ ამ ქოხს საკუჭნაო არ ჰქონდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მონადირეს გაეკეთებინა. ქოხს ირგვლივ შემოვუარე, ერთხელ, ორჯერ. საკუჭნაო ვერსად ვნახე. მეჩხერ ტყეში აუცილებლად შევამჩნევდი.

და უკან გამოვბრუნდი, მოვრბოდი. მომეჩვენა, რომ კარგა ხანმა გაიარა, რაც კოცონთან ჩემი თანამგზავრი დავტოვე. თვალწინ დამიდგა სურათი: ჩამქრალი კოცონი, ცივ ხავსზე მოკუნტული ლენა წევს. ათოვს, სახეზე ეცემა და არ დნება.

პირდაპირ გავემართე. წყვდიადში დათოვლილ ტოტებს ვაწყდებოდი, ვეცემოდი, წამოვხტებოდი და მივრბოდი. ტოტები სახეზე მეხეთქებოდა, ტანსაცმელზე მედებოდა და ვეცემოდი, წამოვხტებოდი და მივრბოდი.

კოცონი მინავლებულიყო. ლენა სოჭის რბილ საგებზე იჯდა. მის წინ ვიდექი და გაოფლიანებული შუბლს ვიწმენდდი, ვიდექი და ვიღიმებოდი.

– არყის ხეს მივაგენი. ხედავ, ცოტა–ცოტა იწვის. დაჯექი, დაისვენე, დაიღლებოდი. – და არ უთქვამს, რომ შიოდა, არც ორცხობილა უკითხავს.

– რა დროს დასვენებაა. წავიდეთ. ქოხში დავისვენებთ. სხვათა შორის იქ არავიანაა და არც არაფერია.

– მე კი ვფიქრობდი რომ ასეთ ამინდში და უკვლოდ ქოხს ვერ მიაგნებდი. ჩვენი ამბავი სათავგადასავლო მოთხრობას ჰგავს, რომელცი ბოლოს კარგად მთავრდება. კარგია, რომ ქოხს მაინც მიაგენი.

ღუმელი გვაცხუნებდა. წინკარში შეშა ბლომად ეწყო. ამ ქოხის პატრონი მონადირე სჩანს თადარიგიანი კაცი იყო. ეს რომ არა, ტაიგაში ხმელი ფიჩხი უნდა მოგვეძია. კიდევ უნდა დავქანცულიყავით, ლარიქსის ფიჩხი დაგვეჭრა.

გადავწყვიტეთ ჩაი დაგველია. ამისთვის კი თოვლი უნდა დაგვედნო. დრო რომ მოგვეკლა ერთი იღლია სოჭის ტოტები დავამტვრიე. რბილი და სურნელოვანი საგები გამოვიდა. ქვაბში თოვლი დავადნეთ და კონად შეკრული წითელი მოცვის ყლორტები ჩავდეთ.

ღუმელს შეშა შევუკეთეთ. ლენა სურნელოვან საგებზე მიწვა და მთხოვა მაშინ გამეღვიძებინა, როცა ტაიგური ჩაი ადუღდებოდა. დაძინების წინ მითხრა: – დაე, დიდხანს იდუღოს.

მე მის ფეხებთან ძელსკამზე ვიჯექი და ჩვენს თავგადასავალზე ვფიქრობდი. ვფიქრობდი, რომ ლენა თბილ ქოხში დამეტოვებინა, მე კი ჩვენს ფაქტორიაში წავსულიყავი ირმებისა და სურსათისათვის, მაგრამ ეს აზრი უმალ უარვყავი, რადგან სანამ დავბრუნდებოდი სამი–ოთხი დღე გავიდოდა და ამ დროის განმავლობაში ლენა მხოლოდ ტაიგურ ჩაის დალევდა. ბოლო ორი დღეა, რაც მხოლოდ ტაიგურ ჩაის ვსვამდით. თუ ერთად წავიდოდით, ლენა დაუძლურდებოდა და მაშინ სადღაც ყრუ ტაიგაში ერთი დღით მოგვიწევდა შესვენება, კოცონთან ძალას მოვიკრებდით, თუმცა ეს ჩვენთვის საზიანო იქნებოდა, რადგან თოვის მერე მკვეთრად აცივდებოდა. ქოხში მართალია მშივრები, მაგრამ სითბოში ვიქნებოდით. 50°–იან იყნვაში კი კარგი კოცონის დასანთებად ბევრი ხმელი შეშა დაგვჭირდებოდა, ამისთვის კი ძალ–ღონე გვეყოფოდა? წინკარში შეშა ბლომად ეწყო, ხვალ კი მეც მივუმატებდი. სჯობდა ქოხში დავრჩენილიყავით. ასეც გადავწყვიტეთ, მაგრამ გამახსენდა ძაღლის ყეფა და ფიქრებს ავყევი. რადგან ტაიგაში ძაღლმა დაიყეფა, ესე იგი მონადირეც უნდა იყოს. და თუ მონადირეა, მაშინ ორცხობილა და შაქარიც ექნება. იქნებ

ევენკების სადგომია. თუ ევენკები იქნებიან, მაშინ სასაპალნე ირმები–უჩაკებიც ეყოლებათ. იქნებ მომეყურა? წავალ, მივაყურადებ. აქედან შორს არ არის. იქნებ ბედმა გამიღიმოს და სადმე გნოლქათამას გადავაწყდე ან ყრუანჩელას. ერთი–ორი დღე მაინც უნდა დაგვესვენა, თუნდაც მშივრებს. ფეხსამოსი და ტანსაცმელი უნდა დაგვეკერებინა, თან თბილად ვიქნებოდით. ირგვლივ თოვლია, ჩვენ კი გვცხელოდა კიდეც. ქოხის კარი გავაღეთ. ქოხიც თითქოს სხვანაირად გამოიყურება. მზიანი, ნათელი დღე გათენდა. ტაიგაში დიდხანს ვიარე, მინდოდა მალე დავბრუნებულიყავი. ვერსად ვნახე ადამიანის, ირმების, ძაღლის ნაკვალევი, ნამდვილად მოგვეყურა.

უცებ ქოხის კარებში ლენა გამოჩნდა. ასეთი კარგა ხანია არ მენახა. მოკლე სახელოებიანი თეთრი კოფთა, ლურჯი ქვედატანი, წინდები და ფეხსაცმელები ეცვა. “მეჩვენება?” – გავიფიქრე. აი, უკვე ხუთი წელია, რაც ეს ყველაფერი ჩრდილოეთის პირობებში გამოუსადეგარია. ლენას საველე მუშაობისას დიდი ხანია, რაც მამაკაცურად აცვია, მონადირული დანაც თან დააქვს. შემატყო, ადგილიდან არ ვიძროდი და მოირბინა.

“შემოდი, სწრაფად შემოდი! ძალიან თბილა, შენ ხომ დიდხანს იარე და დაიღლებოდი. შენზე ვშიშობდი, მეშინოდა, რომ მშიერი და დაღლილ–დაქანცული სადმე წაიქცეოდი და გაიყინებოდი და მაშინ ჩემთვის ვთქვი: სითბო და სიცხე თან გდევდეს! და ხედავ?!

მართლაც სიმხურვალე ვიგრძენი. ლენამ მხარზე ხელი დამადო. ქოხში შევედით.

“უყურე, რამდენი რამ გვაქვს!”

მაგიდას დავხედე და თვალებს არ დავუჯერე. რა აღარ ელაგა: პური, ხორცი, ქონი, შაქარი, ტოლჩებში რაღაც სურნელოვანი სასმელი, სოჭის წიწვების სუნს მიაგავდა.

ლენა მჭიდროდ მომეკრა და ხმამაღლა მითხრა: “გაუსაძლისი სიცხეა და გამეღვიძა.

– ღრმად გეძინა. გამეღვიძა, ოფლში ვცურავდი, შენ კი ძელსკამის კიდეზე იწექი. ღუმელი წითლად ღუღუნებდა. რა სასიამოვნოა სოჭის სურნელი.

ძელსკამიდან წამოვხტი და კარი გავაღე. თეთრი, ცივი ჰაერი შემოიჭრა. წინკარში გამოვედი. ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ჩრდილოეთის მხარე მოთეთრო–მოვარდისფროდ შეფერილიყო. მის ფონზე მკვეთრად ირჩეოდა მაღალი ლარიქსებიყ

ჩვენი ჩაი დამშრალიყო. თოვლი შემოვიტანე და ავადუღე. მალე გული ვიჯერეთ ჩაის სმით. ლენა სვამდა და ჩემს სიზმარს უსმენდა.

– ძვირფასო, ყველაფერი კარგად იქნება. დღეს დავისვენოთ, მერე ნელ–ნელა გზა გავაგრძელოთ, სანამ ძალ–ღონე შეგვრჩენია.

ძველი რკინის ღუმელის უამრავი ბზარიდან და ნახვრეტიდან ცეცხლის ალები ძვრებოდა და მისი ათინათები ქოხის ჭერსა და კედლებს ეფინებოდა.

არ მეძინებოდა. "თოვლი უნად დავადნოთ, შეშაც მივუმატოთ? – ვფიქრობდი ჩემთვის. სათლი ავიღე და ქოხიდან გამოვედი.

ცაზე ჩრდილოეთის ციალი უფრო გაწითლდა და ცის მესამედი მოიცვა. დიდი დათვის თანავარსკვლავედის ციცხვი გადაიწია, სჩანს შუაღამე გადასულიყო. ყინვა ძლიერდებოდა. "დილით ალბათ –50° იქნებოდა" – გავიფიქრე, როცა სათლს თოვლით ვავსებდი.

როცა სათლში თოვლი დადნა, დასაძინებლად დავწექი და ჩემთვის გავიფიქრე: "დილაუთენია უნდა ავდგე". ლენამ იცოდა რომ უნდა წავსულიყავი.

…გარიჟრაჟმა იმ ადგილის სიახლოვეს მომისწრო, სადაც წუხელ ძაღლის ყეფა მომეყურა. ირგვლივ, ყოველი მხრიდან შაშხანის სროლის ხმა მესმოდა. ძლიერი ყინვებისას ტაიგაში სულ ასეთი ხმები ისმის. ტუკოლონეს შენაკადის მეორე ნაპირზე გადავედი. ტაიგის დიდი უბნისთვის უნდა შემომევლო, რომ ნაკვალევს გადავწყდომოდი. შემხვდებოდა თუ არა, ეჭვიც კი მეპარებოდა.

ასე ორი კილომეტრი გავიარე და დათოვლილ თხრილს მივადექი. იქ ერთი ან ორი დღის წინ ევენკებს გაევლოთ ირმებით. მათი სვლის მიმართულება ხეებზე გაკეთებული ჭდეების მიხედვით დავადგინე. ევენკები გრძელტარიან დანას, პალმას ატარებენ. ისინი იმ შენაკადისკენ მიემართებოდნენ, სადაც ღამე გვინდოდა გაგვეთია.

"ესე იგი არ მომეყურა. ნამდვილად ძაღლი ყეფდა. ახლა კი საქმე კარგად წამივა თუ მათ სადგომს მივაღწევ, სურსათსა და ორ ირემს წამოვიყვან და ლენასთან მალე დავბრუნდები". – ვფიქრობდი მტკიცედ დარწმუნებული და დიდი წვალებით მივუყვებოდი ირმების მიერ გაკვალულ და დათოვლილ ბილიკს. სულ ახალი ნაკვალევიც მხვდებოდა. აქ ისინი იაგელს[13] ძოვდნენ. ახლა სულ ახლოს ვარ. აი, დილანდელი ნაკვალევი. ეს რა არის? სამი ჩუმი, არა სამი ჩუმის ჩონჩხი, და მეტი არაფერი.

[13] იაგელი – მღიერი, ირმის ხავსი.

შევჩერდი და მხოლოდ ახლა ვიგრძენი საშინელი დაღლილობა. ფეხები მიკანკალებდა. ნელა მივუახლოვდი ერთ–ერთი ჩუმის ჩონჩხს. იქ, სადაც შესასვლელი იყო, ჭოკები შედარებით განზე იყო ჩარჭობილი. ზღურბლის ადგილას პატარა კუნძები ეწყო. გადავაბიჯე, ჩავიმუხლე და ხელები ღადარში ჩავყავი. ჯერ არ გაციებულიყო.

“თბილი ღადარია”. – წარმოვთქვი და უკან გამოვბრუნდი. ახლა უკვე ვიცოდი, რომ ასე სამი–ოთხი საათია, რაც ევენკებმა ეს ადგილი დატოვეს. მათ არგიშისთვის[14] დიდი დრო სჭირდებათ. მათი ირმები სწრაფად დარბიან და ვერ წავეწეოდი. თუ მათ კვალს გავყვებოდი, მათ ახალ სადგომს მივადგებოდი და იქაც თბილი ღადარი დამხვდებოდა. იქნებ გაციებულიც. ჩემს გასროლას ვერ გაიგებდნენ და თანაც ტაიგაში ექო მალე წყდება. ნადირიც არ შემხვედრია, თითქოს ამომწყდარიყო. ალბათ ევენკებიც ამიტომ არ შეყოვნდნენ ამ ადგილას, ფაფუკბეწვიანი ნადირით მდიდარი ადგილებისკენ ეჩქარებოდათ.

ქოხისკენ საკუთარ კვალს მივყვებოდი. ლენაზე ვფიქრობდი. მას ჯერ კიდევ იმედი აქვს თანდაც ერთი ორცხობილის, ერთის...

საკვამურიდან კვამლი ხვეულებად ამოდიოდა და გაყინულ ცაზე მტრედისფრად ეფინებოდა. ძალიან მციოდა. მოწყენილი ვბრუნდებოდი. სიზმარი გამახსენდა და გამეღიმა. წინკარის შესასვლელთან საგზაო ჯოხი მივაყუდე და ლენას გაკეთებული სოჭის ტოტების ცოცხით თოვლი მივხვეტე. ტანსაცმელი დავიფერთხე. კარი გაიღო. ზღურბლზე მომღიმარი ლენა იდგა.

– ქოხში შემოდი, მალე. აქ ჩაი და სითბოა, გარეთ კი ყინვაა. ალბათ შეგცივდა.

თვალს ვერ ვუსწორებდი ლენას და ამ დროს სრულიად შემთხვევით სხვენისკენ გავიხედე. კვამლში ორი დიდი ბრეზენტის ტომარა შევნიშნე. ჯოხს ხელი ვტაცე, კარებთან მივრბინე და ტომრებს ვატაკე. ტკაცუნი მომესმა. ახლა სიზმარში კი არა, ცხადში დამცხა.

…მაგიდას ვუსხედით და ტაიგურ ჩაის ვსვამდით, მეორე ქვაბით კი ჩრდილოელების საყვარელი ნამდვილი სურნელოვანი ჩაი დავაყენეთ. ჩაის შაქრით ვსვამდით და ნამდვილ ორცხობილას ვახრამუნებდით.

– როგორც სათავგადასავლო მოთხრობაშია, ისე დაგვემართა... როცა სიკვდილმა თავისი გაძვალტყავებული ხელი გაუწვდინა, როცა ქანცგაწყვეტილი და ძალაგამოლეული ქალი და მამაკაცი უკანასკნელ კილომეტრებს გადიოდნენ, სწორედ მაშინ, მათმა ზღაპრულმა

[14] არგიში – ევენკების ერთდღიანი სავალი გზა ირმებით.

ტაიგამ, რომელიც ასე უანგაროდ უყვარდათ, სიცოცხლე აჩუქათ. – თქვა შეფიქრიანებულმა ლენამ.

– ღმერთი შემთხვევითობაა, ბედნიერება კი მისი მოციქული. გახსოვს? როგორ გვითხრა იმ მხნე კაცმა. – ჩიბუხი გავაბოლე. – ჩემო ძვირფასო, ამჯერადაც ჩვენმა ტაიგურმა იღბალმა გვიხსნა.

ქოხამდე ასე ათი კილომეტრი გვრჩებოდა, რომ იმ ორი ტომრის პატრონი შემოგვხვდა. თურმე ნადირობის წინ სურსათის ძირითადი ნაწილი მოემარაგებინა და მალე უნდა დაბრუნებულიყო კიდეც, მაგრამ ცენტრალურ ფაქტორიაში შეყოვნებულა და თავის ქოხში ახლა ბრუნდებოდა.

გზაში კარგად დავისვენეთ. გაკვალულ გზაზე უკვე ადვილად მივდიოდით,. აგიზგიზებულ კოცონს სამნი ვუსხედით და გემრიელ სტროგანინას[15] და გაყინულ თევზს შევექცეოდით. მაგარ ჩაის ვაყოლებდით. მონადირე გაგვიმასპინძლდა. როცა გაიგო, რომ საგზლად რამდენიმე ორცხობილა და ცოტაოდენი შაქარი ავიღეთ, გვითხრა:

– ასე როგორ შეიძლება, მეტი უნდა აგეღოთ, ზურგჩანთები უნდა გაგევსოთ.

გზაში კიდევ ერთხელ მოგვიწევდა ღამის გათევა, მაგრამ უკვე დასახლებულ ადგილას, იქ, სადაც ნიკოლაიმ გაათენა.

– კარგი ადგილია. შეშაც ბლომადაა, მთელი ღამე გეყოფათ. ხომ არ დაიქანცეთ?! – გვითხრა დამშვიდობებისას მონადირემ.

ნიკოლაის მადლობა გადავუხადეთ და ხელი მაგრად ჩამოვართვი. ნიკოლაის არჩეული ადგილი ღამის გასათევად მართლაც კარგი აღმოჩნდა. შეშა დარჩა კიდეც. ტაიგური დაუწერელი ადათით მეც მივუმატე. ცენტრალურ ფაქტორიამდე ასე თხუთმეტი კილომეტრიღა გვრჩებოდა. სოჭის ტოტების რბილ საგებზე ლენამ მოხერხებულად მოიკალათა და ძველებური "ჯადოსნური ხალიჩა" გაშალა. ზურგჩანთიდან ამოიღო... ხორცის დიდი ნაჭერი.

– როდის მოასწრო? ვერ იგრძენი, რომ ზურგჩანთა დამძიმდა?

ელენას გადავხედე.

[15] სტროგანინა – დაკუწული და მარილმოყრილი გაყინული უმი ხორცი.

– ალბათ ახლა, ამ წუთას ნიკოლაი ქოხში დაბრუნდა და უცნობი მონადირისადმი ჩვენს სამადლობელ წერილს კითხულობს და უკმაყოფილოდ დასცქერის წერილში ჩადებულ ფულს.

…დაღამდა. ბინდი გადაგვეფარა ჩვენც და ტაიგასაც.

## ხამი[16] ქვები

როგორ დაუმალავთ ეს ქოხი. – ვთქვი ჩემთვის, მძიმე პონიაგა მოვიხსენი და ქარისგან წაქცეულ ხეზე ჩამოვჯექი. ორი დღეა, რაც ოდნავ შესამჩნევ ნაბილიკარს მივყვები. ხეებზე შენიღბული ჭდეების მიხედვით სიარული ევენკიისებურთან შედარებით უფრო ძნელი იყო. ბილიკს უთვალავჯერ ავცდი, ჩახერგილებს გვერდს ვუვლიდი და როცა ჩემი გაანგარიშებითა და ნიშნებით ქოხთან სულ ახლოს უნდა ვყოფილიყავი, ჭდეები გაქრა და მთელი ჩემი ძიება ამაო გამოდგა.

საღამოს სქელ ბინდს თოვაც დაემატა. ჩუმ–ჩოკმა მოირბინა. ჩემზე მეტად დაიღალა და ლამაზი თავი მუხლებზე დამადო.

– დაიღალე? მოგბეზრდა სიარული? მეც დავიღალე. ცოტა დავისვენოთ, ამ ნედლით გავთბეთ. პირველსავე მოჭრილ ხმელ ხემდე ვიაროთ და ღამეც იქ გავათიოთ.

ძაღლს როცა "წავიდეთ" მოესმა, უმალ წამოხტა. მეც წამოვდექი. ხომ უნდა გვევლო, სადამდე ვისხდებოდით. რაც უფრო მალე შევარჩევდი ღამის გასათევ ადგილს, უკეთესი იქნებოდა.

მინდოდა არჩეული მიმართულებთი მევლო, რასაც უკანასკნელი, უკვე შორს მოტოვებული ჭდე მიმანიშნებდა, მაგრამ ჩუმ–ჩოკი მობრუნდა, თითქოს მიხმობდა, მეც მივყევი. მის ნაკვალევს არც ვაკვირდებოდი, პირდაპირ უკან მივდევდი. ჩუმ–ჩოკი არ მირბოდა, ნელა მიდიოდა და დროდადრო ჩემთან ბრუნდებოდა, მამოწმებდა მივდევდი თუ

[16] ხამი ქვები – იგულისხმება გრანიტები, გნეისები, გრანიტო–გნეისები და ქვიშაქვები.

არა, მერე ისევ დაწინაურდებოდა ხოლმე. ასე მივაღწიეთ ქარისგან წაქცეული ხეების დიდ ხერგს. “აი, შეშაც, ხერგს შემოვუვლი და ღამის გასათევ ადგილს შევარჩევ”. – გავიფიქრე ჩემთვის.

ხერგის უკან ნაკადული ვნახე. ეს იყო უკანასკნელი მინიშნება. “ბილიკი ნაკადულზე გადადის. ნიშანდობლივი ნაკადულია, დიდ ყინვებშიც კი არ იყინება. წყაროებით საზრდოობს, შემდეგ კი ფიჭვნარია. მის იქით კი ქოხი”. – ვიხსენებდი პაპა ვლასის ნათქვამს.

ნაკადულისპირა ჩამუქებული ტაიგის ვიწრო ზოლი გადავჭერი და ფიჭვნარის კიდეზე გამოვედი. ჩუმ–ჩოკი ჩემს გვერდით იდგა და წინ იწეოდა. გორაკზე ავედით და თითქოს მიწიდან ამოძვრა ქოხი.

– ყოჩაღ ჩუმ–ჩოკ! პატრონი მოიყვანე! – მოვეფერე ჩემს ერთგულ და ჭკვიან მეგობარს.

პოდკამენნაია ტუნგუსკის შენაკად ვოდოზიმას სიახლოვეს მდგარ მონადირეთა ქოხში ცხოვრობდნენ ანგარელი მონადირეები, ძველი ტაიგელი, პაპა ვლასი და მისი ორი შვილიშვილი. როცა მონადირეთა ბრიგადების საქმიანობას ვამოწმებდი, მათთანაც მივედი. კარგი, თბილი, მყუდრო ქოხი ჰქონდათ. მთელი დღის სიარულით დაღლილი ვიყავი და კარგი იყო გულღია ტაიგელებთან დასვენება, საღამოს, ნავახშმევს კი ღუმელთან ჯდომა და პაპა ვლასის მოსმენა. კარგი მთხრობელი იყო და სათქმელიც ბევრი ჰქონდა. ლომონოსის ქედზე მეუბნებოდა. მე ამ ქედის ტაიგის შორეული სამონადირეო ადგილები მაინტერესებდა. იქ ის თავის ორ ვაჟთან ერთად ბეწვიან ნადირზე ნადირობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იქ მოხდა, უკვე ხუთი წელია არავინ წასულა და უნადირია.

იქ რაც მოხდა, მხოლდ პაპა ვლასს შეეძლო ეთქვა. მეუბნებოდნენ, რომ ამისი გახსენება არ სიამოვნებდა. მიუხედავად ამისა ძველ ტაიგელს ვთხოვე მოეყოლა თუ რა მოხდა მაშინ იქ.

– ღამით ამის მოყოლა არ შეიძლება და არც მოსმენა, მაგრამ რადგან მთხოვე, შენი პატივისცემით, თუმცა ამის გახსენება არ მსიამოვნებს.

პაპა ვლასის შვილიშვილები ახლოს მოგვიხსდნენ. ქოხში სანახევროდ ბნელოდა. ჭრაქის შუქზე ჩვენი ფიგურები კედელზე ჩრდილებად ეფინებოდა. ერთადერთი სარკმლიდან ღამე შემოგვცქეროდა. ვდუმდით. ტაიგაც დუმდა, თითქოს ისიც ემზადებოდა მოხუცი მონადირის მოსასენად. ღუმელში შეშა ტკაცუნობდა. პაპა ვლასიმ ჩიბუხი გააბოლა.

– ამ გაზაფხულს ექვსი წელი გახდება, რაც პეტრომ დაიძინა. ჩემი ვაჟი. ორ იშვილიშვილი დამრჩა, ვანიუშკა და ერმილკა. ადრე იმ ტაიგაში ჩემს ორივე ვაჟთან ეთრად

ვნადირობდი. ლომონოსის ტაიგა ჩემი სახლიდან შორსაა, ასე, სამასი ვერსტის[17] დაშორებით, სამაგიეროდ ვრცელი და სარგებლიანი. ციყვი იყო ბლომად გამრავლებული. უამრავი ტაიგური ნადირ–ფრინველით იყო სავსე. ჩვენც, სამივე იღბლიანები ვიყავით, ბედს არ ვემდუროდით, კარგად ვნადირობდით. შვილები მეუბნებოდნენ, მახეებს გაგიკეთებთ, ციყვებს მოაგროვებ, ჩვენ კი ძაღლებით ვინადირებთო.

იმ ტაიგის სულმა სჩანს არ მიგვიღო. პირველ გაფრთხილებას ყურადღება არ მივაქციე, როცა ეგორშა უზარმაზარმა დათვმა დაგლიჯა. მარტოდ არაერთხელ გვინადირია დათვზე, ბუნაგში. მაშინ ეგორშას თოფმა უმტყუნა. ძაღლებმაც ვერ უშველეს. იქ რა მოხდა, არავინ იცის. ლისკომ ჩვენამდე ძლივს მოაღწია. მხოლოდ ის შესძლო, რომ მე და პეტრო იმ საშინელ ადგილას მიგვიყვანა. გვერდით მიუწვა რაც თავისი პატრონის ეგორშასაგან დარჩა და აღარც ამდგარა.

– მამილო, იქნებ ამ ტაიგიდან წავსულიყავით. იქნებ ტყის სულს არ მოვეწონეთ?

– ამ ტაიგიდან არსად არ წავალ. არც კი იფიქრო. პატრონი ახლა მე ვარ. – გავჯიუტდი და ყოველწლიურად, როცა ნადირობის სეზონი იწყებოდა, მე და პეტრო ლომონოსის ტაიგაში შევდიოდით. თითქოს ყველაფერი კარგად იყო. ტყის სული თავს არაფრით გვახსენებდა. დადგა დრო და იქ შესვლა გაგვიძნელდა. მე აღარ შემეძლო ასე შორს, ციცაბოებზე ფხოტიალი. ეს ადგილი შევათვალიერე, პეტრომ კი გაბედა და იმ ძველ, შეჩვეულ ტაიგაში დარჩა.

– მამილო, ნაკადულის გასწვრივ ფიჭვნარში ჩვენი ფიცრულის ქვემოთ კარგ ქოხს ავაგებ, საკუჭნაოსაც. ნელ–ნელა მახეებს დავდგამ. იქნებ მეწვიო ხოლმე. მას მერე ის ფიცრული აღარ მიყვარს. როცა იქ ვარ, ეგორშა თვალწინ მიდგას. მირჩევნია ცის ქვეშ გავათიო ღამე და იქ არ შევიდე. შენთვის კი სიმართლე არ მითქვამს, ხან რას ვიმიზეზებდი და ხარ რას.

პეტროს არ შევწინააღმდეგებივარ. – იყავი იმ ტაიგაში. – ვუთხარი მაშინ.

პეტრომ როგორც თქვა, ისეც მოიქცა, ოღონდ მახეები არ გაუკეთებია, ვერ მოასწრო. ახალი ქოხის სანახავად მიწვევდა, მე კი ვეუბნებოდი: – როცა ახალმოსახლეობას გადაიხდი იქნებ მაშინ გესტუმრო მეთქი.

ის ფიჭვნარი კარგად ვიცოდი, არაერთხელ ვყოფილვარ, მაგრამ ძველ ფიცრულს შევეჩვიე და სხვა საცხოვრებელი არ მინდოდა. კარგია, რომ მაშინ პეტრომ შვილები არ წაიყვანა. როგორ უნდოდა, მე გადავაფიქრებინე და ისიც დამეთანხმა. – მართალია, ჯერ

[17] ვერსტი – ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 1,06 კმ–ს.

პატარები არიან, გაიზარდნენ, შორს ვერ ივლიან. – თქვა, როცა უკანასკნელად შევიდა ტაიგაში.

პეტრო ჩვენებური წესით ნადირობდა. სანამ კარგად არ მოთოვდა და ყინვაც არ მოუჭერდა, არ ინადირებდა. სადაც დაუღამდებოდა, იქ უთენდებოდა, კოცონთან. როცა ყინვა გაძლიერდებოდა და თოვლიც სქლად დაედებოდა, მაშინ თავისი ქოხის მიდამოებში ნადირობდა და ღამეს თავის ქოხში, სითბოში ათევდა. კარგი ძაღლი ჰყავდა. მოსული, ძლიერი, დაგეშილი, მგელივით. ჩერნიათი თავს იწონებდა.

იმ შემოდგომაზე პეტრომ ერთი–ორჯერ შემოირბინა ჩემთან. კარგად ნადირობდა. მოირბენდა, ბეწვებს დატოვებდა და მეორე დღეს ისევ თავის ტაიგისკენ გასწევდა. ჩემი პეტრო ბრგე, ღონიერი იყო, ხასიათით კი მშვიდი. სიცოცხლე უხაროდა.

პაპა ვლასი დადუმდა, დიდხანს დუმდა. მერე ნელ–ნელა წამოდგა, სარკმელთან მივიდა და ღამის წყვდიადს გახედა. დღისით ლომონოსის ქედი მოჩანდა. ბერიკაცი შემეცოდა. წარსული გულს სტკენდა. ქოხში სიჩუმე ჩამოვარდა. მერე პაპა ვლასი ნელ–ნელა მოსცილდა სარკმელს.

– ხედავ, როგორი წყვდიადია. იმ ღამითაც ასე იყო... ძლიერი ყინვები დაიჭირა. საღამოს ღუმელი კარგად გავახურე. ზედა თაროზე დავწექი, შემცივდა, ქვედაზე დამცხა. ვიწექი და არ მეძინებოდა. ფიქრებს ავყევი, თავში რა არ მიტრიალებდა. მეტწილად იმათზე ვფიქრობდი, ვინც ასეთ ყინვაში გზაში იქნებოდა. ტაიგა ჭახჭახებდა. ხეებს ყინვისგან ქერქი უსკდებოდათ. წამოვდექი, კარი გავაღე. ჯერ ახალი მოსაღამოვებული იყო და გვიან ღამით ანდა გარიჟრაჟზე რაღა იქნებოდა. ძაღლებს მოვუხმე. მიუხედავად იმისა, რომ კარგი თავშესაფრები გავუკეთე, შემეცოდნენ, მინდოდა ქოხში შემომეშვა. აღარ ვიდარდებდი. ზღურბლზე ძაღლებმა ცოტა ფეხი აითრიეს, უცბად ვერც კი დაიჯერეს, მერე კი თვალის დახამხამებაში თაროებზე ამოხტნენ და დაწვნენ. მეც დავწექი, მაგრამ ვერა და ვერ დავიძინე. ფიქრებს ავყევი. ნუთუ ახლა პეტრო ღამეს კოცონთან ათევს, იქნებ ხმელი შეშაც კი არ აქვს. მოასწრებდა კი თავის ქოხამდე მისვლას? ახალმოსახლეობა გადაიხადა? პეტროზე ფიქრებაყოლილს ჩამოთვლიმა. უცებ ძაღლების ყეფა მომესმა. გამეღვიძა. ვიღაც ქოხს მიუახლოვდა, აი, ფეხსაცმელებიდან თოვლს იბერტყავს. ჭრაქი ავანთე. ძაღლები დავაწყნარე... ტაიგელი მეზობლები აღმოჩნდნენ.

– ჩვენი ბედი, რომ შენი ქოხის სიახლოვეს დაგვიღამდა. ასეთ ყინვაში ჩვენს სახლამდე ვერც მივაღწევდით, ღამით კოცონთან გავიყინებოდით.

– კარგია, რომ ჩემამდე მოაღწიეთ, რაღაც გულზე მაწევს, სევდა მომერია. ძაღლებიც ქოხში შემოვიყვანოთ. ცხელი ჩაით სული გაითბეთ.

ცხელი ჩაი დავლიეთ, ცოტა რამ შევატანეთ და ცოტა გავმხიარულდით კიდეც. ლაპარაკით თავი შევიქციეთ და მერე დასაძინებლად დავწექით, ყინვა კი ჭახჭახებდა. მოსულებსს მალევე ჩაეძინათ. მეც დამეძინა. ძაღლების ყეფამ გაგვაღვიძა. ყველანი ერთდროულად წამოვხტით. ძაღლები კართან იდგნენ. "იქნებ მოხეტიალე დათვმა მოგვაკითხა". – გავიფიქრე. თოფები გარეთ, კართან გვეკიდა. ძაღლებს გადავხედ. კარისკენ იწევდნენ. თუ მართლა მოხეტიალე დათვი იყო, ძაღლები თუ გვიხსნიდნენ. კარი სწრაფად გავაღე. ყინვა ქოხში შემოიჭრა, ძაღლები გარეთ გაცვივდნენ და უმალ მიყუჩდნენ. ესე იგი თავისიანად ცნეს და ვინ იქნებოდა თუ არა პეტრო. ქედს ხელი ვტაცე და ზღურბლს გადავაბიჯე. ვერაფერი დავლანდე. ნისლი, ვარსკვლავებიც კი ძლივს ჩანდა. ვიგრძენი, რომ რომელიღაც ძაღლმა ხელი ამილოკა. ძაღლებს ქოხში მოვუხმე. გულმა რეჩხი მიყო. ასეც მოხდა. ტაიგიდან ჩერნიამ მოირბინა, მაგრამ ქოხში არ გაჩერდა, მკერდით კარს მიაწვა. ჩემი ძაღლებიც გაჰყვნენ. ვიცოდი, ჩერნია პატრონს არ მიატოვებდა. ესე იგი პეტრო სადღაც ახლოს იქნებოდა. რა შეემთხვა გზაში ასეთ ყინვაში?! ვეღარ ვაზროვნებდი. სასწრაფოდ ჩავიცვით და ქოხიდან გამოვედით. მივაყურადეთ. ტაიგის ჭახჭახისა და ჩვენი სუნთქვის გარდა არაფერი ისმოდა. ერთმა მოსულთაგანმა თოფს ხელი სტაცა და გაისროლა. ტაიგური ადათით უნდა ეპასუხათ, მაგრამ სროლის ხმა არ გაგვიგია. აღარც ძაღლები ჩანდნენ. ხევისკენ გავიქეცით და იქ პეტროს გადავაწყდით. ქოხში შემოვარდა. უქუდოდ, უხელთათმანოდ, პერანგის ამარა იყო. ჭრაქი ავანთე. საშინელი შესახედავი იყო. უმალ დაზელვა დავუწყეთ.

თავდაპირველად დუმდა, მერე კბილები გააკრაჭუნა. გაყინული იყო. ან კი როგორ მოაღწია? ცოტა რომ დასთბა, ხველა აუტყდა. არაფერი ჭამა, მხოლოდ ჩაი დალია. ძელსკამზე გულაღმა დაწვა და უმალ დაეძინა. არაფერი უთქვამს, არც ჩვენ გვიკითხავს.

როცა გათენდა, შევხედეთ და ვერც კი ვიცანით. რაღაც საშინელება იწვა და არა პეტრო,. სახე და ხელები დასიებოდა. სისხლჩაქცევები ეტყობოდა, თითქოს ვიღაცას ეცემა. ძალიან დასიებული იყო. კარგია, რომ დათვის ქონი მქონდა მომარაგებული. როცა გაიღვიძა, მარტო ჩაი დალია. თვითონ ადგა და მაგიდას მიუჯდა. თითებს ვერ ხმარობდა და ტოლჩა ორივე ხელით ეჭირა. აქ, ამ მაგიდასთან მოჰყვა თავს რა გადახდა ტაიგაში. გასიებულ ტუჩებს ძლივს ატოკებდა, ნელა და ჩუმად ლაპარაკობდა. მისი ხმაც კი ვერ ვიცანი, თითქოს სხვა ლაპარაკობდა.

პაპა ვლასისთვის არაფერი გვიკითხავს, ისე ვუსმენდით და როცა თხრობა დაამთავრა, თუ არ მოუყვა პეტრომ, დადუმდა. სიჩუმე ჩამოვარდა. მოულოდნელად სარკმელთან ძაღლი აყმუილდა. შეშინებულმა ვანიამ და ერმილმა ერთმანეთს გადახედეს.

ძაღლი ისევ ყმუოდა. პაპა ვლასი ქოხიდან გამოვიდა. ძაღლი ჩაჩუმდა. ძველი მონადირე მალევე შემობრუნდა.

– თითქოს ჩერნიაა. პეტროს მერე აქ დიდხანს არ გაჩერებულა. კარგი ძაღლია, მაგრამ დროდადრო რაღაც ემართება. ცუდად ყმუის. ალბათ პეტრო ახსენდება. თუ გახვალ და მიუალერსებ, წყნარდება.

შუაღამისას დავწექით დასაძინებლად. დიდხანს არ მეძინებოდა. არც პაპა ვლასის ეძინა. არც მის შვილიშვილებს, ჩურჩულებდნენ. ჩვენ ვდუმდით, საწოლში ვწრიალებდით და ვეწეოდით.

დილით ჩუმ–ჩოკს ვაჭამე, მეც სული მოვითქვი და მასპინძლობისთვის პაპა ვლასის მადლობა გადავუხადე. დამშვიდობებისას ვუთხარი საითაც მივდიოდი.

– როგორ თუ იქ. ამ ნაძრახ ადგილას? მიაგნებ კი? – მოხუცმა ტაიგელმა გზა მიმანიშნა დათან დაამატა, რომ მას მერე რაც პეტრომ თავისი ქოხიდან მოირბინა, იქ არავინ ყოფილა და იმ ბილიკზეც არავის გაუვლია.

– ბილიკი ძალიან ჩახერგილია, გზა არ დაგებნეს. კარგი იქნება თუ მეორე დღეს დაღამებამდე მიაღწევ. პეტრო მეორე დღეს, შუადღისას ბრუნდებოდა ხოლმე. ბილიკი კარგად იცოდა, წმენდდა კიდეც. იმ ღამით უფრომალე მოირბინა იმ დაწყევლილი ქოხიდან. იქნებ იქ წასვლა არც ღირდეს? – გადმომხედა კეთილმა, სათნო მოხუცმა. – შვილო, რაიმე ხიფათს არ გადაეყარო, ვერ მოვისვენებ.

– ყველაფერი კარგად იქნება, არ ინერვიულო. ყველაფრისთვის გმადლობ.

დიდი, ტიაგური მადლობა. ასე, ათი დღის მერე დავბრუნდები, ლომონოსის ქედს მოვივლი. ტაიგას დავხედავ. – დავამშვიდე პაპა ვლასი.

მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და როგორც ტაიგელები იტყვიან, ჯან–ღონით სავსე. რა თქმა უნდა ეშმაკეულისა არ მწამდა და რადაც არ უნდა დამჯდომოდა უნდა დამედგინა, რამ აიძულა პეტრო ბეწვიანი ნადირით მდიდარი ტაიგიდან გამოქცეულიყო და ამით გამექარწყლებინა "წყეული ქოხისა და ტაიგის სულის" მითი და ლომონოსის ქედისკენ გზა გამეხსნა.

როცა პოდკამენნაია ტუნგუსკის მეორე ნაპირზე გადავედი, უკან მოვიხედე. პაპა ვლასი მდინარის დამრეც ნაპირზე იდგა. დამშვიდობების ნიშანდ ხელი დავუქნიე და ტაიგაში გავუჩინარდი.

– ჩუმ–ჩოკ, თავდაპირველად წყალი მოვიმარაგოთ, მერე შეშაზე ვიზრუნოთ, ახლა კი... ნახევრადგაღებული კარის წინ შევჩერდი, შაშხანა და პონიაგა მოვიხსენი, თოვლი დავიბერტყე და ქოხში შევედი. პონიაგიდან სანთელი ამოვიღე და ავანთე. მიმოვიხედე. სჩანს, პეტროს მერე აქ მართლაც არავინ ყოფილიყო. ყველაფერი ძველებურად იყო. თაროს ქვეშ შეშა ბლომად ეწყო. საპირისპირო კუთხეში ქვის ღუმელთან პონიაგა იდო. მასზე მიბმული ციყვებისგან აღარაფერი დარჩენილიყო, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ძვალსა და თავის ქალებს. თაგვებს გაესუფთავებინათ. ღუმელთან ახლოს კაუჭზე ქუდის ნაშთი ეკიდა. იატაკზე ხელთათმანების მატყლი ბღუჯა–ბღუჯად ეყარა. თაროზე მაუდის ქურთუკისმაგვარი იდო. თაგვებს აქაც კარგად ემუშავათ. სარკმელთან მაგიდაზე გაღრღნილი ბერესტის კოლოფი იდო. მაშინ მონადირეები ამით ჩაის სვამდნენ. ჯარისკაცული ქვაბი გადაყირავებული ეგდო ღუმელთან. ორი, ცოტა მოდიდოები მეორე თაროს ქვემოთ ეწყო. კარებთან კუთხეში ცული იყო მიყუდებული.

ჩუმ–ჩოკი ქოხში არ შემოვიდა, პარმაღზე იდგა და ყურადღებით მაკვირდებოდა. ქოხში შემონახული შეშით ქვის ღუმელი გავახურე. საკვამური გავაღე და ჩემი ქვაბით ჩუმ–ჩოკთან ერთად ნაკადულისკენ გავწიე. დაბრუნებისას ზედადგარი მოვაწყვე, ქოხში შეშისთვის შევედი და კოცონი იქ დავანთე, სადაც ოდესღაც პეტრო ანთებდა ხოლმე. კოცონის ალის შუქზე პეტროს თოფი შევნიშნე, მცირეკალიბრიანი. შაშხანა კარგად შენახულიყო და ჟანგი არ მოსდებოდა. იქვე ეკიდა საპირისწამლე, საფისტონე და ტყვიებით სავსე ტყავის ტომარა.

ქოხში ციოდა. ბოლი საკვამურიდან და კარიდანაც გარეთ გამოდიოდა. ღუმელს შეშა შევუკვეთე და გარეთ კოცონთან გამოვედი. ქვაბში წყალი ადუღდა. ორცხობილასთვის ქოხში შევედი და პეტროს მიერ ჩერნიასთვის ამოთლილ გობში ორცხობილას ადუღებული წყალი დავასხი, ქონის ნაჭერიც დავმატე. ჩუმჩოკს ვახშამი მოვუმზადე. დავპირდი, რომ მერე ციყვის ხორცის შეჭამანდს მოვუხარშავდი. ისევ წყლისთვის გავედი, ახლა უკვე ჩემი ჩაისთვის. ზედადგარზე ქვაბი დავკიდე და ციყვების დამუშავება დავიწყე. ციყვები გზაში მოვინადირე. როცა წყალი ადუღდა, იქვე კოცონთან მოკრეფილი წითელი მოცვის ყლორტებისგან ტაიგური ჩაი მოვამზადე. ჩუმ–ჩოკი იქვე იწვა, ამასობაში გობში ორცხობილის ფაფა გაცვიდა. ორივემ

ვივახშმეთ, მერე კოცონთან ვისხედით და ღუმელის გახურებას ველოდით. ამდენი დამქანცველი სიარულის მერე ძილი მომერია. გამახსენდა, რომ სოჭის ტოტები არ მომემარაგებინა. ცული ავიღე და ნაკადულისპირა ტაიგაში შევედი. ერთი იღლია სოჭის რბილი, სურნელოვანი ყლორტები მოვიტანე ჩემთვის საგებად, ჩუმ–ჩოკისთვისაც. ამასობაში ქვის ღუმელი[18] გახურდა. შეშა დანაკვერჩხლდა. ახლა კი ლოგინი უნდა გამეწყო. ქოხში თბილოდა. ძელსკამის ქვეშ შეშა ბლომად ეწყო, ამიტომ შეშის მომარაგება მეორე დღისთვის გადავდე. პეტროს სადღაც ხერხი ექნებოდა. იქნებ საკუჭნაოსთან ჩამოჭკიდა? იქ ჯერ არ ვყოფილიყავი. ძველი საგები ავალაგე და მივხვეტე. სოჭის ახალი ყლორტები ჩუმ–ჩოკს დავუფინე. ჩემთვისაც. ფეხზე გავიხადე და გავიფიქრე: იქნებ პეტრომაც მაშინ გაიხადა ცხენ–ირმის ტყავისგან შეკერილი ჩექმები? იმ ღამით ტაიგაში დაიღუპებოდა. გაზაფხულამდე იცოცხლა, იქნებ კი არ გაცივდა, ფილტვები გაეყინა. ნამდვილად ბრგე ვაჟკაცი იყო პეტრო.

თავქვეშ ქურთუკი ამოვიდე და დავწექი. მცხელოდა. საკვამური არ დავკეტე და კარიც შევაღე. ვიწექი და არ მეძინებოდა. როცა ძილი მომერია, ნაკვერჩხლები ჟოლოსფრად ღვიოდნენ, მათი შუქი ქოხის კედლებს ეფინებოდა. სულ პეტროზე ვფიქრობდი. სიტყვა–სიტყვით მახსოვდა პაპა ვლასის ნაამბობი, თუ არ მოუყვა იმ ღამით პეტრომ: “მამილო, როგორც გვასწავლე, ისე ვნადირობდი. ღამეს ტაიგაში კოცონთან ვათევდი, ქოხში იშვიათად ვბრუნდებოდი, მაშინ, როცა ორცხობილა და მარილი მითავდებოდა. მივირბენდი, საკუჭნაოდან ავიღებდი რაც მჭირდებოდა, ტყავებს დავტოვებდი, ამასობაში კი ჩაი დუღდებოდა, შეშასაც ქოხში ვინახავდი. ბოლოს, როცა კოცონთან ღამე უკანასკნელად გავათენე, გავიფიქრე, ძლიერი ყინვაა და დროა, რომ ქოხში დავიძინო და ახალმოსახლეობა აღვნიშნო მეთქი. ქოხიდან შორს ვიყავი, თან ნანადირევი მომქონდა და როგორ ვივლიდი, კარგად იცი. ქოხს მზის ჩასვლისას მივაღწიე. ხეები უკვე ჭახჭახებდნენ. ჩემთვის გავიფიქრე, სწორედ რომ დროზე დავბრუნდითქო. ყინვა ძლიერდებოდა. როგორც წესია ქვის ღუმელი გავახურე. სანამ ღუმელი გახურდა, ჩემთვის და ჩერნიასთვის სოჭის ყლორტები დავაფინე. კოცონზე ჩაი ადუღდა. იმ დღეს ძალიან დავიღალე და როგორც კი ქოხში შევედი, სითბომ მომთენთა, ციყვებიც არ დამიმუშავებია. ჩაი დავლიე. ძილი მომერია. ჩერნიას ორცხობილა ვაჭამე, მივწექი და უმალ ჩამეძინა. სიცივემ გამომაღვიძა. ვხედავ, კარები ღიაა, ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ჩერნია ქოხში არ იყო. კარი მივხურე. ცოტა დავიცადე. ძაღლი ქოხში

[18] ქვის ღუმელი – ანუ აბანოს ღუმელი.

შემოსვლას არ მთხოვდა. ქოხში ძილს ჩვეული არც იყო. გარეთ კი ყინვა ჭახჭახებდა. ჩთერნია შემეცოდა, კარი გავაღე და მოვუხმე. ძაღლი კართან შეჩერდა და ქოხში არ შემოდიოდა. გული მომივიდა. რახან ასე გინდა, გარეთ ყინვაში იყავი მეთქი. შეგცივდება და შემეხვეწები. ისევ მივწექი, თავი რაღაც უქეიფოდ ვიგრძენი. თავი დამძიმებული მქონდა. თვალები ამიჭრელდა, ძლივს ვხედავდი. ჩაი დავლიე, თითქოს შვება ვიგრძენი და ისევ ჩამთვლიმა. ძილში ჩერნიას ყმუილი მომესმა. საშინლად ყმუოდა. ასე არასდროს ყოფილა. მინდოდა ავმდგარიყავი, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ძაღლის ყმუილის შემეშინდა კიდეც. მამილო, ხომ იცი, რომ ლაჩარი არა ვარ. გამოვფხიზლდი, თვალები გავახილე და ძაღლს შევეხმიანე. ისევ იძილი მომერია. მესმის, რომ კართან ვიღაცაა, თითქოს კარის სახელურს ეძებდა. ჩერნია ისევ აყმუილდა, ნაკადულთან კი არა, უკვე ქოხთან. ყურები მიშუოდა. ვწევარ, კარისკენ ვიყურები და მესმის: "შეიძლება შემოვიდე?" ყრუდ მომესმა. რას კითხულობ. არ იცი, რომ ტაიგაში ამას არ კითხულობენ? ის კი ისევ: "შეიძლება შემოვიდე?" ძლივს წამოვჯექი. თავბრუ დამესხა. ვერ ვაზროვნებდი. მახსოვს, რომ ხმამაღლა დავუძახე: "ტყიური ხომ არ ხარ? რას მეკითხები? შემოდი, კართან გაიყინები". კარი ნელ–ნელა გაიღო და ქოხში შემოფორთხდა მუხლებზე დაჩოქილი ადამიანი თუ ადამიანის მსგავსი. დიდი სახე ჰქონდა, წითელი, საშინელი, თვალები ნაკვერჩხალივით უღვიოდა. პირდაპირ მიყურებდა. აბურძგნული იყო. ხელის ცეცებით ღუმელისკენ მიდიოდა. ღუმელი გავარვარებული იყო. "შეიძლება გავთბე?" უცებ შიშმა შემიპყრო. "გათბი, რას მეკითხები?" ის კი ღუმელში ხელებს ჰყოფს. ერთმანეთს მივშტერებოდით. სახით ჩემკენ გამოიწია. თვალები უელავდა. მერე გადაიხარხარა. თმები ყალყზე დამიდგა. თავგზა ამებნა და უცებ თაროდან წამოვხტი. ფეხზე ძლივს ვიდექი, ის კი მიახლოვდება და თან დიდდება, თითქმის მთელი ქოხი დაიკავა. სწორედ ამ დროს თავგზააბნეული ქოხიდან გამოვვარდი. უკან მოუხედავად მოვრბოდი, ის კი ხარხარით უკან მომდევდა. სულმოუთქმელად მოვრბოდი, ყინვა მსუსხავდა. სადაცაა დამეწეოდა. ალბათ თვალში არ მოუვედი. მის ტაიგაში რომ დავსახლდი. პირველად ძმას ნადირი მიუსია. ახლა კი მე მომდევს. სულმოუთქმელად მოვრბოდი. ვიხრჩობოდი, ის კი სადაცაა დამეწეოდა. ქედი გადმოვირბინე და ჩამოვიტოვე. ოფლისგან სულ დასველებული ვიყავი, ხელებს ვეღარ ვგრძნობდი, სახეც გამიშეშდა, სირბილიც აღარ შემეძლო, სიარულში კი გავიყინებოდი. ძილი მომერია, მინდოდა დავწოლილიყავი. ვფიქრობდი, რომ ჩემი აღსასრულის დრო დადგა. ჩემს თავზე აღარ ვფიქრობდი, შვილები მედარდებოდნენ... მათ გამო არ წავიქეცი, იქნებ დამწეოდა, არ ვიცი, მაგრამ ძალ–ღონე კი მომემატა. ისევ გამოვიქეცი. უცებ მდინარე შევნიშნე. სწორედ ამ

დროს ძალა გამომელია, დავიქანცე და თაოვლში ჩავჯექი. მოჭრილ ხეს მივეყრდენი. რაც იქნება, იქნება. მახსოვს, რომ ვთქვი: "შვილებო, შეუნდეთ მამათქვენს". ძილი კვლავ მომერია. ვიცოდი, რომ აღსარსული დადგა. უცებ ვიგრძენი, რომ ვიღაც სახეში მეტაკა. თვალები გავახილე... ჩერნიაა. წკმუტუნებდა, თითქოს ტიროდა. სახეზე დრუნჩს მადებდა. გამოვფხიზლდი, როგორღაც წამოვდექი, მდინარე ძლივს გადავლახე. გორაკზე როგორ ავედი, არ მახსოვს. შენს ქოხში მამილო... თუ ცოცხალი დავრჩი, ჩემი ფეხი აღარ დაიდგმება იმ დაწყევლილ ქედზე და აღარც იმ ქოხში დავბრუნდები. ბიჭებსაც ამას ვეტყვი, რომ იქ არ წავიდნენ".

აი, პეტროს ნათქვამი, რაც პაპა ვლასიმ მომიყვა.

"ტაიგის სული", "დაწყევლილი ქოხი", ფუ! თვალდახუჭული ვიწექი და ვფიქრობდი: მაინც რა შეემთხვა პეტროს? მერე აზრები ამერია და მომეჩვენა, რომ სადღაც ვიკარგებოდი. მინდოდა წამოვმხტარიყავი, მაგრამ დამძიმებული ვიყავი და ვერ შევძელი. ვერც თვალებს ვახელდი. თავში სისხლი მიშხუოდა და ამ დროს ჩუმ–ჩოკის ყმუილი მომესმა. კარმა გაიჭრიალა. ვიღაც შემოვიდა თუ გავიდა ქოხიდან. თავს ძალა დავატანე და წამოვდექი. ხელის ცეცებით კარს მივაღწიე. კარი გაღებული იყო, ჩუმ–ჩოკი გაეტეოდა. ზღურბლს გადავაბიჯე და რომ არ წავქცეულიყავი, ბოძს მივეყრდენი. ჩემი ერთგული ძაღლი გვერდიდან არ მცილდებოდა.

"ჩემო ერთგულო მეგობარო, ახლა ყველაფერი გასაგებია. კარგია, რომ მოვასწარით და ქოხიდან გამოვედით. ალბათ ვერ გადავრჩებოდით, ქვის ღუმელმა გაგვაბრუა. შენ ნაკლებად, მე კი საკმარისად ვყლაპე. სჩანს, ღუმელში ბევრი ხამი ქვებია.

გარეთ ყინვაში თავი უკეთესად ვიგრძენი, თუმცა თავი ისევ მიბრუოდა და მტკიოდა. ჩანავლებულ კოცონს მივუახლოვდი. აქ, ქოხიდან გამოტანილ შეშასთან ცული დავტოვე. ასანათი ჯიბეში მედო. კოცონი დავანთე და ქოხში შეშის გამოსატანად შევედი. ტანსაცმელი, ქვაბი და სურსათიც გამოვიტანე.

"ჩუმ–ჩოკ, კოცონთან გავათენოთ, ქოხში ნუღარ შევალთ. სულს მოვითქვამ, მოვღონიერდები და შეშისთვის წავალთ. აქვე, ფიჭვნარში კარგი ხმელი ხე ვნახოთ. ეს შეშა დიდხანს არ გვეყოფა..."

კოცონი მალე აბრიალდა და ირგვლივ გაანათა, სოჭის ყლორტები მოვიტანე და ჩუმ–ჩოკს და ჩემთვისაც დავაფინე. მიწა ცეცხლისგან ჯერ არ გამლხვალიყო. ძალიან მომინდა ცხელი ჩაი. წყალი მოვიტანე, ზედადგარზე ქვაბი შემოვდგი. საათს დავხედე. ისრები 12–ს

უახლოვდებოდნენ. ჩუმ–ჩოკ! ხედავ, ახალ წელს ვხვდებით, თუმცა შეიძლებოდა ვერც მოვსწრებოდით. იღბლიანები ვართ!

ჩუმ–ჩოკთან ერთად ნაკადულისკენ გავწიე. ტოლჩა კრისტალურად ანკარა წყლით ავავსე და ზუსტად 12 საათზე დავლიე მათთვის, ვინც ამ დროს გზაში იყო!

დილით კი ქვის ღუმელი დავშალე და გადავყარე ხამი ქვები, სპილენძის ალმადანი.

## ცისფერი ძარღვები

ტკაცუნი შეიძლება არც გამეგო, ოდნავ მომესმა, მაგრამ როცა ორმოც მეტრზე მაღლა ჰკიდიხარ და შენს ქვემოთ ათასწლეულების მიერ გაშლიფული მუქი მურა ქანი ბზინვარებს, შენდა უნებურად მიაყურადებ, როგორც ტკაცუნობს ძაფი, რომელიც სიცოცხლესთან გაკავშირებს. ძლივს გასაგონ ბგერებსაც კი გაიგებ.

“ძაფი” კი თოკი იყო, რაც, ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით სიცოცხლესთან მაკავშირებდა. თუ გაწყდებოდა (სავარაუდოდ შეიძლება გაწყვეტილიყო), დავიმტვრეოდი. უკეთეს შემთხვევაში არ მოვკვდებოდი, მაგრამ ძვლები აუცილებლად დამემტვრეოდა. სიკვდილზე უკეთესი რითი იყო?! სიცოცხლე რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ ძლიერი, ჯანმრთელი ახალგაზრდა არ მინდოდა დავხეიბრებულიყავი. მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლე მიყვარდა, გავიფიქრე: “თუ უნდა მოვკვდე, სჯობს უცბად მოვკვდე, თუ უნდა დავიჭრა, მსუბუქად”. მახსოვს, გამეღიმა კიდეც: ხედავ? გავლექსე კიდეც”.

დრო აუტანლად ნელა მიიზლაზნებოდა. ვერც კი ვტოკდებოდი. ოდნავი მოძრაობისას სადღაც ზემოთ თოკის ტკაცუნი ისმოდა.

გამიგია, რომ ადამიანს სიცოცხლის უკანასკნელ წამებში მთელი თავისი ცხოვრება ახსენდება. ჩემს შემთხვევაში კი უკანასკნელი წამი ისე გაიწელა, რომ თავს გადახდენილი უამრავი რამ გამახსენდა. იმისი დროც დამრჩა, რომ ამქვეყნიურ მომავალზეც მეოცნება, თუ სიკვდილს გადავურჩებოდი.

თოკის მარყუჟში ჯდომა უსიამოვნო და მტკივნეულია. ნიმუშებით სავსე ტომარა ლეონიდ ალექსეევიჩის[19] დაჟინებული მოთხოვნით გადავაგდე.

ტომარა ჩემს ქვემოთ ეგდო, შავ ფონზე მომცრო, ლეგა გუნდად მოჩანდა. კარგად ვხედავდი და როგორც სულიერს ისე ველაპარაკებოდი: "წევხარ? იწექი. მაინც მე უნდა მელოდო".

სინჯის რამდენიმე ნატეხი ჯიბეში მედო. ჩემი ყურადღება იმდენად მიიქცია, რომ ვერ შეველიე, თანაც არც ისე მძიმე იყო.

ზემოთ ისევ გაიტკაცუნა. არ გავტოკებულვარ. უარესი იქნებოდა. ჩემგან ასე ორი მეტრით ზემოთ კლდოვანი ქარაფი გადმოშვერილიყო. თოკი სიმივით დაიჭიმა, კარგად ჩანდა გაწყვეტილი წვერი. სჩანს ქარაფის შვერილზე გაიხეხა.

კლდეს ვერ ვწვდებოდი. ნელა ვტრიალებდი კლდეზე ჩანდა ბზარები, შვერილები, შეიძლებოდა ფეხი დამედგა და ფეხი მომეკიდა.

მომეჩვენა, რომ დიდმა დრომ გაიარა, რაც ლეონიდ ალექსეევიჩი ფაქტორიაში წავიდა, წავიდა კი არა, გაიქცა ახალი თოკის მოსატანად.

– კოტოკ, ცოტა ხანს ასე ეკიდე, უცბად გავიქცევი ფაქტორიაში!

და მეც ვკიდივარ. ეს ამბავი კი აი საიდან დაიწყო.

– არ დავათვალიეროთ ეს ცისფერი ძარღვები?

– რა თქმა უნდა ლეონიდ ალექსეევიჩ, უნდა დავათვალიეროთ, მაგრამ იქამდე როგორ მივაღწიოთ?

იცი, რა მოვიფიქრე? თოკით ჩაგიშვებ. დაათვალიერე და ნიმუშები აიღე, მერე ამოგათრევ. თანახმა ხარ? ერთმანეთს შევეხმიანოთ ხოლმე. – გამიღიმა ლეონიდ ალექსეევიჩმა.

– სათქმელადაც არ ღირს! თანახმა ვარ!

რცოა ლეონიდ ალექსეევიჩთან ერთად მეტეორიტის ბანაკში ვიყავი, არაერთხელ გამიგია მისგან ცისფერ ძარღვებიანი ამ კლდის შესახებ და მოუთმენლად ველოდი იმ დროს, როცა მისი დათვალიერებისთვის მოვიცლიდით.

---

[19] ლეონიდ ალექსეევიჩი – ლეონიდ ალექსეევიჩ კულიკი, მეცნიერი, ტუნგუსკის მეტეორიტქის საძიებო ექსპედიციის ხელმძღვანელი. (1883–1942 წწ.) დიდი სამამულო ომის მონაწილე, ტყვედ ჩავარდა სმოლენსკის ოლქში, გარდაიცვალა მუცლის ტიფით, დაკრძალულია ქალაქ სპას–დემენსკში.

და აი, ჩვენს თავზე ორმოცდაათმეტრიანი კედელივით არის აღმართული. თითქმის შვეული, მუქი, დაბზარული, შვერილებიანი და მოცისფრო–მომწვანო ძაფებივით დაძარღვული. ჩვენს ქვემოთ მუქი ლეგა ამოფრქვეული ქანია, თითქოს კლდისქვეშეთიდან ამოიღვარა, გაქვავდა, წამიერად შეყოვნდა, აქა–იქ მდინარემდე მიაღწია და მის სიღრმეში გაუჩინარდა.

მაგმურ ნაღვენთებს შორის ფერად ქვიშნარში მივდიოდით. ეს არ იყო მდინარის ჩვეულებრივი რიყე. ასეთი მხოლოდ ჩრდილოეთის ზოგიერთი აქაური მდინარის ნაპირას გვხვდება.

წყლის მოტანილი მრავალფეროვანი იასპები, ქალცედონები, ქვანახშირის ნატეხები და სხვა მინერალები გულუხვად იყო მიმობნეული პოდკამენნაია ტუნგუსკის ნაპირებზე.

ტაიგის ამ პატარა მდინარეების ნაპირებზე, ამ ბუნებრივ მუზეუმში მინერალოგიის კურსი გავიარე, ყურადღებით ვუსმენდი ლეონიდ ლექსეევიჩს, რომელიც გულდასმით ათვალიერებდა ხოლმე ჩემს მიერ მოტანილი ქვების გროვას.

ფაქტორიის ხელმძღვანელი მიხაილ ცვეტკოვი ბრგე,ჯმუხი, დიდი, შავი წვერი ჰქონდა, მუქ თაფლისფერ თვალებს მოწკურავდა და ლეონიდ ალექსეევიჩს ყურადღებით უსმენდა. ცნობისმოყვარე არ იყო, ჩანს, ევენკების ადათს მიეჩვია, რომ ცნობისმოყვარეობა მამაკაცს არ შეეფერება". მას არც კი უკითხავს, თუ ლეონიდ ალექსეევიჩს თოკი და ტომარა რაში სჭირდებოდა და ჩვენც სწრაფად გავეშურეთ არა ნაპირის გასწვრივ, არამედ იმ ქარაფის მოსაზღვრე ტაიგისკენ.

– აი, აქ დაეშვები. – მითხრა ლეონიდ ალექსეევიჩმა, როცა მის მონიშნულ ადგილას შევჩერდით და თოკზე მარყუჟი გააკეთა. ტომარა დავიმაგრე, გეოლოგიური ჩაქუჩი კი ქამარში გავირჭე.

– ხომ გახსოვს როგორი ნიმუშები უნდა აიღო. – მკითხა ლეონიდ ალექსეევიჩმა და კლდის კიდესთან ახლოს მდგარ ფიჭვს თოკი შემოახვია.

– ძარღვიდან და ცისფერი ქანის კეროვანი ჩანართიდან – მივუგე.

კლდის კიდეზე ვიჯექი და თოკის მარყუჟზე "გადავჯექი".

– მზად ვარ.

– მაგრად მოიჭირე, არ გაგძვრეს.

დავეშვი, აქა–იქ კლდის შვერილებს ვებჯინებოდი.

ყველაფერი კარგად მიდიოდა. როცა საყურადღებო ადგილს მივაღწევდი, ლეონიდ ალექსეევიჩს ვეხმიანებოდი და ისიც ჩემს დაშვებას აჩერებდა. სინჯს ავიღებდი, დავუძახებდი და ჩემს მორიგ შეძახილამდე ქვემოთ მიშვებდა. აი, დიდი კლდოვანი შვერილი. მის ქვემოთ იწყებოდა ცისფერი ძარღვები. კეროვანი ჩანართიდან სინჯები საკმაოდ მქონდა აღებული.

შვერილიდან ასე ხუთი მეტრით ქვემოთ უნდა მომეძებნა ის ძარღვები, რომლებიც კლდის ძირიდან დავინახეთ. შვერილს ქვემოთ, იქვე ორი დიდი ძარღვი შევნიშნე, მაგრამ მიახლოება შეუძლებელი იყო. უფრო ქვემოთ ჩემი ყურადღება იმ ნაპრალმა მიიქცია, რომლის სიღრმეშიც ძარღვი მოჩანდა. მოვახერხე და სინჯი ავიღე. რამდენჯერმე ლეონიდ ალექსეევიჩის შეშფოთებული ხმა მომესმა (მას ვერ ვხედავდი, შვერილი მეფარებოდა), შეყოვნების მიზეზი მკითხა.

– ყველაფერი რიგზეა! კარგი სინჯი ავიღე!

კვლავ შევეხმიანე და ქვემოთ დავეშვი. ლეონიდ ალექსეევიჩმა დამიძახა, რომ თოკი დამთავრდა და სინჯების აღება შემეწყვიტა.

ნელა, ძალიან ნელა ავდიოდი მაღლა. კლდის შვერილებს ვეჭიდებოდი და ლეონიდ ალექსეევიჩს ვეშველებოდი, მაგრამ როცა კლდე განზე დარჩა და შვერილს ქვემოთ დავეკიდე, ტკაცუნი მომესმა. თავი ავწიე და დავინახე, რომ თოკის სამი წვერიდან ორი გაწყვეტილიყო. ეს ხმა ლეონიდ ალექსეევიჩმაც გაიგო და ჩემი ზემოთ აყვანა შეაჩერა.

– რა მოხდა? – მომესმა ზემოდან.

– თოკის ერთი წვერი გაწყდა.

– მომეხმარები? კლდეს ჩაეჭიდები?

– შვერილის ქვეშ ვკიდივარ, კლდემდე ორი მეტრია.

– თოკს უყურე! იქნებ შვერილამდე ამოგწიო.

მსუბუქი ბიძგი ვიგრძენი. ოდნავ ამწია და სწორედ ამ დროს ტკაცუნი მომესმა, ოღონდ უფრო სუსტი.

– ისევ გაწყდა?

– ჰო.

სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი:

– მარტომ აგწიო, სახიფათოა. კოტოკ, ცოტა ხანს ასე ეკიდე. ფაქტორიაში გავიქცევი. სინჯების ტომარა ჩააგდე!

– სინჯები დაიმტვრევა და ერთმანეთში აირევა.

– ახლავე ჩააგდე ტომარა! ტყიურსაც წაუღია!

ზემოთ რაღაცამ გაიშრიალა, მერე სიჩუმემ დაისადგურა. ვცდილობდი არ გავტოკებულიყავი. ტომარა მოვიხსენი და ჩავაგდე. დაცემის ხმა მომესმა.

უსაქმობით მოვიწყინე. გავყურებდი მდინარეს, შორეულ ცისფერ მთებს. ხანდახან თოკსაც შევხედავდი ხოლმე, მუქ მაგმაზე დაცემულ ტომარასაც. თითქოს დრო გაჩერდა...

და აი, ზემოდან ლეონიდ ალექსეევიჩის ხმა მომესმა:

– როგორ ხარ?

– ყველაფერი რიგზეა, თოკზე ვკიდივარ.

– თოკს ვუშვებ! როცა შენამდე მიაღწევს, დამიძახე და ფრთხილად გადადი.

და თითქმის იმავდროულად ჩემს თავზე მტკიცე, სქელი გვარლი დავინახე, ბოლოში მარყუჟი ჰქონდა გაკეთებული. წამი არ დამიკარგავს, მარყუჟში გავძვერი და დავუძახე:

– ამწიე!

– კარგად ხარ დამაგრებული?

– ყველაფერი რიგზეა. კარგად ვზივარ, ამწიე!

თავის უსაფრთხოდ რომ ვიგრძენი, უფრო ენაწყლიანი გავხდი.

– მაგრად იყავი. – მომესმა ზემოდან. შვერილს სწრაფად გადავუარე, ერთი ხელითა და ფეხებით ვეშველებოდი, მეორე ხელით კი თოკი მეჭირა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ლეონიდ ალექსეევიჩმა სწრაფად ამიყვანა და გახარებული გადამეხვია, მერე, ფაქტორიის შავწვეროსანი ხელმძღვანელი. როგორც შემდეგ გავიგეთ, როცა მას თოკი ვთხოვეთ, არც უკითხავს თუ რისთვის გვჭირდებოდა. საკმაოდ ნახმარი თოკი მოგვცა, ჩვენ კი სიჩქარეში ყურადღება არც მივაქციეთ.

ლეონიდ ალექსეევიჩი ძირკვზე ჩამოჯდა, სახე გაოფლიანებოდა და ხელები უკანკლებდა.

– კარგა ხანია, რაც ასე არ მირბენია. მალე დავბრუნდი ხომ?

– მალე, ძალიან მალე.

ნამდვილად ასე იყო.

ტომარა მოვიტანე. ლეონიდ ალექსეევიჩი დიდხანს, გულდასმით ათვალიერებდა სინჯებს, მაგრამ რასაც ელოდა, ვერ ნახა.

ეს იყო ჩვენი ერთობლივი უკანასკნელი საქმე ფაქტორია ვანავარაში. რამდენიმე დღის მერე ლეონიდ ალექსეევიჩის “დიდ მიწაზე”, ლენინგრადში დაბრუნდა.

ცოტამ თუ იცის, რომ ციმბირული ალმასების ძიება ამ შემთხვევიდან დაიწყო და ერთ–ერთი პირველი, ვინც ივარაუდა, რომ ციმბირში ალმასები იქნებოდა, ლეონიდ ალექსეევიჩ კულიკი იყო.

## ლიუჩეტკანი[20]

მთელი საღამო წერილებს ვწერდით. შემთხვევით უნდა გვესარგებლა და "დიდ მიწაზე" გასაგზავნი წერილები ვანავარაში მიმავალი მოხუცი ევენკი ლიუჩეტკანისთვის უნდა გაგვეტანებინა. მალე გაზაფხულდებოდა, ტაიგის მდინარეები აბობოქრდებოდნენ, წყალი კონცხებს გადაუვლიდა. დაბლობებს დატბორავდა, გაზაფხული ვის სად მოუსწრებდა, იქ უნდა დაეცადა და როცა აბობოქრებული მდინარეები დამშვიდდებოდნენ, ტაიგის გზა გაიხსნებოდა.

უკვე კარგად დაბინდებულიყო, როცა წერილები გულმოდგინედ შევფუთე და ექსპედიციის ღონიერი ცხენი კარკო შევკაზმე. კულიკმა მშვიდობიანი გზა მისურვა და მზრუნველობით დამარიგა. კულიკი იყო ფრთხილი, განსაკუთრებით ფრთხილი ჩურგიმის ნაკადულებზე, ჩანჩქერთან გადასვლისას. ცხენზე ავმხედრდი და კარკომაც პირველ დაბლობზე გამიყვანა. მალე ფენილზე გადავედით, ნალებს ფრთხილად ადგამდა, მერე კი ტაიგაში ხეობის ახლოს განაკაფ ბილიკზე გავედით. აქ, შავ კლდეებს შორის მომწყვდეული ნაკადულები ჩანჩქერად გადადიოდა. კარკო ნაბიჯზე გადავიდა. ხეობის ირგვლივ ციცაბო ფერდობით უნდა შემომევლო.

კარკო ფრუტუნებდა, ყურები აეცქვიტა, ვეებერთელა მინაყინს მიუყვებოდა, ფეხს ფრთხილად ადგამდა, ლოდებს შორის მქუხარე ნაკადულები გადაიარა და ჩორთზე გადავიდა. სულ მალე ნავმისადგომ ხუშმოში ქოხთან მივედით. უნაგირი მოვხსენი.

[20] ლიუჩეტკანი – ანუ გარუსებული. ადგილობრივი ევენკი ილია პოტაპოვიჩ პეტროვი – რომელმაც მეტეორიტის დაცემის ადგილას უმეგზურა კულიკს.

ქოხის პირდაპირ მდელოზე პატარა კოცონი ენთო. ლიუჩეტკანი ფეხმორთხმული იჯდა ირმის ტყავზე და მოუშორებელ ჩიბუხს ეწეოდა.

მისი მნახველი ვერ დაადგენდა რამდენი წლის იყო. არც თვითონ იცოდა. დამჭკნარი სახე ნაოჭებს დაეღარათ. ვიწრო თვალები უციმციმებდა. ნიკაპზე წვერი ოდნავ ემჩნეოდა, ცოტა მეტი ზედა ტუჩზე, რაც ულვაშებს არც ჰგავდა.

როცა ასაკს შეეკითხებოდნენ, გაიღიმებდა. ამ დროს სახე უფრო უნაოჭდებოდა.

– ბევრი. – იტყოდა ხოლმე.

– რამდენი?

– არ ვიცი.

– იქნებ ოთხმოცის?

– ალბათ ოთხმოცის. – თავს დააქნევდა.

– იქნებ ოთხმოცდაათის? – ჩაეძიებოდნენ.

– ნამდვილად ოთხმოცდაათის. – კვლავ ეთანხმებოდა ლიუჩეტკანი.

– იქნებ ასის?

– ნიმადი? – აქეთ შეეკითხებოდა. – იქნებ ნიმადი.

როცა ასზე მეტს ეტყოდნენ, მოხუცი ევენკი არ ეთანხმებოდა.

– ასის, მეტი არა.

ამით მთავრდებოდა საუბარი ლიუჩეტკანის ასაკის შესახებ.

როცა ქვაბში წყალი ადუღდა ფილა ჩაის მოზრდილი ნაჭერი ჩავაგდე, ვიცოდი, რომ ევენკებს მაგარი ჩაი უყვარდათ. ქოხში, მაგიდაზე ორცხობილები და შაქარი დავალაგე, შესქელებული რძის ქილაც დავდგი.

– ილია პოტაპოვიჩ, ქოხში შემოდით, ჩაი დავლიოთ.

– აქ სჯობს, უფრო გაგემრიელდება. – მომიგო ლიუჩეტკანმა. ის რუსულ და ევენკურსიტყვებს ერთმანეთში ურევდა. მეც ხალისით გავიტანე მოსაკითხი, რადგან კოცონთან ჯდომა მიყვარდა.

ღრუბლები ჩრდილოეთისკენ მიჰქროდნენ და ისე ჩანდა, რომ თუ ცოტა ქვემოთ დაეშვებოდნენ მდინარის ნაპირას მდგარ ლარიქსებისა და ნაძვების კენწეროებს წამოედებოდნენ.

– ასეთ ღრუბლებს ქარი მოერეკება, ქარი კი სითბოსაც მოიტანს. უნდა ვიჩქაროთ. გზა ჩაიკეტება. – თქვა დაფიქრებულმა ლიუჩეტკანმა და ფინჯანში სურნელოვანი ჩაი დაისხა.

– დიახ, გაზაფხული კარს მოგვადგა. – მივუგე და საუბარი გავაბით.

ილია პოტაპოვიჩი ხშირად ურევდა რუსულ და ევენკურ სიტყვებს და ამის გამო ძნელი გასაგები იყო, თუ რას ამბობდა. ამის შესახებ ვკითხე.

– შეგნებულად ვიქცევი. – გაიცინა, – აქ როგორ უნდა იცხოვრო, რომ ჩვენი ენა არ გესმოდეს. რასაც ვერ გაიგებ, მკითხე. სწრაფად ისწავლი.

ენის სწავლის ეს მეთოდი მომეწონა. ამ პირველ გაკვეთილზე ბევრი სიტყვა ვისწავლე და გულმოდგინედ ჩავიწერე ბლოკნოტში.

რაზე აღარ ლაპარაკობდა ლიუჩეტკანი. სულ ერთსა და იმავე თემას, მეტეორიტის ძიებას ვუბრუნდებოდით. მეც ფრიად მოხარული ვიყავი, რადგან მოხუც ევენკს ბევრი საყურადღებო რამ უნდა სცოდნოდა ტუნგუსკის საოცრების დაცემის შესახებ.

– როგორი დიდი საზრუნავი აქვს გრძელ ლიუჩას (რუსს). – ასე ეძახდა კულიკს. – ციდან ცეცხლი ღმერთმა ოგდიმ გამოგვიგზავნა. ტაიგა გაანადგურა. ცუდად მოიქცა. ტაიგა მდიდარი იყო. ლიუჩას რა ესაქმება? – ევენკი გაჩუმდა.

მინდოდა მეთქვა მეტეორიტს რატომ ვეძებდით, მაგრამ ლიუჩეტკანმა თხრობა გააგრძელა.

– იმ წელს, ამ ქოხიდან ცოტა მოშორებით ჩვენი ჩუმი იდგა. ცეცხლი კინაღამ არ მოგვწვდა. სამი დღით ადრე იქიდან ავიყარეთ და წამოვედით. ამან გადაგვარჩინა. წამოვედით თუ არა ცეცხლმა ყველაფერი გაანადგურა.

ვიჯექი და ვუსმენდი, თუ როგორ აიყარნენ აქედან, როგორ დაეხოცათ აკულინასა და ივანეს ბევრი ირემი, ჩუმი ჩიტივით რომ გაფრინდა ქარისგან, ქარი როგორ მიაქროლებდა, ივანე შიშისგან რომ დამუნჯდა, მასთან მყოფ ვასილის კი ძლიერ შეეშინდა. ყველაფერი ნახა და მოისმინა.

იმ ღამით კოცონთან ლიუჩეტკანისგან ბევრი რამ გავიგე. მითხრა, რომ ტუნგუსკის საოცრებასთან მრავალი წელი აკავშირებდა და გული იმ ადგილებისკენ მიუწევდა.

უნდა დაგვეძინა, ლიუჩეტკანსაც უნდა დაესვენა, წინ დამქანცველი გზა ედო.

კარკოს წყალი დავალევინე. ქოხთან დავაბი, ძლიერი ქარისგან რომ დამეცვა.

– ილია პოტაპოვიჩ, წავიდეთ. დავიძინოთ.

ევენკს გაეცინა. ჩემი ნათქვამი გაიგო.

– ქოხში დახუთულობაა. – ირმის ტყავი დაფერთხა, დაიფინა და კოცონისკენ ზურგით დაწვა, მკერდზე და თავზე ძველი პარკა[21] გადაიფარა.

– ღამე მშვიდობისა ილია პოტაპოვიჩ!

– შენც მშვიდად იძინე.

ღუმელი გავახურე, თავქვეშ უნაგირი დავიდე და თაროზე მოხერხებულად მივწექი...

ქარმა გამაღვიძა. "მოხუცი ევენკი როგორღა იქნება?" – გამიელვა თავში.

ლიუჩეტკანს ეძინა. კოცონი ჩანავლებულიყო. ფრთხილად, რომ არ გამეღვიძებინა, გადმოვარდნილი პარკა გადავაფარე. კარკოსთანმივედი.

ცხენი მშვიდად ახრამუნებდა თივას და რა მიცნო, წყნარად დაიჭიხვინა.

ქარი ძლიერდებოდა, გუგუნებდა, მაგრამ ეს არ იყო ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი, სითბო და ტენი მოჰქონდა.

"გზა ჩაიკეტება" – გამახსენდა ევენკის ნათქვამი. დიახ, ამ ქარით გაზაფხული მოფრინდა. ეს წელი ჩვენთვის უჩვეულო იყო. ამ ქარს პირველად ლენინგრადში შევხვდით. როცა ექსპედიციისთვის ვემზადებოდით და თბილი წვიმით სადგურში გაგვაცილა, ტაიშეტში დაგვეწია, მაგრამ გავასწარით და აი, დღეს მესამეჯერ ვხვდები, უკვე დიდი საიდუმლოს ქვეყანაში. ქარისკენ შევტრიალდი და მისი თბილი, ნაცნობი სუნთქვა ვიგრძენი.

– სალამი გაზაფხულო! კიდევ ერთხელ სალამი! – წარმოვთქვი ხმამაღლა. ქარიც პასუხის ნიშნად ალერსით მიწეწავდა თმას.

ლიუჩეტკანი დილაუთენია დაუდგა გზას. წერილების შეკვრა ტაიმენის[22] გამოყვანილი ტყავის ჩანთაში ჩადო და პონიაგაზე მიიმაგრა.

მოხუცს მაგრად ჩამოვართვი ხელი.

– შემოდგომამდე დაიცადე, მოვალ და ლოდის მოძებნაში მოგეხმარები. უნდა მოვეხმაროთ გრძელ ლიუჩას, რუს ახალგაზრდებს. რამდენს აიტანთ. – მითხრა გამოთხოვებისას ლიუჩეტკანმა.

მდინარის მოსახვევში უკანასკნელად დავინახე ევენკი. ის შეჩერდა, თოფი ასწია და დამშვიდობების ნიშნად ჩვენი თოფების ხმა ერთმანეთს შეერწყა.

---

[21] პარკა – გადასაფარებელი.

[22] ტაიმენი – თევზია.

## ჩურგიმის ლოდი

და აი, მარტო დავრჩი და როგორც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, მარტოობას არც კი ვგრძნობ. ალბათ იმიტომ, რომ მარტო არა ვარ. ჩემთან ჩუმჩოკია. სიმღერით ვდგები და შორეული ექოც თითქოს მიმიმღერებს. ჩუმ–ჩოკს ველაპარაკები და ისიც თავდახრილი მისმენს. მუქი თაფლისფერი თვალებით ყურადღებით მიცქერს. მეჩვენება, რომ მისი ღრენა და მრავალნაირი წკმუტუნი მესმის კიდეც.

იმდენი საქმე მქონდა დავალებული, რომ არ მოვიწყენდი. სინჯები უნდა გადამეტანა ნავმისადგომ ხუშმოში. ეს ქოხი თვალწარმტაცი ტაიგური მდინარის პირასაა, ექსპედიციის ბანაკიდან 7 კმ–ის დაშორებით. სამხრეთის ჭაობისკენ მიმავალი ბილიკი განაკაფივით უნდა გამეფართოებინა ასე, 1 კმ–ის მანძილზე. უნდა მომეწესრიგებინა ბანაკის ტერიტორია. მოთრეული მორები შტაბელებად უნდა დამეწყო მომავალი მშენებლობისათვის. რამდენიმე გველგესლა უნდა დამეჭირა და სპირტში ჩამედო. კიდევ ჰერბარიუმი, კიდევ და კიდევ...

როცა ამ დავალებებს ლეონიდ ალექსეევიჩის თანდასწრებით ვკითხულობდი, მეღიმებოდაყ

– რატომ იღიმები? – მკითხა კულიკმა.

– ამ ორ კვირაში ვერ მოვასწრებ!

– ვიცი, მაგრამ ორი კვირა ცოტა არაა, თუმცა მჯერა, რომ ბევრს მოასწრებ.

და მეც მოვასწარი. განსაკუთრებით მორების შტაბელებად დაწყობა გამიჭირდა. მერე თვითონვე გამიკვირდა როგორ შევძელი.

დრო გადიოდა. ყოველდღიურად ველოდებოდი თვითმფრინავს, რომელსაც ცნობილი პოლარელი მფრინავი ჩუხნოვსკი მართავდა. დავალებული მქონდა სტოიკოვიჩის მთაზე მოედანი გამესუფთავებინა, სასიგნალო ბოძი დამედგა და ყოველდღიურად შემემოწმებინა ქარს რომ არ წაექცია.

ასე გაიარა ორმა კვირამ. არც თვითმფრინავი მოფრენილა და არც კულიკი გამოჩენილა, თუმცა დამპირდა, რომ 12–15 დღეში დაბრუნდებოდა. დარჩენილი სურსათი, ძირითადად ფქვილი ილეოდა. ამიტომ დღიური ულუფა შევამცირე. ესეც უნდა გადამეხედა.

ლეონიდ ალექსეევიჩის დატოვებული რამდენიმე ვაზნა უკვე დავხარჯე. ერთადერთი ვაზნაღა შემოვინახე იმ შემთხვევისთვის თუ ნადირს მშვიდობიანად ვერ მოვიშორებდი.

დიდი ფიზიკური დატვირთვის გამო შიმშილმა თავისი კვალი დამამჩნია. დავალებების შესრულება მიძნელდებოდა. სურავანდი შემეპარა. დრო გამოყავი ნადირობისთვის. ვცდილობდი გზაში მენადირა, როცა ხუშმოდან ვბრუნდებოდი, სადაც ყოველდღიურად სინჯები გადამქონდა. ცოტა დენთი მქონდა დარჩენილი, მქონდა ფისტონები, საფანტი გამითავდა. საღამოობით თიხის "საფანტებს" ვაკეთებდი, ვაშრობდი და ვაზნებს ვტენიდი, ქაღალდში ვახვევდი, გასროლისას ლულა რომ არ დაზიანებულიყო. ასეთი საფანტით მიზანს ვერ ვაღწევდი. ჩუმ–ჩოკი დაჭრილ ნადირ–ფრინველს ეძებდა და მოჰქონდა.

იმ დღეს ხუშმოში არ წავსულვარ. ძალიან მშიოდა და მინდოდა მენადირა. სახატინის სოპკაზე ბილიკით ავედი. ჩუმ–ჩოკი გაუჩინარდა, ნადირს ეძებდა. უცებ ძირკვზე დიდი, მურა გველგვესლა შევნიშნე. მზეზე თბებოდა. ასეთი ჩვენს კოლექციაში არც გვქონდა. სპეციალური დასაჭერი ჯოხი თან მქონდა. გამიხარდა იქვე ჩუმ–ჩოკი რომ არ იყო, რადგან თვალის დახამხამებაში გველს გაუსწორდებოდა. გველგესლა სწრაფად დავიჭირე და ზურგჩანთაში ჩავდე.

ბილიკს კიდევ ცოტა ხანს მივუყვებოდი, მერე ნაკადულ ჩურგიმის მხარეს გადავუხვიე. გველგესლა მოუსვენრობდა, მერე დამშვიდდა და თავს ხანდახან შემახსენებდა ხოლმე. ნელა მივდიოდი იმ იმედით, რომ რაღაც ნადირს გადავაწყდებოდი. უცებ ჩემი ყურადღება უჩვეულო ქვის ლოდმა მიიპყრო. იმ მეტეორიტებს ჰგავდა, რომლებცი ლენინგრადიდან გამომგზავრების წინ მუზეუმში ვნახე.

ნამდვილად მეტეორიტია! – ვთქვი ჩემთვის. – ლეონიდ ალექსეევიჩისთვის სიურპრიზი იქნება. ლოდთან მივირბინე. ირგვლივ შემოვუარე. ლოდი სიგრძით ორი მეტრი იქნებოდა, მეტრზე მაღალი და მეტრზე განიერი. კომპასი დავდე. ისარი დატრიალდა, მერე კი ჩვეული მდებარეობა მიიღო და გაჩერდა. ლოდის ჩაღრმავებებშიც იგივე მოხდა. ვცადე, მონადირული დანით გამეკაწრა, მაგრამ ქვა ძალიან მაგარი აღმოჩნდა.

– არა, ეს მეტეორიტი არ არის. უჩვეულო, მაგრამ მაინც ქვაა.

გაწბილებული ცრუ მეტეორიტს დავშორდი, გამოვხედე. არა, ნამდვილად მეტეორიტია! კულიკი კი ამბობდა, რომ ტუნგუსკის მეტეორიტი აუცილებლად რკინის უნდა ყოფილიყო, რადგან პონს–ვინიეკეს კომეტას უკავშირდებოდა.

გადავწყვიტე ლოდისთვის ფოტო გადამეღო. ჩემი ყუთი–ფოტოაპარატი სულ თან დამქონდა. ფირები შემიცოტავდა, ამიტომ მხოლოდ ერთხელ გადავიღე.

ვერაფერი მოვინადირე. ხელი მომეცარა. ორჯერ გავისროლე, მაგრამ თიხა ტყვია ხომ არ იქნებოდა.

როცა ლოდს ვათვალიერებდი, ჩუმ–ჩოკმა მოირბინა, აფორიაქებული იყო, იყნოსავდა და ვერ ხვდებოდა, თუ პატრონს რა აინტერესებდა.

როცა ლოდს მოვცილდი, ნადირის მოსაძებნად გავუშვი, ისიც გაიქცა, მაგრამ იმ დღეს მასაც არ სწყალობდა ბედი.

ბილიკზე გამოვედი. საათს დავხედე. მეტეოროლოგიურ დავკივრვებამდე ჯერ ადრე იყო. სწორედ ამ დროს კისერზე ცივი ვიგრძენი. უმალ მივხვდი, გველგესლა ზურგჩანთიდან ამომძვრალიყო. გველი ჩემს მკერდზე ცოცავდა და ავად სისინებდა. ვიდექი და არ ვინძრეოდი. ველოდი მიწაზე როდის ჩამოსრიალდებოდა. ქვემოთ მის სამკუთხა თავს და ორკაპა ენას ვხედავდი.

უცებ ბილიკზე ჩუმ–ჩოკი გამოჩნდა. ძაღლი დაჟინებით უყურებდა ჩემს მკერდს. გველგესლა დაიკლაკნა და კისერზე კუდი შემომხვია. ჩუმ–ჩოკი ნელა მომიახლოვდა. ვშიშობდი, რომ მისი მოახლოებით გველი სულ გამძვინვარდებოდა და ძაღლს ვუჩურჩულე: – არ შეიძლება! თან ხელი ნელა ავწიე, მინდოდა გველი გადამეგდო. უმოქმედობა აღარ შეიძლებოდა.

დრო ვიხელთე და როგორც მახსოვს გველს კისერში ხელი ვტაცე და მთელი ძალით მოვუჭირე. უცებ ჩუმ–ჩოკი მკერდზე მეცა და წამაქცია. უნდოდა ჩემთვის ეშველა. წამოვხტი და დავინახე გველგესლას როგორ უსწორდებოდა.

თითში მწველი ტკივილი ვიგრძენი, ორი პატარა წითელი წერტილიც შევნიშნე. ჩანს, გველმა კბენა მოასწრო. დანა ამოვიღე, გავიჭერი და ჭრილობიდან სისხლი ამოვწოვე. ვაზნიდან დენთი გადმოვყარე და ასანთით ავიფეთქე. ნაკბენს ზემოთ ხელი მჭიდროდ შევიკარი.

სანამ ექსპედიციის ბანაკს მივაღწიე ხელი უკვე გამისივდა და გამიწითლდა. გამახსენდა კულიკის ნათქვამი: “გველმა თუ გიკბინა, იცი, როგორ უნდა მოიქცე. ცუდი არ იქნება სპირტს თუ დალევ”. გველების საკონსერვაციოდ სუფთა სპირტი მქონდა და დავლიე. იქამდე კი ექსპედიციის დღიურში ჩავწერე ამ წარუმატებელი დღის ამბები. დიდხანს მეძინა. საშინელმა წყურვილმა გამაღვიძა. წყალი დავლიე და ისევ დავიძინე. მეორე დღეს დილით

გამეღვიძა. თორმეტი საათი მაინც მძინებოდა. გასიებული თითი თითქმის დაცხრა, სსიწითლე დამრჩა და დამწვარი ადგილი მტკიოდა. ჩუმ–ჩოკი ჩემსა გვერდით იწვა, სჩანს არ დამტოვა.

…ლოდის სურათი გამოვიდა. ორი ცალი დავბეჭდე. ერთი ექსპედიციისთვის, მეორე ჩემთვის.

კულიკმა კეჟმოში წასვლიდან ერთი თვის მერე ექსპედიციის ბანაკში ორი ხნიერი ანგარელი გამოგზავნა. როცა მოვიდნენ, ფეხზე ძლივს ვიდექი. როგორც მითხრეს მკვდრისფერი მედო.

ანგარელების მოტანილ წერილში ლეონიდ ალექსეევიჩი მთხოვდა, რომ ბანაკში ყველაფერი როგორც იყო ისე დამეტოვებინა და ვანავარაში მივსულიყავი. იქ დავლოდებოდი. მინაწერში: "აეროფოტოგადაღება არ იქნება".

თავდაპირველად ჩაი ავადუღეთ. ანგარელები საგზლით გამიმასპინძლდნენ, კვერებით და ხმიადებით. მომეჩვენა, რომ ასეთი გემრიელი ჯერ არაფერი მეჭამა: შიმშილის მიუხედავად ცოტა ვჭამე. მრავლისმნახველმა ანგარელებმა მითხრეს: "ცოტა–ცოტა მიეჩვიე. ახლა აღარ იშიმშილებ".

ვანავარაში ორი ცხენით დავბრუნდით. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გზის უმეტესი ნაწილი უნაგირზე ვიჯექი, თვითონ კი მონაცვლეობით სხდებოდნენ.

მაძღარი ჩუმ–ჩოკი წინ მიგვიძღოდა. მე უკანა ცხენით მივდიოდი და ხშირად ბრუნდებოდა ჩემთან.

რამდენიმე დღის მერე ბანაკში ლეონიდ ალექსეევიჩთან ერთად დავბრუნდი. მორების შტაბელებთან რომ გაიარა, გამომხედა და მკითხა:

– ეს შენ დააწყვე?! ერთმა?

– არა, ორივემ. ჩუმ–ჩოკთან ერთად. – გამეღიმა.

– მხნედ ხარ კოტოკ! – ასე მეძახდა ლეონიდ ალექსეევიჩი მას მერე, რაც ბანაკში ორნი დავრჩით და როცა კარგ გუნებაზე იყო.

– ვიყავი და ვიქნები. მხოლოდ ვადა მომეცი.

არაფერი უთქვამს, უმალ შემოტრიალდა და თავისი ქოხისკენ გაემართა. ან კი რა უნდა ეთქვა.?..

იმავე დღეს ნაპოვნი ლოდის შესახებ ვუთხარი. ერთი სურსათი და ნეგატივიც ვაჩვენე.

ფოტოსურათს დახედა და აღელვებულმა მკითხა:

– შენ ტუნგუსკის მეტეორიტის ნატეხი ნახე? იპოვე?!

და როცა გაიგო, რომ ნაპოვნ ლოდს მაგნიტური თვისებები არ ჰქონდა, დამშვიდდა.

– მეც ამას ვფიქრობდი. შენი ნაპოვნი ლოდი მეტეორიტს არ უკავშირდება. მე ხომ გეუბნებოდი, რომ მეტეორიტი რკინის იყო.

მინდოდა, კულიკს ეს ლოდი ენახა, რადგან ქვის მეტეორიტს ჰგავდა.

– კარგი წავიდეთ.

მაგრამ მეორედ ნახვის საშუალება აღარ მომეცა.

როცა ამ ლოდისადმი გულგრილობა დავინახე, მეც აღარ დავინტერესდი და რა ვიცოდი მაშინ, თუ შემდეგ როგორ ვეძიებდით, როგორ ვინანიებდი და ჩემს თავს დავამუნათებდი, შეუპოვრობა რომ არ გამოვამჟღავნე!

ტაიგაში ყოფნის ბოლომდე სამხრეთის ჭაობის დასავლეთ ნაწილს ვიკვლევდით. ამ დროისთვის კულიკი საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ გიგანტური მეტეორიტის ნამტვრევები უნდა ყოფილიყო არა ჩრდილო–დასავლეთის ტორფიანი ჭაობების ძაბრულ კრატერებში, არამედ სამხრეთის ფაობის დასავლეთი ნაწილის ფსკერზე.

## მისი უფლება

– თუ ჩვენ ამ მთაზე ავალთ,ჩვენს თვალწინ გადაიშლება მიდამო, რომელცი მეტეორიტის დაცემის მერე არავის უნახავს. წავიდეთ. – თქვა თხილამურებზე მდგარმა ლეონიდ ალექსეევიჩმა და განიერი ნაბიჯით ტბა ჩეკოს ყინულის ქერქზე გაიარა.

თოვლი ყინულზეც სქლად იდო. ახალგაზრდას ნათხილამურევზე სიარული მომერიდა და კულიკს გავუსწარი, დავწინაურდი. ვიცოდი, რომ სიარული ისედაც უჭირდა და თანაც ასეთ მთაზე დაწინაურება, მით უმეტეს.

ტბის იქეთ მდებარე მაღალი ქედი ღრმა ღრანტეებით იყო დასერილი. კლდოვან მწვერვალზე უნდა ავსულიყავით.

ძნელი სავალი იყო. ტბის პირას ახალაღმოცენებული ფიჭვნარი დიდი წვალებით გავიარეთ და ტაიგაში შევედით.თხილამურები ღრმად ეფლობოდა თოვლში. აი, ტაიგაც უკან

მოვიტოვეთ და კლდოვანი ფლატე–ტერასების წინ აღვმოჩნდით. აქა–იქ დიდი, ფართეკენწეროიანი ფიჭვები იზრდებოდა, როგორც მათი სამხრეთელი დები, მათი ფესვევბი რვაფეხას საცეცებივით კლდეთა ღრმა ნაპრალებში შესულიყო.

თხილამურები პირველ ტერასასთან დავტოვეთ. კლდის შვერილებს ვეჭიდებოდით და ასე მივხოხავდით ზემოთ. მწვერვალამდე ცოტაღა გვრჩებოდა, ასე ორმოცდაათი მეტრი. ერთობ რთული "საფეხური" გადავლახეთ. მინდოდა ლეონიდ ალექსეევიჩს მივხმარებოდი, მან კი აქოშინებულმა და გაოფლიანებულმა, უარის ნიშნად თავი გადააქნია. – ახოხდი. მე თვითონ.

მეც გავხოხდი. მივხოხავდი და ვფიქრობდი, რომ სწორედ შეუპოვრობამ და უდიდესმა ნებისყოფამ მიაღწევინა დიდ ქვაბულს, კატასტროფის ეპიცენტრს. უგზოობაში, ბილიკის არარსებობისას, შიმშილობდა, მაგრამ საქმე არ მიუტოვებია, სწამდა ის, რაც აკადემიაში ბევრს არ სჯეროდა...

ცოტა სული მოვითქვი. უკანასკნელად კლდოვან შვერილზე უნდა ავსულიყავით. უცებ ქვემოთ ლეონიდ ალექსეევიჩისკენ გავიხედე. ის შორიახლოს იდგა, ზურგით ლოდს იყო მიყრდნობილი, მძიმედ სუნთქავდა და სახე გაფითრებოდა. მისი მზერა მწვერვალისკენ იყო მიპყრობილი. ცოტაღა გვრჩებოდა. ქვაზე დავჯექი და ფეხსაცმელი გავისწორე. ტერასის კიდედან კულიკის თავი და ხელები მოჩანდა. მძიმედ სუნთქავდა, ქოშინებდა. ერთმანეთს შევხედეთ.

– მწვერვალზე შეგეძლო გაგესწორებინა. –ხმაში ბზარი შეჰპარვოდა. გამომეტყველებაც შეცვლოდა. არაფერი ვუთხარი.

კულიკი ნელა ავიდა მწვერვალზე.

– აქ მოდი, სწრაფად. ნახე როგორი ხედია! ტყუილად არ ამოვფორთხდით!

ვიდექი დიდი ენთუზიასტის გვერდით და ჩვენს თვალწინ გადაშლილი ცოცხალ და გამხმარ ტაიგას ვუცქერდი, თან ვფიქრობდი: "როგორ უნდოდა პირველი ამოსულიყო მწვერვალზე, მეც მინდოდა, მაგრამ მას პირველაღმომჩენის უფლება ჰქონდა, რადგან მან ბევრი იშრომა, იღვაწა და ტუნგუსკის საოცრებას თავისი სიცოცხლის წლები მოახმარა.

## მშვიდობით ბანაკო

1930 წლის 29 აგვისტო მეტეორიტის ექსპედიციის ბანაკში ყოფნის უკანასკნელი დღე იყო. ამ დღეს სამხრეთის ჭაობზე არ გავსულვართ, რადგან მთელი დღე ვალაგებდით. საღამოს, როცა ყველაფერი მოვაწესრიგეთ და დავალაგეთ, კულიკმა მითხრა: – წავიდეთ, დავემშვიდობოთ.

დიდხანს ვისხედით ჭაობის ნაპირზე, ვდუმდით. ჩუმ–ჩოკიც ჩვენს გვერდით იჯდა.

არ ვიცი რაზე ფიქრობდა ლეონიდ ალექსეევიჩი. ჩემს თვალწინ კალეიდოსკოპურად გაირბინა ჩემმა საექსპედიციო ცხოვრებამ. აუხდენელი ოცნების გამო სევდამ შემიპყრო.

მდუმარედ დავბრუნდით. ლეონიდ ალექსეევიჩი წინ მიდიოდა, მე უკან მივდევდი. იმ ბილიკს მივყვებოდით, რომელიც ვერ მოვასწარი და ფართო განაკაფად ვერ ვაქციე.

გვიან ღამით, ძილის წინ, როცა ლეონიდ ალექსეევიჩისთვის მშვიდობიანი ღამე უნდა მესურვებინა, მითხრა:

– ცოტა ხანს კიდევ იჯექი. ახლა ტუნკუსკის მეტეორიტის ექსპედიციის უკანასკნელი საწარმოო თათბირი იქნება. იქნება მომხსენებელი, აუდიტორია კი ერთი ადამიანია.

და ლეონიდ ალექსეევიჩმა მოხსენება წაიკითხა ექსპედიციის ყოფა–ცხოვრებისა და მუშაობის, ასევე სამომავლო კვლევა–ძიების პროგრამის შესახებ.

მდუმარედ ვიჯექი და ვუსმენდი. ვუყურებდი და ვგრძნობდი, რომ ამ წუთებში ის ვერ ამჩნევდა სინათლის მკრთალ შუქს, არც ამ პატარა ჩამუქებული ქოხის კედლებს, ვერც მე, ერთადერთ მსმენელს და მეც მომეჩვენა, რომ ეს მეტეორიტის ექსპედიციის ქოხი–ლაბორატორია კი არა, მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზი იყო და ასეულობით ადამიანი ყურადღებით უსმენდა მეცნიერ ენთუზიასტს.

კულიკმა მოხსენება დაამთავრა, სარკმელთან შეჩერდა და შემოდგომის ღამის წყვდიადს დიდხანს უცქერდა, მერე თავი გადააქნია, მომიახლოვდა და მძიმე ხელი მხარზე დამადო.

– ჯერჯერობით სულ ეს არის. არ ინაღვლო. რწმენა არ დაკარგო. ერთად კვლავ ვიმუშავებთ და ყოველთვის გახსოვდეს, რომ ჩვენი გაკვალული ბილიკებით ათასობით ტურისტი ივლის და ჩვენი მეცნიერების მიღწევებით იამაყებს.

## დიდი ენთუზიასტის უკანასკნელი ექსპედიცია

ტუნგუსკის მეტეორიტის სავარაუდო დაცემის ადგილას მესამე მეტეორიტული ექსპედიციის დასრულების მერე რამდენიმე წლის განმავლობაში არანაირი სამუშაოები არ მიმდინარეობდა, მხოლოდ 1937–1938 წლებში მოხერხდა კატასტროფის რაიონის ნაწილის აეროფოტოგადაღება. ლეონიდ ალექსეევიჩის კინაღამ არ დაიღუპა ავარიისას, როცა თვითმფრინავი ვანავარასთან, პოდკამენნაია ტუნგუსკაზე ჯდებოდა. ეს 1937 წლის ზაფხულში მოხდა.

1938 წელს, ივლისში მიმდინარეობდა აეროფოტოგადაღება, რამაც დაადასტურა კულიკის მიერ აღმოჩენილი დიდი ქვაბულის ირგვლივ ტყის რადიალური წაქცევა, რაც ადასტურებდა იმას, რომ ტუნგუსკის კატასტროფის ეპიცენტრი სწორად იყო განსაზღვრული.

1939 წელს მოეწყო ტუნგუსკის მეტეორიტის მეოთხე ექსპედიცია. მასში მონაწილეობდნენ: უფროსი მეცნიერ–მუშაკი, გეოდეზისტი ნ.ს. აპრელევი, სამეცნიერო–ტექნიკური მუშაკები ი.ვ. შპანოვი და ე.ლ. კულიკი (ლეონიდ ალექსეევიჩის ქალიშვილი), უფროსი მუშა ნ.ი. ფედოროვი (მხატვარი), ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ლ.ა. კულიკი.

ამ ექსპედიციამ აეროფოტოგადაღება გეოდეზიური სამუშაოებით უზრუნველყო, ამიტომ ჩამოყალიბდა ორი ჯგუფი: გეოდეზიური და გეოლოგიური. ამავდროულად კულიკი დამატებით იკვლევდა სამხრეთის ჭაობს.

მეოთხე მეტეორიტული ექსპედიცია ლეონიდ ალექსეევიჩისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა.

1940 წელს კულიკი აპირებდა მუშაობის გაგრძელებას სამხრეთ ჭაობზე, ასევე უნდა ჩაეტარებინა მაგნიტური გაზომვები, მაგრამ ამ წელს ექსპედიციის ორგანიზება ვერ მოხერხდა, 1941 წელს კი დაიწყო დიდი სამამულო ომი.

1941 წელს, 5 ივლისს ლეონიდ ალექსეევიჩის შევიდა ლენინის სახელობის მოსკოვის კომუნისტურ დივიზიაში. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა სთხოვა თავდაცვის სახალხო კომისარიატს, რომ მეცნიერი დემობილიზებულიყო. თხოვნა დააკმაყოფილეს, მაგრამ ლეონიდ ალექსეევიჩმა იუარა და სახალხო ლაშქარი არ დატოვა.

1941 წელს ლეონიდ ალექსეევიჩის ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა. სადგურ პავლიკოვოსთან ფეხში დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. გადაიყვანეს სმოლენსკის ოლქის სოფელ ვსხოდში. 1942 წელს, როცა ფაშისტები უკან იხევდნენ კულიკი გადაიყვანეს ქალაქ სპას–დემენსკში, სადაც საბჭოთა ტყვეებისთვის შექმნილ უმძიმეს პირობებში ტიფით დაავადდა და 14 აპრილს გარდაიცვალა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ამავე ქალაქის სასაფლაოზე დაკრძალეს.

ამით დასრულდა დიდი მამულიშვილის, ენთუზიასტი–მეცნიერის, მოქალაქისა და მებრძოლის ლეონიდ ალექსეევიჩ კულიკის ეპოპეა.

## რა მიამბო ოკჟენიმ

ტაიგაში მარტოს განსაკუთრებულად უჩვეულოდ მძინავს. ყველა ძირძველი ტაიგელი ასეა. დასაძინებლად დავწვები და მეორე "მე" ფხიზლობს. მშვიდად მძინავს, რადგან ვიცი, რომ "ის" გამაღვიძებს. "ისვე" გამაღვიძებს, როცა "მას" რაღაც გამოუცნობი და უჩვეულო რამ ააფორიაქებს და რაშიც მხოლოდ მისი მიმნდობი თუ გარეკვევა.

იმ ღამითაც ასე იყო. "მან" გამაღვიძა. გამოვფხიზლდი, გაუნძრევლად ვიწექი, თვალები ოდნავ გავახილე და მივაყურადე. სანამ მეძინა ალბათ დიდი თევზები წყალში დგაფუნებდნენ, თეთრი კაკბის მამალიც დაიყივლებდა, ასევე მამალი შველიც და ბევრი, უავმრავი ხმაც გაისმოდა შორეული ტაიგის ტბის, ოკეანის ნაპირას, იქამდეც, სანამ მე იქ ღამეს გავათენებდი. ამ ტბაზე მდინარე ხანდა გაედინება. ჩემი ძილის მცველს ამ ხმებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან "მისთვის" კარგად ნაცნობი იყო და ხიფათს არ მიქადდა, თუმცა იმ ღამით ხელი მომეცარა. ღამის ავაზაკ ჭოტს ცნობის წიდილი აღეძრა, როცა ამ ადგილებში იშვიათი სანახაობა, კოცონთან მწოლიარე ადამიანი შენიშნა. ჭოტი ბებერი ფიჭვის დაგრეხილ ტოტზე ჩამოჯდა და ხმამაღლა ზღაპრულად მომესალმა: ხუ–გუ. გამეღვიძა და შევეხმიანე: ამის მერე აღარ "იმაიმუნო" და უმალ ღრმად ჩამეძინა.

კოცონი გიზგიზებდა. ღამით ძალიან არ ციოდა, სქელი ღრუბლები მიწას საბანივით ეფარა. უმალ მივხვდი რატომ გამეღვიძა.

ზოგჯერ ადამიანი უცებ ვერ იღვიძებს. მე ეს არ მჩვევია. ავდექი და ნაპირზე ამოტანილ ამოთლილ ნავთან მივედი. იქვე გალია იდგა. გალიაში სნეული ონდატრა იჯდა, ჩემი მზეთუნახავი, ასე ვეძახდი. საკვები დავულაგე, საგები გამოვუცვალე, წყალი დავუსხი. ნადირს ვეჩურჩულებოდი და თან ჩემამდე მოღწეულ ხმებს ვაყურადებდი.

ასეთი ციური ხმები დიდი ხანია არ მსმენოდა. ავამის ტუნდრაშიც ასე იყო. მაშინ არა მარტო მესმოდა, ვხედავდი კიდეც. ახლა კი ვერაფერს ვარჩევდი. მინდოდა ჩანავლებულ კოცონზე ფისიანი შეშა დამეწყო, მაგრამ გადავიფიქრე. აგიზგიზებული კოცონი შუქურასავით იქნებოდა, ფრინველებს თვალებს მოსჭრიდა და ზედ დაეცემოდნენ. თავს ვერ ვაპატიებდი, თუნდაც ერთი იხვი ან ბატი დაღუპულიყო, დაღუპულიყო მშობლიური სახლის ზღურბლზე. ვიდექი, ცას შევცქეროდი და ვაყურადღებდი.

მესმოდა იხვებისა და ბატების ხმები, მათი ფრთების ტყლაშუნი. ალბათ სადღაც გზაში შეყოვნდნენ და ახლა, როცა გაზაფხულმა ფრთხილად შემოაბიჯა და თბილმა სიომ დაუბერა, მათაც გული სამშობლოსკენ გამოუწიათ და აი, მშობლიური ადგილებისკენ მოფრინავდნენ. ალბათ ბევრი მათგანისთვის ეს დიდი ტბა და ახლომდებარე პატარა ტბები მათ სამშობლო იყო.

ზედ წყალთან ახლოს ბატების გუნდი დაეშვა. გავირინდე, რომ არ დამეფრთხო. ეს ფრინველები ძირს დაშვების მერე იმალებიან, აყურადღებენ, აქეთ–იქით აკვირდებიან და მას მერე, რაც რაიმე სახიფათოს ვერ შეამჩნევენ, აყიყინდებიან და გამხიარულდებიან. ამ ბატებმა თავი შინაურულად იგრძნეს და ხმამაღლა აყიყინდნენ, ფრთებს აფართხუნებდნენ, წყალს ადგაფუნებდნენ. ალბათ შემნიშნეს, ჩემი ნავიც შენიშნეს, ჩანავლებული კოცონიც. მხედავდნენ და მიუხედავად ამისა თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ დახანგრძლივი, ხიფათით აღსავსე გადაფრენის მერე თავს იკოხტავებდნენ.

ჩემს ადგილს მივუახლოვდი, საველე ჩანთა, ბინოკლი და რამდენიმე ორცხობილა ავიღე, ყოველი შემთხვევისთვის კარაბინიც. არ დამვიწყებია, რამდენი დღის წინათ, რცოა ნავით ერთ მომცრო ტბას ვათვალიერებდი, “ბაჯბაჯა ბერიკაცის” ყურაღდება მივიქციე. თითქოს იცოდა კარაბინი და სხვა ნივთები კოცონთან რომ დავტოვე და საკმაოდ მდია. ტაიგაში გაზაფხულობით დათვები გაავებულნი არიან.

ასე, რომ კარაბინი ავიღე და კონცხისკენ გავწიე. იქ გუშინ საღამოს კარგად შენიღბული ჩალის ქოხი დავდგი და შარშანდელი თივით შევნიღბე. მინდოდა გარიჟრაჟს იქ შევხვედროდი. მთელი დღე თავისუფალი ვიყავი. – საღამოსთვის იქ ნავების “ფლოტი” უნდა

მოცურებულიყო. მე ყოველ საღამოს ჩემი პატარა ნავით წინ მივცურავდი და რაზმისთვის შემდგომ გაჩერებას აღვნიშნავდი. ნადირს საკვებს ვუმარაგებდი, შეშასაც ვჭრიდი. მძიმედ დატვირთული დიდი ნავების ქარავანი ეგერის მეთვალყურეობით მზის ჩასვლამდე დასაბანაკებელ ადგილამდე მიდიოდა. აქ უკვე ანთებული კოცონი ხვდებოდათ. გზის უკანასკნელ მონაკვეთზე ნავების ქარავანი ერთი დღით შევასვენეთ, მე კი დავწინაურდი, რათა გადაღებები მომესწრო და ამ დიდ წყალსატევში ონდატრების გაშვების ადგილები მომენიშნა.

ჯერ კიდევ გუშინ ტბაზე სიმშვიდე სუფევდა, დღეს კი წარმოუდგენელი ხმაური ისმოდა. ყიყინი, სტვენა, წყლის დგაფუნი, ნამდვილი "ფრინველთა ბაზარი" იყო. როცა კარგად ინათა, თვალწინ დაუვიწყარი, იშვიათი სურათი წარმომიდგა. ფრთოსნები ჭყუპალაობდნენ, სუფათვდებოდნენ, ბუმბულს იწყობდნენ, ისვენებდნენ, ჭამდნენ. ხეების კენწეროებზე დაფენილი ლეგა–მოვარდისფერო ღრუბლები ზემოთ მიიზლაზნებოდნენ და ცის ლაჟვარდს ერწყმოდნენ. შორეული ქედის მხრიდან მზე ამოვიდა და მისმა სხივებმა ტბა ააელვარა. ფრთოსნების მიერ აშხეფებულ წყალში მზე ირეკლებოდა და თვითეული წვეთი ცისარტყელას ფერებით ბრილიანტივით კაშკაშებდა. განსაკუთრებით იხვები ირჯებოდნენ. წამოიწეოდნენ, ფრთებს აიქნევდნენ და წყალს აშხეფებდნენ. ასე სიხარულით ხვდებოდნენ მზის ამოსვლას.

ჩემი საფარიდან ახლოს იხვების გუნდი დაფრინავდა, ბატები კი ნელა ცურავდნენ და საქმიანად ყიყინებდნენ.

ასეთ ხმაურში ზემოდან საყვირივით ხმა მომესმა. გედები მიფრინავდნენ. მზის სხივებში ვარდისფრად მოჩანდნენ. მომეჩვენა თუ მათრლაც ასე იყო, ტბაზე ფრთოსნები ჩაჩუმდნენ. ამაყ და ლამაზ ფრინველებს გრძელი კისრები წინ წაეწიათ. ტბას გადაუფრინეს. მეორე წრეზე დაბლა დაეშვნენ და სულ მალე გედების გუნდი წყალზე დაეშვა. კისრები კოხტად მოეხარათ. ბატები და იხვები გედების დაშვების ადგილს ცოტა მოსცილდნენ. გედებს ყურადღება არაფრისთვის მიუქცევიათ, ჭყუმპალაობდნენ და ერთმანეთს წყალს აშხეფებდნენ.

ამ დროს პატარა ჭუჭული შევნიშნე. სჩანს, მშობლიურ გუნდს ჩამორჩა. სწრაფად მიცურავდა და ბატებს უახლოვდებოდა. როცა რამდენიმე მეტრი დარჩა, ერთი ბატი შეეგება. განრისხებულმა კისერი წაიგრძელა. იხვის ჭუჭულმა სხვა მხარეს გასცურა, მაგრამ იქეთაც ბატები იყვნენ. იქეთაც განრისხებული ბატი შეეგება. შიშისგან თავგზააბნეული ჭუჭული

გადაფრინდა და გედებთან ახლოს დაეშვა. მათთან შედარებით პაწია იყო. უახლოეს გედამდე ასე რვა–ათი მეტრი აშორებდა. ბინოკლი ავიღე. ნეტავ როგორ შეხვდებიან ეს ამაყი და ლამაზი ფრთოსნები იხვის პაწია ჭუჭულს? ერთი ჩანისკარტება მოუღებდა ბოლოს, რომ აღარაფერი ვთქვათ ძლიერ ფრთებზე. იხვის ჭუჭული იმ გედისკენ მიცურავდა, რომელიც ჭყუმპალაობის მერე ბუმბულს იწყობდა. მინდოდა საფარიდან გამოვსულიყავი და ჩემი მოულოდნელი გამოჩენითა და ყვირილით გარდაუვალი, თუნდაც სულ მცირე ტრაგედია ამეცილებინა, მაგრამ რაღაცამ შემაყოვნა. აი, მათ შორის მანძილი 1,5–2 მეტრიღა დარჩა. გედმა თავის საქმიანობას თავი დაანება, თავი ოდნავ დასწია და მიახლოებულ ჭუჭულს გახედა. საფარიდან გამოსვლას აზრი აღარ ჰქონდა, დამაგვიანდა... ბინოკლის ოკულარს თვალს არ ვაცილებდი და რას ვხედავ... თოვლივით ქათქათა, პაწია ჭუჭულთან შედარებთი უზარმაზარი ფრინველი ისევ ბუმბულს იწყობდა. მის გვერდით მყოფი იხვის ჭუჭული სულ მალე გედებს შორის გაუჩინარდა. არც ერთი გედი არ დამფრთხალა, არ დაურტყამს და არ გაუგდია პაწია, უსუსური მომხვდური და მასაც არ მიუტოვებია თავისი მოულოდნელი მფარველები, რადგან მათ შორის თავს კარგად და მშვიდად გრძნობდა.

“როგორი კარგები ხართ”. – გავიფიქრე და ბინოკლი დავუშვი.

დიდხანს ვიჯექი ამ შორეული ტაიგის ტბასთან და ბუნების საგაზაფხულო ზეიმს ვაკვირდებოდი. უკვე მოშუადღევდა. საფარიდან გამოვედი და ჩემი ბანაკისკენ ნაპირს ნელა გავუყევი. გედებმა იხვის ჭუჭულთან ერთად შორს გასცურეს. იხვები და ბატები ჩემი მიახლოებისას არ გაფრენილან, მხოლოდ გაფაციცდნენ, თავები ასწიეს და ნაპირს ოდნავ მოსცილდნენ.

ეს დაუფრთხობელი ფრთოსნები მხარე იყო.